გივი როგავა, მერი ჭანტურია

ფილოსოფიის საფუძვლები





სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი ბოგვაძე, მერი ჭანტურია

ფილოსოფიის საფუძვლები

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

UDC (უაკ) 1(09)+111.1+101.1:316
რ – 721

წიგნში განხილულია ფილოსოფიის რაობა, მისი წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპები, გაშუქებულია ონტოლოგიის, გნოსეოლოგიისა და სოციალური ფილოსოფიის მთავარი პრობლემები.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტი ახალგაზრდობისათვის როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, ასევე გარკვეულ წილად სასარგებლო იქნება საგნის ლექტორებისა და ფილოსოფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისთვის.

რედაქტორი: *ვახტანგ კვარაცხელია* – ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტი: *ელგუჯა ქავთარაძე* – ასოც. პროფესორი

© გ. როგავა, მ. ჭანტურია, 2009

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-659-8

«ფილოსოფია – ეს არის საქმაროს შექმენა-ბა... იგი არის მეცნიერება წანამძღვრების გარე-შე».

ოიპან კოტლიბ ფიხტე

«დიახ, ფილოსოფია არ არის მეცნიერება, რად-განაც ის მასზე მეტია».

ხორხე ორტეგა ი გასეტი

წინასიტყვაობის მაგიერ

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობა-ში არაერთი დამხმარე სახელმძღვანელო და კურსი დაიწერა ფილოსოფიაში (ე. კოდუა - „ფილოსოფიის შესავალი“, ვ. ერ-ქომაიშვილი - „ფილოსოფია“, ა. ციმინტია - „ფილოსოფიის შესავალი“, ტ. რეხვიაშვილი და ვ. ჯაოშვილი - „ფილოსო-ფია“), მათი დეფიციტი აშკარად იგრძნობა, რაც თავის მხრივ, ასეთ ლიტერატურაზე გაზრდილი მოთხოვნილების მაჩვენებელია. სახელმძღვანელოს გარეშე სტუდენტ ახალ-გაზრდობას უჭირს დაეუფლოს ისედაც რთულ საგანს – ფი-ლოსოფიას. ზემოთქმულის გათვალისწინებით ახალგაზ-რდობას ვთავაზობთ ავტორთა მიერ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში წაკითხულ ლექციე-ბის კურსს, იმ იმედით, რომ იგი ნაწილობრივ მაინც დაეხმა-რება მათ აღნიშნულ სიძნელეთა დაძლევაში.

ლექციების კურსის გამოცემა გათვალისწინებული იყო ორ ნაწილად, პირველში გაშუქებულია ფილოსოფიის რაობა,

მისი წარმოშობა და განვითარების ძირითადი ეტაპები (2004 წ.). მეორე ნაწილი კი მოიცავს ფილოსოფიის ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს, რომელთა ერთიანობაში გაცნობა სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს სათანადოდ დაეუფლონ ფილოსოფიის ძირითად ასპექტებს.

მიმართვა სტუდენტებს

ზოგი ჩვენი,
ზოგიც სხვისი,
არ ადვილად
შესათვისი —
— აზრთა წყება —
სწორედ თქვენთვის
საქმიერი და
შესაცქვისი,
შეკვეთ და
გითაჯაზეთ,
ვინც ისწავლის —
ალალ მისი.

აკტორები

განყოფილება I. ფილოსოფიის წარმოშობისა და მისი განკითარების ძირითადი ეტაპები

თავი I. ფილოსოფიის საგანი

§ 1. ფილოსოფიის რაობა. მისი საგანი და სპეციფიკური ნიშნები

ფილოსოფიის შესწავლა იწყება მისი რაობის დადგენით. თავდაპირველად არკვევენ ტერმინ „ფილოსოფიის“ წარმომავლობას და აღნიშნავენ, რომ ის წარმოადგენს ორი ბერძნული სიტყვის - „ფილეო“-სა და „სოფიას“ ერთიანობას და ნიშნავს „სიბრძნის სიყვარულს“. სიტყვა „ფილოსოფიას“ პირველად ვხვდებით ჰეროდოტესთან (V ს.ჩ.წ-მდე), სადაც მეფე კრეზი ეკითხება თავის სტუმარ ბრძენ სოლომონს: „მე გამიგონია, რომ შენ, რომელიც ფილოსოფოსობ ცოდნის შეძენის მიზნით, მოიარე ბევრი ქვეყანა“. აქ ფილოსოფოსობა ნიშნავს ცოდნის, სიბრძნის შეძენის სურვილს. არის სხვა მოსაზრებაც, რომ სიტყვა „ფილოსოფია“ პირველად იხმარა პითაგორამ, ტირანის კითხვაზე, თუ ვინ არის ის, პითაგორამ უპასუხა – ფილოსოფოსი ანუ სიბრძნის მოყვარული. აზროვნების ისტორიაში ტერმინი „ფილოსოფია“ დაამკვიდრა პლატონმა, რომელთანაც ის ნიშნავს ცოდნას, მეცნიერებას, თუმცა მეცნიერების აღმნიშვნელი სიტყვა ჯერ კიდევ არ არსებობდა.

„ფილოსოფიის“ ეტიმოლოგიური შინაარსის ანალიზი სრულებითაც არ არის საკმარისი მისი ცნების დასადგენად. ცნობილია, რომ რაიმე ცნების განსაზღვრა ნიშნავს იმ არსებითი ნიშნის (ნიშნების) დადგენას, რომელიც ახასიათებს ამ ცნებით გამოსახულ საგანს. მაშასადამე, ფილოსოფიის ცნე-

ბის დასადგენად, თავის მხრივ, უნდა დადგინდეს მისი არსების გამომთქმელი აუცილებელი ნიშნები. ამისათვის კი საჭიროა გავარკვიოთ, თუ რას სწავლობს იგი, რა არის მისი საკვლევი საგანი. საკითხი რა არის ფილოსოფია და რისთვისაა იგი საჭირო? – მეცნიერების განვითარების ამ ეტაპზე ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა და მასზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ ამ თემაზე არსებული ლიტერატურის ყველაზე სრულყოფილი ბიბლიოგრაფია 700-მდე შრომის დასახელებას შეიცავს, რაც ცხადად მიუთითებს ამ პრობლემით თანამედროვე ფილოსოფოსების დაინტერესებაზე.

ფილოსოფიის ისტორიის გაცნობა გვარწმუნებს იმაში, რომ ფილოსოფიის ცნება, დემოკრიტესთან, პლატონთან, ბეკონთან, დეკარტესთან, სპინოზასთან, კანტთან, ჰეგელთან, ფოიერბახთან, მარქსთან და ბევრ თანამედროვე ფილოსოფოსთან არამცთუ სხვადასხვაა, არამედ არაიშვიათად ურთიერთგამომრიცხველია და გამოხატავენ მათ შეურიგებელ თვალსაზრისებს ფილოსოფიასთან მიმართებაში. ეს გარემოება ერთხელ კიდევ მთელი სიმწვავით აყენებს კითხვას - „რა არის ფილოსოფია? რა არის მისი შესწავლის საგანი?“ ფილოსოფიის საგნის გაგების რამოდენიმე ძირითადი სქემა არსებობს: ფილოსოფოსთა ერთი ნაწილის აზრით ეს არის ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონები. ასეთი მტკიცება გავრცელებული იყო ძირითადად საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის. მეორე ნაწილის მტკიცებით, ფილოსოფიის საგანია ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხი, რომელიც იწოდება „ფილოსოფიის ძირითად საკითხად“, და რომელსაც ორი ასპექტი, ორი მხარე აქვს: ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური. პირველი განიხილავს საკითხს, რომელია პირველადი – ყოფიერება, თუ ცნობიერება; მეორე კი – საკითხს – შეუძლია თუ არა ადამიანის აზროვნებას ასახოს, შეიმეცნოს მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სამყარო; მესამენი ამტკიცებენ,

რომ ფილოსოფიის საგანია როგორც სინამდვილის უზოგადესი კანონები, ასევე ძირითადი საკითხიც.

არის მოსაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ ფილოსოფიის საგანი ყოველთვის იყო და ამჟამადაც არის ყოფიერება. ფილოსოფია არის ყოფიერების თეორია, ყოფიერება კი ნიშნავს არსებულს. ყოფიერებას მრავალი განსაზღვრება და ნიშანი ახასიათებს და ყველა მათგანის დადგენა იქნება ფილოსოფიის საგანი. ყოფიერება, თავის მხრივ, იყოფა მატერიალურ და სულიერ სინამდვილედ. ყოფიერების ერთ-ერთი განსაზღვრულობა ქმნადობაა, ასევე ყოფიერებას გააჩნია თავისი არსებობის წესი: მოძრაობა და უძრაობა, არსებობის ფორმები: დრო და სივრცე; კავშირის ძირითადი ფორმები: აუცილებლობა, შემთხვევითობა, მიზეზობრიობა, არსება და მოვლენა, ზოგადი და ცალკეული და ა.შ. ფილოსოფიის ამოცანაა მათი შესწავლა და ახსნა.

სხვათა მტკიცებით, ფილოსოფიის საგანი არის უნივერსალური კავშირი ადამიანისა სამყაროსთან და სამყაროსი ადამიანთან. ფილოსოფია არის მოძღვრება მთლიანად სამყაროზე და მის ეპიცენტრ ადამიანზე, რამდენადაც ადამიანი იმეცნებს, აფასებს, გაიაზრებს მთელ გარემომცველ სამყაროს და თავის თავს, ე.ი. სამყაროს მთლიანობას და თავისთავს მასში. მაშასადამე, ადამიანი არსებობს სამყაროს წარმოსახვით ცენტრში, საიდანაც მომდინარეობს მისი აზრები, გრძნობები და ნება. ამიტომაც ფილოსოფიის ცენტრში უნდა იდგეს მოძღვრება ადამიანის შესახებ, რომელიც განიხილავს არსს მის არსებობასთან დიალექტიკურ კავშირში, მის საერთო ადამიანურ (გვარეობით), სოციალურ და კულტურულად ცვალებად (განსაკუთრებულ) და ინდივიდუალურ – პიროვნულ თვისებებს. ადამიანის, როგორც სუბიექტის, დამოკიდებულება ობიექტისა და სხვა სუბიექტების მიმართ, ადამიანთა ურთიერთობის დადგენა – აი, ფილოსოფიის საკვლევი საგანი ზოგიერთი მოაზროვნის მტკიცებით.

როგორც ზემოთ თქმულიდან კარგად ჩანს, კითხვა რა არის ფილოსოფია? – მისი წარმოშობიდან დღემდე ერთმნიშვნელოვნად გადაუჭრელი პრობლემაა, რის გამოც მას მრავალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა, რომლებიც ფილოსოფიის კომპეტენტურობას ანუ მისი, როგორც მეცნიერების, არსებობის უფლებას უარყოფენ. ეს არაკომპეტენტურობა, მათი აზრით მდგომარეობს შემდეგში:

ჯერ ერთი, ფილოსოფიამ დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი საკვლევი საგანი, თავისი პრობლემები, რომლებიც ცალკეულმა მეცნიერებებმა ურთიერთშორის გაინაწილეს. შემეცნების ყველა პრობლემას მეცნიერება წყვეტს და ფილოსოფია, როგორც შემეცნება, კარგავს ღირებულებას, მან მოჭამა თავისი დრო და დღეს სრულიად ზედმეტი გახდა, „ფილოსოფია მოკვდა“, იგი მოკვდა იმ აზრით, რა აზრითაც ის ესმოდათ, ე. ი. როგორც მოძღვრება სამყაროს მთლიანობის შესახებ. რაც ტრადიციული ფილოსოფიისაგან დარჩა, ეს არის მისი ისტორია. ფილოსოფია დღეს შეიძლება არსებობდეს, როგორც ფილოსოფიური აზროვნების ისტორია. თუ ფილოსოფიამ დაკარგა თავისი საკვლევი საგანი, მას უფლება აქვს იყოს ცოდნის ისტორია, კერძოდ ფილოსოფიური აზროვნების, წარმოშობისა და განვითარების პროცესის შემსწავლელი ისტორია.

მეორე, ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, მოწინააღმდეგეთა მტკიცებით ფილოსოფია იმიტომაც არ შეიძლება იყოს მეცნიერება, რომ მის საკვლევ პრობლემაზე არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი პასუხები, იქ ყველაფერი საკამათო და სადაოა. ფილოსოფიაში არ არის ჭეშმარიტების ისეთი კრიტერიუმი, როგორც ეს მეცნიერებაშია, მის წინაშე დგას არა მეცნიერული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა საერთოდ შეუძლებელია.

მესამე, ფილოსოფიას არა აქვს არავითარი ფუნქცია და არც არავითარი როლი ენიჭება საზოგადოებაში, ან თუ ჯერ კიდევ აქვს გარკვეული ფუნქციები, მათ მნიშვნელობა არა

აქვთ საზოგადოებისათვის და, მაშასადამე, ფილოსოფიაც პრაქტიკულ მნიშვნელობასაა მოკლებული.

მეოთხე, თუ ადრე ფილოსოფია მეცნიერებათა მეცნიერებად ითვლებოდა, როგორც მათი საფუძველი, თანამედროვე საზოგადოების კიბერნეტიკულ-ტექნიკური ხასიათის პირობებში მეცნიერებათა საფუძველი გახდა კიბერნეტიკა და ამით ფილოსოფიამ კიდევ ერთი მარცხი განიცადა.

მეხუთე, თუ ადრე კატეგორიათა სისტემა ტრადიციულად ფილოსოფიის კუთვნილებად ითვლებოდა, დღეს იგი მეცნიერებებმა თავიანთ საზღვრებში მოაქციეს და ამითაც ფილოსოფია ზედმეტი გახადეს, ფილოსოფიის ამოცანები ამოიწურა.

თუ ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი კატეგორიულად უარყოფს ფილოსოფიის საჭიროებას, მეორე ნაწილი არ ეთანხმება ასეთ რადიკალიზმს და შესაძლებლად მიიჩნევს დარგობრივი ფილოსოფიების არსებობის საჭიროებას, როგორიცაა ლინგვისტური ფილოსოფია, მეცნიერების ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია, პრაგმატისტული ფილოსოფია და ა.შ. მათი მტკიცებით ფილოსოფიას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს, ის ძალაში რჩება მისი შემეცნებითი, კულტურულ-ინტელექტუალური და პოლიტიკური ფუნქციებით.

მართალია, ფილოსოფიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფრო მართებულად არის მიჩნეული აზრი იმის შესახებ, რომ იგი არ არის მეცნიერება, მაგრამ ამასთანავე ბევრი აღიარებს, რომ ის არის სულიერი მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე, რომელიც როგორც ხელოვნება, რელიგია და პოლიტიკა, უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე, ცნობიერებისა და კულტურის ჩამოყალიბებაზე, თუმცა არც ერთი მათგანი არ არის მეცნიერება.

ფილოსოფია არ არის მეცნიერება, მაგრამ მას ბევრი საერთო ნიშანი აქვს მეცნიერებასთან: სისტემურობა, თანმიმდევრულობა, დებულებათა შინაგანი ლოგიკური კავშირი

და მათი ერთიმეორისაგან გამომდინარეობა, მათი არგუმენტირება, მისწრაფება ჭეშმარიტებისაკენ ანუ ობიექტური ცოდნისაკენ.

ფილოსოფიას, როგორც ცოდნის გარკვეულ ფენომენს, აქვს რიგი სპეციფიკური ანუ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მათ შორის: ყოველი ნამდვილი ფილოსოფია გამოირჩევა სამყაროსა და ძველი სიბრძნისადმი კრიტიკული და იმავე დროს შემოქმედებითი დამოკიდებულებით. შეხედულებათა სისტემა, რომელიც ამ ნიშნებით არ ხასიათდება, არ შეიძლება იწოდებოდეს ფილოსოფიად. მეორე დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ფილოსოფიას განასხვავებს ადრე არსებული სიბრძნისაგან ისაა, რომ იგი იყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, კოლექტივის ან მთელი საზოგადოების მიერ შემუშავებული ცოდნა მაშინ, როდესაც ფილოსოფია არის უაღრესად პიროვნული, ინდივიდუალური ცოდნა, რის გამოც ყოველი სახის ფილოსოფიას აზის მისი შემქმნელი პიროვნების დაღი. ფილოსოფიის მესამე დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი არ იძლევა ამა თუ იმ პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას, რომელიც გამოდგებოდა ყველგან და ყველა შემთხვევისათვის. ფილოსოფია ადამიანებს ასწავლის სინამდვილისა და საკუთარი თავის შემეცნების, ჭეშმარიტების წვდომის, მისი მიღწევის მეთოდებსა და ხერხებს. მეოთხე. ფილოსოფიას აქვს შემეცნების სპეციფიკური მეთოდი (დიალექტიკური და მეტაფიზიკური). თუ მეცნიერების მეთოდი, არსებითად, ექსპერიმენტი და დაკვირვებაა, რომელიც დაკავშირებულია სამყაროს გრძნობად ანუ ემპირიულ აღქმასთან, ფილოსოფიისათვის, რომლის საკვლევი საგანიც ყოფიერებაა, მისი ზოგადი სურათის შექმნა ამ ხერხებით შეუძლებელია. ის მხოლოდ თეორიული აზროვნებით მიიღწევა.

§ 2. ფილოსოფია და მსოფლმხედველობა

ფილოსოფია პირველ რიგში მსოფლმხედველობაა. მსოფლმხედველობის ცნების ორნაირი გაგებაა ცნობილი: ფართო და ვიწრო. პირველ შემთხვევაში მასში გულისხმობენ მთელი გარემომცველი სამყაროს შესახებ ფილოსოფიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ეთიკურ, საბუნებისმეტყველო შეხედულებათა ერთობლიობას. მეორე შემთხვევაში კი – მხოლოდ ფილოსოფიურ შეხედულებებს. არც ერთი მათგანი არ არის ზუსტი ცნება. პირველი ძალზე ფართოა, მეორე კი ძალზე ვიწრო. მსოფლმხედველობა არის წარმოდგენების ან ცნებებისა და კატეგორიების გარკვეული სისტემა, რომელშიც განსაზღვრულია ადამიანთა ადგილი სამყაროში: ბუნებასა და საზოგადოებაში, ადამიანთა ისტორიული დანიშნულება ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის (ფენის, კლასის, პარტიის) პოზიციებიდან. არსებობს მსოფლმხედველობის სხვა განსაზღვრებებიც, მათ შორის ერთ-ერთი ასეთია: „მსოფლმხედველობა ეს არის შეხედულებათა, შეფასებათა, პრინციპთა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სამყაროს საერთო ხედვას, მის გაგებას, ამასთანავე ადამიანის ადგილს მასში. მსოფლმხედველობაში განზოგადოებული სახით მოცემულია შემეცნებითი, ღირებულებითი და ქცევათა ქვესისტემები მათ ურთიერთკავშირში.“ მსოფლმხედველობა სხვადასხვა სახისაა: მითოლოგიური, რელიგიური, ფილოსოფიური, ყოფითი, მხატვრული; ასევე სხვადასხვაა მათი გამოხატვის ფორმებიც: მუსიკა, მხატვრობა, სკულპტურა, არქიტექტურა, ლიტერატურა. მათგან განსხვავებით ფილოსოფია არის სისტემურ-რაციონალიზირებული მსოფლმხედველობა, ანუ თეორიული მსოფლმხედველობის გამოსახვის ფორმა. მსოფლმხედველობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ფილოსოფია, რადგან ყოველი ფილოსოფია მსოფლმხედველობაა, მაგრამ ყოველი მსოფლმხედველობა არ არის ფილოსოფია. ამრიგად, მსოფლმხედველობის გარეშე არ არის ფი-

ლოსოფია მაშინ, როდესაც მსოფლმხედველობა არსებობს ფილოსოფიის გარეშეც.

„მსოფლმხედველობა ადამიანის შინაგანი ბუნების, მისი არსების გამოვლენაა. ადამიანის პიროვნება ყველაზე მეტად მისი მსოფლმხედველობით გამოიხატება, რომელიც, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა სწორად მოვახდინოთ ორიენტირება სამყაროში, წინასწარ განვსაზღვროთ ადამიანებისაგან მოსალოდნელი ქცევა, რაც ადამიანთა საზოგადოების მართვისა და ურთიერთობათა მოწესრიგების ყველაზე რეალური გზაა. ფილოსოფია ეხმარება ადამიანს შეინარჩუნოს ადამიანურობა და ადამიანური სამყარო, აცნობიერებს გაუცხოების სხვადასხვა ასპექტებს და მათი დაძლევის გზებს“ - წერს პროფ. ე. კოდუა.

აქედან გამომდინარე ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიის დაუფლებას სტუდენტი ახალგაზრდოებისათვის. იგი ხელს უწყობს მათ გონებრივ განვითარებას, ლოგიკური აზროვნების კულტურის აღზრდას. აზროვნების კულტურის დაუფლება, თავის მხრივ, გულისხმობს მისდამი ინტერესს, მისწრაფებას, სათანადო ნიჭსა და მონდომებას. „მხოლოდ ადამიანს აწუხებს ეჭვი თავისი უცოდინარობის შესახებ. არც ღმერთს და არც ცხოველს ეს არ აწუხებს. ღმერთმა ყველაფერი იცის და ამიტომ არ შეიმეცნებს. ცხოველმა არაფერი იცის და ამიტომ ისიც არ იმეცნებს. ადამიანს სჭირდება ცოდნა, მას უნდა აწუხებდეს უცოდინარობა და ცდილობდეს შეიძინოს იგი“ (ა. ციმინტია).

§ 3. ფილოსოფიის წარმოშობა

ფილოსოფია, მითოლოგიისა და რელიგიისაგან განსხვავებით, რომლებიც პიროველყოფილ – თემურ წყობილებაში წარმოიშვნენ, ჩაისახა და განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწია მონათმფლობელურ საზოგადოებაში. თავის მხრივ ეს უკანასკნელი პირველად აღმოცენდა ძველი აღმოსავლეთის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი და ჩინეთი. ფილოსოფიამ უფრო გამოკვეთილი სახე მიიღო ძველ საბერძნეთში. მისი წარმოშობის წყაროებს წარმოადგენდა მითოლოგია და რელიგია. მითის ერთ-ერთი განსაზღვრება ასეთია: მითი ისეთი შემოქმედებაა, რომელშიაც ფანტაზია ითვლება რეალობად. მიუხედავად ამისა, მითოლოგია აერთიანებდა თავისთავში მთელ ცოდნას სამყაროზე, ადამიანთა ერთად ცხოვრების წესებსა და ჩვეულებებს და მით ხელს უწყობდა პირველყოფილ ადამიანების ორიენტირებას მათ თანამედროვე სამყაროში. რაც შეეხება რელიგიას, ის არის ზებუნებრივი ძალების არსებობის რწმენა და მასთან დაკავშირებული კულტი და რიტუალი. რელიგია, ისე როგორც მითოლოგია, არის სინამდვილის თავისებური ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. რელიგიამ შექმნა რთული თეოლოგიური მოძღვრება, რომელშიც ბუნება, ღმერთი და ადამიანი, სიკეთე და ბოროტება, რწმენა და ურწმუნოება ქმნიან რთულ და საკმაოდ გააზრებულ სისტემას, რომელშიც ყველაფრის განმსაზღვრელი არის ზებუნებრივი ძალა – ღმერთი. რა არის სიცოცხლის საზრისი ანუ ღირს კი სიცოცხლე იმ ტანჯვად და წამებად, რასაც ყოველი ადამიანი მეტნაკლებად განიცდის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, რა არის სიკვდილი და რაშია ადამიანის უკვდავება, მისი არსებობის დანიშნულება, სამყარო, რომელშიც ადამიანი მოღვაწეობს, ერთადერთია თუ არსებობს სამყაროთა სიმრავლე? – ეს და მათი მსგავსი კითხვები ოდითგანვე აინტერესებდა მოაზროვნე ადამიანთა ახლის მაძიებელ გონებას. სწორედ ასეთ

კითხვებზე გარკვეულ პასუხთა მეტნაკლებად გარკვეულ სისტემას წარმოადგენს, ერთის მხრივ, მითოლოგია და რელიგია, ხოლო მეორეს მხრივ – ფილოსოფია. ფილოსოფია წარმოიშვა როგორც სინამდვილის შესახებ ცოდნის უფრო მაღალი საფეხური, ვინემ მითოლოგია და რელიგია.

ფილოსოფიამ თავისი განვითარების პროცესში გარკვეული საფეხურები ანუ ეტაპები გაიარა. ასეთი ძირითადი ეტაპი სულ ექვსია:1. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ფილოსოფია; 2. ანტიკური ხანის ანუ ძველი საბერძნეთისა და რომის ფილოსოფია; 3. შუა საუკუნეების ფილოსოფია. 4. აღორძინების ანუ რენესანსის ფილოსოფია; 5. ახალი დროის (XVII-XIXსს) ფილოსოფია და 6. თანამედროვე ანუ – XX–XXI საუკუნის ფილოსოფია. რამდენადაც ფილოსოფიის პრობლემატიკის სრულყოფილი გააზრება, მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია, გავეცნოთ მოკლედ ამ ეტაპებსა და მათ წარმომადგენელთა ძირითად შეხედულებებს.

თავი II. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ფილოსოფია (ინდოეთი და ჩინეთი)

1. ძველი წელთაღრიცხვით VIს-ში ფილოსოფია თითქმის ერთდროულად წარმოიშვა ინდოეთში, ჩინეთსა და საბერძნეთში, სადაც განვითარებული მონათმფლობელობა არსებობდა, საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერი დონე საკმაოდ მაღალი იყო. მითოლოგიისა და რელიგიისაგან განსხვავებით, ფილოსოფია წარმოიშობა ისეთ საზოგადოებაში, სადაც ჩნდება კითხვა არსებული სინამდვილის მიზანშეწონილობის შესახებ და სადაც ამ კითხვაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა არსებობს ინდივიდუალური თვითგამოხატვის არსებობის საფუძველზე. ამასთანავე განყენებული აზროვნების უნარისა და სამყაროს შემეცნების სრულყოფა წარმოადგენს ფილოსოფიის წარმოშობის ერთ-ერთი წანამძღვარს. სამყაროსადმი, ასევე თავისთავისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, დაეჭვება ყოველივე არსებულის მიმართ, ფილოსოფიას სამყაროს ათვისების განსაკუთრებულ ფორმად აქცევს.

ძველი აღმოსავლური ფილოსოფია წარმოიშვა რელიგიასთან ერთად და წარმოადგენს მითოლოგიის სამართალმემკვიდრეს. მისთვის დამახასიათებელია შერწყმა ყოველდღიურ ზნეობრივ ცნობიერებასთან, ასევე – რელიგიურ-მითოლოგიურ მსოფლმხედველობასთან. ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისიცაა, რომ ეს ფილოსოფია უპირატესობას ანიჭებს უმოქმედობას მაშინ, როდესაც ბერძნული ფილოსოფია ადამიანს უბიძგებს სამყაროზე აქტიური ზემოქმედებისაკენ, მისი გარდაქმნისაკენ. ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფიას ახასიათებს მითოლოგიის გადმონაშთები, არა აქვს ფილოსოფიური ტერმინოლოგია, ასევე – კონცეპტუალური ხასიათი. ამის გამო ფილოსოფიის ზოგიერთი ისტორიკოსი მას პროტოფილოსოფიას უწოდებს, რომელიც, თავის მხრივ,

პირველი ნაბიჯია ნამდვილი ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში.

2. ინდური კულტურის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია „ვედები“ (ვედა-ცოდნა. ვედები ღმერთის სადიდებელი ჰიმნების კრებული), რომელიც შედგება „რიგვედა“-საგან (სახოტბო ჰიმნები), „ბრახმანი“-საგან (ვედური რიტუალების სახელმძღვანელო) და „უპანიშადები“-საგან (ვედური იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის თავისებური კომპლექსი).

ფილოსოფიური პრობლემები პირველად დაფიქსირებულია „უპანიშადებში“. ეს არის სამყაროს პირველი საწყისის ანუ დღევანდელი ტერმინით „სუბსტანციის“ საკითხი. უპანიშადებში პირველსაწყისად მიჩნეულია უპიროვნებო არსება – ბრახმა, რომელიც გაიგივებულია ყოველი ადამიანის სულიერ არსებობასთან, რომელსაც „ატმანი“ ეწოდება. მაგრამ ბრახმანი და ატმანი – არ არის სინონიმები, ბრახმანი – ეს არის „სამყაროს ყოფიერების“ სუბსტანცია. ეს ისაა, საიდანაც ყველაფერი წარმოდგება და რომელშიც ყველაფერი ბრუნდება. „ბრახმანი“ - ეს უკვდავებაა, ბრახმანი წინაა, ბრახმანი – უკანაა, მარჯვნივ და მარცხნივაა, ის ზევითაა და ქვევითაც მაშინ, როცა „ატმანი“ გაგებულია, როგორც ადამიანის სუბსტანცია, ატმანი ბრახმანთან ისეთივე მიმართებაშია, როგორც სუბიექტური სული ობიექტურ, აბსოლუტურ სულთან. სუბიექტური სულის მატარებელი ადამიანი იძენს ინდივიდუალობას უნივერსალობასა და კოსმიურ ყოფიერებას. ამ სახით ატმანი არის საწყისი, საფუძველი და არსების განხორციელება, იგივეობა განხორციელებული, მოკვდავი ბრახმანისა, განსხვავებით აბსოლუტური, ჭეშმარიტი და უკვდავი ბრახმანისაგან.

ინდური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია მოძღვრება, კონცეფცია ცხოვრების წრიულობის შესახებ (სანსარა) და მისაგებლობის კანონი (კარმა). ცხოვრების წრებრუნვა მუდმივია და ყველაფერი მას ემორჩილება სამყაროში. ადამიანს არ შეუძლია თავი დააღწიოს გარდასახვას. სუ-

ლის ამ გარდასახვისას ის იღებს ისეთ სხეულებრივ ფორმას, რომელსაც ის იმსახურებს თავისი წარსული ცხოვრებით. ის, ვინც სიკეთეს ჩადიოდა, ვინც ზნეობრივ ცხოვრებას ეწეოდა, ვინც მიწიერ ცხოვრებას უყურებდა როგორც ამაოებას, მომავალ ცხოვრებაში დაიბადება როგორც თავისუფალი ადამიანი; ის, ვისი ცხოვრებაც საწინააღმდეგო ნიშნებით ხასიათდებოდა, ის დაიბადება მონად, მას ელოდება არა „მოშკა“ (თავისუფლება), არამედ - „კარმა“ (მისაგებელი), ე.ი. ხვედრი დამსახურებისამებრ.

უპანიშადების ძირითადი ფილოსოფიური აზრი სამყაროსა და ადამიანის ურთიერთმიმართების გარკვევის მცდელობაშია, მაგრამ ჯერ კიდევ ეს ფილოსოფია ვერ არის, ის არ არის მითოლოგია, მაგრამ არც ფილოსოფიაა, ის არის გადასვლა ერთიდან მეორეზე, ფილოსოფიის წანამძღვარი, პროტოფილოსოფიაა. ნახევრად რელიგიურ, ნახევრად ფილოსოფიურ მიმართულებას ინდურ კულტურაში წარმოადგენდა ჯაინიზმი და ბუდიზმი.

უდავოა, რომ უპანიშადებში ვედური სიბრძნის კონსოლიდაციამ დიდად შეუწყო ხელი ინდოეთის ფილოსოფიის განვითარებას. მაგრამ ამასთან ერთად მოქმედებდა ისეთი მომენტებიც, როგორიცაა რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარება ცალკეული ღვთაების განზოგადების გზით; აგრეთვე ინდოეთში ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ეპოსური მხატვრული ფორმების ისეთი ნიმუშების შექმნამ, როგორიცაა „რამაიანა“ და „მაჰაბჰარატა“. ამ უკანასკნელის 18 წიგნიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ბჰაგავატგიტა“, ანუ „ღვთაებრივი სიმღერა“, რომელშიც მხატვრულადაა დამუშავებული ფილოსოფიური, რელიგიური და ეთიკური პრობლემები (მ. ჭელიძე).

ჯაიანიზმი ხასიათდება თავისებური ეთიკით, რომელიც ემყარება სამ პრინციპს: სამყაროს სწორი გაგება და საკუთარი ადგილის გამონახვა ამ სამყაროში, სწორი რწმენა და სწო-

რი ცხოვრება. ამ პრინციპების დაცვა სულს ათავისუფლებს სანსარისაგან. მიზანს წარმოადგენს პირადი ხსნა. ადამიანს სანსარისაგან განთავისუფლება შეუძლია მხოლოდ თავისი მოქმედებით. საკუთარ ძალებზე დაყრდნობით. საზოგადოებრივი ფაქტორი არ არის მხედველობაში მიღებული.

თავისი ბუნებით სული სრულყოფილია, ხოლო მისი შესაძლებლობანი – განუსაზღვრელი. მისთვის მისაღწევია შეუზღუდავი ცოდნა, შეუზღუდავი ძლიერება და შეუზღუდავი ბედნიერება, რამდენადაც სულს აქვს ცნობიერება. მაგრამ სულს აქვს მიდრეკილება თავისთავი გააიგივოს სხეულთან და ექცევა მისი სურვილებისა და მისწრაფების გავლენის ქვეშ. ამიტომ ინდივიდის მთავარი ამოცანაა გაანთავისუფლოს თავისი სული სხეულებრივი დამოკიდებულებისაგან. „განთავისუფლება“ უმთავრესი მიზანია ჯაინიზმში. განთავისუფლების საშუალებებია ჯაინიზმის სწორი გაგება და მისადმი სწორი რწმენა, აგრეთვე სწორი ასკეტური ცხოვრება: ზიანის არ მიყენება ცოცხალი არსებისადმი, სქესობრივი თავშეკავება, მატერიალურ ღირებულებაზე უარის თქმა, სურვილებისა და მისწრაფებების თავისთავში ჩაკვლა.

ბუდიზმის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა სიდჰართჰა გაუტამამ შაკიების გვარიდან, რომელმაც მიატოვა თავისი მამის – მეფის სასახლე. გახდა ასკეტი და ჩამოაყალიბა ახალი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება ბუდიზმი (ბუდა – გასხივოსნებული). ბუდიზმის მოძღვრების ძირითადი შინაარსი მოცემულია ოთხ ჭეშმარიტებაში: 1. ადამიანის ცხოვრება ტანჯვაა. დაბადება და სიკვდილი, ავადმყოფობა და მოხუცებულობა, შეხვედრა არასასურველ ადამიანთან და განშორება სასურველისგან, სასურველის განხორციელების შეუძლებლობა – ყველაფერი ეს ტანჯვად განიცდება. 2. ტანჯვის მიზეზია არსებობის წყურვილი, ინდივიდუალური ბედნიერებისაკენ მისწრაფება, მოკლედ, სურვილები და მოთხოვნილებები; 3. ტანჯვის დაძლევა შეიძლება სურვილებსა და მოთხოვნილებებზე უარის თქმით; 4. სურვილებისა

და მოთხოვნილებების უკუგდება შესაძლებელია რვასაფეხურიანი ცხოვრების გზის გავლით. ეს საფეხურებია: ჭეშმარიტი ფიქრი, ჭეშმარიტი სიტყვა, ჭეშმარიტი მისწრაფება, ჭეშმარიტი ქცევა, ჭეშმარიტი ცხოვრება, ჭეშმარიტი მოძღვრება, ჭეშმარიტი ჭვრეტა, ჭეშმარიტი ჩაღრმავება. ეს ოთხი ჭეშმარიტება ბუდიზმის საფუძვლებია. რამდენადაც ბუდიზმის მტკიცებით, ხილული მატერიალური სამყარო მხოლოდ ილუზიაა, მოჩვენებაა, ცხოვრება, რომელიც მასში მიმდინარეობს, ბოროტება და ტანჯვაა, ამდენად ადამიანი მუდამ უნდა ცდილობდეს, რომ რაც შეიძლება მალე დააღწიოს თავი ამ ტანჯვის ქვეყანას. აქედან გამომდინარე ბუდიზმი ქადაგებს ასკეტიზმსა და პასიურობას, იგი ადამიანს მოუწოდებს უარი თქვას ცხოვრების ყველა სიკეთეზე, დათრგუნოს ყველა სურვილი, რათა მიაღწიოს ხსნას - „ნირვანას“. სრულ სიმყუდროვესა და სიმშვიდეს.

ჩარვაკები ანუ ლოკაიატები იყვნენ პირველი ინდოელი მატერიალისტები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სამყაროს აქვს ოთხი საწყისი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. ვაიშეშიკები იყვნენ ატომისტები, მათი აზრით ატომებს ახასიათებს გრძნობადი კონკრეტულობა, როგორიცაა: გემო, სუნი, ტემპერატურა, მაგრამ იმავე დროს ერთფეროვანნი არიან ფორმითა და სიდიდით. ვაიშეშიკებს ატომები არ მიაჩნდათ სამყაროსა და მისი მოძრაობის მიზეზად, არამედ, მათი მტკიცებით, ატომები ქმნიან სამყაროს ზნეობრივ სახეს, ახორციელებენ მორალურ კანონს – დრახმას.

ინდოელ ფილოსოფოსთა უმრავლესობის აზრით გარე სამყარო შეცნობადია. მთელი სტრუქტურა გარესამყაროსი, მისი მიმართებები და მიზეზობრიობა – ყველაფერი შეიმეცნება გრძნობის ორგანოებით. ინტელექტი ანუ გონება – ეს განსაკუთრებული ფაქტორებით შექმნილი თვისებრიობაა ინდივიდის სულში. ის არ წარმოადგენს სულის არსებას. დასკვნების საშუალებით ინტელექტი იმავე ობიექტებს შეიცნობს, რომლებიც უკვე იყო შემეცნებული გრძნობის ორგა-

ნოების მიერ, მაგრამ გაცილებით უფრო ცხადად და გარკვეულად. ბუდისტი სწავლულების მტკიცებით საგნების „საკუთარი ბუნება“ ანუ არსება იმყოფება მოვლენათა სამყაროს მიღმა, მუდმივ, უცვლელ არსებათა სამყაროში, რომელთა შემეცნება შეუძლებელია.

3. ძველი ჩინეთის ფილოსოფია უფრო პრაქტიკული იყო, ვიდრე ინდოეთისა. იგი ემსახურებოდა გაბატონებული კლასის ინტერესებს და იცავდა არსებულ წეს-წყობილებას.

ძველი ჩინური ფილოსოფიის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი იყო კონფუცი (კუნ-ცზი, „მასწავლებელი კუნ“ 551-479), იყო ბუდას, თალესისა და პითაგორას თანამედროვე. მისი ნააზრევი მხოლოდ მისი მოწაფეთა ჩანაწერების სახით შემორჩა თანამედროვეობას. ისინი ეძღვნება სწორი ქცევების სოციალურ-ეთიკურ პრობლემებს, რომლებიც თავის მხრივ ეფუძნება ტრადიციებს. კონფუცის მოძღვრებაში უმთავრესი ადგილი უკავია არსებულ სამყაროსადმი შეგუების პრობლემებს და არა ამ სინამდვილისაგან გაქცევას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ინდურ ფილოსოფიაში.

კონფუცის ფილოსოფიური ნააზრევის ცენტრში დგას ადამიანი. ადამიანის მორალური ქცევის კრიტერიუმი მოცემულია ერთადერთ სიტყვაში – „კაცთმოყვარეობა“, საიდანაც გამომდინარეობს კონფუციანური ეთიკის ძირითადი პრინციპი, ანუ „ზომიერების პრინციპი“ -„ის, რასაც ჩვენ მოვისურვებთ სხვებისაგან, უნდა იყოს იმისი საზომი, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ მათ მიმართ“.

კონფუცი იცავდა იმდროინდელ საზოგადოებრივ იერარქიულ მდგომარეობას და ამიტომ მის კაცთმოყვარულობის პრინციპს არა აქვს ზნეობრივი ქცევის საყოველთაო, უნივერსალური ხასიათი, რომელიც აშკარად ჩანს მის ცალკეულ გამონათქვამებში. მაგალითად, „ბატონის არსება ქარსა ჰგავს, ხოლო უბრალო ადამიანების – ბალახს, ამიტომ, როცა ქარი უბერავს ბალახს, მას არ შეუძლია არჩევანის გა-

კეთება, ის აქეთ-იქით იხრება“. ყველას თავისი საკუთარი მოვალეობა აქვს და მას უნდა ასრულებდეს.

კონფუცის ფილოსოფიური სისტემა არ ჩამოუყალიბებია. მისი შეხედულებები რელიგიურ-თეოლოგიური ხასიათისაა. მისთვის ცა უმაღლესი ღვთაებაა, რომელიც თავის ნებას კარნახობს ადამიანს. კონფუცი ამტკიცებდა, რომ ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს ბედი, ხოლო სიმდიდრე და წარჩინებულობა მომდინარეობს ცისგან. კონფუცის მოძღვრების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა აღზრდის პრობლემა. „ყველა ადამიანი, მიუთითებდა იგი, ერთმანეთთან ახლოს დგას თავისი ბუნებით, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აღზრდით.“ „იმისათვის, რომ შევიცნოთ ახალი, აუცილებელია ძველის შესწავლა“. „სწავლება გააზრების გარეშე უსარგებლოა, ხოლო გააზრება სწავლების გარეშე – ცარიელი მოქმედება.“

კონფუცის მიმდევარი და მისი ეთიკის განმავითარებელი იყო მენ-ცზი (371-289). როგორც კონფუცი, ისიც თვლიდა, რომ ადამიანები დაბადებიდან კეთილნი არიან და ეს სიკეთე შეიძლება განვავითაროთ აღზრდის მეშვეობით. ადამიანს იმთავითვე ახასიათებს ოთხი თვისება: თანაგრძნობა, სირცხვილის გრძნობა, თავმდაბლობა და უნარი გაარჩიოს ჭეშმარიტება შეცდომისაგან. ეს თვისებები თანდაყოლილი ცოდნაა, რომელიც მასში ჩადებულია ღვთიური უსასრულო სულის მიერ. ადამიანმა მთელი სისრულით უნდა გაიცნობიეროს ეს ცოდნა, რომ საკუთარ თავში მონახოს იმ კითხვების პასუხი, რომელსაც ცხოვრება აყენებს, აგრეთვე დაადგინოს თავისი წარმატება-წარუმატებლობის მიზეზები, არ აღშფოთდეს საზოგადოების უსამართლობით და არ მოიძულოს ისინი, ვინც მას ავიწროებს.

კონფუციანელობას ძველ ჩინეთში დაუპირისპირდა მოცზი (479-381). ის ამტკიცებდა, რომ ბედისწერა არ არსებობს. ადამიანის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ახორციელებს ის ცხოვრებაში „ციური ნების“ გამომხატველ

საყოველთაო სიყვარულის პრინციპს. ამის შესაბამისად ის ჯილდოვდება ან ისჯება ამ „ნების“ („ციური ბატონის“) მიერ. მო-ცზი ასწავლიდა, რომ ცოდნა წარმოიშობა სინამდვილის უშუალოდ შესწავლიდან. მისი მიმდევრები ცნობდნენ ობიექ-ტური საგნების არსებობას შემმეცნებელი სუბიექტისგან დამოუკიდებლად. მთელი ადამიანური ცოდნა, მოისტების აზრით, ადამიანის გრძნობის ორგანოებისა და აზროვნების ერთობლივი ქმედების შედეგია. მო-ცზი და მოისტები გუ-ლუბრყვილო მატერიალისტები იყვნენ. ისინი ცდილობდნენ დაედგინათ ყოფიერების, სივრცის, დროის, თვისებების, მი-ზეზობრიების კატეგორიები. მათ წამოაყენეს ცოდნის ჭეშმა-რიტების შემოწმების სამი წესი: 1. „საფუძველი“ - ცდა და ძველი ბრძენი ხალხის მსჯელობები; 2. „წყაროები“ ანუ ფაქ-ტები, რომლებიც უნახავს ან გაუგონია ხალხს; 3. „გამოყენე-ბა“ ანუ პრაქტიკული სარგებლიანობა.

ძველ ჩინურ ფილოსოფიაში მეტნაკლებად გამოკვე-თილ მატერიალისტურ მიმართულებას წარმოადგენდა დაო-ციზმი, (VI-Vსს), რომლის ფუძემდებელია ლაო-ცზი. მან ჩა-მოაყალიბა მოძღვრება სამყაროს ორ უმთავრეს ელემენტზე „დაო“-სა და „ცი“-ს შესახებ. დაო არის საგნების ბუნებრივი კანონი, რომელიც სუბსტანცია ცი-სთან (ჰაერი, ეთერი) ერ-თად შეადგენს სამყაროს საფუძველს: „დაო ყველა საგნის დედაა“, „ყველაფერი მისგან წარმოიშობა“. ლაო-ცზის მი-ხედვით სამყაროში ყველაფერი მოძრაობს და იცვლება და გადადის თავის საწინააღმდეგოში. დაოსაგან წარმოიშვება ყველაფერი და ყველაფერი დაოს უბრუნდება. თვით დაო მუდმივად არსებული შეუქმნადი და იმავე დროს ყველგან არსებულია. დაო ცაზე და დედამიწაზე ადრე არსებულია, ის არის ყოველივე არსებულის წარმოშობისა და მოსპობის წყა-რო, ის არის ყოფიერების ყოფიერება, განუსაზღვრელი ამო-სავალი ძალა, ყოველივე არსებულის საფუძველი. ის არის უსახელო პირველსაწყისი, რომელიც სიტყვებით ვერ გამო-ითქმის და რომელსაც აზრით ვერ ვწვდებით. ის მისი შინაგა-

ნი წინააღმდეგობრივი ბუნებითაა განსაზღვრული, მას შეუძ-ლია დაუპირისპირდეს თავის თავს და გადავიდეს თავის სა-წინააღმდეგოში, ანუ, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ენით თუ ვიტყვით, არსი გადადის არაარსში და პირიქით. აქ უთუ-ოდ არის დიალექტიკური აზროვნების ერთგვარი ჩანასახი, რომელიც შემდეგში განვითარდა ბერძნულ ფილოსოფიაში.

თავი III. ანტიკური ფილოსოფია

§ 1. ზოგადი დახასიათება

1. ანტიკური ეწოდება ძველ საბერძნეთსა და რომის იმპერიაში არსებულ ფილოსოფიას, რომელიც იწყება ჩვ.წ. აღრიცხვამდე VI საუკუნიდან და მთავრდება VI საუკუნის დამდეგს ჩვენი წელთაღრიცხვით. ის მოიცავს 1000 წელზე მეტს. ანტიკური ფილოსოფია იყო ძველი აღმოსავლეთის (ბაბილონი, ეგვიპტე, ფინიკია) კულტურის უშუალო მემკვიდრე და მათი ტრადიციების შემდგომი გამგრძელებელი და განმავითარებელი, ევროპული (დასავლური) ფილოსოფიისა და კულტურის საფუძველი. ეს ფილოსოფია წარმოადგენს განსაკუთრებულ საგანძურს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების პროცესში, მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია, რამდენადაც სწორედ მასში ჩაისახა ევროპული კულტურა და ცივილიზაცია, მან იმთავითვე მოგვცა დასავლური ფილოსოფიური სკოლების, იდეებისა და პრობლემების ჩანასახები, რომლებიც შემდეგში, საუკუნეების განმავლობაში წარმოიშვნენ და განვითარდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

2. თვით სახელწოდება „ფილოსოფიაც“ ბერძნულია. „სოფოსი“ ეწოდებოდა ბრძენ წინასწარმეტყველს, რომელიც ფლობდა ღვთიურ სიბრძნეს, „ფილოსოფოსი“ კი ადამიანს, რომელიც არ ფლობდა ასეთ სიბრძნეს, მაგრამ ესწრაფვოდა სიბრძნეს, უყვარდა ჭეშმარიტება. ფილოსოფია – ეს არის ადამიანის სიყვარული ჭეშმარიტებისა და სიმართლისადმი, ეს არის „ცოდნა ცოდნისათვის“ (არისტოტელე). ფილოსოფოსის მიზანი იყო აეხსნა ეს სამყარო მასშივე არსებულ მიზეზებით და არა გარეშე ძალების არსებობის აღიარებისა და მათი მოქმედებათა საფუძველზე, ე.ი. არა მითებითა და რელიგიით, არამედ ფაქტებითა და ლოგიკის საფუძველზე.

ფილოსოფია საბერძნეთში მითოლოგიასა და რელიგიას გამოეყო VII-VI საუკუნეების მიჯნაზე და სწორედ აქედან იწყება მისი ისტორია, იწყება მითიდან ლოგოსზე (ლოგოსი – ძირითადი საფუძველია ლოგიკისა) გადასვლის პროცესი, აზროვნება ხდება უფრო განმაზოგადებელი და ანალიტიკური.

ანტიკური ფილოსოფიის განვითარებამ განვლო რამოდენიმე ეტაპი. ფილოსოფიის ისტორიკოსები ტრადიციულად განასხვავებენ შემდეგ საფეხურებს:

1. ადრეულ კლასიკას; მას – მიაკუთვნებენ „ნატურალისტებს“ ანუ „ფიზიკოსებს“, სოკრატესწინა ფილოსოფოსებს; მთავარი პრობლემებია - „ფიზის“ (ბუნება) და კოსმოსი, მისი აგებულება.
2. შუა კლასიკა (სოკრატე და მისი სკოლა სოფისტები) მთავარი პრობლემაა – ადამიანის არსება;
3. მაღალი კლასიკა (პლატონი, არისტოტელე და მათი სკოლები) მთავარი პრობლემაა –ფილოსოფიური ცოდნის სინთეზი, მისი პრობლემები და მეთოდები და სხვა.
4. ელინიზმი (ეპიკურე, პირონი, სტოიკოსები, სენეკა, ეპიკტეტი, ავრელიუსი და სხვ.) მთავარი პრობლემაა – მორალი და ადამიანის ბედი, ადამიანისა და ღმერთის მიმართება (პლოტინი, პორფირიუსი, პროკლე, ფილონ ალექსანდრიელი).

ფილოსოფიის ქართველ ისტორიკოსებთან ვხვდებით ანტიკური ფილოსოფიის განვითარების ეტაპების სხვანაირ კლასიფიკაციასაც (ს. დანელია, მ. გოგიბერიძე, ს. წერეთელი, მ. ჭელიძე).

ანტიკურმა ფილოსოფიამ წამოაყენა რიგი ფუნდამენტალური იდეები და პრობლემები, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა. ასეთებია:

1. არსისა და არარსის, მატერიისა და მისი ფორმის პრობლემები;

2. ადამიანის, მისი შემეცნების, სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობის პრობლემა;

3. ადამიანის ნებისა და თავისუფლების პრობლემა;

4. ადამიანის და ღმერთის ურთიერთობის, ღვთიური ნებისა და ღმერთის მიერ კოსმოსის შექმნის პრობლემა.

5. გრძნობადისა და ზეგრძნობადის სინთეზის, სამყაროს შემეცნების რაციონალური მეთოდის ძიების პრობლემა და სხვ.

ანტიკურ ფილოსოფიაში ჩაისახა და განვითარების გარკვეულ დონეს მიაღწია ცოდნის ისეთმა დარგებმა, როგორიცაა: ეთიკა, ესთეტიკა, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფიზიკა, მედიცინა. მათემატიკა და სხვ. ამ ფილოსოფიის წარმოშობით საფუძველი ჩაეყარა ევროპაში მეცნიერების წარმოშობას. რამდენადაც ფილოსოფია ესწრაფვოდა არგუმენტირებულ, დასაბუთებული სიბრძნის ანუ ცოდნის მიღწევას, ის ამავე დროს იყო მეცნიერებაც. ფილოსოფია და მეცნიერება არისტოტელესთან სინონიმებია. შემდგომში ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ძირითად დისციპლინებად ითვლებოდა ლოგიკა, ფიზიკა და ეთიკა.

ძველი ბერძნული ფილოსოფიის სპეციფიკას, განსაკუთრებით მისი განვითარების საწყის პერიოდში წარმოადგენს გაიგოს ბუნების, კოსმოსის, მთლიანად სამყაროს არსება, ამიტომ ამ ეტაპს კოსმოცენტრიზმის ან კოსმოგონიურ ეტაპს უწოდებენ, რომელიც განიცდიდა მითოლოგიისა და რელიგიის გარკვეულ გავლენას. მითოლოგიასა და რელიგიაში კი ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა სამყაროს წარმოშობის საკითხი. მითოლოგია საკითხს აყენებდა ასე: ვინ დაბადა, ვინ შექმნა მთელი სამყარო? ფილოსოფია კი ცდილობდა გაეგო, დაედგინა რისგან წარმოიშვა ეს სამყარო.

§ 2. მილეთის სკოლა. უფროსი ფიზიკოსები

ერთ-ერთი პირველი ბერძენი ფილოსოფოსი, ვინც შეეცადა ამ კითხვაზე დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხი გაეცა იყო თალესი (625-547ჩვ.წ.აღ-მდე). ის არის იონური ფილოსოფიის მილეთის სკოლის (ფილოსოფოსთა ჯგუფის) პირველი წარმომადგენელი (იონია ბერძნების კოლონია იყო წინა აზიაში, მილეთი (მილეტი) კი - ქალაქი).

თალესით იწყება არა მარტო ანტიკური, არამედ საერთოდ ევროპული (დასავლური) ფილოსოფიის ისტორიაც. იგი იყო ის პირველი ევროპელი ფილოსოფოსი, რომელმაც ძველი ბერძნული აზროვნების ისტორიაში პირველად დააყენა ისეთი ფილოსოფიური პრობლემა, როგორიცაა სამყაროს პირველი საწყისის ანუ „არხეს“ ანუ როგორც დღეს იტყვიან, სუბსტანციის პრობლემა და მასთან დაკავშირებული ერთისგან სიმრავლის წარმოშობისა და მოძრაობის პრობლემები.

თალესის აზრით სამყაროს პირველსაწყისი უნდა იყოს ის, რაც სინამდვილის ყველა საგანსა და მოვლენაში მეტნაკლები რაოდენობით არის მოცემული. ამასთანავე ამ პირველსაწყისს უნდა შეეძლოს სხვაზე მეტად ცვალებადობა, რათა ადვილად გარდაიქმნას სხვა საგნად, სხვა მოვლენად, რომ წარმოშვას ბუნებაში არსებული მრავალფეროვნება. ასეთ პირველსაწყისად თალესი მიიჩნევს წყალს, რადგან წყალი, სისველე, სინოტივე მეტნაკლებად ყველაფერშია, თვით ქვაშიც კი. ამასთანავე წყალს სხვა ნივთიერებებთან შედარებით ადვილად შეუძლია თხევადი მდგომარეობიდან გადავიდეს აირად მდგომარეობაში, მისი გაცხელება-გაცივებით. წყლის გარდაქმნა სხვა ნივთიერებად მოძრაობაა, მოძრაობა, აქტივობა კი მხოლოდ ცოცხალს ახასიათებს. თალესი თავისი მოსაზრების გასამართლებლად, მსჯელობის შინაგანი ლოგიკის საფუძველზე, იძულებულია წყალი სიცოცხლის მატარებლად გამოაცხადოს და მით დადგეს ჰილოძოიზმის პოზიციებზე (ჰილოძოიზმი არაცოცხალი ბუნების გასულიერებას

ახდენს). ყველაფერი არა მარტო წარმოიშობა წყლისაგან, არამედ ყველაფერი მას უბრუნდება.

სამყაროს პირველსაწყისად წყლის გამოცხადება, რასაკვირველია, აზროვნების დაბალი დონის მაჩვენებელია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თალესის მოღვაწეობის პერიოდი არის ძველი ბერძნული ფილოსოფიის ბავშვობის ხანა, როდესაც ის მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს და ამიტომ მისგან მტკიცედ სიარული სწორ გზაზე ჯერ კიდევ არ მოითხოვება. მაგრამ მთავარი თალესის ნააზრევში სულ სხვა რამეა. უპირველეს ყოვლისა ის, რომ მან სცადა მრავალფეროვანი სინამდვილისათვის ერთი საფუძველი, ერთი სუბსტრატი გამოეძებნა. გარდა ამისა ეს საფუძველი სამყაროს გარეთ კი არ ეძება, არამედ მის შიგნით აღმოაჩინა და ამით აჩვენა, რომ სამყაროს არსებობისა და მისი მოძრაობის საფუძველი მასშივეა, სამყარო თვითკმარი და თვითმოძრავია. ეს იმ დროისათვის მეტად გაბედულად იყო ნათქვამი, რამდენადაც მითოლოგია სამყაროს შექმნას მითიურ პერსონაჟებს, ხოლო რელიგია ღმერთებს უკავშირებდა.

თალესი მატერიალური სამყაროს არსებობისა და მისი მოძრაობის მიზეზს ასევე მატერიალურ საგანში – წყალში – ხედავდა და ამიტომ მისი ფილოსოფია მატერიალისტურია, მაგრამ ეს უფრო მატერიალისტური მიხვედრაა, ვიდრე დასაბუთებული შეხედულება. ამიტომაც თალესი ფილოსოფიის ისტორიაში მიჩნეულია გულუბრყვილო-სტიქიურ მატერიალისტად. თალესი სამყაროს განიხილავს როგორც ერთიანს, ეს მისი უდიდესი დამსახურებაა. თალესისათვის მთელი მატერიალური სამყარო სულიერია, ეს სულიერება მისი იმანენტური (შინაგანი) თვისებაა, არსებული თვითმოძრავია და ამავე დროს განსულიერებული. თალესი სულს განიხილავდა როგორც სპონტანურად აქტიურს. პლუტარქეს დამოწმებით, თალესი ღმერთს უნივერსალურ ინტელექტს უწოდებდა: ღმერთი სამყაროს გონებაა.

„თალესის პრობლემა არის არსის პრობლემა, სწორედ ეს პრობლემა იქნება მომავალი ფილოსოფოსების ცენტრალური პრობლემა. ეს პრობლემა როგორც ფილოსოფიის, ისე მეცნიერების (ფიზიკის) პრობლემაა. ამიტომ აღნიშნული პრობლემის დასმით თალესმა დაიწყო როგორც ფილოსოფია, ისე ბუნებისმეტყველება. მასთან პრობლემის დასმა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი გადაწყვეტა“ (ს. წერეთელი).

თალესი ეძებდა სამყაროს არსებას, ზოგადს, მაგრამ ზოგადის მაგიერ კერძო მიიღო. მისი ზოგადი გამოვიდა არა ზოგადი, არამედ კერძო. ზოგადის წვდომა, როგორც ცნობილია, მხოლოდ ცნებით შეიძლება, თალესი ვერ ამაღლდა ცნებამდე.

თალესს მიეწერება შემდეგი ბრძნული აზრები:

„ყველა საგანზე უფროსი ღმერთია, რადგანაც ის არ დაბადებულა.“

„ყველაზე მშვენიერი კოსმოსია, რადგანაც ის ღვთის ქმნილებაა.“

„ყველაზე დიდი სწორედ სივრცეა, რადგან იგი ყველაფერს იტევს.“

„ყველაზე ბრძენი დრო არის ხოლმე, რადგანაც იგი ყველაფერს გვიმხელს.“

„ყველაზე სწრაფი ჩვენი აზრია, რადგანაც იგი მუდმივად გარბის.“

„ყველაზე ძლიერი აუცილებლობაა, რადგანაც ყველაზე მძლეველი არის.“

იმავე ფილოსოფიურ პრინციპებზე დგანან მილეთის ფილოსოფიური სკოლის სხვა წარმომადგენლები ანაქსიმანდრე (610-540ჩვ.. აღ-მდე) და ანაქსიმენი (585-525ჩვ.წ.აღ-მდე).

3. ანაქსიმანდრემ სცადა შეექმნა პირველი ფილოსოფიური სისტემა, რომელშიც ლოგიკურად დასაბუთებული იქნებოდა პირველი საწყისის პრობლემა. ასეთ პირველ საწ-

ყისად იგი მიიჩნევს ისეთ პირველ ნივთიერებას, რომელიც სხვას განსაზღვრავს, თვითონ კი განუსაზღვრელია. განუსაზღვრელი ბერძნულად გამოითქმის როგორც „აპეირონი“, ე.ი. ანაქსიმანდრეს აზრით აპეირონია ყოველივე არსებულის საწყისი, ყველაფერი მისგან წარმოიშვება და მასვე უბრუნდება. ის თვითონ დაუსაბამო და უსასრულოა, ე.ი. არა აქვს დასაწყისი და დასასრული დროსა და სივრცეში. აპეირონი უსაზღვროა რაოდენობრივადაც, ის არასოდეს არ ამოიწურება მისგან საგნების გამოყოფით. ამ გამოყოფის პროცესი მექანიკურია, მექანიკურ პრინციპის გამოყენება ჰილოძოიზმთან შედარებით აზროვნების განვითარების პროცესში წინგადადგმული ნაბიჯია. მიუხედავად ამისა, ანაქსიმანდრე საბოლოოდ მაინც ჰილოძოისტად რჩება. ანაქიმანდრეს აპეირონი, რომელსაც არავითარი დადებითი თვისება არ მიეწერება, ზედმეტად განუსაზღვრელია და ამდენად პირველ საწყისად არ გამოდგება, რაც კარგად შეამჩნია მილეთის სკოლის მესამე წარმომადგენელმა ანაქსიმენმა.

4. ანაქსიმენის აზრით სამყაროს პირველი საწყისი არის ჰაერი, რომლის გასქელება-გათხელებით წარმოიშვება სხვადასხვა საგანი, გასქელება-გათხელებას იწვევს სითბო და სიცივე, გათხელებას სითბო იწვევს, გასქელებას – სიცივე. ჰაერი უსახოა და უთვისებო, ჰაერი თვითმოძრავია, ის თავისთავსაც ამოძრავებს და სხვასაც. მოძრაობას არა აქვს არც დასაწყისი და არც ბოლო. ჰაერი მუდმივ მოძრაობაშია, იგი, როგორც თვითმოძრავი, ცოცხალია, ჰაერი ცოცხალი მატერიაა, სიცოცხლე სუნთქვაა, სუნთქვა არის ჰაერი. ჰაერი კი არის მსოფლიო სული, რომლის გარეშეც მსოფლიო დაიშლებოდა, ქაოსად გადაიქცეოდა. მსოფლიო სულის გამო იგი მთლიანია, მწყობრად არის აგებული, კოსმოსია. „ანაქსიმენის მიერ ჰაერის, როგორც მსოფლიო სულის, აღიარება იდეალიზმი კი არაა, არამედ მხოლოდ ჰილოძოიზმი, ნაკლოვანი მატერიალიზმი“ (ს. წერეთელი). ანაქსიმენთან დიალექტიკის

ნიშნებიც გვაქვს. იგი სტიქიური მატერიალისტი და ამავე დროს გულუბრყვილო დიალექტიკოსია.

5. მილეთელ ფილოსოფოსთა დამსახურება, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ ფილოსოფია გაგებულია როგორც მეცნიერება ყოველივე არსებულის მიზეზებზე და საწყისებზე. ამდენად მისი ძირითადი პრობლემა იყო ონტოლოგიური ანუ ყოფიერებისეული, იგი ცდილობს „რაციონალურად“ ახსნას სამყაროს წარმოშობა და მისი არსება. მილეთელთა ფილოსოფია წარმოადგენდა თეოკოსმოგონიიდან ნატურფილოსოფიაზე გადასვლას ბერძნული აზროვნების განვითარების პროცესში.

ძვ.წ. აღ. Vს-ის დამდეგს მილეთმა დაკარგა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, წყდება იქ ფილოსოფიის განვითარებაც. მაგრამ საბერძნეთის სხვა ქალაქებში მილეთელთა მოძღვრებას გამოუჩნდნენ არა მარტო დამცველები, არამედ გამგრძელებელიც. ერთ-ერთი ასეთი მოაზროვნე იყო ჰერაკლიტე ქ. ეფესოდან.

§ 3. ჰერაკლიტე ეფესელის დიალექტიკა

1. ჰერაკლიტე (დაახ. 530-470ჩვ.წ.აღ-მდე) მილეთელთა მატერიალიზმს აგრძელებს და სამყაროს პირველსაწყისად ცეცხლს ასახელებს. ანაქსიმენის ჰაერი-სული მან ცეცხლს გაუიგივა. ეს ცეცხლი არ არის შექმნილი მატერია. „სამყარო, ერთიანობა ყოველივესი, არ არის შექმნილი არც ერთი ღმერთის და არც ერთი ადამიანის მიერ, არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და ქრება.“

ჰერაკლიტეს ამ ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს ის აზრი, რომ სამყარო არის მრავალფეროვანი საგნებისა და მოვლენების არა უბრალო გროვა ან ჯამი, არამედ მათი ორგანული ერთიანობა, რომელსაც საფუძვლად უდევს გარკვეული კა-

ნონზომიერება, რომლის საფუძველზეც ის „კანონზომიერად ინთება და ქრება“, ე.ი. სამყარო არის წარმოშობისა და გაქრობის კანონზომიერი მონაცვლეობა, ცვალებადობისა და ქმნადობის პროცესი, რომელიც ასევე მუდმივი და უსასრულოა. როგორც მუდმივად არსებული და უსასრულოა ცეცხლი-სამყარო. სამყაროში „ყოველივე არის და არც არის“. ყველაფერი გარდაქმნაშია: „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ.“

ქმნადობის განუწყვეტელი პროცესის მიზეზი, ჰერაკლიტეს აზრით, მის შინაგან წინააღმდეგობაშია, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობის სახით არის წარმოდგენილი: ომი და ზავი, დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, ცივი და თბილი, სველი და მშრალი და ა.შ. ქმნადობაში არსი და არარსი ერთი მთლიანობაა. არსის ასპექტი ორ დაპირისპირებულ მომენტს, არსსა და არარსს შეიცავს, ამიტომაც აქ ერთიანის გაორებასთან გვაქვს საქმე. ერთიანის გაორება და მისი მოწინააღმდეგე ნაწილების შემეცნება კი დიალექტიკის დედაარსია. ჰერაკლიტე არა მარტო მატერიალისტია, არამედ ძველი დროის უდიდესი დიალექტიკოსიც., მისი დიალექტიკის ძირითადი პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ „ყველაფერი მიმდინარეობს“ („პანტა რეი“). ყველაფერი მოძრაობს და არაფერი არ არის გაჩერებული“. პლატონის დახასიათებით, ჰერაკლიტე სამყაროს მდინარეს ადარებდა, რომლის ერთსადაიმავე ტალღაში ადამიანი ორჯერ ვერ შევა, რადგანაც მეორედ შესვლისას პირველი ტალღა უკვე ჩავლილია.

ყველაფერი იცვლება და ეს ცვალებადობა მუდმივია. ცვალებადობა მოძრაობაა და მოძრაობა მატერია-ცეცხლის არსებობის განუყრელი თვისებაა, ანუ როგორც დღეს ვიტყვით, მოძრაობა მატერიის ატრიბუტია. მოძრაობა, ჰერაკლიტეს აზრით, ორი სახისაა: გზა ქვევითკენ და გზა ზევითკენ: ცეცხლი იკუმშება ჰაერად, ჰაერი – წყლად, წყალი კი – მიწად. ეს არის გზა ქვევით, მიწა იქცევა მდინარედ-წყლად,

წყალი აორთქლდება, ორთქლი კი ცეცხლად იქცევა. ეს არის გზა ზევით: ორივე კი ერთი გზის ნაწილია, ცვალებადობა-მოძრაობა მიმდინარეობს წრეში: დასაწყისი და ბოლო ერთმანეთს ემთხვევა. ქვეყანა წრებრუნვაა: ცეცხლი, ჰაერი, წყალი, მიწა და მიწა, წყალი, ჰაერი, ცეცხლი.

მართალია, ყველაფერი იცვლება, მაგრამ ამ ცვალებადობაში უცვლელობასაც აქვს ადგილი, მდინარე მაინც მდინარედ რჩება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ტალღები ტალღებს განუწყვეტლივ ცვლიან. მოძრაობა-ცვალებადობისა და უცვლელობის ერთიანობა – ცეცხლი ცეცხლადვე რჩება მისი ანთებისა და ჩაქრობის მიუხედავად. მოძრაობა – ცვალებადობა განხორციელებული წინააღმდეგობაა, ის მოძრაობისა და უძრაობის ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობაა, გარკვეული ჰარმონიაა. არსებობს რაღაც ზომა, ე.ი. კანონზომიერებები, გარკვეულობა. ჰერაკლიტეს მოწაფე კრატილი ცდება, როცა ის უარყოფს გარკვეულობის არ არსებობას, აბსოლუტურს და ყველაფერი ცალმხრივად გაგებულ ცვალებადობამდე ანუ რელატივიზმამდე დაყავს.

ჰერაკლიტე სამყაროს მოძრაობა – ცვალებადობის კანონზომიერებას „ლოგოსს“ უწოდებს. „ლოგოსი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ერთსადაიმავე დროს სიტყვასაც და აზრსაც, - გონებასაც. ლოგოსი ჰერაკლიტეს აზრით, ბრძოლაა, ბრძოლა კი – როგორც წინააღმდეგობა განვითარების წყარო. ეს გენიალური აზრია. ამიტომაც იყო, რომ ჰეგელი, ეს ყველა დროის უდიდესი დიალექტიკოსი, ამბობდა, რომ არ არის ჰერაკლიტეს ისეთი დებულება, რომელიც ჩემს ლოგიკაში არ შემეტანოსო. მართალია, ჰერაკლიტე პირველი დიდი დიალექტიკოსია, მაგრამ რამდენადაც ის მაინც პირველია, არ შეიძლებოდა მისი დიალექტიკური ნააზრევი უნაკლო ყოფილიყო. ასეთ ნაკლად ჩვენ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ ჰერაკლიტე განვითარებას, პროგრესს არ აღიარებს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოძრაობა – ცვალებადობა ჰერაკლიტესთან წრებრუნვაა, წრებრუნვა კი რაოდენობრივი

ცვლილებაა და არა თვისებრივი, რომლის დროსაც ახლის წარმოშობას არა აქვს ადგილი. თუმცა განვითარების პრობლემა ჰერაკლიტესთან ერთმნიშვნელოვნად და მარტივად არ წყდება. სწორედ ამიტომაა, რომ ზოგიერთი ფილოსოფიის ისტორიკოსი (ქართველებიდან მ. გოგიბერიძე, მ. ჭელიძე) განვითარების იდეის არსებობას ჰერაკლიტესთან სრულებით არ გამორიცხავს.

ჰერაკლიტეს ნააზრევში დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგოსის ცნების გაგებას. ლოგოსი მასთან კანონზომიერებას, წესიერებას ნიშნავს, წესიერება კი გონიერებაა. ამაში ზოგიერთი ფილოსოფიის ისტორიკოსი ჰერაკლიტეს იდეალისტობას ხედავს, რამდენადაც მათ ეს ლოგოსი მსოფლიო გონებად წარმოუდგენიათ მაშინ, როდესაც ჰერაკლიტე, როგორც ეს ზევით ითქვა, ლოგოსში კანონზომიერებას გულისხმობს, რომელიც აუცილებლობის ბუნებისაა. ჰერაკლიტე აღიარებს სამყაროში აუცილებლობის ბატონობას და ის ამდენად დეტერმინისტია. ჰერაკლიტე ამ აუცილებლობას ბედსაც უწოდებს და თავის ნააზრევში ფატალიზმის ელემენტებიც შეაქვს. ჰერაკლიტე, ისევე როგორც მილიტელი ფილოსოფოსები, ჰილოძოისტია და ამიტომ ის ზოგჯერ ისეთ ტერმინებს ხმარობს, რომლებიც ჰერაკლიტეს მატერიალიზმში დაეჭვების საბაბს იძლევა.

2. ჰერაკლიტე ფილოსოფიის ისტორიაში ის პირველი მოაზროვნეა, რომელიც მხოლოდ ონტოლოგიური პრობლემების კვლევით არ იფარგლებოდა და გარკვეულ ყურადღებას აქცევს გნოსეოლოგიურ საკითხებსაც. კერძოდ, საკითხს, თუ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის მიერ სამყაროს, ბუნების შემეცნება. ჰერაკლიტეს აზრით ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც „ლოგოსი“ არამარტო კოსმოსის აზრი ანუ მისი კანონზომიერებაა, არამედ სულის კანონზომიერებაც, ე.ი. სინამდვილის შემეცნებისათვის საჭიროა მიღწეულ იქნას თანხმობა „სამყაროს ლოგოსსა“ და „სულის ლოგოსს“ შორის, ე.ი. შემეცნება ხორციელდება ბუ-

ნებისა და აზროვნების კანონების ერთიანობის ბაზაზე. „აზროვნება იშვიათი თვისებაა და სიბრძნე ის არის, რომ ჭეშმარიტებას ვიტყვით და ბუნების მიხედვით ვიმოქმედებთ, იმით რომ თვითონ ბუნებას მოვუსმენთ.“ შემეცნების ობიექტი რეალურად არსებული ბუნებაა, ჩვენი აზრის ჭეშმარიტება კი მისი „მოსმენა“ და „მისი მიხედვით მოქმედებაა.“

ჰერაკლიტე შემეცნების პროცესში ემპირიულისა და რაციონალურის ერთიანობას ხედავს. შემეცნება ხორციელდება შეგრძნებებით, აღქმებითა და გონებით. გრძნობადი შემეცნება (შეგრძნებები და აღქმები) პირველი და უფრო დაბალი საფეხურია, ლოგიკური (გონებითი) – უფრო მაღალი. ჰერაკლიტე შეგრძნებებს შემეცნების აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობად მიიჩნევს. აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ის აღებს კარებს, რომლის იქეთ ბუნების საიდუმლოებაა. შეგრძნებები ბევრ რამეს სწორად გვიჩვენებს, მაგრამ ის მაინც გარკვეულად შეზღუდულია, რადგანაც მხოლოდ სინამდვილის ნაწილს, კერძო მოვლენებს გვამცნობს. ნამდვილი ცოდნა კი ზოგადის ცოდნაა, რომელიც მხოლოდ გონებით მიიღწევა, გრძნობების მონაცემების საფუძველზე.

ჰერაკლიტე ბუნების შემეცნებიდან საკუთარი თავის შემეცნებამდე ამაღლდა. ის წერდა: „მე ვეძებდი ჩემსავე თავს“, „ყველა ადამიანს შეუძლია თავის-თავის შეცნობა და გონიერად ყოფნა.“ ამ დებულებებით საფუძველი ჩაუყარა სოკრატეს პრინციპს: „შეიცანი თავი შენი“. შემეცნების უმაღლესი მიზანი უნდა იყოს ლოგოსის წვდომა. ამდენად შემეცნება არის სიკეთე. ადამიანის ბედნიერება სამყაროს კანონზომიერების ამოცნობაში და მისდამი ცნობიერ დაქვემდებარებაშია.

ამრიგად „ჰერაკლიტეს მოძღვრება იონური მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარების მწვერვალია. ჰერაკლიტეს გულუბრყვილო დიალექტიკის ფორმაში აღმოჩენილია მეცნიერული დიალექტიკის მნიშვნელოვანი ელემენტე-

ბი:□შინაგანი გაორების, დაპირისპირების, უნივერსალობისა და დაპირისპირებული მხარეების ერთიანობის, არსისა და აზრის ერთიანი უნივერსალური კანონზომიერებების სახით“. (მ. ჭელიძე)

§ 4. პითაგორეიზმი

1. ნატურფილოსოფოსთა აზროვნება ძირითადად მეტაფორული იყო, რომელიც გრძნობად სახეებს ემყარებოდა. მისი განვითარების პროცესი ამ ეტაპზე ვერ გაჩერდებოდა, საჭირო იყო ინტელექტუალურ ცოდნაზე გადასვლა, რომელიც ცნებათა გამოყენებით იწარმოებდა. ბერძნებთან ერთ-ერთი მნიშვნელოვან ეტაპს ამ გადასვლის გზაზე წარმოადგენს პითაგორეიზმი. მისი სახელწოდება მომდინარეობს პითაგორადან (580-500წ. ძვ.წ.), რომელიც წარმოშობით იყო ქ. სამოსიდან, მაგრამ ახალგაზრდობიდანვე გადასახლდა სამხრეთ იტალიის ქალაქ კროტონში, სადაც მან რელიგიური ჯგუფი (სექტა) ჩამოაყალიბა და საფუძველი ჩაუყარა ფილოსოფიურ-მათემატიკურ შეხედულებებს, რომელსაც შემდეგში პითაგორეიზმი ეწოდა. რამდენადაც ჩვენამდე არ მოუღწევია პითაგორას ნაწერებს, მისი ნააზრევის ცალკე გამოყოფა პითაგორეიზმის საერთო მოძღვრებიდან ვერ ხერხდება. არისტოტელეს დახასიათებით „პითაგორელები იყვნენ პირველნი, რომლებიც მათემატიკას დაეყრდნენ, განავითარეს იგი, შეიჭრნენ მის ბუნებაში; ისინი ფიქრობდნენ, რომ მათემატიკის პრინციპები ყოველი არსებულის პრინციპებია, მათ შექმნეს მოძღვრება რიცხვების შესახებ ანუ რიცხვთა მეტაფიზიკა.“

2. პითაგორეიზმის ძირითადი პრინციპის მიხედვით ყოველივე არსებულის პირველსაწყისი ანუ არსი არის რიცხვი, რიცხვი არის საგანთა არსება, მრავალ საგანთა ერთი

საწყისი სწორედ ერთი უნდა იყოს, რადგან ასახსნელი სწორედ სიმრავლეა.

პითაგორელებმა შეამჩნიეს, რომ ბუნების მოვლენები განიზომებიან და ეს ზომა შეიძლება არითმეტიკულ ტერმინებში გადმოიცეს. ისინი იმასაც მიხვდნენ, რომ საგანთა ზომის ან მათი არითმეტიკული გამოსახვის ცვალებადობა იწვევს საგანთა თვისების ცვალებადობასაც, მაგალითად, სიმის ტონები იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლება მათი სიგრძე. თუ ავიღებთ ორ ერთნაირი მასისა და ერთნაირად დაჭიმულ სიმს, რომელთა სიგრძე ერთმანეთს ისე შეეფარდება, როგორც 1:2, ჩვენ მივიღებთ ტონს, რომელსაც მუსიკაში ეძახიან ოქტავას, თუ მათი შეფარდება იქნება 2:3, მივიღებთ კვინტას, ხოლო სიმების შეფარდება 3:4, გვაძლევს კვარტას. ისევე როგორც ეს ტონები ქმნიან სამყაროსეულ ჰარმონიას, რომელიც ადამიანებს იმიტომ არ ესმით, რომ ყურები შეჩვეული აქვთ.

რამდენადაც რიცხვი საგანთა არსებაა, ვინც იცის საგანთა რიცხვი ან მათი რიცხობრივი დამოკიდებულებები, მან იცის საგანთა კანონი ანუ წესი. საგნები იმიტომ იცვლებიან რიცხვების ცვალებადობასთან ერთად, რომ საგნები რიცხვებისაგან შედგებიან, საგნები და რიცხვები მსგავსნი არიან, მსგავსება ზომაშია. ზომის ცვლა საგანთა ცვლას იწვევს.

3. პითაგორელებმა რაოდენობრივი მხარე სამყაროს მრავალფეროვნების საფუძვლად გამოაცხადეს, მატერიალურ საგნებს მოწყვიტეს და გააააბსოლუტეს, რითაც შექმნეს პითაგორული მათემატიკური სიმბოლიზმი და ცრუ რწმენით დამძიმებული რიცხვთა მისტიკა. ამის ცხადი მაგალითია პითაგორელთა შეხედულება იმის შესახებ, რომ კენტს შეეფარდება მამრობითი სქესი და ლუწს – მდედრობითი, 5 ქორწილს ნიშნავს, 6 – სულს, 7 – გონებას, 8 – სიყვარულს, 10 – ღვთაებას და ა.შ. მაგრამ პითაგორელთა დამსახურება მეცნიერებაში, კერძოდ მათემატიკაში მაინც მნიშვნელოვანია, მათ

სცადეს გეომეტრიულ დამოკიდებულებათა გამოსახვა არითმეტიკული დამოკიდებულებებით, რაც დღეს ანალიზური გეომეტრიის პრობლემას შეადგენს. რადგანაც პითაგორელთა აზრით საგნის არსება რიცხვია, ხოლო რიცხვები გეომეტრიულ ფიგურებს შეესაბამებიან, პითაგორელები სწავლობდნენ საგნების გეომეტრიულ ფიგურებს ანუ დაყავდათ აზრში ისინი ამ ფიგურებამდე, მერე იკვლევდნენ მათ შესაბამის რიცხვებს და ამით ადგენდნენ ასევე მათ შესაბამის თვისებებს.

4. პითაგორეიზმის უმთავრესი ნაკლი იმაშია, რომ მან ყველაფერი რიცხვებზე დაიყვანა, მოახდინა რიცხვთა ფეტიშიზაცია, რიცხვი განიხილება უკვე არა როგორც საგანში არსებული არსება, არამედ მისგან მოწყვეტილად და მასზე მაღლა მდგომად. რიცხვებისათვის ყოველისშემძლეობის მინიჭება ფილოსოფიისა და მეცნიერების ფარგლებს სცილდება და მისტიციზმში გადადის. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ პითაგორელები საკუთარ მოძღვრებას რიცხვებზე საიდუმლოდ ინახავდნენ. გადმოცემის მიხედვით ერთ-ერთი პითაგორელი, რომელმაც გასცა კვადრატული ფესვი -2-დან ამოხსნის სიძნელე, სიკვდილით დასაჯეს.

პითაგორიზმი არა მარტო ფილოსოფიურ-მათემატიკური მოძღვრება იყო, არამედ რელიგიურიც, რომელშიც დამკვიდრებული იყო შეხედულება სულთა გადასახლების შესახებ. ადამიანის სული თვითმოძრავია, რომელიც სხეულს ამოძრავებს. მიცვალებულთა სულები 3000 წლის განმავლობაში დახეტიალობენ სამყაროში. შემდეგ ისევ ადამიანის სხეულს უბრუნდებიან, სული წრეში ტრიალებს. ეს თეორია აღმოსავლეთში იყო გავრცელებული, საიდანაც ის წინააზიის გზით საბერძნეთშიც გავრცელდა.

პითაგორეიზმის განვითარებას ნეოპითაგორეიზმი წარმოადგენდა, რომელიც ჩამოყალიბდა I ს ძვ.წ. – IIს. ახ. წელთაღრიცხვით.

„პითაგორეიზმმა დიდი გავლენა მოახდინა, ერთი მხრივ, მათემატიკის განვითარებაზე, მეორე მხრივ – იდეალიზმზე (პარმენიდე, პლატონი და სხვა). პითაგორელთა მისტიკა იდეალიზმის წყარო გახდა“ (ს. წერეთელი).

§ 5. ელეატთა მეტაფიზიკა

ელეა ქალაქი იყო სამხრეთ იტალიაში, სიცილიაში, სადაც ძვ.წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე აქ ჩამოსახლებულ ბერძენთა შორის ჩამოყალიბდა ფილოსოფიური სკოლა, რომლის წარმომადგენლები იყვნენ ქსენოფანე კოლოფონელი (წარმოშობით ქ. კოლოფონიდან), პარმენიდე, ძენონი, მელისო.

1. ქსენოფანეს (565-473 ან 570-470ძვ.წ.) ფილოსოფიური შეხედულებები წარმოიშვა როგორც ანტითეზა იონელთა მოძღვრებისა, რომლის მიხედვითაც სამყაროს არსებას წარმოადგენდა ცვალებადი და გარდაქმნადი ბუნების მოვლენები. ქსენოფანეს მტკიცებით სამყაროს არსება უძრავი და უცვლელი ღმერთია. ღმერთი ერთია, ის არ შეიძლება იყოს მრავალი, ღმერთთა სიმრავლე გამოიწვევდა მათ ნაკლოვანებას (ნაკლებ სიძლიერეს), ღმერთი კი არ შეიძლება იყოს ნაკლოვანი, ის სრულია. უსრულოა მოძრავი და ცვალებადი ბუნება. ბუნება სხვა არაფერია, თუ არა ტალახი. „მიწა და წყალია ყველაფერი, რაც იბადება“, „ყველაფერი მიწისგანაა და მიწით მთავრდება“ - წერს ქსენოფანე თავის პოემაში „ბუნების შესახებ“. ქსენოფანესათვის მიწა და წყალი ბუნების საგანთა ელემენტები კი არ არის, არამედ მეტაფორა, რომლითაც ის ახასიათებს, აფასებს ბუნების მნიშვნელობას. ბუნება წარმავალია, მოჩვენებაა, რომელიც ნისლივით წარმოიშობა და ნისლივით ქრება, ყველაფერი არარაობაა, თვალხილული სინამდვილე რეალურად არ არსებობს. ამიტომ მისი კვლევა უაზრობაა. ქსენოფანე ნამდვილ არსებულად აღიარებს იმას, რაც გრძნობადის მიღმა არსებობს. ასე-

თი ღმერთია, რომელიც არსებობს დროისა და სივრცის გარეშე.

ქსენოფანე მკაცრად აკრიტიკებს პოლითეიზმსა (მრავალღმერთიანობას) და ანთროპომორფიზმს (ადამიანის თვისებების მიწერა ღმერთებისადმი) და აცხადებს, რომ ასეთნაირად გაგებული ღმერთები ადამიანებმა თვითონ შექმნეს თავიანთ მსგავსად, თავიანთი პიროვნების შესაბამისად. ქსენოფანეს აზრით ღმერთი არ შეიძლება იყოს პიროვნება, ის არსია მთელი სინამდვილისა და ამიტომაც ერთადერთი. ქსენოფანე ცდილობს ფილოსოფიურად დაასაბუთოს მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა).

ქსენოფანე ეხება აგრეთვე გნოსეოლოგიურ პრობლემებსაც. მისი აზრით ბუნების შესახებ ცოდნა მიიღწევა შეგრძნებებითა და აღქმებით და ასეთ ცოდნას იგი შეხედულებას უწოდებს. იგი მოჩვენებითი და გაურკვეველი ცოდნაა. ნამდვილი ცოდნა ჭეშმარიტი ცოდნაა, ცოდნა იმის შესახებ, რაც გრძნობადი სამყაროს იქით არსებობს, ეს არის ცოდნა ღმერთის შესახებ, რომელიც მხოლოდ გრძნობათა მონაცემებისაგან განყენებით, აზროვნებით, გონებით მიიწვდომება. ამ მტკიცებების საფუძველზე არისტოტელე ქსენოფანეს მიიჩნევს შემეცნების თეორიისათვის საფუძვლის ჩამყრელ პირველ ფილოსოფოსად.

2. ქსენოფანეს შეხედულებები თავისებურად განავითარა მეორე ელეელმა ფილოსოფოსმა პარმენიდემ (დაახლ. 540-470), რომელმაც ელეელთა ფიზიკასა და ჰერაკლიტეს დიალექტიკას მეტაფიზიკა დაუპირისპირა, პირველ შემთხვევაში როგორც მოძღვრება არაგრძნობად სამყაროზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც აზროვნების მეთოდი (რომელიც განვითარებას უარყოფს). ფილოსოფიის სპეციფიკურობა – ურთიერთდაპირისპირებული აზრების ბრძოლა და ამასთანავე მათი ერთიანობა – სწორედ პირველად იონელთა და ელეელთა მოძღვრების ანტაგონიზმში გამოიხატა. თუ ჰერაკლიტეს დიალექტიკის ძირითადი პრინციპი იყო

„ყოველივე არის და არც არის“ ანუ ყოველივე იცვლება, მიმდინარეობს, პარმენიდესათვის გამოსავალი პრინციპი აქსიომატური (თავისთავად ცხადი, თავისთავად ჭეშმარიტი) დებულებაა: „არსი არის და არარსი არ არის“ ანუ არსი უცვლელია, ის მუდმივია, არსი არ წარმოშობილა არარსისაგან და არც არასოდეს იქცევა არარსად. იცვლება ის, რასაც რამე აკლია, რომ ეს ნაკლი შევსებულ იქნას; არსი სრულყოფილია, იმავე დროს სფეროსავით უსაზღვრო, იგი არ არის დროსა და სივრცეში. ამდენად ის არ არის ფიზიკური არსი, იგი აზრის საგანია. მაგრამ, როგორც ცნობილია, აზრის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო რეალური საგანი, არამედ რაიმე გარკვეული აზრიც. ჰარმენიდეს პოემის („ბუნებისათვის“) V ფრაგმენტში ნათქვამია: „ერთი და იგივეა ის, რაც გაიაზრება და ის, რაც არის“, ხოლო VII ფრაგმენტში ვკითხულობთ: „აზროვნება და ის, რისთვისაც აზრი არსებობს, ერთი და იგივეა“. ამ დებულებებში ცხადად არ ჩანს ჰარმენიდეს პოზიცია: არსი აზრის საგანია, თუ აზრი თვითონ არის არსი. არისტოტელეს გადმოცემით იონელები იკვლევდნენ საგანთა არსს „ნივთიერების მიხედვით“, პარმენიდე კი ეძებდა საგანთა არსს „აზრის მიხედვით“. პარმენიდე ფილოსოფიის ისტორიკოსთა უმრავლესობის მტკიცებით მიჩნეულია იდეალისტ ფილოსოფოსად.

3. პარმენიდესათვის (ძვ.წ. VIს. მეორე ნახევარი – Vს. დასაწყისი) არსი თუ გრძნობადი სამყაროს მიღმა არსებული ანუ მეტაფიზიკური აზრია, ბუნება არსისა და არარსის, სინათლისა და სიბნელის, ცეცხლისა და მიწის სინთეზია, ასეთივეა ბუნების ყოველი საგანი. ბუნების საგანთა მრავალფეროვნებას ქმნის შემადგენელ ელემენტთა სხვადასხვა პროპორცია. ბუნება ცვალებადი და მოჩვენებითია, მის შესახებ ცოდნა არასარწმუნოა, არსი გონებით შეიმეცნება და ჭეშმარიტება მიიღწევა.

ამრიგად, პარმენიდეს ფილოსოფიის მიხედვით არსებობს უხილავი, შეუგრძნობელი სამყარო, რომელსაც ეწოდე-

ბა „არსი“. მხოლოდ არსი განიაზრება, ხოლო ყველაფერი ის, რასაც ვხედავთ, რასაც ვისმენთ, რასაც ვგრძნობთ, ნამდვილად არ არსებობს. მხოლოდ არსის გააზრება შეიძლება წინააღმდეგობათა გარეშე. აქ ჩვენ რაციონალიზმთან გვაქვს საქმე, რომელიც გონებას აყენებს შეგრძნებებზე უფრო მაღლა, პირველად პარმენიდემ გამოკვეთილად დაუპირისპირა ერთმანეთს ჭეშმარიტი ყოფიერება, როგორც გონებითი მისაღწევი – გრძნობად სამყაროს, ერთმანეთს დაუპირისპირა ცოდნა – შეხედულებას, ანუ ყოველდღიურ წარმოდგენებს. მხოლოდ აზროვნებას ძალუძს შეიმეცნოს ერთიანობა. მაშინ, როდესაც გრძნობადი აღქმა წვდება მხოლოდ სიმრავლეს, მრავალფეროვნებას საგნებსა და მოვლენებში.

4. პარმენიდეს მოწაფე ძენონის (დაახლ. 490-430ძვ.წ.) მთავარი დამსახურება თავისი მასწავლებლის ძირითადი პრინციპების დასაბუთების მცდელობაშია, რომლითაც მან განაგრძო აზროვნების მეტაფიზიკური წესის დაფუძნება ფილოსოფიაში. მისი შრომიდან შემორჩენილი ფრაგმენტებიდან უმთავრესია: „არსი არის ერთი“ და „არსი არ მოძრაობს“. ძენონი ამ დებულებების ჭეშმარიტების ჩვენებას ცდილობს ე.წ. ევრისტიკული ანუ შედავების მეთოდით, რომელიც მან პირველმა შემოიტანა ძველ ბერძნულ აზროვნებაში. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ რაიმე აზრის ჭეშმარიტების დასაბუთებისათვის საბუთდება მისი საწინაღმდეგოს მცდარობა. ჰერაკლიტეს პოზიტიურ (დადებით) დიალექტიკას მან უარყოფითი დიალექტიკა დაუპირისპირა და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ შინაგანი წინააღმდეგობების შემცველი აზრი ჭეშმარიტებას მოკლებულია. ამის დასამტკიცებლად მან წამოაყენა რიგი დებულებები, რომლებსაც ფილოსოფიის ისტორიაში ძენონის აპორიები ან კიდევ ძენონის პარადოქსები (ლოგიკური წინააღმდეგობანი) ეწოდება. მოვიტანთ ორი მათგანის მოკლე შინაარსს: აქილევსი ვერ დაეწევა კუს („აქილევსი და კუ“). აქილევსი, ეს ძველი დროის განთქმული გმირი და მორბენალი, რომელიც გარკვეული მანძი-

ლითაა დაშორებული თავისი ნელი სვლით განთქმულ კუს, ვერასოდეს ვერ დაეწევა მას. საქმე იმაშია, ამტკიცებს ძენონი, რომ, სანამ აქილევსი გაივლის ამ გარკვეულ მანძილს, კუც გადის ასევე გარკვეულ მანძილს, ახლა აქილევსმა უნდა გაიაროს კუს მიერ განვლილი ეს მანძილი, მაგრამ კუც გაჩერებული არ არის და ისიც წინ მიდის. აქილევსსა და კუს შორის მანძილის განსხვავება ყოველთვის დარჩება, რადგანაც თეორიულად ეს მანძილი, როგორც ხაზი უთვალავი, უსასრულო წერტილისაგან შედგება, რომლის გავლასაც აქილევსი უსასრულოდ დიდ დროს მოანდომებს და ვერასოდეს დაეწევა კუს. პრინციპში იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე აპორიაში „ისარი და ირემი“. იგივე მიზეზის გამო გასროლილი ისარი ვერ დაეწევა მოძრავ ირემს.

5. ეს ხომ სისულელეა – წამოიძახებს გაუთვითცნობიერებელი პიროვნება. დიახ, სისულელეა ეს იმათთვის, ვისი გონებაც თეორიამდე ჯერ კიდევ არ ამაღლებულა და ალბათ ასეთი იყო დიოგენე – ცინიკოსი, რომელმაც მოძრაობის არსებობის უარმყოფელი ძენონის წინაშე უბრალოდ ადგა და გაიარა. ძენონი მართლაც სულელი იქნებოდა, თუ ის ჩვეულებრივ მოძრაობის უარყოფას შეეცდებოდა, რაც ყველასათვის უტყუარ ფაქტს წარმოადგენს, ძენონთან საქმე ეხება იმას, თუ როგორ შეიძლება შინაგანი წინააღმდეგობის მქონე ფაქტის ისე გამოსახვა აზროვნებაში, რომ ის თვითონ არ შეიცავდეს წინააღმდეგობას. წინააღმდეგობის შემცველი აზრი ხომ არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი? ეს აქსიომა იყო იმ დროინდელი მოაზროვნეებისათვის. ძენონმა ობიექტური წინააღმდეგობა არაწინააღმდეგობრივად ვერ გამოთქვა დებულებებში და ამის გამო იძულებული გახდა რეალური წინააღმდეგობის არსებობა უარეყო, დიალექტიკისათვის ანტიდიალექტიკა დაეპირისპირებინა, რომლის გამოც ის მეტაფიზიკოს მოაზროვნედ არის ცნობილი.

მოძრაობის უარყოფის საფუძველზე ძენონი უარყოფდა სიმრავლესაც. რაკი თავის მხრივ მოძრაობა და სიმრავლე

ბუნების არსებობის პირობაა, ის ამ უკანასკნელის არსებობასაც უარყოფდა და იცავდა პარმენიდეს მოსაზრებას, რომ ბუნება მოჩვენებაა.

ძენონის დამსახურება ფილოსოფიაში მოკლედ რომ ვთქვათ, შემდეგშია: მისმა არგუმენტებმა დიდი ბიძგი მისცეს მათემატიკისა და ლოგიკის და, რაც უმთავრესია, დიალექტიკის განვითარებას ანტიკურ სამყაროში, მან აღმოაჩინა მეცნიერების ძირითად ცნებებში, როგორიცაა სივრცე, სიმრავლე და მოძრაობა – არსებული წინააღმდეგობა და მით განაპირობა ამ წინააღმდეგობათა დაძლევის გზების მონახვა.

3. ელეელთა სკოლის უკანასკნელი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი მელისოს (Vს.ძვ.წ.) დამსახურება კი იმაშია, რომ მან პარმენიდეს ერთი არსის პრინციპში ფიზიკური გაგება ჩადო. მელისოსთან არსი „უფრო ფიზიკური არსია, ვიდრე მეტაფიზიკური (მეტაფიზიკური, როგორც ფიზიკურის საპირისპირო)“. ეს თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ ელეელთა მეტაფიზიკა თვით მოემწყვდა წინააღმდეგობაში და იქიდან გამოსავალი კვლავ ფიზიკისადმი დაბრუნება იყო, რაც კიდევაც განხორციელდა უმცროს ფიზიკოსებთან.

§ 6. უმცროსი ფიზიკოსები

უფროს ფიზიკოსებს უწოდებდნენ იონურ ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლებს: თალესს, ანაქსიმანდრეს და ანაქსიმენს, ხოლო უმცროს ფიზიკოსებს – ემპედოკლესა (483-423 და ანაქსაგორას (500-428), რომლებიც შეეცადნენ აღედგინათ იონელთა ტრადიცია – აეხსნათ ბუნება თვით ბუნებაშივე არსებული საწყისების საფუძველზე. თუ უფროსი ფიზიკოსები ყოველივე არსებულის არხედ ერთ რომელი-

მე ნივთიერებას: წყალს, ცეცხლს ან ჰაერს აღიარებდნენ, ემპედოკლემ მათ მიწა დაუმატა და ამტკიცებდა, რომ ყველაფერი, რაც კი ამქვეყნად არსებობს, შედგება ოთხი ელემენტისაგან, რომლებიც იმთავითვე არსებობდნენ, არსებობენ და არც არასოდეს მოისპობიან. ყოველი საგანი მათი თავისებური კომბინაციაა, ამ ელემენტების სხვადასხვა პროპორციული ნაერთი. საგანი იმ ელემენტის თვისებას ატარებს უფრო გამოკვეთილად, რომელიც სხვაზე მეტია ამ ნაერთში. ელემენტთა შეერთება და დაშლა არ ხდება იმის გამო, რომ ისინი ცოცხლები არიან. უმცროსი ფიზიკოსები არ იზიარებენ ჰილოძოიზმს, სურთ დასძლიონ ის, მაგრამ ამას საბოლოოდ ვერ ახერხებენ. საქმე იმაშია, რომ ემპედოკლეს მტკიცებით ამ ოთხი ელემენტის შეერთება და დაშლა ხდება ორი ძალის სიყვარულისა და სიძულვილის მეშვეობით. სიყვარული მათ აერთებს, სიძულვილი კი მათ შლის, მაგრამ სიყვარული კვლავ აღადგენს მათ ერთობას, რომელიც კვლავ იშლება და ასე გრძელდება ეს პროცესი დაუსრულებლად.

რამდენადაც, ემპედოკლეს მტკიცებით, სიყვარულსა და სიძულვილს განფენილობა ახასიათებთ (მათ სიგანეც აქვთ და სიგრძეც), ისინი ნივთიერებებია, სხეულებია. ამდენად სამყაროს საწყისად ოთხი კი არა, არამედ ექვსი ელემენტი გამოუვიდა ემპედოკლეს. ეს იმის გამო მოხდა, რომ ის ჯერ კიდევ ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან ძალასა და ნივთიერებას. ემპედოკლეს აზრით, სიყვარული ცოცხალი სხეულია, რომელიც თავისით მოძრაობს და სხვასაც ამოძრავებს (ჰილოძოიზმი), ე.ი. სიყვარული ერთსა და იმავე დროს მოქმედი მიზეზიც, (ძალაც) არის და მატერიალური მიზეზიც (ნივთიერებაც).

ამრიგად, ემპედოკლე შეეცადა სამყაროს მრავალფეროვნება მრავალი საწყისით, ანუ სიმრავლით აეხსნა. ერთი საწყისიდან სიმრავლის წარმოშობა გონებისათვის აუხსნელია, ფიქრობს ემპედოკლე, მაგრამ მას თავის მხრივ აუხსნელი დარჩა საკითხი, თუ რატომ უნდა იყოს ამ სიმრავლის რა-

ოდენობა 4 და არა ნაკლები ან მეტი. ემპედოკლეს აზრი იმის შესახებ, რომ სხეულის თვისებები მისი შემადგენლობით ანუ სტრუქტურით განისაზღვრება, იმ დროისათვის დიდ მეცნიერულ მიგნებას წარმოადგენდა და ამის გამო ზოგიერთი მკვლევარი მას ქიმიური მეცნიერების მამამთავრადაც კი თვლის (ს. დანელია).

დიდად საყურადღებოა ემპედოკლეს აზრი შემეცნების შესახებ. ამ საკითხში მისი ძირითადი პრინციპია: „მსგავსი მსგავსს შეიმეცნებს“. ეს ასე უნდა გავიგოთ: ადამიანიც იმავე ელემენტებისაგან შედგება, რისგანაც შედგება მთელი სამყარო, ამიტომაც მისი შემადგენელი ნაწილები შეიმეცნებენ სინამდვილის შემადგენელ ნაწილებს: ცეცხლი ცეცხლს შეიმეცნებს, ჰაერი – ჰაერს და ა.შ.

ემპედოკლე მეტაფიზიკოსი მატერიალისტია. მატერიალისტია იმდენად, რამდენადაც მისი მტკიცებით სამყაროს საწყისები ნივთიერებაა, მატერიალურია; ხოლო მეტაფიზიკოსია იმდენად, რამდენადაც ეს საწყისები უცვლელია, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, ამასთანავე ისინი ერთმანეთში არ გადადიან.

ემპედოკლესათვის ღმერთიც და სულიც ნივთიერებაა, მაგრამ უფრო ჰაეროვანი და ფაქიზი, ვინემ სხვა საგნები. იგი იზიარებდა სულთა გადასახლების ანუ მეტაფსიქოზის თეორიას.

2. ანაქსაგორა, როგორც ფიზიკოსი, უარყოფს ბუნების მოჩვენებითობას და ცდილობს დაამტკიცოს, რომ გრძნობადი სამყარო არსებულია, ნამდვილია და ეს მის თვისებებში ვლინდება, რომელსაც ჩვენ შეგრძნებები გვიმხელენ. ანაქსაგორას წინაშე დგება საკითხი: როგორ და საიდან ჩნდება ეს თვისებები. მან კარგად იცის იმ დროისათვის საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ „არაფრისგან არაფერი არ წარმოიშობა“. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: ყველაფერი იქედან ჩნდება, სადაც ის ადრე არსებობდა და გარდა ამისა „მსგავსი მხოლოდ მსგავსისგან წარმოიშობა“ - ფიქ-

რობს ანაქსაგორა. „ყველაფერი მოცემულია ყველაფერში“ - როგორც უმცირესი ნაწილაკი, რომელიც ასევე უსასრულოდ შეიძლება დანაწილდეს ანუ არ არსებობს ისეთი უმცირესი ნაწილაკი, რომლის შემდგომი დანაწილება არ შეიძლება. ყველაფერი მხოლოდ უსასრულო მცირე (და არა ნული) ნაწილებისაგან არის შემდგარი. განსხვავებით ნივთიერებებისაგან, მათი თვისებების დანაწილება არ ხდება, თვისება ყოველთვის თვისებად რჩება. ამიტომ მთელის თვისება ყოველთვის აქვს მის ყოველგვარ ნაწილს.

ნივთიერების უმცირეს ნაწილებს ანაქსაგორა უბრალოდ „თესლებს“ (არისტოტელე – „ჰომოიომერებს“) უწოდებს, ეს თესლები მთელის თვისებაა. ყოველი თვისება ჩნდება მხოლოდ მსგავსი თვისებებისაგან, ეს გაჩენა თავის მხრივ, ახლის წარმოშობა კი არ არის, არამედ იმის გამოჩენაა, რაც აქამდე უხილავი იყო და ახლა გახდა ხილული. ხილული ისევ შეიძლება გაუჩინარდეს, უხილავად იქცეს. ეს თავის მხრივ არის ცვალებადობა, მაგრამ იმისი ცვალებადობა, რაც ადრევე იყო, ე.ი. ანაქსაგორა მიდის მოძრაობის არსებობის აღიარებამდე.

მოძრაობა გულისხმობს მის გამომწვევ წყაროს. ჰომოიომერები, როგორც საწყისები თავისთავად უძრავნი არიან. მათი მოძრაობის მიზეზი, ფიქრობს ანაქსაგორა, არის „ნუსი“ ანუ გონება, რომელიც ჰომოიომერებისაგან ქმნის მოწესრიგებულ სამყაროს ანუ კოსმოსს. იგი ამოძრავებს, აწესრიგებს ყველაფერს, ის თვითმოძრავი და „თვითმმართველია“, ე.ი. ისეთი რამ, რაც თვითონ ქმნის მოძრაობას და სხვისგან მის მიღებას არ საჭიროებს. ის სხვას ამოძრავებს მიზანშეწონილად, ე.ი. აძლევს არსს კოსმოსის ფორმას ანუ სახეს, ის პირველი ბიძგია, რომელსაც, როგორც გარეშე ძალას, მოძრაობაში მოყავს ჰომოიომერთა სიმრავლე ანუ „ნარევი“ და ხდება მისი მოწესრიგება, კოსმოსად ჩამოყალიბება: კოსმოსში იმიტომ არის ყველაფერი გონიერად მოწყობილი, რომ ის გონების ნახელავია.

ნუსი მოძრავია, ნუსი სიცოცხლეა, ამიტომ ის ყველაფერშია, რაც კი ცოცხალია: მცენარეებში, ცხოველებში, ადამიანებში, მაგრამ მეტ-ნაკლებად. ეს მეტ-ნაკლებობა ცოცხალ არსებათა ფიზიკური სტრუქტურითაა განსაზღვრული, მაგალითად ადამიანის მაღალ გონიერებას განსაზღვრავს ის, რომ მას ხელები აქვს.

ემპედოკლესგან განსხვავებით, რომელიც შემეცნების ძირითად პრინციპად აცხადებდა, რომ „მსგავსი მსგავსს შეიმეცნებს“, ანაქსაგორა საწინააღმდეგო დებულებას წამოაყენებს და იტყვის, რომ „არამსგავსი შეიმეცნებს არამსგავსს“ - თბილი ხელით შევიმეცნებთ ცივს, მაგარს შეიცნობს რბილი, რბილის სირბილეს შეიცნობს მაგარი, ტკბილს მწარე შეიცნობს და მწარეს – ტკბილი.

ამრიგად, „ანაქსაგორა დუალისტია, ის გულუბრყვილო მატერიალისტია, ფიზიკოსია, ის არის იდეალისტიც, რამდენადაც „ნუსს“ აღიარებს, მაგრამ ანაქსაგორას ფილოსოფიაში მატერიალიზმი ბატონობს, იდეალიზმი კი განუვითარებელი სახით არის წარმოდგენილი. მეორე მხრივ, ანაქსაგორას ფილოსოფიაში ბევრია გულუბრყვილო დიალექტიკის მარცვლები, მაგრამ მასში მაინც მეტაფიზიკა ჭარბობს (ს. წერეთელი).

ანაქსაგორამ პირველად ფილოსოფიის ისტორიაში, დავძენთ ჩვენ, ერთმანეთისაგან განასხვავა არსებულის მატერიალური და არამატერიალური საწყისები და ამით სათავე დაუდო სულიერი საწყისის ცნებას, მაგრამ მან ეს საწყისი გაიგო როგორც მიზნობრივ-ძალოვანი საწყისი – როგორც სამყაროს მამოძრავებელი ძალა. ის ამ შეხედულებამდე მივიდა ბუნების მოვლენების გააზრებით და არალოგიკური პროცესების გაანალიზების საფუძველზე.

§ 7. ატომიზმი

ჩვენს წელთა აღრიცხვამდე V საუკუნეში საბერძნეთში ჩამოყალიბდა მატერიალიზმის კლასიკური სისტემა, რომლის წარმომადგენლები არიან ლევკიპე და დემოკრიტე. რამდენადაც ლევკიპეს ნაწერებს ჩვენამდე არ მიუღწევია და გარდა ამისა დემოკრიტე მთლიანად იზიარებდა მის შეხედულებებს, ფილოსოფიის ისტორიაში მოცემულია მათი ნააზრევის ერთ მთლიანობაში განხილვა, თუმცა არის გამონაკლისებიც (ა. მაკოველსკი).

დემოკრიტე (470-380ძვ. წ.) ეპიკურესთან ერთად ფიზიკოსთა ტრადიციების გამგრძელებლები იყვნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ ბუნების ნამდვილი არსებობა საეჭვოდ არ მიაჩნდათ და უარყოფდნენ ელეელთა მტკიცებას მისი მოჩვენებითობის შესახებ. ბუნება, მატერია არსებობს – ეს დებულება ამ ფილოსოფოსებისათვის გამოსავალი აქსიომატური დებულებაა, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება. თუ ბუნება ნამდვილად არსებულია, მაშინ ასევე ნამდვილი უნდა იყოს მათი არსებობის პირობებიც: მოძრაობა და სიმრავლე. მაგრამ თავის მხრივ, მოძრაობა არსებობს მხოლოდ იქ, სადაც არსებობს სიცარიელე ანუ ელეელთა სიტყვებით „არა-არსი“. თუ ელეატები უარყოფდნენ „არარსის“ არსებობას, დემოკრიტე ამტკიცებს, რომ „რაობა არარსებობაზე მეტად არ არსებობს“. სიცარიელის არსებობა აუცილებელია იმისათვის, რომ მოძრავმა სხეულმა თავის მდებარეობა შეიცვალოს, რასაც ის სავსე სივრცეში ვერ შესძლებს.

ბუნება დემოკრიტეს მტკიცებით შედგება უმცირესი ნივთიერი (მატერიალური) ნაწილაკებისაგან, რომლებსაც თვითონ არავითარი ნაწილები არა აქვთ და ამის გამო ისინი განუყოფელნი არიან. განუყოფელს ბერძნულად სიტყვა „ატომი“ შეესაბამება. მაშასადამე, ბუნების შემადგენელი ელემენტები ატომებია, რომლებსაც თავის მხრივ გააჩნიათ ისეთი საერთო თვისებები, როგორიცაა: განუყოფლობა, შე-

უვალობა, სისავსე, უცვლელობა, მარადიულობა, ინერტულობა, სიდიდე, ფორმა, სიმაგრე; ატომი არის ერთიანი, როგორც ერთი. მას არ ახასიათებს ე.წ. მეორადი თვისებები: ფერი, გემო, სუნი.

ატომთა რაოდენობა განუსაზღვრელია, სინამდვილის არსი ერთი კი არა – მრავალია, რადგანაც ერთისაგან სიმრავლის წარმოშობა შეუძლებელია. მრავალფეროვნების საფუძველი ასევე სიმრავლეა. განუსაზღვრელი რაოდენობის ატომები თავიანთი განსაზღვრული თვისებებით მრავალ განსხვავებულ საგნებს წარმოშობენ. საგნის წარმოშობა ატომთა შეერთებაა, გაქრობა-მოსპობა --- მათი დაშლა, ახალი საგნის წარმოშობა – ატომთა ახალი შეერთება. ამ შეერთება-დაშლის მიზეზი არის მოძრაობა, რის გამოც ხდება ატომთა ურთიერთდაჯახება. ამ დაჯახების შედეგად ცალკეული ატომები შეიძლება შეერთდნენ და წარმოიშვას რაიმე საგანი ან კიდევ მოხდეს საგანთა დაშლა მის შემადგენელ ატომებად.

მოძრაობის წყარო დემოკრიტესთან აუხსნელია. ატომი ინერტულია, არა ცოცხალი (ამით მან დაძლია ჰილოძოიზმი), ამიტომ ის არ შეიძლება იყოს თვითმოძრავი. დემოკრიტე მოძრაობის მიზეზად ვერც სულიერ „ნუსს“ დაუშვებდა, რადგანაც ეს უკვე მატერიალიზმი ვერ იქნებოდა. ამიტომ მან მოძრაობა ატომებთან და სიცარიელესთან ერთად იმთავითვე არსებულად ანუ მარადიულად ჩათვალა: „მოძრაობა სამყაროში ისეთივე დაუსაბამოა, როგორიც დაუსაბამოა ატომები.“

დემოკრიტე აღიარებდა ბუნებაში არსებულ კაუზალობას ანუ საგანთა მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, მიზეზობრიობას აიგივებდა აუცილებლობასთან, უარყოფდა შემთხვევითობას. შემთხვევითს ის უმიზეზო მოვლენად თვლიდა და რაკი სინამდვილეში ყოველივე არსებულს თავისი მიზეზი გააჩნია, დემოკრიტეს აზრით შემთხვევითობის დაშვება შემეცნების ნაკლად იყო მიჩნეული. მეორეს მხრივ,

ყოველი მოვლენის აუცილებლობის დაშვებით დემოკრიტე ფატალიზმს უხსნიდა გზას და თავისუფლებას უარყოფდა. დემოკრიტე მექანისტი დეტერმინისტია (დეტერმინიზმი მოძღვრებაა მოვლენათა მიზეზობრივი განპირობებულობის შესახებ), დემოკრიტე უარყოფდა ბუნებაში მიზნის, როგორც მისი ცვალებადობის მიზეზის – არსებობას ანუ ტელეოლოგიზმს.

დემოკრიტე თავის შემეცნების თეორიაში (რომელიც გადმოცემულია მის შრომაში „კანონი“) ერთმანეთისაგან განასხვავებდა „ჭეშმარიტსა“ და „ბუნდოვან“ ცოდნას. „ბუნდოვანი“ ცოდნა გრძნობადი აღქმის საფუძველზე მიღებული ცოდნაა, ჭეშმარიტი ცოდნა კი გონების საშუალებით მიიღება, დემოკრიტეს აზრით სხეულებისაგან გამოდიან, გამოიყოფიან ნივთთა ფაქიზი გარსები ანუ „ეიდოლები“ (სახეები), რომლებიც ზემოქმედებენ გრძნობის ორგანოებზე. გრძნობადი აღქმა შემეცნების ძირითადი წყაროა, მაგრამ იგი საგნების შესახებ გვაძლევს მხოლოდ „ბუნდოვან“ ცოდნას. მასზე მაღლდება სხვა უფრო „ნათელი“, უფრო ფაქიზი ცოდნა – ცოდნა გონების შემწეობით, რასაც მივყავართ სამყაროს არსების – ატომებისა და სიცარიელის – შემეცნებისაკენ. ამით დემოკრიტე შემეცნებაში შეგრძნებებისა და გონების თანაფარდობის საკითხს აყენებდა. აზროვნება და აღქმა არ უნდა გავაიგივოთ. შემეცნება ნიშნავს გრძნობის მიერ მოცემულ მასალის დალაგებას და ამ მასალებში მოცემული ჭეშმარიტების აღმოჩენას. შეგრძნებები, აღქმა და გონება სულის თვისებებია. ადამიანის სულიც ატომისაგან შედგება, ოღონდ ეს ატომები უფრო მსუბუქი, სრიალა და მრგვალია სხვა ატომებთან შედარებით. სული ცოცხალია და ამდენად მოკვდავია, იგი სხეულთან ერთად კვდება.

ამრიგად, დემოკრიტეს და საერთოდ ატომიზმის დამსახურება იმაშია, რომ მან უარყო ელეელთა დებულება სამყაროს უცვლელ არსზე, რამდენადაც იგი არ იძლევა საშუალებას ახსნილ იქნას მოძრაობა და ცვალებადობა, რომელიც

მიმდინარეობს გრძნობად სამყაროში. მოძრაობის მიზეზის დასადგენად დემოკრიტემ პარმენიდეს ერთი არსი მრავალ ცალკეულ არსად – ატომებად დაანაწილა, ატომები კი ახსნა მატერიალისტურად და პირველად აზროვნების ისტორიაში ჩამოაყალიბა მატერიალისტური სისტემა, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია „დემოკრიტეს ხაზად“.

ატომის შესახებ მოძღვრებამ დიდი ბიძგი მისცა მეცნიერების, კერძოდ კი ფიზიკისა და ქიმიის განვითარებას. ზოგიერთი მკვლევარის შეფასებით ატომისტიკა იყო აზროვნების გენიალური აღმასვლა პრინციპულად ახალ დონეზე არსებულ ფილოსოფიურ გაგებაში.

§ 8. სოფისტები

ძველი წელთაღრიცხვით V საუკუნეში, როდესაც ათენის სახელმწიფოში მონათმფლობელური დემოკრატული წყობილება ჰყვაოდა, როცა თავისუფალი ხალხის წარომადგენლებს საშუალება მიეცათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახალხო კრებებისა და სასამართლოების საქმიანობაში, გაჩნდა დიდი მოთხოვნილება პოლიტიკურ და სამართლებრივ ცოდნაზე. როგორც ცნობილია, პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ისეთ უნარს, როგორიცაა მჭევრმეტყველება ანუ ორატორული ხელოვნება, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს მიიქციოს საზოგადოების ყურადღება და მოიპოვოს მისი მხარდაჭერა. ორატორული ხელოვნება კი თავის მხრივ მოითხოვდა ფილოსოფიის, ლოგიკისა და ლინგვისტიკის საფუძვლების მეტ-ნაკლებ ცოდნას. სწორედ ამ დროს გაჩნდნენ ათენში სიბრძნის ფასიანი მასწავლებლები, რომლებიც პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ამზადებდნენ ახალგაზრდებს. მათ სოფისტები ეწოდათ („სოფოს“- სიბრძნეს).

ფილოსოფიის ისტორიაში განასხვავებენ სოფისტთა ორ თაობას: უფროს და უმცროს სოფისტებს. პირველებიდან თავიანთი მოძღვრების მნიშვნელობით გამოირჩევიან. პროტაგორა (დაახ. 480-410ძ.წ) გორგია (დაახლ. 483-375ძ.წ.) და პროდიკოსი (დაიბადა დაახ. 470-460ძ.წ.) თითოეული მათგანის შეხედულება დიდად ინდივიდუალურია, მაგრამ საერთოდ ყველა ერთ მოძღვრებს ქმნის. უმცროს სოფისტებს მიეკუთვნებიან: კრიტიასი, თრაზიმახე, კალიკლე, ალკიდამასი.

თუ სოფისტთა წინამორბედ ფილოსოფოსთა ყურადღებისა და კვლევის ცენტრში ბუნება იდგა მთელი თავისი სისავსითა და მრავალფეროვნებით, სოფისტებმა წინ წამოსწიეს ადამიანის პიროვნება და ამით საფუძველი დაუდეს ანტიკურ ფილოსოფიაში კოსმოლოგიური ხანის შეცვლას ანთროპოლოგიური ხანით, რაც თავის მხრივ საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში დიდ პროგრესს წარმოადგენდა.

საზოგადოების დემოკრატიული განვითარება და პიროვნების თავისუფლება ამ საზოგადოებაში ძველი წესებისა და ტრადიციების, ძველი, აბსოლუტურად მიჩნეული ჭეშმარიტებათა რღვევასა და მათი ახლით შეცვლასაც ნიშნავდა. და სწორედ აქ თქვეს სოფისტებმა თავიანთი ახალი სიტყვა: არ არსებობს ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულო ჭეშმარიტება, ისევე როგორც არ არსებობს ერთი და უცვლელი სამყარო. სამყარო და ჭეშმარიტება ორივე ცვალებადია და ორივეს საზომი პიროვნებაა, როგორც ადამიანი. ეს დებულება პროტაგორას ასე აქვს გამოთქმული: „ადამიანი არის საზომი ყველა საგანთა - არსებულთა, რომ ისინი არიან და – არარსებულთა, რომ ისინი არ არიან.“ ეს თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ „რომ ყოველი საგანი არის ჩემთვის ისეთი, როგორიც ის მე მეჩვენება, შენთვის კი ისეთი, როგორიც ის შენ გეჩვენება, ადამიანები ვართ ხომ მეც და შენც“. აქედან გამოდის, რომ ყველაფრის საზომი ინდივიდუალური ადამიანია, ე.ი. ამ ქვეყნად იმდენი ჭეშმარიტი აზრი არსებობს, რამდენიც ინდივიდია. ობიექტური ჭეშმარიტება უარყოფილი

ხდება და მის ადგილს იკავებს რელატური ანუ შეფარდებითი ჭეშმარიტება. ასეთ შეხედულებას გნოსეოლოგიური რელატივიზმი ეწოდება. ჭეშმარიტება, თავის მხრივ, ამტკიცებენ სოფისტები, ისაა, რასაც ცალკეული ადამიანისათვის სარგებლობა მოაქვს. შეიძლება ამ დებულების შებრუნება: სასარგებლო აზრი, ჭეშმარიტია.

აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ ზოგჯერ სიცრუეც შეიძლება ვინმესთვის სასარგებლო იყოს, მაშასადამე, ისიც შეიძლება მისთვის ჭეშმარიტებად იქცეს. ჭეშმარიტება-მცდარობის ობიექტური საზომი არ არსებობს, პოლიტიკოსს ის არ სჭირდება, მისთვის მთავარია თვით მცდარი დებულებაც კი ჭეშმარიტებად გაასაღოს, რათა მისგან სარგებლობა მიიღოს. ამას კიდევ, თავის მხრივ, დასაბუთების ლოგიკური ხერხი სჭირდება, სოფისტებმა ხელი შეუწყვეს ლოგიკური პრობლემების კვლევა-ძიებას.

გორგიამ კიდევ უფრო გააღრმავა პროტაგორას რელატივიზმი და სკეპტიციზმამდე მივიდა. თავისი მოძღვრების შინაარსი მან სამ ძირითად პრინციპად ჩამოაყალიბა: 1. „არსი არ არსებობს“; 2. „თუ არსი არის, მაშინ მისი შემეცნება შეუძლებელია“; 3. „თუ არსის შემეცნება შესაძლებელია, მაშინ ამ ცოდნის სხვისთვის გადაცემა იქნება შეუძლებელი“. ეს უკიდურესი სკეპტიციზმი და ნიჰილიზმია, რომელმაც სოფიზმი შინაგან კრიზისამდე მიიყვანა და IV საუკუნისათვის კიდევაც გადაგვარების გზაზე დააყენა, რის შედეგად „სოფისტი“ სალანძღავ სიტყვად იქცა, ხოლო სოფისტიკა კამათში ან დასაბუთებაში არასწორი არგუმენტების გამოყენების საზომად.

მიუხედავად ამისა, სოფისტებმა გარკვეული დადებითი როლი ითამაშეს ისტორიაში: 1. ისინი იყვნენ პირველი ბერძენი განმანათლებელნი; 2. მათ წინ წამოწიეს და ფილოსოფიური კვლევის ცენტრში დააყენეს ადამიანი, პიროვნება; 3. დიდ ყურადღებას აქცევდნენ აზრის დასაბუთების ხერხებსა და წესებს და მით ხელი შეუწყვეს ლოგიკური ცოდნის განვითა-

რებას"; 4. ხელი შეუწყვეს დიალექტიკის, როგორც აზროვნების მეთოდის, განვითარებას; 5. იყვნენ დემოკრატიის დამცველები და თავისუფალი მოაზროვნენი.

§ 9. სოკრატე

სოკრატე (469-399ძვ.წ.) სოფისტების მიერ ანტიკურ ფილოსოფიაში საფუძველჩაყრილი ახალი ეტაპის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ფილოსოფიის ისტორიკოსთა უმრავლესობა სწორედ მისი მოძღვრებით ავლებს ზღვარს აღნიშნული ხანის ფილოსოფიის განვითარებაში და ყოფენ მას „წინასოკრატულ" და „სოკრატეს შემდგომ ფილოსოფიად". სოკრატე იზიარებს სოფისტების პრინციპული მნიშვნელობის დებულებას იმის შესახებ, რომ ფილოსოფიის ცენტრალურ საკვლევ პრობლემას წარმოადგენს არა ბუნება, არამედ ადამიანი. მისი მოძღვრება არის ანთროპოლოგიზმი, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი, ასევე ზნეობრივი არსების შემეცნებაზე. იმავე დროს სოკრატე უარყოფს სოფისტთა მტკიცებას იმის შესახებ, რომ ყოველი ჭეშმარიტება რელატურია, ინდივიდუალურია და ამის გამო საყოველთაო მნიშვნელობის ჭეშმარიტება არ არსებობს. სოკრატე ცდილობს ერთმანეთისაგან განასხვაოს მოჩვენებითი და ჭეშმარიტი ცოდნა. ამ განსხვავების საფუძველს ის ცოდნის საგანში ხედავს. თუ ეს საგანი კონკრეტულია, მის შესახებ ცოდნა არ არის ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა. ასეთი ცოდნა, სოკრატეს აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადი ცოდნა, ე.ი. ისეთი ცოდნა, რომელიც გამოთქვამს ცოდნის საგნის არსებით ნიშნებს, ზოგადს. ამიტომ ჭეშმარიტი ცოდნა მხოლოდ ზოგადის ცოდნაა, რომელიც ცნებით გამოითქმის. ცნების დადგენა კი ხდება მისი განსაზღვრებით. ამისთვის სოკრატე მიმართავდა კამათის, დიალოგის ხერხს და განავითარა დიალექტიკა, როგორც ჭეშმრიტების მიღწევის საშუალება, რომელიც მოწინააღ-

მდეგის მსჯელობაში აღმოაჩენს შინაგან წინააღმდეგობას და კითხვების დასმითა და მათზე პასუხის გაცემით მიიყვანს მას ჭეშმარიტებამდე. ამ დიალოგისას კრიტიკულად განიხილებოდა საყოველთაო ჭეშმარიტებად ცნობილი დებულებები, ხდებოდა მათი არაჭეშმარიტი შინაარსის გამოვლინება და ახალი ჭეშმარიტების დადგენა. ამ პროცესში დიდ როლს თამაშობდა სოკრატესთვის დამახასიათებელი ირონია, როგორც ერთ-ერთი ხერხი ჭეშმარიტების მისაღწევად. გონების კრიტიკული მოქმედების მიზანს სოკრატე ხედავდა ცნების მიღებაში, რომელიც დაეყრდნობოდა საგნის მკაცრ განსაზღვრებას. ის ცდილობდა განესაზღვრა ისეთი ცნებები, როგორიცაა სიკეთე, სათნოება, სამართლიანობა და ა.შ. სოკრატემ პირველმა გამოიყენა ინდუქციური დასაბუთება და ცნებათა ზოგადი განსაზღვრებები, რაც ლოგიკურ ცოდნაში დიდმნიშვნელოვანი შენაძენი იყო.

სოკრატეს ფილოსოფიის მთავარი მიზანი იყო აღედგინა სოფისტების მიერ შელახული ცოდნის ავტორიტეტი. შემეცნება იწყება დაეჭვებით: „მე ვიცი რომ არაფერი არ ვიცი“ და მაღლდება თვითშემეცნებამდე, რომლის პრინციპია: „შეიცან თავი შენი“. სოკრატემ ღრმად გაიგო ადამიანის სულიერი სფერო, მისი შინაგანი წინააღმდეგობანი, მისი აზრით, სინამდვილის ეს სფერო არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე შეგრძნებადი სამყაროს არსება.

სოკრატეს მოძღვრება ეთიკური ანთროპოლოგიზმია, თვითშემეცნების მიზანი ზნეობრივი სრულყოფაა. უმაღლესი ჭეშმარიტება და სიკეთე ერთი და იგივეა. ეს არის სოკრატული ეთიკის საფუძველი. მისი მტკიცებით სიკეთის მცოდნე ბოროტებას არ ჩაიდენს. ამიტომაც ის ფილოსოფიის მოვალეობად საზოგადოებაში განათლების შეტანას მიიჩნევს. მან თავის პრინციპად ჭეშმარიტების ანუ სიკეთის სამსახური გაიხადა და მისთვის დათმო ამ ცხოვრების სიამოვნებანი – ცხოვრობდა ძალიან ღარიბად და ბოლოს ფიზიკურად შეეწირა მისთვის ზნეობრივად ღირებულ ჭეშმარიტებას.

სოკრატეს გარდაცვალების შემდეგ საბერძნეთის სხვადასხვა ადგილას ჩამოყალიბდა მის მიმდევართა ანუ სოკრატული სკოლები. ერთ-ერთი მათგანი იყო კინიკური ანუ ცინიკური, მეორე – კირენული და მესამე – მეგარული. კინიკური სკოლა (ანტისთენე, დიოგენე სინოპელი) ავითარებდა სოკრატის მოძღვრების ეთიკურ მხარეს, კირენული (არისტიპე, ჰეგეია) – ათეისტურს, ხოლო მესამე, მეგარული – რელიგიურ ტენდენციებს.

§ 10. პლატონი

პლატონი (427-347ძვ.წ.) ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მოაზროვნეა, რომელმაც თავისი ეთიკური, ფილოსოფიური და პოლიტიკური შეხედულებები ჩამოაყალიბა ობიექტური იდეალიზმის საფუძველზე სისტემის სახით. ამ სისტემამ დიდი გავლენა მოახდინა როგორც პლატონის თანამედროვე ფილოსოფოსებზე, ასევე შუა საუკუნეებისა და ახალი პერიოდის საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორიაზე, თვით XX საუკუნის ჩათვლით.

პლატონის მოძღვრების გამოსავალი პრინციპი სინამდვილის გაორებაში მდგომარეობს. მისი მტკიცებით არსებობს ორი სინამდვილე: ნამდვილი სინამდვილე და მოჩვენებითი სინამდვილე, გრძნობადი სამყარო, პლატონის აზრით, არ არის ჭეშმარიტად არსებული, ის მუდმივად ცვალებადი, მოძრავი სამყაროა, რომელშიც არაფერი არ არის მტკიცე და ჭეშმარიტი, ამდენად ის მოჩვენებითია (იცავს ელეელთა პრინციპებს). გრძნობადი საგნებისა და მოვლენების ნამდვილი არსი, მათი მიზეზები – უსხეულო არაგრძნობადი ფორმებია, რომლებსაც მხოლოდ გონებით ვწვდებით. პლატონი მათ სახეებს ანუ „ეიდოსებს“ უწოდებს, იშვიათად კი – იდეებს. ყოველ გრძნობად საგანს არაგრძნობად. უსხეულო სამყაროში თავისი იდეა შეესაბამება. ეს იდეა, უპირველეს ყოვ-

ლისა, ზოგადობაა, არსებაა, რომელიც ყოველივე არსებულის ძირია. პლატონი ავითარებს სოკრატეს მოძღვრებას ცნების შესახებ და იდეას წარმოადგენს როგორც უზოგადეს ცნებას.

იდეა პლატონისათვის არის ობიექტური, ობიექტურად არსებული მარად უცვლელი აზრი, სუბსტანცია, ყოველი არსებულის მიზეზი, საფუძველი და არსება, არა მარტო ლოგიკური საფუძველი, არამედ რეალური საფუძველიც. იდეები არსებობენ სივრცისა და დროის გარეშე. „ცის მიღმა არსებულნი არიან“, გრძნობადი საგნები კი – დროსა და სივრცეში.

შემეცნების თეორიაში პლატონი უშუალოდ გამოდის სოკრატეს პრინციპებიდან. შეუძლებელია ზოგადი მნიშვნელობის ჭეშმარიტების უარყოფა, ნამდვილი ცოდნა ცნებითი ცოდნაა; ცოდნა კი არ იქმნება შემმეცნებლის მიერ, არამედ იბადება მისი სულიდან, რომელშიც ის იმთავითვე მზამზარეული სახითაა მოცემული. პლატონის შემეცნების თეორიას მოგონების ანუ ანამნეზისის თეორია ეწოდება. მისი შინაარსი ძალზე მოკლედ შემდეგშია: ადამიანის სული უკვდავია (პლატონი იზიარებდა აღმოსავლეთის ქვეყნებში იმდროისათვის გავრცელებულ სულთა გადასახლებისა და გარდასახვის ანუ მეტაფსიქოზის თეორიას), რომელსაც ადრე მიღებული ცოდნა და გამოცდილება გააჩნია. ციურ სამყაროდან ადამიანის სხეულში ჩასახლებისას სულს ავიწყდება თავისი ცოდნა. მასწავლებლის უპირველესი მოვალეობა იმაშია, რომ სხვადასხვა კითხვების დასმით ანუ დიალექტიკის გამოყენებით ბავშვის სულს მოაგონოს ადრე მისთვის ცნობილი ცოდნა, აშობინოს ეს ცოდნა.

მოგონების პროცესში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე გრძნობადი საგნები, რომლებთან შეხებაში სულს აგონდება მათი შესატყვისი იდეები: ცხენის დანახვით – ცხენობა, ცალკეული ადამიანის დანახვით – ადამიანობა. სულს აქვს მისწრაფება ცოდნით ამაღლდეს გრძნობადი საგნებიდან იდეე-

ბამდე, რასაც ის ახერხებს ეროსის ანუ ფილოსოფიური სიყვარულის მეშვეობით. გრძნობად საგნებსა და მოვლენებზე შესაძლებელია არა ცოდნა, არამედ – მხოლოდ ალბათური „შეხედულება“ ანუ „დოქსა“. შემეცნების პროცესი გულისხმობს ორ ეტაპს: 1. აღმასვლას ცნებათა განზოგადოების პროცესში თვით უმაღლესი გვარეობის ცნებებამდე და 2. საპირისპირო უკუსვლას, უზოგადესი ცნებებიდან დაღმასვლას სულ უფრო ნაკლები ზოგადი ცნებებისაკენ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ინდუქციის ლოგიკურ ხერხთან („ეპაგოგესთან“), ხოლო მეორე შემთხვევაში – ცნებების ერთიანობის მიღების ხერხთან („სინაგოგე“-სთან).

პლატონის აზრით ადამიანის ეთიკური იდეალი ბედნიერების მიღწევაა და იგი ხორციელდება სიკეთის იდეისადმი მისწრაფებასა და მის სამსახურში, მაგრამ მისი მიღწევა ამ ქვეყნის ფარგლებში შეუძლებელია. ბედნიერებას ადამიანი მიაღწევს მხოლოდ იდეათა სამყაროში გადასვლით, სადაც აღმოჩნდება, რომ უმაღლესი ბედნიერება და უმაღლესი კმაყოფილება არის სიკეთე, სიკეთის იდეა უმაღლესი ეთიკური იდეაა.

პლატონის კალამს ეკუთვნის ნაშრომი „პოლიტიკა“, რომელშიც ის განასხვავებს სახელმწიფო მმართველობის „ცუდ“ და „კარგ“ ფორმებს. ცუდი ფორმებია: ტიმოკრატია (პატივმოყვარეთა მმართველობა), ოლიგარქია (მდიდართა მმართველობა), დემოკრატია (ხალხის მმართველობა) და ტირანია (ერთის აბსოლუტური მმართველობა). პლატონს სახელმწიფო მმართველობის სრულყოფილ ანუ კარგ ფორმებად მიაჩნია: 1. არისტოკრატიული რესპუბლიკა და 2. არისტოკრატიული მონარქია. პლატონი, როგორც მონათმფლობელური არისტოკრატიის წარმომადგენელი, მისი მხურვალე იდეოლოგი იყო, დემოკრატიისა და მისი იდეოლოგიის – მატერიალიზმის დიდად მოძულე მტერი.

მიუხედავად არაერთი ნაკლოვანებისა, პლატონის ფილოსოფია მსოფლიო-ისტორიული მოვლენა იყო, რომელმაც

მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მთელი საკაცობრიო აზროვნების განვითარებაზე.

§ 11. არისტოტელე

არისტოტელე (381-322ძვ.წ.) ანტიკური სამყაროს ყველაზე უდიდესი მოაზროვნეა, იგი არა მარტო ბრწყინვალე ფილოსოფოსია, არამედ ასევე ბრწყინვალე ლოგიკოსი, ფიზიკოსი, ფსიქოლოგი, ბიოლოგი, ეთიკოსი, ესთეტიკოსი, პოლიტოლოგი.

არისტოტელე თავის ფილოსოფიურ მოძღვრებაში დაუპირისპირდა თავის მასწავლებელ პლატონის შეხედულებებს და მკაცრად გააკრიტიკა იდეების შესახებ მისი თეორია. არისტოტელე თვლიდა, რომ იდეები ნამდვილად არსებობენ და ისინი არიან ნივთთა ანუ საგანთა არსებობის მიზეზები. მაგრამ, ფიქრობს არისტოტელე, ეს იდეები უნდა იყვნენ თვით საგნებში და არა ამ საგნებს მიღმა, სადღაც მეორე ანუ „იდეათა სამყაროში“. თუ იდეები სამყაროს მიღმაა, როგორ შეუძლიათ მათ განსაზღვრონ ეს სამყარო? – აყენებს კითხვას არისტოტელე. თუ იდეები სამყაროს მიღმაა, მაშინ შეუძლებელია მათ საფუძველზე რაიმეს ახსნა. ნამდვილად იდეა – ეს არის ის, რაც საერთო ანუ ზოგადია საგნებში. მაგრამ ზოგადი ვლინდება ერთეულებში. მაშასადამე, იდეები როგორც საერთო, როგორც ზოგადი, უნდა არსებობდნენ თვით საგნებში და არა მათ მიღმა, ხოლო თუ საგნის გარეშეა, მაშინ საგნის არსება არ ყოფილა. არისტოტელემ პლატონის იდეათა თეორიის წინააღმდეგ წამოაყენა რიგი არგუმენტები: 1. რეალური საგნებისაგან დამოუკიდებლად არსებული იდეების აღიარება იწვევს სამყაროს გაორმაგებას და მათი შეცნობის პრობლემის გართულებას. მაგალითად, თუ ერთეული სოკრატეს მიღმა არსებობს სოკრატეს იდეა, მაშინ ასახსნელია არა ერთი მოვლენა, არამედ ორი, მივიღეთ ორ-

მაგი სიძნელე; 2. პლატონმა ვერ შეძლო ზუსტად დაედგინა საკითხი იმის შესახებ, ყოველ ერთეულ საგანს შეესაბამება თავისი იდეა, თუ ზოგიერთს? თუ არსებობს ისეთი საგანი (მაგ. ტალახი, ნაგავი და მისთ.), რომელსაც თავისი იდეა არ შეესაბამება, მაშინ აქედან გამოდის, რომ საგანს შეუძლია არსებობდეს იდეის გარეშეც. მაშინ ისმება კითხვა: რატომ არის აუცილებელი სხვა საგნებისათვის იდეის არსებობა? ეს საკითხი არისტოტელეს აზრით პლატონს გადაჭრილი არა აქვს და ამიტომ კრიტიკას იწვევს; 3. პლატონთან აუხსნელია საგნებისა და იდეების კავშირი. თუ ისინი არსებობდნენ ცალ-ცალკე, მათი დაკავშირება – გაერთიანება უნდა მოხდეს მესამეში და ა.შ. (ე.წ. „მესამე ადამიანის“ არგუმენტი). არისტოტელემ ბევრი სხვა არგუმენტითაც დაასაბუთა პლატონის იდეათა თეორიის ნაკლოვანი მხარეები.

არისტოტელემ დაამტკიცა, რომ პლატონის იდეა არ შეიძლება იყოს ყოველივე არსებულის ანუ სამყაროს არსებობის მიზეზი, რამდენადაც თვითონ არის აუხსნელი, გაურკვეველი რამ, გაურკვეველი კი არ შეიძლება იყოს გარკვეულის არსებობის მიზეზი. არისტოტელემ თავის მხრივ წამოაყენა ყოველი არსებულის ოთხი მიზეზი. ესენია: ფორმა, მატერია, მოქმედება და ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი. ერთია პასიური მიზეზი – მატერია, ხოლო სამი დანარჩენი – აქტიური. სიცხადისათვის თვით არისტოტელეს მაგალითზე ვნახოთ ამ მიზეზთა ურთიერთკავშირი. მაგიდაზე დგას სოკრატეს მარმარილოს ქანდაკება. ჩვენ გვებადება კითხვა: რა არის ამ ქანდაკების არსებობის მიზეზი? ქანდაკება როგორც სოკრატეს ქანდაკება არსებობს იმდენად, რამდენადაც მას აქვს სოკრატეს სახე, რომელიც მას განასხვავებს ფიდიასის სახისაგან. სახე გარკვეულობაა, გარკვეულობა კი – ფორმა, ე.ი. სოკრატეს ქანდაკების არსებობის ერთ-ერთი პირველი მიზეზი არის ფორმა. მაგრამ სოკრატის ქანდაკების გამოსაკვეთად საჭიროა აგრეთვე მასალა – მარმარილო. – მასალა, რომლისაგანაც გააკეთებს მას მოქანდაკე, ე.ი. მეორე მიზეზი სოკ-

რატეს ქანდაკების არსებობისა არის მასალა ანუ მატერია. მაგრამ ფორმისა (სახისა) და მატერიის (მასალის) დაკავშირება ვერ მოხდება და ქანდაკება ვერ გაკეთდება მოქანდაკის მოქმედების გარეშე. ქმედება არის სოკრატის ქანდაკების არსებობის მესამე მიზეზი. და ბოლოს ქანდაკება ვერ გაკეთდება ისე, თუ მის შექმნას არ ექნება გარკვეული მიზანი – მაგალითად, გამოფენაზე გამოტანა ან სხვა განზრახვა. ამრიგად, არისტოტელეს აზრით, ყოველ არსებულს, როგორც ასეთს, აქვს ოთხი მიზეზი: ფორმალური, მატერიალური, მოქმედი და ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი.

არისტოტელე თავის ნააზრევში არ არის თანმიმდევრული, რის გამოც ის აღიარებს ფორმის ფორმას ანუ წმინდა ფორმის არსებობას, რომელიც თავის მხრივ სხვა არაფერია, თუ არა ღმერთი, როგორც უმაღლესი გონება, უმაღლესი მიზანი. ამის საფუძველზე არისტოტელეს ფილოსოფია თეოლოგიურიცაა (თეოლოგია-ღვთისმეტყველება) და ტელეოლოგიურიც (ტელეოლოგია-მოძღვრება სამყაროს მიზნობრივად მოწყობის შესახებ).

არისტოტელეს მტკიცებით სამყაროს მოძრაობა არის მიზნობრივი პროცესი, მისი ყოველი მომენტი ურთიერთგანპირობებულია, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ერთიან მამოძრავებელ ძალას. აღიარებს რა სამყაროში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსებობას, არისტოტელე მიდის ყოველი არსებულის პირველი მიზეზის არსებობის აღიარებამდე. ეს არის ე.წ. ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება: ღმერთი არის მოძრაობის პირველი მიზეზი. საწყისთა უპირველესი საწყისი, ის იმავე დროს თვითმიზეზია, თვითონ უძრავი, ყველაფრის მამოძრავებელია. ღმერთი არის საერთოსამყაროსეული ზეგრძნობადი სუბსტანცია, ყოველივეს გონივრულად მომწესრიგებელი, კოსმოსის შემქმნელი. მაგრამ, თავის მხრივ, არისტოტელეს ღმერთი არ არის პიროვნული ღმერთი.

არისტოტელეს აზრით სული არის სხეულისაგან მოუშორებელი, მისი მაორგანიზებელი პრინციპი, ორგანიზმის რეგულაციის წყარო და წესი. სული არის სხეულის ენტელექია (მიზანმიმართული ენერგია, მამოძრავებელი ძალა, რომელიც შესაძლებლობას გადააქცევს სინამდვილედ) სხეულის სიკვდილით თავისუფლდება სული, სული მარადიულია და უკვდავი.

შემეცნების საგანი ყოფიერებაა, ამტკიცებს არისტოტელე, შემეცნება იწყება შეგრძნებებით, შეგრძნებებით მიიღება ცოდნის ისეთი ფორმები, როგორიცაა: შეხედულება (დოქსა), ცდა (ემპირია) და გამოცდილება (ტეხნე). რამდენადაც ამ ფორმების საგნები მოძრავი და ცვალებადი საგნებია. ისინი ვერ იძლევიან მყარსა და აუცილებელ ცოდნას, ზოგადის შესახებ ცოდნას. ასეთ ცოდნას იძლევა მეცნიერული ცოდნა (ეპისტემე), მისი საგანია ზოგადი, ე.ი. აუცილებელი და საყოველთაო. ამიტომ ის თავისი ღირსებით მაღლა დგას გრძნობად შემეცნებაზე. მეცნიერული ცოდნა გამოითქმის ცნებებით, მსჯელობებითა და დასკვნებით. აზროვნების ლოგიკურ კავშირებს და ფორმებს სწავლობს მეცნიერება ლოგიკა. არისტოტელე მისი შემქმნელია. თუ არსიტოტელეს ფილოსოფიური შეხედულებები ძირითადად გადმოცემულია მის „მეტაფიზიკაში“, ლოგიკური მოძღვრება გაშლილია ისეთ შრომებში, როგორიცაა: „კატეგორიები“, „ანალიტიკა“, „ტოპიკა“, და „პერი ჰერმინეიას.“

არისტოტელეს დამსახურებათა შორის უნდა აღინიშნოს მის მიერ დიალექტიკის, როგორც აზროვნების წესის, შემდგომი განვითარება. ფორმისა და მატერიის, შესაძლებლობისა და სინამდვილის, მიზეზისა და შედეგის. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთობის განხილვა, ამის ბრწყინვალე ნიმუშია. პოტენციისა და აქტის ცნებების ანალიზით არისტოტელემ ფილოსოფიაში შემოიტანა განვითარების პრინციპი. მანვე მოგვცა ფილოსოფიურ კატეგორიათა (არსება ანუ სუბსტანცია, რაოდენობა, თვისებრიობა, მი-

მართება, ადგილი (სივრცე), დრო, ქონება, მდგომარეობა, მოქმედება და ვნება) იერარქიული სქემა, რომელშიც ძირითადად მიაჩნია სამი კატეგორია: არსება, მდგომარეობა და მიმართება.

სპეციალური განხილვის საგანია არისტოტელეს ეთიკური, ესთეტიკური და პოლიტიკური სოციოლოგიური შეხედულებები, რომლებსაც სტუდენტები გაეცნობიან შესაბამისი კურსების შესწავლისას.

არისტოტელეს ფილოსოფიურმა მოძღვრებამ, რომელიც მრავალ პრობლემას მოიცავდა, თავისი მეცნიერული კვლევის სიღრმითა და დასაბუთების მაღალი დონით უდიდესი გავლენა მოახდინა საკაცობრიო აზროვნების შემდგომ განვითარებაზე, როგორც შუა საუკუნეების, ასევე ახალი და უახლესი დროის ფილოსოფიაზე. არისტოტელეთი მთავრდება ანტიკური ფილოსოფიის ზეაღმავალი ხაზი და იწყება მისი დაქვეითება-დაცემის ხანა.

§ 12. ელინისტური და რომაული ხანის ფილოსოფია

ელინისტურ ფილოსოფიაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება სამი სკოლა: ეპიკურეიზმი, სტოიციზმი და სკეპტიციზმი.

§ 1. ეპიკურეიზმი

ეპიკურეს (341-270ძვ.წ.) ფილოსოფია წარმოადგენს ძველბერძნული მატერიალიზმის მწვერვალს, ეპიკურემ არამარტო დაიცვა დემოკრიტეს ატომისტიკა, არამედ შემდგომ განავითარა იგი: დააზუსტა დეტალებში და გაამდიდრა ახალი პრინციპებით. ერთ-ერთი ასეთი პრინციპი იყო ეპიკურეს მტკიცება იმის შესახებ, რომ ატომებს გააჩნიათ ისეთი თვისება, როგორიცაა წონა, რომლის ძალითაც ისინი მოძრაობენ

სამყაროში. მეორე, ასევე მნიშვნელოვანი პრინციპი იყო ეპიკურეს მიერ ატომთა სწორხაზოვან მოძრაობიდან გადახვევის შესაძლებლობის დაშვება, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა დემოკრიტეს მკაცრი დეტერმინიზმის დაძლევის ცდას და შემთხვევითობის ობიექტურად არსებობის აღიარებას. ატომის თვითმოძრაობის იდეის წამოყენება ეპიკურეს მიერ მეტად დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო მატერიალიზმის განვითარების ისტორიაში.

ეპიკურე, დემოკრიტესაგან განსხვავებით, აღიარებდა ატომთა მეორადი თვისებების: ფერის, გემოსა და სუნის ობიექტურად არსებობას.

შემთხვევითობის ობიექტურ კატეგორიად აღიარებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეპიკურეს ეთიკისათვის: თუ არსებობს შემთხვევითობა, მაშინ არსებობს ნების თავისუფლებაც, ფიქრობდა ეპიკურე, ხოლო ნების თავისუფლება პირობაა ბედნიერების მისაღწევად. ბედნიერება არის უმაღლესი ნეტარება, სიამოვნება, რომლის გამოხატვის ფორმა არის სულიერი სიმშვიდე, აუღელვებლობა ანუ ათარაქსია, იგი სიბრძნით ანუ ფილოსოფიით მიიღწევა.

შემეცნების ისტორიაში ეპიკურე მატერიალისტი – სენსუალისტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის აღიარებდა ობიექტური სინამდვილის შემეცნებას შეგრძნებისა და აღქმის საშუალებით. შეგრძნებების საშუალებით შემმეცნებელი სუბიექტი იღებს საგნის სახეებს ანუ ეიდოლებს და მას ინახავს მეხსიერება. მათი გონებრივი დამუშავების შედეგად წარმოიშვება ცნებები, მსჯელობები და დასკვნები.

ეპიკურე თავისი დროის უდიდესი ათეისტი იყო. რელიგიის არსებობას ის ხსნიდა სიკვდილისადმი შიშითა და ბუნების კანონების არცოდნით, ებრძოდა სულის უკვდავების თეორიას. ეპიკურე ამტკიცებდა, რომ ადამიანებს სიკვდილი არ უნდა აშინებდეთ, რამდენადაც „სანამ ჩვენ ვართ, სიკვდილი არ არის, ხოლო როცა სიკვდილი მოვა, ჩვენ არ ვიქნებით.“ ეპიკურეს აზრით ბუნების კანონების არცოდნა ადამიანებს

აიძულებთ დაუშვან, რომ რაც ამ ქვეყნად ხდება, ხდება მხოლოდ ღმერთის ნებით, რომელსაც ისინი წინ ვერ აღუდგებიან, ამის გამო ისინი ფატალიზმის (ბედისწერის) მონები ხდებიან. ღმერთების შიშისაგან განთავისუფლების გარეშე ადამიანი ბედნიერებას ვერ მიაღწევს, ე.ი. ის თავისი ცხოვრების საზრისს ვერ განახორციელებს.

ეპიკურეს მატერიალიზმი თავის განვითარებას პოულობს რომაელი ფილოსოფოსი ლუკრეციუსის (99-55ძვ.წ.) ბრწყინვალე ნაშრომში „საგანთა ბუნების შესახებ“.

ეპიკურეს შეხედულებებს საუკუნეების განმავლობაში სასტიკად ებრძოდა იდეალიზმი და ქრისტიანობა, ყოველნაირად ამცირებდნენ მას და ზიზღით „კუჭის ფილოსოფიას“ უწოდებდნენ.

§ 2. სტოიციზმი

სტოიციზმმა, როგორც ფილოსოფიური აზრის გარკვეულმა მიმართულებამ, მთელი ექვსი საუკუნე იარსება, მოყოლებული ჩვენი წელთაღრიცხვამდე III საუკუნიდან და დამთავრებული III საუკუნით ჩვენი წელთაღრიცხვით. მასში განასხვავებენ ორ ეტაპს: ადრინდელს (ძენონი (333-262 ძვ.წ.), კლეანთე (331-233), ქრიზიპე (280-207) და გვიანდელს (სენეკა – 5 ძვ.წ. – 65 ახ.წ.), ეპიკტეტი (50-140ახ.წ.), მარკ ავრელიუსი (121-180ახ.წ.). ადრინდელი სტოიციზმის წარმომადგენლები სირიელები იყვნენ, გვიანდელის კი – რომაელები.

სტოელების მოძღვრების ძირითადი ნაწილი ეთიკაა, რომლის დასაბუთებას ისინი ცდილობენ ფიზიკითა და ლოგიკით. მათი მტკიცებით ბუნებას ორი საწყისი აქვს: მატერიალური და ღვთაებრივი, პასიური და აქტიური, მატერია და ფორმა. ყოველივე არსებული მოძრავი და ცვალებადია, რომლის საფუძველი „ლოგოსი“ ანუ კანონზომიერებაა, იგი ყველაფრის განმსაზღვრელია, სამყაროს ბედისწერაა. ყველაფერი ხდება ისე, როგორც უნდა მომხდარიყო „ლოგოსის“

მიხედვით. სტოელები ფატალისტები (ფატალიზმი – ბედისწერით განსაზღვრულობა) იყვნენ.

ბედისწერა განაგებს ადამიანის თითოეულ მოქმედებას, „მაგრამ მისი დანიშნულება ის არის, რომ ბუნების საიდუმლოებას თავის არსებაში გამოხატავს და ამიტომ ბუნების მიხედვით ცხოვრება, სტოელების აზრით, ადამიანის უმაღლესი დანიშნულებაა, ამავე დროს მისი უმაღლესი ბედნიერება და უმაღლესი ბედისწერაც“ (მ. გოგიბერიძე).

სტოელთა აზრით უმაღლესი ეთიკური იდეალი ბედნიერებაა, რომლის მიღწევის საშუალებასაც გონიერი ცხოვრება წარმოადგენს. გონიერი ცხოვრება „აქსია“-ზე ანუ უმაღლეს ღირებულებაზეა დაფუძნებული. „აქსია“ ეთიკური მოქმედების ნორმაა. ნორმის მიხედვით მოქმედება არის მოვალეობა. რაც გონებრივია, ის სათნოება და უმაღლესი ღირებულებაა. ამიტომ ბედნიერებაცაა. გონიერი ადამიანი ანუ ბრძენი უმაღლეს სიკეთეს ანუ ბედნიერებას თვით სიბრძნეში ხედავს, სხვა ყველაფრის მიმართ ის გულგრილობას ანუ აპათიას უნდა ავლენდეს. ბედნიერება ვნებისაგან თავისუფლებაში, სულის სიმშვიდეში, გულგრილობაშია. სენეკას აზრით ადამიანს სიკვდილის არ უნდა ეშინოდეს, რამდენადაც იგი ტანჯვისაგან გათავისუფლებაა, იგი სასჯელი კი არ არის, არამედ სამართლიანობაა ბუნების წინაშე.

§ 3. სკეპტიციზმი

სკეპტიციზმის ფუძემდებელია პირონი (360-270ძვ.წ.). მისი მოძღვრების თანახმად, ფილოსოფოსი ის ადამიანია, რომელიც ესწრაფვის ბედნიერებას. ბედნიერება კი მდგომარეობს მხოლოდ აუღელვებელ სიმშვიდესა და ტანჯვის არარსებობაში. ბედნიერების მაძიებელმა უნდა უპასუხოს სამ კითხვას: 1. რისგან შედგება საგნები; 2. როგორ მიმართებაში უნდა ვიყოთ ჩვენ მათთან; 3. რა სარგებლობა გვექნება ჩვენ ამ ურთიერთმიმართებისაგან. პირველ კითხვაზე რა-

იმე პასუხის გაცემა არ შეიძლება, რამდენადაც არ შეიძლება რაიმეზე ვთქვათ, რომ ის ნამდვილად არსებობს. ამიტომ არც ერთ ცოდნაზე არ შეიძლება ვთქვათ, რომ ის ჭეშმარიტია ან მცდარი, ყოველ მტკიცებას ნებისმიერ საგანზე შეიძლება თანაბარი უფლებით დავუპირისპიროთ მისი საწინააღმდეგო მსჯელობა.

საგნებზე ერთმნიშვნელოვანი მტკიცების შეუძლებლობიდან პირონს გამოყავდა პასუხი მეორე კითხვაზე. საგნებისადმი ნამდვილი ჭეშმარიტი ფილოსოფიური მიმართება მდგომარეობს იმაში, რომ თავი შევიკავოთ მათზე ყოველგვარი მსჯელობისაგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ არსებობს მათ შესახებ რაიმე სარწმუნო ცოდნა – ჩვენი გრძნობადი აღქმები ანუ შთაბეჭდილებები ნამდვილად სარწმუნოა. მცდარობა წარმოიშვება მხოლოდ მსჯელობის დროს, როდესაც ადგილი აქვს მოჩვენებითობის ჩათვლას ჭეშმარიტებად. მეორე კითხვაზე პასუხი განსაზღვრავს, პირონის აზრით, მესამე საკითხზე პასუხს: სარგებლიანობა, რომელიც გამომდინარეობს ყოველგვარი მსჯელობისაგან თავშეკავებაში არის აუღელვებლობა, სიმშვიდე, რომელშიც სკეპტიციზმი ხედავს ფილოსოფიისათვის ნეტარების უმაღლეს საფეხურს.

სკეპტიციზმი პირონის შემდეგ განავითარეს მისმა მიმდევრებმა ტიმონმა, არკეზილამ, კარნეადემ, ენესიდენემ, აგრიპამ და სექსტ-ემპირიკოსმა.

სკეპტიციზმმა თავის შეეჭვების („სკეპსის“) მეთოდით ხელი შეუწყო შემეცნების თეორიასა და საერთოდ ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებას.

§ 4. მისტიციზმი

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომის იმპერიაში არსებულმა მონათმფლობელური საზოგადოების კრიზისმა თავის გამოხატულება ჰპოვა ამ საზოგადოების სულიერ სფეროშიც: ადგილი აქვს მისტიკურ-რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების სხვადასხვა ფორმების წარმოშობას, მათ შორის ერთ-ერთია მისტიციზმი („მიუსტიკოს“- საიდუმლო). იგი წარმოადგენდა ძველი აღმოსავლეთის რელიგიურ და ბერძნული სამყაროს ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთგვარ ნარევს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმერთთან ურთიერთობა, თითქოსდა, მიიღწევა გაცისკროვნების, ექსტაზის, გამოცხადების გზით. მისტიციზმი ჩამოყალიბდა ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიაში, ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნეში, მისი პირველი წარმომადგენელია ფილონი. იგი ბიბლიას განმარტავდა სტოიკური პლატონიზმის მეთოდების დახმარებით და ცდილობდა ეჩვენებინა ფილოსოფიური ცოდნის სისუსტე რელიგიური რწმენის წინაშე. ფილონის მტკიცებით გრძნობას ცოდნის მოცემა არ შეუძლია, ჭეშმარიტება მხოლოდ წმინდა გონებით მიიწვდომება და მისი საგანი არის უმაღლესი არსება ანუ ღმერთი – იეღოვა, ყოვლად ბრძენი, ყოვლადძლიერი და ყოვლადსრული არსება. თავისთავად და თავისთვის არსებული ღმერთი მის მიერ შექმნილ სამყაროსთან ურთიერთობას ამყარებს უმაღლესი იდეის „ლოგოსის“ მეშვეობით. ფილონს ღმერთი სამებად ჰყავს წარმოდგენილი: თავისთავადი ღმერთი, პირველშობილი ღმერთი და სული (აქედან ერთი ნაბიჯია ქრისტიანობის ღმერთამდე – მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა).

ფილონის მტკიცებით ინდივიდუალური სული უკვდავია, სხეულის სიკვდილის შემდეგ სული მკვდრეთით აღსდგება, კეთილი ადამიანის სული მუდმივ ნეტარებაში იქნება, ხოლო ბოროტი ადამიანის სული მუდმივი ტანჯვისათვის არის განწირული. ამიტომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრე-

ბის მიზანი უნდა იყოს ღმერთისადმი დამსგავსება. ფილონ ალექსანდრიელის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინეს ქრისტიანობის წარმოშობაზე. მსგავს აზრებს ბლომად ვხვდებით აღთქმის სახარებებში. სწორედ ამის გამო ფილონს „ქრისტიანობის ნამდვილ მამას უწოდებენ."

§ 5. ნეოპლატონიზმი

ნეოპლატონიზმი წარმოიშვა ახალი წელთაღრიცხვით II საუკუნეში, მას საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრიელმა ბერძენმა ამონიო საკამ. ეს მოძღვრება ალექსანდრიიდან ძალიან სწრაფად გავრცელდა რომის მთელ იმპერიაში, რაც გამოწვეული იყო ეპოქის სულისკვეთებით: მონათმფლობელური საზოგადოებიდან ფეოდალურზე გადასვლა ახალ იდეოლოგიას მოითხოვდა. ეს ახალი იდეოლოგია კი ქრისტიანობა იყო, რომლის წარმოშობის თეორიულ წყაროთა შორის ნეოპლატონიზმს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ნეპოპლატონიზმის ყველაზე დიდი წარმომადგენელია პლოტინი და პროკლე.

პლოტინის (204-270) მოძღვრების მთავარი პრობლემა ერთისა (ღმერთის) და სიმრავლის (ქვეყნის) დამოკიდებულების პრობლემაა, პლოტინის მტკიცებით ყველაფერი ერთიდან ანუ ღმერთიდან გამომდინარეობს და ყველაფერი მასვე უბრუნდება. ღვთაება არის პირველი არსება, აბსოლუტური ერთი, რომლისგანაც ქვეყნიერება (სიმრავლე) წარმოიშობა ემანაციის (გამოსხივების) გზით. პროცესი სამ საფეხურებიანია: ღმერთი-ქვეყანა-ღმერთი. ასევე სამსაფეხურიანია ემანაციის პროცესიც: გონება (ნუსი) – სული (ფსიქე) – მატერია. მატერია წარმოადგენს უდაბლეს საფეხურს სამყაროს იერარქიაში, „მსოფლიო სულის" ემანაციას, რომელზეც აღმატებულია „სული", ხოლო უფრო ზევით - „პირველარსი ანუ „ერთი". აქ მოცემულია დიალექტიკის ტრადიციული (სამსა-

ფეხურიანი) პრინციპი, რომელიც შემდგომ განავითარა პროკლემ.

პროკლეს (410-485) მიხედვით ღმერთისგან ქვეყნის ემანაციას ასევე სამი მომენტი აქვს: 1. წარმოებულის მწარმოებელში ყოფნა; 2; წარმოებულის მწარმოებლისაგან გამოსვლა და 3. წარმოებულის მწარმოებელში დაბრუნება. აქაც განვითარების სამსაფეხუროვან გაგებასთან გვაქვს საქმე.

ნეოპლატონიზმში ტრიადული მსვლელობა – უმაღლესიდან უმდაბლესზე ჩამოსვლა არის დეგრადაციის პროცესი, რაშიც ცხადად გამოვლინდა ანტიკური ეპოქის ფილოსოფიის დაცემისა და მის თეოსოფიით შეცვლის ფაქტი.

იმპერატორ იუსტინიანეს 529 წლის ედიქტით ათენის ფილოსოფიური სკოლის დახურვა იყო უკანასკნელი წერტილი, რომელიც დაესვა ანტიკური სამყაროს აზროვნებას. აქედან იწყება ახალი ეპოქა – შუა საუკუნეები.

თავი IV. შუა საუკუნეების ფილოსოფია (VI-XV ს. I ნახევარი)

მიუხედავად იმისა, რომ შუა საუკუნეებში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტემპი აშკარად ძალზე ნელი იყო, ეს ეპოქა არც რეგრესს წარმოადგენდა და არც ერთ ადგილზე ტკეპნას. პირიქით, შუა საუკუნეებში თითქმის მთელი 1000 წლის განმავლობაში, მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება როგორც სოციალ-ეკონომიკურ, ასევე იდეოლოგიის სფეროში. ანტიკური ფილოსოფია, რომელიც მონათმფლობელური სამყაროს იდეოლოგიას წარმოადგენდა, ამ ფორმაციის ისტორიის არენიდან წასვლას თან გადაყვა და მის ადგილზე მოვიდა ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგია-რელიგია, წინა აზიასა და ევროპაში – ქრისტიანობა, ხოლო აზიის ქვეყნებში – ისლამი.

ქრისტიანობა მძლავრი სულიერი მოძრაობა იყო, რომლის საფუძვლები საზოგადოებრივი მოთხოვნილებებით იყო გაპირობებული. ახალ ეპოქას ახალი იდეოლოგია სჭირდებოდა. ასეთი ხდება რელიგია, ხოლო ფილოსოფია იქცევა მის მსახურად. წარმართობაზე ქრისტიანობის გასამარჯვებლად იქმნებოდა ქრისტიანობის დამცველთა ანუ აპოლოგეტთა ლიტერატურა – აპოლოგეტიკა. მის კვალად იქმნებოდა ეკლესიის მამათა მიერ პატრისტიკა-ნაშრომები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქრისტიანობის ფილოსოფიას.

შუა საუკუნეების ფილოსოფიის განვითარების ძირითად ეტაპებს წარმოადგენს პატრისტიკა და სქოლასტიკა. პატრისტიკა მოიცავს IV-IX საუკუნეებს, ხოლო სქოლასტიკა XI-XIV საუკუნეებს.

§ 1. პატრისტიკა

პატრისტიკის მთავარი პრობლემები მდგომარეობდა შემდეგში:

1. ღმერთის არსებისა და მისი სამების (ანუ ტრინიტატის) პრობლემა;
2. რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება, ქრისტიანული გამოცხადება და წარმართების (ბერძნებისა და რომაელების) სიბრძნე;
3. ისტორიის, როგორც გარკვეული საბოლოო მიზნისაკენ, მოძრაობის გაგება და ამ მიზნის განსაზღვრა;
4. ადამიანის თავისუფლების განხილვა მისი სულის ხსნისა და დაღუპვის შესაძლებლობის თვალსაზრისით;
5. სამყაროში ბოროტების წარმოშობისა და არსებობის საკითხი, რატომ ითმენს მას ღმერთი?

იყო აგრეთვე სხვა პრობლემებიც. ამ საკითხების გადაწყვეტისას პატრისტიკა უეჭველად განიცდიდა პლატონისა და ნეოპლატონიზმის გავლენას.

პატრისტიკის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ავრელიუს ავგუსტინე (354-430). მის კალამს ეკუთვნის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „აღსარება“, „ღვთის ქალაქი“, „სულის უკვდავებაზე“, „თავისუფალ ნებელობაზე“ და სხვ.

ღმერთისა და სამყაროსადმი მისი მიმართება არის უმთავრესი პრობლემა ავგუსტინეს ნაშრომებში. ავგუსტინე ღმერთს განიხილავს როგორც არამატერიალურ აბსოლუტს, ხოლო სამყაროსა და ადამიანს როგორც მისგან შექმნილს. ღმერთი ზებუნებრივია. სამყარო, ბუნება და ადამიანი, როგორც ღვთის შემოქმედებითი შედეგები, დამოკიდებულნი არიან საკუთარ შემქმნელზე. თუ ნეოპლატონიზმში ღმერთი იყო უპიროვნებო არსება, როგორც ყოველივე არსებულის ერთიანობა, ავგუსტინეს ღმერთი ესმის როგორც პიროვნე-

ბა, რომელმაც შექმნა ყოველივე არსებული. უსხეულო ღმერთი არის ყოველივე არსებულის უსასრულო საწყისი. ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო განსაზღვრულია (შემოზღუდულია სივრცით), ხოლო მისი არსებობა – დროში. სივრცე და დრო არსებობენ მხოლოდ სამყაროში, სამყაროს შექმნის დასაწყისი არის დროის დასაწყისიც. ავგუსტინე დროის იდეას უკავშირებს არსებულის მოძრაობას და ამტკიცებს, რომ მოძრაობის მომენტი არის სწორედ დრო.

ქრისტიანული დოგმატის მიხედვით, ღმერთმა შექმნა სამყარო არაფრისაგან, შექმნა მისი ნებელობის აქტით, თავისი ყოვლადძლიერების წყალობით. ღვთიური ყოვლისშემძლეობა აგრძელებს ყოველ წუთს, ყოველ წამს შეინარჩუნოს სამყაროს არსებობა. ასეთ შეხედულებას კრეაციონიზმი ეწოდება. (ლათ. „კრეაციო“ - ნიშნავს - „ქმნადობას“, შექმნას). ქრისტიანული ღმერთი ბუნებაზე მაღლა დგას, მის მიღმაა და ამის გამო არის ტრანსცენდენტური ღმერთი. არის მხოლოდ ერთი აბსოლუტური საწყისი-ღმერთი, ყოველივე დანარჩენი მისი ქმნილებაა. ღმერთი მარადიულია, უცვლელია, თავისთავის მსგავსია, არაფერზე არ არის დამოკიდებული და წარმოადგენს ყოველივე არსებულის წყაროს. ავგუსტინეს მტკიცებით, ღმერთი არის უმაღლესი არსება, უმაღლესი სუბსტანცია, უმაღლესი (არამატერიალური) ფორმა, უმაღლესი სიკეთე. ქრისტიანული ღმერთი შემეცნებისათვის მიუწვდომელია, მაგრამ ის თვით ეცხადება ადამიანს ბიბლიის მეშვეობით, რომლის გაგებაც არის ღმერთის შეცნობის მთავარი გზა, რომელიც ხორციელდება რწმენით. გონება თავისი არგუმენტებით რწმენის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს.

§ 2. აეროპაგიტიკა

შუა საუკუნეების აზროვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა თეოლოგიურ-ფილოსოფიურმა ნაწერებმა, რომლის ავ-

ტორობა მიეწერება ფსევდოდიონისე არეოპაგელს (აკად. შ, ნუცუბიძისა და ბელგიელი მეცნიერის ჰონიგმანის მტკიცებით V საუკუნის ქართველ მოღვაწეს – პეტრე იბერს). აეროპაგიტიკა იყო პირველი მისტიკური თეოლოგია ქრისტიანულ აზროვნებაში, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმერთი, რომელიც აერთიანებს დადებით და უარყოფით პრედიკატებს (ნიშნებს) ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელია, მისი შემეცნება აღემატება ადამიანის შემეცნებას. ამიტომაც მას მხოლოდ დუმილი მართებს ღვთაებრივი საიდუმლოების წინაშე. ამ საიდუმლოების წვდომა მას მხოლოდ ექსტაზის აქტით ეძლევა, როგორც ღმერთის უშუალო ჭვრეტა. აეროპაგიტიკაში ღმერთს არაფერი პიროვნული არ მიეწერება, რის გამოც მისი გაიგივება ბუნებასთან ადვილად შეიძლებოდა, რაც შემდეგში კიდევაც მოხდა პანთეისტი მოაზროვნეების მიერ. (პანთეიზმი ნიშნავს ღმერთის მოაზრებას ბუნებაში).

აეროპაგიტიკის მტკიცებით ღმერთი არ შეიმეცნება არც გრძნობებით და არც გონებით. ის ყოველგვარი გაგების მიღმა დგას, ე.ი. ტრანსცენდენტურია. ღმერთის პიროვნულობის უარყოფა ქრისტიანული მოძღვრების პოზიციებს ასუსტებდა, ამიტომაც საჭირო შეიქმნა მისი დოგმატების ფსევდორაციონალური დაფუძნება, რაც ფილოსოფიას უნდა შეესრულებინა, მაგრამ დადებით თეოლოგიის რანგში. ეს ამოცანა განახორციელა ა. ბოეციუსმა (480-524) მისი ნაწერები შუა საუკუნეების „დიალექტიკური ხელოვნების“ წყარო გახდა.

§ 3. იოანე დამასკელი

ფილოსოფიის თეოლოგიად გარდაქმნის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის არაბ მოაზროვნეს იოანე დამასკელს (ქ. დამასკოდან). იგი მოღვაწეობდა VIII საუკუნეში (675-750). ის არის რელიგიურ-კატეგორიალური სტრუქტურის ჩამომყალიბებელი. მისი მთავარი შრომაა „ცოდნის წყარო“, რომე-

ლიც სამი ნაწილისაგან შედგება. უმთავრესია მისი პირველი ნაწილი „დიალექტიკად“ წოდებული, სადაც მოცემულია ავტორის ფილოსოფიურ-თეოლოგიური შეხედულებები.

იოანე დამასკელი ერთ-ერთი ის პირველი მოაზროვნეა, რომელიც ამტკიცებს, რომ მეცნიერება და ფილოსოფია თეოლოგიის მოსამსახურეა, ხოლო არისტოტელეს ფილოსოფიისა და ლოგიკაზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნოების ჭეშმარიტების დასაბუთება. მისი თქმით „ფილოსოფია არის სიყვარული-სიბრძნისადმი, ჭეშმარიტი სიბრძნე კი ღმერთია. ამიტომ სიყვარული ღმერთისადმი არის ჭეშმარიტი ფილოსოფია.“ ფილოსოფიაში გამოხატული ჭეშმარიტება დაბალი სახეა საერთოდ ჭეშმარიტებისა მაშინ, როცა უმაღლესი სახე – თეოლოგიური ჭეშმარიტებაა. პირველი ემსახურება მეორის დადგენას, ამდენად ფილოსოფიის არსებობა აუცილებელია თეოლოგიისათვის, რათა მისივე დახმარებით დამარცხებული და უკუგდებული იქნას სხვა, „გარეშე“ ფილოსოფია. აქ ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის, რომ აღიარებულია ფილოსოფიის, როგორც გარკვეული ღირებულების მქონე ცოდნის აუცილებლობა.

§ 4. სქოლასტიკა

სქოლასტიკა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სკოლებსა და უნივერსიტეტებში გავრცელებული ფილოსოფიის სახელწოდებაა.

(„სხოლა”-სკოლა). მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ ქრისტიანული რწმენისათვის რაციონალური დასაბუთება მიეცათ და მოეხდინათ მისი სისტემატიზაცია. სქოლასტიკის ფილოსოფიურ ბაზას წარმოადგენდა ანტიკური ფილოსოფიის იდეები. კერძოდ პლატონისა და განსაკუთრებით არისტოტელეს მოძღვრება, რომელიც შეხამებული იქნა სქოლასტიკის მიზნებთან.

სქოლასტიკის მრავალფეროვანი პრობლემატიკა შეიძლება დაყვანილი იქნას სამ ძირითად საკითხამდე: ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმართება; უნივერსალიების – ზოგადი ცნებების ბუნება და არსებისა და არსებობის ურთიერთკავშირი.

ცოდნისა და რწმენის ურთიერთმიმრთების საკითხში სქოლასტიკოსებთან ვხვდებით სამ ვარიანტს: ა) ცოდნა და რწმენა ურთიეთრსაპირისპიროა, ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. ბ) ცოდნასა და რწმენას შეუძლია ერთად არსებობა, რამდენადაც მათ სხვადასხვა წყაროები გააჩნიათ. ცოდნა ეყრდნობა გონებას, რწმენა კი – გამოცხადებას, ამიტომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავენ. გ) ცოდნა და რწმენა, ფილოსოფია და თეოლოგია უნდა გაერთიანდნენ, რათა შეიქმნას დადებითი თეოლოგიური კონცეფცია. ეს კავშირი, თავის მხრივ, გაგებული იყო ორნაირად: „მწამს, რათა გავიგო“ და „ვიგებ, რათა ვირწმუნო“.

ევროპული სქოლასტიკის დამწყებია ირლანდიელი იოანე სკოტი ერიუგენა (810-877). მის მსოფლმხედველობაზე დიდი გავლენა მოახდინა ნეოპლატონიზმის იდეალისტურმა ფილოსოფიამ. მისი მტკიცებით ფილოსოფიურ ცოდნასა და რწმენას შორის არ შეიძლება იყოს რაიმე წინააღმდეგობა. ქრისტიანული სარწმუნოების გამოცხადების სიბრძნე უმაღლესი ჭეშმარიტებაა. ყოველგვარი ეჭვი რელიგიის წინააღმდეგ შეიძლება უკუვაგდოთ ფილოსოფიის საშუალებით. ამიტომ, იოანე ერიუგენას აზრით, ჭეშმარიტი რელიგია და ჭეშმარიტი ფილოსოფია ერთიდაიგივეა.

ერიუგენას ფილოსოფიაში დიდი ადგილი ეთმობა უნივერსალიების ანუ ზოგადი ცნებების ბუნების გაგების საკითხს, მისით იწყება დიდი კამათი შუა საუკუნეების ფილოსოფიის ორ ძირითად მიმართულებას: ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის.

§ 5. ნომინალიზმი, რეალიზმი, კონცეპტუალიზმი

ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის დავა ძირითადად ეხებოდა ერთეულისა და ზოგადის ურთიერთმიმართებას. რეალიზმის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ ზოგადი ცნებები ანუ უნივერსალიები არსებობენ რეალურად ანუ ობიექტურად, ადამიანის აზრებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად. ამასთანავე ეს უნივერსალიები საგნებამდე არსებობენ („ანტე რემ“). ნომალისტების აზრით, რეალურად არსებობს მხოლოდ ერთეული საგნები თავიანთი ინდივიდუალური თვისებრიობით. ზოგადი ცნებები არ არსებობენ საგნებისაგან დამოუკიდებლად. ისინი ერთეული საგნების მხოლოდ სახელწოდებას, ცარიელ სიტყვას „ნომენს“ წარმოადგენენ, ისინი არსებობენ საგნების შემდეგ („პოსტ რემ“). ნომალიზმსა და რეალიზმს შორის წინააღმდეგობის გამწვავების შედეგი იყო შემრიგებლური მიმართულების ანუ ზომიერი რეალიზმის წარმოშობა, რომელიც თავის მხრივ ამტკიცებდა, რომ ზოგადი საგნებამდეც არსებობს, საგნებშიც და ადამიანის ცნობიერებაშიც. ზომიერ ნომინალისტთა ერთი ნაწილი აღიარებდა გონებაში ცდისაგან დამოუკიდებელი ზოგადი ცნებების, კონცეპტების, როგორც სინამდვილის შემეცნების განსაკუთრებული ფორმის არსებობას. მათ კონცეპტუალისტები ეწოდათ, მიმართულებას კი – კონცეპტუალიზმი.

რეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი არის წარმოშობით იტალიელი, კენტერბერიის ეპისკოპოსი ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109). რეალიზმმა მასთან უკიდურესი ფორმა მიიღო. ანსელმის მტკიცებით სიკეთის, ჭეშმარიტების, სამართლიანობის ცნებები არსებობენ, როგორც ასეთები, რეალურად და იმ ქცევათა დამოუკიდებლად, რომლებსაც ადამიანები აფასებენ როგორც ჭეშმარიტ ცნებებს, იმ მოქმედებისგან დამოუკიდებლად, რომლებიც ხასიათდებიან როგორც სამართლიანი მოქმედებები. ან-

სელმს ზოგადობის რეალური არსებობის მტკიცებიდან გამოყავდა ღმერთის არსებობის ონტოლოგიური არგუმენტი – აზრი ღმერთის არსებობის შესახებ არის აზრი ყოვლად სრულის შესახებ. ყოვლად სრული კი იმას ჰქვია, რომელსაც არაფერი არ აკლია, მათ შორის არსებობაც. მაშასადამე, ღმერთი არსებულია. ამ არგუმენტის სიყალბე გამოაშკარავა ჯერ კიდევ ანსელმის სიცოცხლეში განუილომ, ხოლო უფრო გვიან – ი. კანტმა.

რეალიზმის საპირისპირო მიმართულების – ნომინალიზმის შემქმნელია როსცელინი (1050-1120). იგი ამტკიცებდა, რომ ზოგადი ილუზიაა, რომელიც თვით ადამიანის გონებაშიც არ არსებობს. რეალურად არსებობს მხოლოდ ერთეული, ინდივიდუალური. ზოგადობა არის ცარიელი სიტყვა, რომელსაც სინამდვილეში არაფერი არ შეესაბამება. მან ნომინალიზმის პრინციპები გაავრცელა ტრინიტეტის პრობლემაზე და მიიღო ტრითეიზმი, ე.ი. ფაქტიურად ეს ქრისტიანული დოგმის უარყოფასა და ერთი, მაგრამ სამსახოვანი ღმერთის ნაცვლად სამი დამოუკიდებელი ღმერთის არსებობის აღიარებას ნიშნავდა, რამაც კენტერბერიელის რისხვა და კრიტიკა გამოიწვია.

კონცეპტუალიზმი ყველაზე მკაფიოდ პეტრე აბელიარის (1079-1142) შეხედულებებში გამოიკვეთა. მისი მტკიცებით ზოგადი არ არსებობს საგნებისაგან დამოუკიდებლად, ის არსებობს თვით საგნებში და ჩვენი გონება მას გამოყოფს ამ საგნებისაგან მათი განხილვის, მათი შესწავლის დროს. ჩვენი გონება - „კონცეპტი“ - წარმოშობს ზოგადს და ჩვენი გონებისათვის ის სავსებით რეალურია, ე.ი. ზოგადი რეალურად არსებობს მხოლოდ გონებაში, მაგრამ არა როგორც ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი იდეა. ამასთანავე ჩვენი გონება სავსებით რეალურია, ზოგადიც ჩვენს გონებაში რეალურია.

ღმერთის სამების საკითხი აბელიარს ასე ესმოდა: ღმერთის სამპიროვნება ეს არის სამი ატრიბუტი. სახელ-

დობრ ძლიერება, სიბრძნე და სიკეთე. აქედან გამოდიოდა, რომ აბელიარისათვის ღმერთი ერთი პიროვნებაა, ხოლო სამება მისი თვისებები. ასეთი შეხედულება ქრისტიანული ეკლესიისათვის მიუღებელი იყო, ამიტომ იგი ერესად იქნა გამოცხადებული. აბელიარის შრომები დაწვეს, მაგრამ თვითონ კი გადარჩა.

ნომინალიზმისა და რეალიზმის პრობლემა საბოლოოდ თომა აქვინელის მიერ იქნა გადაწყვეტილი, რომელსაც წინ უძღოდა არაბი და ებრაელ ფილოსოფოსთა მოღვაწეობა.

§ 6. არაბული და ებრაული ფილოსოფია

შუა საუკუნეების აზროვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არაბული და ებრაული ფილოსოფია.

არაბულმა ცივილიზაციამ, რომელიც ჩამოყალიბდა VII-XII საუკუნეებში, დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთ ევროპის კულტურის განვითარებაზე, მათ შორის ფილოსოფიურ აზროვნებაზე. არაბული ფილოსოფიის დამაარსებლად ითვლება ალ-ქინდი (გარდ. 870წ.), რომელიც საგანთა და მოვლენათა საყოველთაო მიზეზობრივი კავშირის იდეას იცავდა. ალ-ფარაბის მტკიცებით, მატერია არარაობიდან ღმერთის ნებით შეიქმნა. მან თარგმნა პლატონის და არისტოტელეს ნაშრომები არაბულ ენაზე, რითაც ხელი შეუწყო არაბული ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას.

ამ ფილოსოფიის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო აბუ-ალი-იბნ-სინა ანუ როგორც მას ევროპაში უწოდებდნენ ავიცენა (980-1037). ის იყო ენციკლოპედიური ნიჭისა და ცოდნის პატრონი, რომელმაც სახელი გაითქვა არა მარტო ფილოსოფიაში, არამედ მედიცინაში, ბუნებისმეტყველებაში, ასტრონომიაში და მრავალ სხვა დარგში. მისი მთავარი შრომაა „კიტაბას-სიფა“ ანუ „წიგნი განკურნებისა, რომელიც 18 ტომს შეადგენს და შეეხება ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას (ფილოსფიას). იგი

იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ლოგიკოსი, რომლის სახელმძღვანელოთი სარგებლობდნენ მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. მისი ლოგიკის ძირითად პრობლემას ერთეულისა და ზოგადის ურთიერთმიმართების საკითხი წარმოადგენდა. ავიცენას მტკიცებით, უნივერსალიები არსებობენ საგნებამდე, საგნებშიც, როგორც მათი არსება და საგნების შემდეგაც, როგორც საგნებისაგან აბსტრაქციის შედეგად მიღებული. თავის ფილოსოფიურ მოძღვრებაში იგი ინარჩუნებს არისტოტელეს როგორც მატერიალისტურ, ასევე იდეალისტურ ტენდენციებს, ზოგ საკითხში კი უკან იხევს ნეოპლატონიზმისაკენ.

ავიცენას შემდეგ ყველაზე გამოჩენილი არაბი ფილოსოფოსი იყო იბნ-რუშდი ანუ ავეროესი.(1126-1198). ის ითვლებოდა შუა საუკუნეების არისტოტელეს ფილოსოფიის ყველაზე უკეთეს მცოდნედ, რაზედაც ასეთი მაშინდელი გამოთქმაც კი მიუთითებს: „არისტოტელემ ახსნა ბუნება, ავეროესმა კი არისტოტელე“. ავეროესის მტკიცებით, პირველმატერია არ არის შექმნილი, იგი მარადიულია, როგორც შესაძლებლობა, რასაც ღმერთი აქცევს სინამდვილედ, რომელიც ასევე მარადიულია. ნამდვილი არსებობა ღმერთს აქვს, ყველაფერი დანარჩენი არის აქტისა და პრინციპის ნარევი. ღმერთი წინ არ უსწრებს მატერიის არსებობას, ის მისი თანადროულია, მისი ფუნქციაა, რომ პირველი მატერიისათვის პოტენციალურად დამახასიათებელი შინაგანად არსებული ფორმები სინამდვილედ აქციოს. მოძრაობა ისევე მარადიულია, როგორც მატერია. მოძრაობა, როგორც წარმოშობა, ცვალებადობა და გაქრობა მოცემულია როგორც შესაძლებლობა თვით მატერიაში.

ავეროესის აზრით, ფილოსოფიაც და რელიგიაც ორივე ჭეშმარიტებაა, მაგრამ რელიგიაში ჭეშმარიტება გადმოცემულია ალეგორიულ ფორმებში, სახეებსა და წარმოდგენებში, რომ ხალხისთვის გასაგები გახდეს. ფილოსოფია კი ჭეშმარიტებას გადმოგვცემს მეცნიერული სახით, რომელიც

მხოლოდ საზოგადოების ზედაფენებისათვის არის მისაწვდომი. ავეროესის ამ ნააზრევში უკვე არის „ორმაგი ჭეშმარიტების“ თეორიის ჩანასახი, თეორიისა, რომელიც ეგზომ მნიშვნელოვანი იყო შუა საუკუნეების ფილოსოფიურ პრობლემათა შორის. ავეროესის ფილოსოფიური შეხედულებები პანთეიზმისაკენ იხრებოდა, რომელიც შემდეგში კარგად გამოიყენეს ჯორდანო ბრუნომ და ბენედიქტე სპინოზამ. ავეროესმა დიდი გავლენა მოახდინა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ თავისუფალი აზროვნების განვითარებაზე.

XI-XII საუკუნეებში არსებული ფილოსოფიის გვერდით ვითარდებოდა აგრეთვე ებრაული ფილოსოფია, რომლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან: სოლომონ იბნ-გებიროლი (ავიცებრონი (1020-1070), იბრაჰიმ ბენ მეირ იბნ-ეზრა (1092-1167), მოსე მაიმონიდე (1135-1204), ლევი – ბენ გერსონი (1288-1344). ამათ შორის უმნიშვნელოვანესი მოაზროვნე იყო მოსე მაიმონიდე. იგი იყო არისტოტელეს მიმდევარი და გულმოდგინედ ცდილობდა ერთმანეთისათვის შეერწყა იუდაიზმის თეოლოგია და არისტოტელეს მოძღვრება. თავის მთავარ ნაშრომში „გზააბნეულთა მოძღვარი“ ის იძლევა ბიბლიური გადმოცემების ალეგორიულ განმარტებას, რომლითაც ცდილობს რელიგიისა და ფილოსოფიის შეთანხმებას. მაიმონიდეს დამსახურება არისტოტელეს შრომების სისტემური სახით გადმოცემასა და ებრაელთა ფილოსოფიაში მისი ფართოდ გამოყენებაშია. იუდაიზმის ანტიკურ ფილოსოფიასან სინთეზირების მცდელობამ მაიმონიდეს ორთოდოქსი რელიგიური მოაზროვნეები აუმხედრა.

§ 7. თომა აკვინელი

შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თომა აკვინელს (1226-1274), რომლის მიერ შექმნილი სისტემა დიდი გავლენით სარგებლობდა

არა მარტო მის თანამედროვეთა შორის, არამედ დღესაც წარმოადგენს კათოლიკური თეოლოგიის ფილოსოფიურ საფუძველს. ისევე, როგორც მისი წინამორბედი მოაზროვნეების წინაშე, თომა აკვინელთან პრობლემად იდგა რწმენისა და გონების, რელიგიისა და მეცნიერების, ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხები. „ორმაგი ჭეშმარიტების“ თეორიის მიხედვით, როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, ფილოსოფიისა და რელიგიის საგანი და მეთოდი ურთიერთგანსხვავებულია, მათ არაფერი აქვთ საერთო, რის გამოც ფილოსოფია და რელიგია ერთმანეთთან შეუთავსებელია. ზოგიერთ მოაზროვნე კი ცდილობდა მათ მორიგებას. ამ პრობლემათა შესახებ თომა აკვინელმა შექმნა საკუთარი თეორია, რომელიც დღემდე ძალაშია კათოლიკურ თეოლოგიაში.

თომა აკვინელის მტკიცებით არსებობს ორი სახის ჭეშმარიტება: გონებითი და ზეგონებითი. პირველი მიიღწევა გონებით, მეორე კი მხოლოდ გამოცხადებით (ეს არის რწმენის სფერო). რამდენადაც ეს ორი სახის ჭეშმარიტება ნამდვილად არსებობს (ეს კი ფაქტია), მათ უნდა ჰქონდეთ თავისი არსებობის საფუძველი. ეს საფუძველი, აკვინელის აზრით, ღმერთშია. გონების საშუალებით შესაძლებელია ქრისტიანობის საპირისპირო მოძღვრებათა უარყოფა და ზეგონებრივთან მიახლოება, გონებით ღმერთამდე მხოლოდ ზოგიერთი მიდის, უმრავლესობა კი ჭეშმარიტებას აღწევს რწმენით. ის, რისი დამტკიცება ადამიანის გონებას არ შეუძლია, ნათელი უნდა გახადოს ღვთაებრივმა გამოცხადებამ. ჭეშმარიტების დასამტკიცებლად აუცილებელია ჯერ გამოცხადება მივიღოთ და ამის შემდეგ გონებას მივმართოთ. თუ მათ შორის წინააღმდეგობა წარმოიშვება, ეს იმას ნიშნავს, რომ ცდება გონება და არა რწმენა, რადგან ღვთაებრივ გამოცხადებაში არ შეიძლება რაიმე მცდარი იყოს. ამრიგად, რწმენისა და გონების ურთიერთობა აკვინელის მიერ წყდება რწმენის სასარგებლოდ. ამიერიდან მეცნიერება და ფილო-

სოფია უნდა გახდნენ თეოლოგიის უზრუნველმყოფელ სისტემად, რამდენადაც თეოლოგია ფილოსოფიურია, ფილოსოფია კი – თეოლოგიური.

აკვინელის ფილოსოფიაში, არისტოტელეს გავლენით მთავარი კატეგორიებია სინამდვილისა და შესაძლებლობის ცნებები. ყოველი საგანი მატერიისა და ფორმის მთლიანობაა. ამასთანავე მატერია არის შესაძლებლობა, რომელიც ღებულობს ფორმას, ხოლო ფორმა არის სინამდვილე მატერიასთან მიმართებაში, რომელმაც უკვე მიიღო ფორმა.

აკვინელის მოძღვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ღმერთის გაგების საკითხს. მისთვის ღმერთი არის ყოველივე არსებულის პირველი მიზეზი და საბოლოო მიზანი, როგორც წმინდა ფორმა და წმინდა აქტუალობა, ყოველი სხეულებრივი არსებულის არსება ფორმისა და მატერიის ერთიანობაშია. თომა აქვინელი უარყოფს რა ანსელმ კენტერბერიელის მიერ წამოყენებულ ღმერთის არსებობის ონტოლოგიურ არგუმენტს, თვითონ ჩამოაყალიბებს შემდეგ ხუთ არგუმენტს: 1. რადგან არსებობს მოძრაობა, ამიტომ უნდა არსებობდეს პირველი მამოძრავებელი ანუ ღმერთი. 2. კონკრეტული საგნები არ არის თავისთავადი, თვითმყოფადი, ამიტომ უნდა არსებობდეს მათი თვითარსებობის მიზეზი – ღმერთი. 3. საგნები არის შემთხვევითი, რომელთა არსებობისათვის საჭიროა აუცილებელი არსებობა. რადგან არსებობს შემთხვევითი, არსებობს აუცილებლობაც – ღმერთი. 4. საგნებში არსებობს განსხვავებული ხარისხის სისრულე, ამიტომ უნდა არსებობდეს უსრულესი არსება –ღმერთი. 5. ბუნებაში არსებობს მიზანშეწონილობა, ამიტომ უნდა არსებობდეს მიზნის დამდგენი, გონიერი ნების მქონე უმაღლესი მიზეზი – ღმერთი. ყველა არგუმენტის მცდარობა აჩვენა კანტმა (XVIIIს). თომა აქვინელი იზიარებდა სულის უკვდავების იდეას, მან დაასრულა კათოლიკური თეოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი. კათოლიკური ეკლესიის წინაშე დამსახურებისათვის თომა აკვინელი წმინდანად იქნა აღიარებული 1329 წელს.

§ 8. როჯერ ბეკონი

შუა საუკუნეების ერთ-ერთი ორიგინალური მოაზროვნე არის ინგლისელი როჯერ ბეკონი (1214-1294). იგი ითვლება ექსპერიმენტალური მეცნიერების მამამთავრად. მეცნიერულ აზროვნებაში მან გაუსწრო თავის თანამედროვეებს, ხოლო ფილოსოფიაში, პირიქით ჩამორჩა მათ. ფილოსოფიის ამოცანას ის ხედავს თეოლოგიის მომსახურებაში, რწმენის დაცვაში.

ჭეშმარიტების მისაღწევად რ. ბეკონს აუცილებლად მიაჩნია რიგი მიზეზებისა და დაბრკოლებების მოხსნა შემეცნების გზაზე. ასეთებია დაუმსახურებელი ავტორიტეტის გავლენა, დიდი ხნის განმავლობაში განმტკიცებული ჩვეულებათა ძალა, უმეცრებით გამოწვეული ცრურწმენები და სწავლულთა მცდელობა დაემალათ თავიანთი უცოდინარობა მოჩვენებითი სიბრძნით. ბეკონის მტკიცებით ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა გადის ექსპერიმენტალურ გამოკვლევებზე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას დიდი მნიშვნელობა აქვს თეოლოგიის დაფუძნებისათვის. ცოდნის ძირითად საშუალებად და წყაროდ ბეკონი თვლიდა ცდას, ლოგიკურ მსჯელობასა და ავტორიტეტს. ყველაზე სწორი (ლოგიკური თვალსაზრისით) მსჯელობის ჭეშმარიტება დამტკიცებული უნდა იქნას ცდით. ავტორიტეტისა და ლოგიკური მსჯელობების მნიშვნელობა დამოკიდებულია ცდაზე. და მიუხედავად ამისა, ცდა მაინც არ არის საკმარისი ჭეშმარიტების მისაღწევად. ამიტომაც აუცილებელია ცდის დასახმარებლად მივმართოთო შემეცნების უმაღლეს ფორმებს – ფილოსოფიასა და თეოლოგიას. უმაღლეს ცოდნის საფეხურებზე მსჯელობისას რ. ბეკონი მეცნიერებას ღალატობს და მისტიკაში გადადის. პროფ. მ. გოგიბერიძის დახასიათებით როჯერ ბეკონი იყო „უსათუოდ ერთ-ერთი უკანასკნელ ინგლისელი სქოლასტიკოსი და პირველი ინგლისელი მეცნიერი ამ სიტყვის ახალი გაგებით, ე.ი. იგი იყო სქოლასტიკის დაშლის

პირველი მოციქული. მან პირველმა ფილოსოფია ზეციდან „ცოდვილ მიწას“, მის მშობლიურ ნიადაგს დაუბრუნა“.

§ 9. უილიამ ოკამი

შუა საუკუნეების გვიანდელი პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი ნომინალისტი არის უილიამ ოკამი (1300-13520), მისი მტკიცებით რეალურად არსებობს მხოლოდ ერთეული საგნები, ზოგადი არსებობს მხოლოდ შემმეცნებელი სუბიექტის გონებაში. ერთეულები აზრში შეიძლება დაყოფილი იქნას გვარებად და სახეებად. თვით საგნებში კი არ არის არც ზოგადი და არც ერთეული. უნივერსალიები აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომლებიც ერთმანეთს ემსგავსებიან, ისინი მხოლოდ ამ მსგავსების აღმნიშვნელი ტერმინებია. ამის საფუძველზე ოკამის ნომინალიზმს „ტერმინიზმსაც“ უწოდებენ. ოკამის ნომინალიზმი იყო ორსახოვანი. ერთის მხრივ, ოკამმა განავითარა მოძღვრება ცდაზე, როგორც შემეცნების წყაროზე, ხოლო მეორეს მხრივ შემეცნების საშუალებები „ნიშნებით“ შეზღუდა.

ოკამი თავის მოძღვრებაში მიდის იმ დასკვნამდე, რომ ღმერთის შემეცნება ბუნებრივი საშუალებებით არ შეიძლება. აქედან გამომდინარეობს, რომ თეოლოგია არ შეიძლება იყოს მეცნიერება. მაგრამ ოკამი აქ იშველიებს ორმაგი ჭეშმარიტების თეორიას და მით ამართლებს როგორც ფილოსოფიის, ასევე თეოლოგიის ჭეშმარიტებათა მნიშვნელობას.

***

ამრიგად, შუა საუკუნეების ფილოსოფიაში პირველ პლანზე გამოდიოდა გონებისა და რწმენის, მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების პრობლემები. ზოგადისა და ერთეულის დამოკიდებულების საკითხსაც დიდი ადგილი ეჭირა. ის დაკავშირებული იყო „სამების“ დოგმასთან და წყდებოდა ნომინალიზმის ან კიდევ რეალიზმის პოზიციები-

დან. სქოლასტიკური ფილოსოფია ამოცანად აყენებდა ქრისტიანული მოძღვრების არსებობის წვდომას არა მხოლოდ რწმენით, არამედ რაციონალურის – მეცნიერებისა და ფილოსოფიის საფუძველზე. აქედან გამომდინარეობდა ყურადღების გაძლიერება ფილოსოფიისადმი. ანტიკური ფილოსოფია უკვე არ ითვლება ქრისტიანობის კონკურენტად, განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ლოგიკური კატეგორიების სისტემის გამოყენებას რელიგიურ პრობლემათა გადაწყვეტაში. პლატონის ფილოსოფიის გავლენა თანდათანობით სუსტდება და იზრდება არისტოტელეს მოძღვრების მნიშვნელობა ქრისტიანულ თეოლოგიაში. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნებებისადმი ყურადღების გამახვილება ხშირად იწვევდა ცნებებით თამაშს. მათ მოწყვეტას საკუთარი შინაარსისაგან და მათ ქცევას ცარიელ სიტყვებად. აქედან წარმოიშვა „სქოლასტიკა“ როგორც უშინაარსო, უსიცოცხლო, ცხოვრებას მოწყვეტილი მსჯელობათა სინონიმი.

თავი V. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია

§ 1. ეპოქის ზოგადი დახასიათება

აღორძინების ანუ რენესანსის (იტალიურად „ჩინკვიჩეტოს“) ეპოქა იწყება XV საუკუნის შუახანების იტალიაში, სადაც ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით ადრე ჩაისახა ახალი საზოგადოებრივი კლასი – ბურჟუაზია და იწყება მისი შეურიგებელი ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, როგორც ეკონომიკისა და პოლიტიკის, ასევე იდეოლოგიის სფეროში. როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის იდეოლოგიას რელიგია წარმოადგენდა. აღმავალ, პროგრესულ ბურჟუაზიას თავის მოკავშირედ ამ ბრძოლაში სჭირდებოდა მეცნიერება. იწყება მისი მკვეთრი დაპირისპირება რელიგიასთან. მეცნიერული ცოდნის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი, ერთის მხრივ, მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილების სწრაფმა ზრდამ (მრეწველობას სჭირდებოდა მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სახის მეცნიერებათა განვითარება), ხოლო მეორეს მხრივ, დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რასაც ადგილი ჰქონდა XV-XVII საუკუნეებში. დედამიწის გარშემო მაგელანის მოგზაურობამ (1519-1521წ.წ.) ექსპერიმენტალურად დაამტკიცა დედამიწის სფეროსებური ფორმა.

იმ დროის იტალიაში სწრაფად ვითარდება მხატვრული ლიტერატურა, თავის შესანიშნავ ნაწარმოებებს ქმნიან პეტრარკა და ბოკაჩიო, რომლებიც აშკარად ილაშქრებენ რელიგიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ. ეკლესიის სულიერმა დიქტატურამ მძიმე დარტყმა განიცადა, მისი ძლიერება შერყეული იქნა. საზოგადოება მოიცვა განახლების ძლიერმა მისწრაფებამ, ახალი ისტორიის ეპოქას ახალი იდეოლოგია, ახალი სულიერი სამყარო სჭირდებოდა. სწორედ ამ აუცილებლობამ წარმოშვა რენესანსი, როგორც ძველი ბერძნული კულტურის აღმოჩენისა და მისი აღორძინების ხანა, მაგრამ

თავის მხრივ ეს არ იყო მხოლოდ ძველის აღდგენა, არამედ (და რაც მთავარია) მისი შემდგომი განვითარება ახალი ეპოქის სულისკვეთების ნიადაგზე.

ფილოსოფიაში განახლებისა და განვითარების პრინციპები, უპირველეს ყოვლისა, შეეხო არისტოტელესა და პლატონის მოძღვრებებს. სწორედ ამ პერიოდში გაეცნენ დასავლეთ ევროპის სწავლულები ბერძნების ნაწერებს ორიგინალებში, რამაც ხელი შეუწყო მათ ანტიკური ფილოსოფიის სწორად გაგებასა და ათვისებაში. სქოლასტიკის მიერ გაყალბებულ არისტოტელეს თავდაპირველად უპირისპირებენ პლატონს, ხოლო უფრო მოგვიანებით ცდილობენ მათ მორიგებას. ხდება ეპიკურეიზმისა და სტოიციზმის აღდგენა. გეოცენტრულ სისტემას, რომელსაც ქრისტიანობა თავგამოდებით იცავდა, უპირისპირდება ახალი, მეცნიერული ჰელიოცენტრული სისტემა. 1543 წელს გამოიცა ნიკოლოზ კოპერნიკის (1473-1543) წიგნი „ციური სხეულების წრებრუნვის შესახებ“, რომელშიც ავტორმა აჩვენა, რომ დედამიწა მოძრაობს თავისი ღერძისა და, სხვა პლანეტებთან ერთად, მზის გარშემო. ჰელიოცენტრულმა სისტემამ ნათელჰყო ეკლესიის მესვეურთა მტკიცების მცდარობა იმის შესახებ, რომ სამყაროს ცენტრი დედამიწაა, ხოლო ადამიანი – ღვთის მსგავსი. კოპერნიკის წიგნი რომის პაპმა აკრძალა როგორც „აშკარა უაზრობა“ და წმინდა წერილების საწინააღმდეგო ერეტიკული ნაშრომი. კათოლიციზმის კრიზისი სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა, რამაც თავის გამოხატულება ჰპოვა მოძრაობაში, რომელიც მიმართული იყო კათოლიკური სამღვდელოების წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა „ნამდვილი“ ქრისტიანობისა და „სამოციქულო“ ეკლესიის აღდგენას.

რენესანსის ეპოქაში ხდება სულიერ ღირებულებათა გადაფასება. ფილოსოფიის მთავარი სპეციფიკურობა ამ დროს იმაში მდგომარეობდა, რომ ის ხდება ანთროპოცენტრული, ე.ი. მისი კვლევის მთავარი ობიექტი ხდება ადამიანი („ანთროპოს“) და არა ღმერთი. საერთო ცოდნა რელიგიურ

ცოდნაზე მაღლა იქნა დაყენებული. ამან გამოწვია რენესანსისეული კულტურის ისეთი სპეციფიკური ნიშანი, როგორიცაა რელიგიის გამოყოფა მეცნიერებისაგან, ხოლო შემდეგში პოლიტიკისა და ეთიკისაგან.

§ 2. ნიკოლოზ კუზანელი (1401-1464)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, სხვებისაგან გამორჩეული იმდროინდელი მოაზროვნე იყო ნიკოლოზ კუზანელი (ნ.კრებსი). იგი იყო გერმანიის ქალაქ კუზადან, იყო კარდინალი. იგი ნეოპლატონიზმის ტრადიციის მიმდევარია, მაგრამ მისი შეხედულებები ზოგიერთ საკითხში განსხვავებულიცაა. კერძოდ პლატონისა და ნეოპლატონიკოსების „ერთის“ საპირისპირო ცნება იყო „სხვა“, არა ერთი. კუზანელთან „ერთს არაფერი არ უპირისპირდება“, ერთი ყველაფერია. ერთი იგივეობრივია უსაზღვროსი, უსასრულოსი. „უსასრულო ისაა, რომელზეც დიდი არაფერი არ შეიძლება იყოს, ის არის მაქსიმუმი“, ერთი კი „მინიმუმი“. კუზანელის მტკიცებით ისინი იგივეობრივნი არიან, ურთიერთდაპირისპირებულნი ერთმანეთს ემთხვევიან. დიალექტიკის ამ პრინციპს შემდეგში იდეალიზმის საფუძველზე სრულყოფილად ჩამოაყალიბებს ჰეგელი. სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ, მაგრამ ის უსასრულოა, მატერიალურია და მოძრაობს დაპირისპირებულთა მეშვეობით. კუზანელი ადამიანს აყენებს ძალიან მაღლა. ღმერთი არის ადამიანში, ასევე ყველაფერში, უპირველეს ყოვლისა ბუნებაში. ღმერთი სამყაროს ცენტრიცაა და მისი საზღვარიც. ის მთელია, სამყარო კი – ნაწილი. სამყარო თითქოსდა შეკუმშულია ღმერთში, ღმერთი მას გადაშლის სამყაროში მისი განხორციელების კვალად. კუზანელი არ არის პანთეისტი, მაგრამ მისი ნააზრევი ხელს უწყობდა პანთეიზმის წარმოშობას.

ნიკოლოზ კუზანელის აზრით, შემეცნება ღმერთის წვდომის პროცესია, რომელსაც ოთხი საფეხური აქვს:

გრძნობადი, განსჯისეული, გონებითი და ინტუიციური. ინ-ტუიციური შემეცნების დონეზე ადამიანი იგებს, რომ ყველა-ფერი ღმერთშია და ღმერთი ყველაფერშია. დაპირისპირე-ბულთა იგივეობა გონებისათვის გაუგებარია, ამიტომაც ის მსჯელობებით არ გამოითქმის და მის წინაშე ადამიანის გო-ნების უძლურება უნდა იქნას აღიარებული. ამის შეგნება არის „სწავლული უვიცობა“, რომელიც ადამიანისათვის შე-საძლებელი უმაღლესი სიბრძნეა. ასეთი მტკიცებით კუზანე-ლი ხარკს უხდის შუა საუკუნეების თეოლოგიას.

§ 3. ბერნადინო ტელეზიო (1509-1588) და მიშელ მონტენი (1533-1592)

ტელეზიო მატერიალისტი ფილოსოფოსია. მან პირველ-მა აღადგინა ბერძენ ფილოსოფოსთა ნააზრევი სამყაროს ნივთიერი საწყისის შესახებ. ტელეზიოს აზრით სამყაროში დევს ერთიანი მატერია, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობებით – თბილი და ცივი. სითბო ხორციელდება მზეში, სიცივე მიწაში. ამ დაპირისპირებულთა ბრძოლაში წარმოიშვება ოთხი სტიქია: ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა. მათი შეერთებიდან იქმნება საგანთა მრავალფეროვნება. სუ-ლი ეს არის განსაკუთრებით ფაქიზი და მოძრავი მატერია.

ტელეზიო შემეცნების თეორიაში ემპირისტი და სენსუ-ალისტია. შემეცნების საფუძველი შეგრძნებებია. ის თავის სენსუალიზმს ეთიკაზეც კი ავრცელებდა და ამტკიცებდა, რომ სიკეთეს საფუძვლად უდევს თვითშენახვის გრძნობა. ტელეზიო მოითხოვდა ფილოსოფიური კვლევის თავისუფ-ლებას და მკვეთრად გამოდიოდა არისტოტელეს ავტორიტე-ტის წინააღმდეგ ფილოსოფიასა და მეცნიერებაში.

მონათმფლობელური საზოგადოების ანტიკური ფილო-სოფიის აღორძინებამ ვერ დააკმაყოფილა ბურჟუაზიული განვითარების გზაზე დამდგარი საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებები და იწყება გარკვეული გულგატეხილობა

ანტიკური კულტურისა და ფილოსოფიის მიმართ, რაც გამოიხატა სკეპტიციზმში.

სკეპტიციზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი იყო ფრანგი მოაზროვნე მიშელ მონტენი. მისი მტკიცებით არ არსებობს საყოველთაო სარწმუნო ცოდნა. მხოლოდ ეჭვი, კრიტიკული მიდგომა გვიხსნის ჩვენ ცრურწმენისაგან. ღმერთი, მონტენის აზრით, შეუცნობადი და დაუსაბუთებელია, ანუ გონების საწინააღმდეგოა. თეოლოგია არავის არ ჭირდება, ხოლო სხვადასხვა „სასწაულებს“ აქვთ ბუნებრივი ახსნა. ის მოითხოვდა მიმტევებლობას რწმენის სფეროში. მონტენი ფილოსოფოსებს მოუწოდებდა – შეემეცნათ ბუნება ცდის საშუალებით. ამრიგად, მონტენის სკეპსისი გზას უხსნიდა ახალ იდეებს, ახალ ცოდნას და პრინციპულად განსხვავდება შემდგომი აგნოსტიციზმისა და სკეპტიციზმისაგან.

§ 5. ჯორდან ბრუნო და გალილეო გალილეი

რენესანსის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოაზროვნე და ახალი მეცნიერული პრინციპების თავგამოდებული დამცველი არის ჯორდანო ბრუნო (1548-1600). ბრუნო პანთეისტია, ე.ი. ისეთი ფილოსოფოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღმერთი ამ ბუნების მიღმა არსებული ანუ ტრანსცენდენტური კი არ არის, არამედ თვით ბუნებაშია, მისი შინაგანი ძალაა, ამდენად იმანენტურია. სამყარო უნივერსუმია, ერთიანი და უსასრულო, რომელიც მარად არსებულია, ღმერთი ამ უნივერსუმის შინაგანი კანონზომიერებაა, მისი შინაგანი მოძრაობისა და ურთიერთკავშირის მომწესრიგებელი, იგი მწარმოებელი ბუნებაა ანუ „ნატურა ნატურანსია“, განსხვავებით მის მიერ წარმოებული ბუნებისაგან, რომელსაც ბრუნო „ნატურა ნატურატას“ უწოდებს. აქ ორ ბუნებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ღმრთის და ბუნების გაიგივებასთან, სადაც ღმერთი ბუნებაშია გათქვეფილი. ბუნება განსულიერებულია მსოფლიო სულის მიერ და მით არის გამ-

სჭვალული მატერიის ყოველი ნაწილი, სამყაროს არ ჭირდება გარედან ამოძრავება, რადგან მოძრაობის მიზეზი – ღმერთი თვით მასშია.

სქოლასტიკოსებისაგან განსხვავებით ბრუნოს მატერია ესმოდა არა როგორც პასიური, ამორფული საწყისი, რომელსაც ფორმის წყალობით ეძლევა გარკვეულობა, არამედ როგორც აქტიური საწყისი, დამოუკიდებელი და თვითმოქმედი. თუ სქოლასტიკოსები არისტოტელეზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ ფორმას შეუძლია მატერიისაგან დამოუკიდებლად არსებობა, ხოლო მატერიას – არა, ბრუნოს მტკიცებით, ფორმას მატერიის გარეშე არსებობა არ შეუძლია, როგორც მატერიას – ფორმის გარეშე. ამასთანავე ამ ერთიანობაში წამყვანი როლი ეკუთვნის მატერიას, რომელიც „აწარმოებს“, ქმნის ყველაფერს თავისი წიაღიდან.

ბრუნოს მტკიცებით არსებულის ძირითად ერთეულს წარმოადგენს მონადა, მატერიის მინიმალური ნაწილაკი, რომელშიც გაერთიანებულია სხეულებრივი და სულიერი, ობიექტი და სუბიექტი. უმაღლეს სუბსტანციას წარმოადგენს „მონადის მონადა“ ანუ ღმერთი. როგორც ერთიანი, მთლიანობა, ის ვლინდება ერთეულებში პრინციპით „ყველა ყველაფერშია“. „ბუნება არის ღმერთი საგნებში“, ე.ი. არ არის სამყაროზე ზემდგომი ღმერთი, რომელიც თავის კანონებს კარნახობს მას. აქედან გამოდის, რომ არ არის აუცილებლობა არსებობდეს ეკლესია, როგორც ღმერთის მიწიერი შუამავალი, რადგან ღმერთი სამყაროშია, ღმერთი ბუნებაშია, ღმერთი ჩვენშია.

ბრუნოს შეხედულებებმა, რომ სამყარო არის უსასრულო, არ არსებობს პიროვნული ღმერთი, რომ არსებობს უამრავი სხვა სამყარო, ვიდრე ჩვენთვის ხილული და რომ დედამიწა მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია ამ ქვეყნიერებისა – დიდი ბიძგი მისცა მატერიალიზმის სწრაფ განვითარებას ახალ ფილოსოფიაში. სწორედ მატერიალისტურ და მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო მოწინავე აზრებისათვის, რომელიც

ძირს უთხრიდა რელიგიურ შეხედულებებს, ინკვიზიციამ ჯორდანო ბრუნო ცოცხლად დაწვა კოცონზე რომში 1600 წელს. „ბრუნო გმირია, რომელმაც მტკიცე ნებისყოფითა და სპეტაკი იდეალებით იბრძოლა და მოუდრეკელი დაეცა, როგორც ამ ბრძოლის მსხვერპლი. მას არ დაუშვია არც ერთი კომპრომისი, არ მორიგებია არც ერთ თავის მტერს და გმირულად დაიტანჯა, რათა გადაერჩინა ახალი მეცნიერების პრინციპი და ჭეშმარიტება“ (მ. გოგიბერიძე).

ბრუნო, ისევე როგორც კუზანელი, შემეცნების ძირითად საფეხურებად გრძნობას, განსჯასა და გონებას აღიარებს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის გრძნობებს უპირისპირებს გონებას (ინტელექტს). გრძნობები ხშირად გვატყუებენ, ამიტომ ჭეშმარიტ ცოდნას ვერ გვაძლევენ, მაგალითად, დედამიწის უძრაობასა და მზის მოძრაობაზე. გონება არის ჭეშმარიტების წყარო და კრიტერიუმი.

ბრუნო დიალექტიკოსია. სამყაროს უსასრულობის პრინციპს ის მიჰყავს მტკიცებამდე, რომ სამყაროში დაპირისპირებულნი – უსასრულოდ დიდი და უსასრულოდ მცირე, ერთმანეთს ემთხვევიან, რომ ვისაც სურს ბუნების ყველაზე დიდ საიდუმლოებას ჩაწვდეს, ის უნდა დააკვირდეს წინააღმდეგობათა და დაპირისპირებულთა მინიმუმსა და მაქსიმუმს. ბრუნო ამ წინააღმდეგობებს ხედავდა არა მარტო მათემატიკაში, არამედ მთელ სამყაროში. ესენია: წარმოშობა და მოსპობა, სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბედნიერება და ა.შ. ბრუნოს მტკიცება, რომ ღმერთი ანუ მსოფლიო სული არსებობს როგორც მსოფლიო გონება და კანონზომიერება, შემდეგში კლასიკური ფორმით იქნა გამოყენებული ჰეგელის მიერ.

XVI-XVII საუკუნეების ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, ასტრონომი, მათემატიკოსი და ფიზიკოსი გალილეო გალილეი (1564-1642) უარყოფდა სამყაროში რაიმე მიზნის არსებობას და მოითხოვდა ბუნების ახსნას არა ტელეოლოგიურად (მიზნის არსებობის თვალსაზრისით), არამედ მიზეზობ-

რიობის საფუძველზე. მატერიალური სხეულების სიდიდე, ფორმა და რიცხვი, მათი მოძრაობა, რომელიც ხორციელდება მექანიკის კანონების საფუძველზე, შეადგენს სამყაროს ძირითად ელემენტებს. სამყაროს ყველა მოვლენა დაყვანილი უნდა იქნას ზუსტად გაზომვად რაოდენობრივ მიმართებებამდე და კავშირებამდე. სამყაროს კანონზომიერება შეიძლება გამოიხატოს მათემატიკით. მათემატიკა და მექანიკა საფუძვლად უდევს ყველა მეცნიერებას. „ბუნება წიგნია მათემატიკის ენაზე დაწერილი“ - აღნიშნავდა დიდი მეცნიერი. გალილეი ამთავრებს აღორძინების ეპოქის ნატურფილოსოფიას და აფუძნებს თავისი დროისათვის პროგრესულ მატერიალისტურ – მექანისტურ ბუნებისმეტყველებას.

რენესანსის ეპოქას, გარდა ჩვენს მიერ ზემოთაღნიშნული წარმომადგენლებისა, ყავდა არა ერთი შესანიშნავი მოაზროვნე, როგორიცაა: ნიკოლოზ მაკიაველი, თომას მიუნცერი, თომას მორი, თომაზო მაკიაველი, ნიკოლოზ კოპერნიკი, ლეონარდო და ვინჩი, თომაზიო კამპანელა და სხვები, რომელთა შეხედულებებმა ფილოსოფიურ და მეცნიერული აზროვნების სხვადასხვა სფეროში, დიდად განსაზღვრეს ახალი დროის ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები და პრინციპები.

თავი VI. ახალი დროის ფილოსოფია

§ 1. ეპოქის ზოგადი დახასიათება

ბურჟუაზიულ რევოლუციებს XVII-XVIII საუკუნეების ევროპის ქვეყნებში თან სდევდა მეცნიერული რევოლუცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატა რელიგიის ტყვეობიდან მეცნიერების გამოთავისუფლებაში. რელიგიის, როგორც ფეოდალიზმის იდეოლოგიის, წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლა აისახა იმ დროის ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. განვითარებად ბურჟუაზიას თავისი პოლიტიკური ბატონობისათვის სჭირდებოდა ძლიერი ეკონომიკური ბაზა, რომელიც მრეწველობაზე იქნებოდა დაყრდნობილი. თავის მხრივ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობასა და იქ პროდუქციის დამზადებას სჭირდებოდა საბუნებისმეტყველო ცოდნის სწრაფი განვითარება. ამ საზოგადოებრივმა მოთხოვნილებამ განსაზღვრა ცოდნის ისეთი დარგების განვითარება, როგორიცაა მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა. შ. ვაჭრობის ფართოდ გაშლა მოითხოვდა ნაოსნობის სწრაფ განვითარებას, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გეოგრაფიისა და ასტრონომიის მნიშვნელობის ზრდას.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რამდენადაც ისინი ნივთიერ, მატერიალურ სამყაროს მოვლენებს იკვლევდნენ, ხელს უწყობდნენ, ფილოსოფიაში მატერიალიზმის აღდგენასა და განმტკიცებას. მეორეს მხრივ, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა საზოგადოებრივ ცნობიერებაში ათეიზმს ამკვიდრებდა, რომლის თეორიულ საფუძველს მატერიალიზმი წარმოადგენს. XVII-XVIII საუკუნეებში აშკარად გამოიხატა მატერიალიზმისა და იდეალიზმის ურთიერთდაპირისპირება, რომელიც სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა. ეს გარემოება ითვლება ამ ეპოქის ფილოსოფიის ერთ-ერთ დამახასიათებელ ანუ სპეციფიკურ ნიშნად. მეორე ასეთ ნიშნად შეიძ-

ლება ჩავთვალოთ გნოსეოლოგიური პრობლემების წინ წამოწევა. ეს პროცესი განპირობებული იყო ბუნების შემეცნების საჭიროებით, რომელიც, სქოლასტიკური მეთოდისაგან განსხვავებით, კვლევის ახალ პრინციპებსა და მეთოდებს მოითხოვდა. ამ დროს ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი გნოსეოლოგიური მიმართულება ფილოსოფიაში: ემპირიზმი და რაციონალიზმი. ახალი ფილოსოფიის მესამე სპეციფიკური ნიშანი მდგომარეობს ადამიანის პრობლემების წინ წამოწევაში. გონება, თავისუფლება, აქტიურობა ხდება XVII-XVIII საუკუნეების ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები. ამ ეპოქის ფილოსოფიის მეოთხე სპეციფიკურ ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ მოთხოვნა „მეცნიერება არა მეცნიერებისათვის, არამედ ცხოვრებისათვის.“ „ცოდნა – ძალაა“, ფილოსოფია და მეცნიერება საშუალებაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს „ადამიანის ბატონობა ამ ქვეყანაზე“. ამისათვის კი საჭიროა ბუნების საიდუმლოებათა შემეცნება ადამიანის გონების მიერ, რაც უნდა განხორციელდეს მეცნიერული კვლევის ახალი მეთოდებით. ერთ-ერთი ასეთი მეთოდის შემომტანი და დამნერგავი მეცნიერებასა და ფილოსოფიაში იყო ინგლისელი მოაზროვნე ფრენსის ბეკონი.

§ 2. ფრენსის ბეკონი (1561-1626)

ფრენსის ბეკონი ცდისეულ მეცნიერებათა მამამთავარი და ახალი დროის მატერიალიზმის ფუძემდებელია. ბეკონის მტკიცებით ადამიანის ცოდნის საფუძველი ბუნებაა, ვისაც ბუნების შემეცნება სურს, ის მის ძალებს უნდა დაექვემდებაროს: „მხოლოდ მას შეუძლია დასძლიოს ბუნება, ვინც ბუნებას დაექვემდებარება და რაც თეორიაში იყო საფუძველი, შედეგი და მიზეზი, იგი პრაქტიკაში მოგვევლინება როგორც წესი, მიზანი და საშუალება“ – ამტკიცებს ბეკონი. ბუნება მატერიალურია, მატერიის ყველაზე მნიშვნელოვანი მოუცილებელი თვისება მოძრაობაა, თავისი მრავალი ფორ-

მით. ფორმა, ბეკონის აზრით, ფიზიკურ ასპექტში არის მატერიალური ნაწილაკის მოძრაობის სახე. ამ ნაწილაკებისაგან შედგება სხეული. მატერიალურია საგნის თვისებები. მატერია გრძნობად-აღქმადი, უსასრულოდ მრავალსახოვანი თვისებების ერთიანობაა. „ადამიანი ბუნების შემსრულებელი და განმმარტებელი, აფართოებს თავის ცოდნას და თავის საქმეს იმდენად, რამდენადაც მან დაკვირვებით ან განმსჯელობით გახსნა ბუნების საგანთა წესრიგი. ამაზე მეტი მან არაფერი იცის და არც შეუძლია“, ე. ი. ბუნების შემეცნება შეიძლება მის კანონებზე დაქვემდებარებით, კანონების აღმოჩენა კი – აზროვნებისა და დასაბუთების ახალი მეთოდით, რომელიც ლოგიკასა და ფილოსოფიაში ცნობილია ინდუქციის სახელწოდებით. ახალი მეთოდის პრინციპები ბეკონს გადმოცემული აქვს თავის შრომებში: „მეცნიერებათა ღირებულებისა და მათი გამოყენების შესახებ“ და „ახალი ორგანონი.“

ბეკონი აკრიტიკებს არისტოტელეს დედუქციურ ლოგიკას, მის მოძღვრებას სილოგიზმებზე და წერს, რომ „ეს ლოგიკა უფრო შეცდომების განმტკიცებას ემსახურება, ვიდრე ჭეშმარიტების აღმოჩენას, იგი უფრო მავნებელია, ვიდრე სასარგებლო. სილოგიზმი სრულიად არ გვეხმარება ძირითად მეცნიერულ დებულებათა არც აღმოჩენისა და არც გასინჯვის საქმეში. ტყუილად დავიწყებდით ჩვენ მასში აქსიომების აღმოჩენას. იგი ერთობ სუსტი და ერთობ უხეში იარაღია, რათა მისი დახმარებით ბუნების საიდუმლოებას ჩავწვდეთ. ამიტომ ერთადერთი იმედი არის მხოლოდ ნამდვილი ინდუქცია.“ ინდუქცია დასკვნის ისეთი სახეა, რომელშიც დანასკვი უფრო მეტი ზოგადობისაა, ვინემ წინამძღვრები, მასში აზროვნება მიიმართება ერთეულიდან ზოგადისკენ, საყოველთაოსკენ. ერთეული საგნებისა და მოვლენების შესწავლა კი ხდება ცდის, ექსპერიმენტის, დაკვირვების პროცესში. ამრიგად, ექსპერიმენტი და ინდუქცია შეადგენს ბუნების შესწავლის ახალი მეთოდის არსებით ნიშნებს ანუ ამ ცნების

შინაარსს. ბეკონი ემპირისტი ფილოსოფოსია, ე. ი. ისეთი ფილოსოფოსი, რომელიც შემეცნების ძირითად წყაროდ ემპირიას ანუ ცდას აღიარებს.

შემეცნების ახალი მეთოდის მიზანია ადამიანმა ბუნება ისე ასახოს, როგორც ის არსებობს მისგან დამოუკიდებლად. მაგრამ ამისთვის, თავის მხრივ, საჭიროა ადამიანის გონების განწმენდა სქოლასტიკური აზროვნების დანაშრევებისაგან, რომლებსაც ბეკონი იდოლებს ანუ მოჩვენებებს უწოდებს. იდოლა ოთხი სახისაა: გვარის, გამოქვაბულის, მოედნისა და თეატრის.

გვარის იდოლა ადამიანისათვის თანდაყოლილია. ბეკონის აზრით „მას თავის წყაროდ თვით ადამიანის ბუნება აქვს“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ბუნების მოვლენებს განიხილავს მიზნისა და წინასწარი განზრახვის თვალსაზრისით, ე. ი. ტელეოლოგიურად, როცა „რატომ“-ის ნაცვლად ისმება კითხვა „რისთვის“? ბეკონის მტკიცებით მიზნობრიობა ახასიათებს ადამიანს და არა ბუნებას, იგი უარყოფს ტელეოლოგიზმს. ბეკონი ადამიანის გონებას ადარებს მრუდ სარკეს, რომელშიც საგნები დამახინჯებულად მოჩანს. ადამიანის გონება უნდა განთავისუფლდეს ასეთი ცრუ რწმენისაგან.

მეორე იდოლა არის გამოქვაბულის იდოლა, რომელიც ახასიათებს პიროვნებას, დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მის ფსიქოლოგიურ ბუნებაზე, აღზრდაზე და ა. შ. ყოველი პიროვნება თითქოსდა თავისი გამოქვაბულიდან უყურებს ამ სამყაროს და აფასებს მას.

მესამე იდოლა იწოდება მოედნის იდოლად, რამდენადაც იგი წარმოიშვება მოედანზე თუ ბაზრებზე შეყრილი ადამიანების საუბრების, კამათისა და მსჯელობის პროცესში. ეს იდოლა ენის იდოლაა, რომელიც სიტყვების არასწორი გამოყენებისა და გაუგებრობის საფუძველზე იქმნება. სიტყვებთან ერთად ადამიანები შეუგნებლად ითვისებენ იმ ცრურწმენებს, რომლებიც წინა თაობებს ახასიათებდათ და

სიტყვებში გამოიხატება. ეს სიტყვები ცარიელია, მათ სინამდვილეში არაფერი არ შეესაბამება. მაგალითად, სამოთხე, ჯოჯოხეთი, ბედი და ა. შ. ბუნების შემმეცნებელი გონება ასეთი იდოლებისაგან უნდა განთავისუფლდეს.

მეოთხე იდოლა ეს არის თეატრის იდოლა. ბეკონი ფილოსოფიის ისტორიას ადარებს თეატრის სცენას, სადაც სხვადასხვა სპექტაკლი თამაშდება სხვადასხვა მსახიობების მიერ და მაყურებელს ექმნება წარმოდგენის ნამდვილობის ილუზია. სანამ ადამიანის აზროვნება ავტორიტეტული ფილოსოფოსების, კერძოდ არისტოტელესა და პლატონის მიერ შექმნილ დოგმებისაგან არ განთავისუფლებულა, მანამ ნამდვილი მეცნიერება ვერაფერს ვერ მიაღწევს და ადამიანი ბუნებაზე ვერ გაბატონდება.

ბეკონმა გაწმინდა ბუნების შემეცნებისაკენ მიმავალი გზა სქოლასტიური ცრურწმენების ხერგილებისაგან, მაგრამ არა მთლიანად. მის ნააზრევში ბევრია სქოლასტიციზმის გადმონაშთი, რის გამოც ფილოსოფიის ზოგიერთი ისტორიკოსი მას რენესანსის ხანას მიაკუთვნებს და არა ახალ ეპოქას. ბეკონის ფილოსოფიურ ნააზრევში მნიშვნელოვანია აგრეთვე მის მიერ მოცემული მეცნიერებათა კლასიფიკაცია, რომლის საფუძვლად აღებულია ადამიანის ისეთი უნარები, როგორიცაა მეხსიერება, წარმოსახვა და გონება. მეხსიერება ისტორიის საფუძველია, წარმოსახვა პოეზიისა და ხელოვნების, გონება კი ფილოსოფიის. თავის მხრივ ფილოსოფია იყოფა ბუნების ფილოსოფიად ანუ ფიზიკად და მათემატიკად, ადამიანზე მოძღვრებად და ღმერთზე მოძღვრებად ანუ თეოლოგიად.

§ 3. რენე დეკარტი (1596-1650)

XVII საუკუნის ერთ-ერთი მოაზროვნე რენე დეკარტი რაციონალისტი ფილოსოფოსია. რაციონალიზმი შემეცნების წყაროდ და მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმად გონებას მიიჩ-

ნევს. დეკარტი დაუპირისპირდა ბეკონის ემპირიზმს, მას ცდა (ემპირია) ინტელექტის მონაცემების პრაქტიკულად შემოწმების უბრალო საშუალებად მიაჩნდა.

დეკარტის ფილოსოფიაში ერთ-ერთი ფუნდამენტალურ ცნებას წარმოადგენს სუბსტანცია, რომელიც ღმერთია, ყველაფერი დანარჩენი მისი ქმნილებაა. ღმერთის ქმნილი სამყარო დეკარტმა თავის მხრივ დაყო ორი სახის სუბსტანციად – სულიერ და მატერიალურად. მატერიალური სუბსტანცია უსასრულოდ იყოფა, ხოლო სულიერი განუყოფელია. სუბსტანციები ხასიათდებიან შესაბამისი ატრიბუტებით. სუბსტანციის პრობლემას დეკარტი წყვეტდა დუალისტურად, ე. ი. ცნობდა ორი ურთიერთდამოუკიდებელი სუბსტანციის არსებობას, როგორც მატერიალურს, ასევე – იდეალურს. მატერიალური სუბსტანცია მას ესმოდა როგორც განფენილობა, ხოლო სულიერი სუბსტანცია როგორც აზროვნება. ორივე სუბსტანცია თავის მხრივ უმაღლეს სუბსტანციაზე ანუ ღმერთზეა დამოკიდებული. ღმერთი უსასრულო და დამოუკიდებელია, აზროვნება და განფენილობა (მატერიის) კი სასრულო. აზროვნებისა და მატერიის სუბსტანციებად აღიარება გულისხმობს იმას, რომ აზრი თავის არსებობისათვის არ საჭიროებს მატერიის არსებობას და პირიქით – მატერია აზრისას. ამ გარემოებას დეკარტის ფილოსოფიაში პრინციპულ დუალიზმს უწოდებენ. სული არის მხოლოდ მოაზროვნე და არა განფენილი, მატერია არის მხოლოდ განფენილი, მაგრამ არა მოაზროვნე.

დეკარტის მტკიცებით, აზროვნებას იმთავითვე გააჩნია იდეები, რომლებიც მიღებულია არა ცდისაგან, არამედ თანდაყოლილია. ასეთ იდეას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ღმერთის, როგორც ყოვლად სრულის იდეა, იგი არ არის წარმოშობილი არც გრძნობებისაგან, არც წარმოსახვისაგან და არც არარაობისაგან, სუბიექტს მისი არც შეცვლა შეუძლია და არც მოსპობა. დეკარტის სიტყვებით: „დარჩა მხოლოდ შესაძლებლობა, რომ ღვთაების იდეა ისევე თანდაყო-

ლილია, როგორც თანდაყოლილი იდეაა ჩემი საკუთარი მეობის იდეა.“ ასევე ადამიანის გონებისათვის თანდაყოლილია სხვა ძირითადი იდეებიც, რომელთა ჭეშმარიტებას დეკარტი ხედავდა მათ სიცხადესა და სინათლეში.

დეკარტის დუალიზმა განაპირობა მის მიერ მატერიალისტური ფიზიკის, როგორც განფენილ სუბსტანციაზე მოძღვრების, ასევე იდეალისტური ფსიქოლოგიის, როგორც მოაზროვნე სუბსტანციის შესახებ მოძღვრების შექმნა. მათ შორის გამაერთიანებელი რგოლი დეკარტის აზრით, არის ღმერთი, რომელსაც „პირველი ბიძგის“ სახით მასში შეაქვს მოძრაობა, რის შემდეგაც მატერიალური სამყარო მოქმედებს მხოლოდ მექანიკის კანონების საფუძველზე, დეკარტმა პირველმა გააიგივა ბუნება განფენილობასთან და შექმნა მისი როგორც გიგანტური მექანიკური სისტემის გაგება.

დეკარტის მოძღვრებაში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის მეთოდის პრობლემა, მეთოდისა, რომლის საფუძველზე დედუქციური წესით აიგებოდა მთელი ფილოსოფიური სისტემა. სისტემის საწყისი უნდა იყოს აქსიომატური, ანუ უეჭველი დებულება, რომლისაგანაც შესაძლებელი გახდება ასევე უეჭველი სხვა დებულებათა გამოყვანა. დეკარტის აზრით ადამიანმა შეიძლება ეჭვი შეიტანოს ყველაფერში, თვით საკუთარ არსებობაშიც – კი, მაგრამ რამდენადაც მეტს ეჭვიანობს იგი, მისთვის მით უფრო უეჭველი ხდება ამ ეჭვიანობის პროცესი. ეჭვიანობა აზროვნებაა, აზროვნებს კი ადამიანი, რომელიც არსებობს. აქედან გამომდინარეობს დეკარტის დებულება: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ.“ სტატუსი, რომლისაგანაც შეიძლება აიგოს ფილოსოფიური სისტემა, ამ გამოსავალი პუნქტის ჭეშმარიტება გარანტირებულია ღმერთის მიერ, რომელმაც ადამიანში ჩადო გონების ბუნებრივი სინათლე, რომელიც თავის მხრივ, განსაზღვრავს აზრის სიახლეს და გარკვეულობას, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმს. აზრის სიცხადე და ჭეშმარიტება ერთი და იგივეა. ჭეშმარიტების კრიტერიუმი დეკარტესთან რაციონალურია.

§ 4. თომას ჰობსი (1588-1679)

თომას ჰობსი XVII საუკუნის ინგლისური მატერიალიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია.

ჰობსის მატერიალიზმი, უპირველეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ მისი აზრით, სამყარო სხეულთა ერთობლიობაა, უსხეულო არაფერ არ არსებობს, თვით სუბსტანციაც კი, ე. ი. ჰობსი უარყოფს სულიერი სუბსტანციის არსებობას და აღიარებს მხოლოდ მატერიალურ, სხეულებრივ სუბსტანციას. ჰობსის მტკიცებით, აზროვნება მატერიისაგან მოუწყვეტელი თვისება ანუ მისი ატრიბუტია. ამასთანავე მატერია მოძრავ და ყოველგვარ ცვლილებათა საფუძველია. სხეულთა მოძრაობა კი მექანიკური კანონებით ხდება. ცოდნა არის სუბიექტის გრძნობის ორგანოებზე მოქმედი საგნების ასახვა, რომელიც მხოლოდ იმდენად არის ღირებული, რამდენადაც მას რეალურ საფუძვლად სხეული აქვს.

მატერიალური სამყარო ცალკეული ერთეული საგნებისა და მოვლენებისაგან შედგება. ჰობსი უარყოფს ზოგადის არსებობას და ნომინალიზმის პოზიციებისაკენ იხრება (ნომინალიზმის მტკიცებით ზოგადი რეალურად არ არსებობს, ის მხოლოდ ცარიელი სიტყვაა). ჰობსი ემპირისტი ანუ სენსუალისტი ფილოსოფოსია, მისი მტკიცებით „არ არსებობს ადამიანის გონებაში არც ერთი ცნება, რომელიც არ იყოს თავდაპირველად, მთლიანად ან ნაწილობრივ შეგრძნებების ორგანოებში წარმოშობილი.“ შეგრძნებების გარეშე არ არსებობს არც წარმოდგენები, არც მეხსიერება და არც სუბიექტის ცნობიერების სხვა უნარი.

ჰობსის ნააზრევში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ. მისი მტკიცებით სახელმწიფო წარმოიშვა საზოგადოების წევრ ადამიანთა შორის ურთიერთშეთანხმების შედეგად, რომლის მიზანი იყო თვითეული მათგანის დაცვა სხვათა მიმძლავრებისაგან. ჰობსი

სახელმწიფო ხელისუფლების ყველაზე სრულყოფილ ფორმად აბსოლუტურ მონარქიას თვლიდა.

§ 5. ჯონ ლოკი (1632-1704)

ლოკი ინგლისური მატერიალიზმისა და სენსიუალიზმის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია, რომელმაც გაილაშქრა დეკარტის რაციონალიზმის წინააღმდეგ. ლოკი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ, ჯერ ერთი, თანდაყოლილი იდეები არ არსებობენ, ასე რომ იყოს ბავშვებსაც უნდა ჰქონდეთ იგივეობის, სხვაობის, წინააღმდეგობის, შესაძლებლობის და ა. შ. ცნებები, მაგრამ ეს ასე არ არის. თვით ღმერთის წარმოდგენაც კი არ არის თანდაყოლილი, რადგანაც ის ყველა ტომს როდი ჰქონდა. მეორე. ჭეშმარიტების საზომი ანუ კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს წარმოდგენის (ცნების) სიცხადე და სინათლე, როგორც ამის დასაბუთებას დეკარტი ცდილობდა. ლოკის მტკიცებით, ცნების სიცხადიდან არ გამომდინარეობს ამ ცნებით აღნიშნული საგნის არსებობა. ყოვლად სრული არსების – ღმერთის ცნების სიცხადე ჯერ კიდევ არ ამტკიცებს ღმერთის რეალურ არსებობას.

იდეების თანდაყოლილობის უარსაყოფად ლოკს დასჭირდა, უპირველეს ყოვლისა, გამოეკვლია შემეცნების წარმოშობის, მისი საზღვრის, მოცულობის, შინაარსისა და პირობების საკითხის დაყენება, ე. ი. წამოეწია ფილოსოფიაში შემეცნების ანუ გნოსეოლოგიური პრობლემები. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა საკითხი იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანის შემეცნება შესამეცნებელ საგნებთან. ლოკი ამ საკითხს მატერიალისტურად წყვეტს, იგი აღიარებს ამ საგნების ობიექტურ ანუ შემეცნების, აზროვნებისაგან მათ დამოუკიდებელ არსებობას.

ლოკის მტკიცებით შემეცნების ერთადერთი წყარო შეგრძნებებია, რომელსაც იგი ცდას უწოდებს. ადამიანი არ იბადება მზა იდეებით, ბავშვის გონება სუფთა დაფაა, რო-

მელზედაც ცხოვრება წერს ცოდნას. ლოკი აყენებს კითხვას: „საიდან იღებს გონება თავისი განსჯისა და ცოდნისათვის მასალას? ამაზე მე ვპასუხობ ერთი სიტყვით: ცდისაგან. ცდაზეა დაფუძნებული მთელი ჩვენი ცოდნა, ბოლოს და ბოლოს ის სწორედ ცდისაგან მიიღება.“ „არაფერია გონებაში ისეთი, რომელიც ადრე არ ყოფილა შეგრძნებებში“ – ასეთია ლოკის გნოსეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი დებულება.

შეგრძნებები მიიღება ჩვენს გრძნობის ორგანოებზე გარეშე საგნების ზემოქმედებით. ამაში მდგომარეობს გარეგანი ცდა, იგი არის გრძნობადი აღქმა ანუ სენსაციო. შინაგანი ცდა კი (რეფლექსიო) წარმოადგენს თვითდაკვირვებას აზროვნებაზე, რწმენაზე, შემეცნებაზე და ა. შ. მათი გაცნობიერებით მიიღება იდეები, რომლებიც განსხვავდება გარეგანი ცდით მიღებული იდეებისაგან. გარეგანი ცდა აძლევს სათანადო მასალას შინაგან ცდას, მათ საფუძველზე გონებაში წარმოიშვება მარტივი იდეები. თვითონ გონებას არ შეუძლია შექმნას მარტივი იდეები, მაგრამ შეუძლია მათი შეერთება და რთული იდეების შექმნა. რაციონალიზმის გავლენით ლოკი უშვებს, რომ ბუნებას ახასიათებს რაღაც სპონტანური, ცდისაგან დამოუკიდებელი ძალა, რომ რეფლექსია გარეგანი ცდის გარეშე წარმოშობს არსებობის, დროის, რიცხვის იდეებს.

ლოკი სიცხადის ხარისხის მიხედვით განასხვავებს ცოდნის სამ საფეხურს: სენსორულს ანუ გრძნობადს, დემონსტრაციულს ანუ რაციონალურს და ინტუიციურს. პირველი იძლევა ერთეული საგნების ცოდნას, მეორე – უფრო მაღალ ცოდნას ცნებათა შედარებისა და მიმართულების დადგენის საფუძველზე, მესამე – უმაღლეს ცოდნას იდეათა შესაბამისობა ან შეუსაბამობის შესახებ.

საყურადღებოა ლოკის მოსაზრება საგანთა პირველადი და მეორადი თვისებების შესახებ. პირველადს ლოკი უწოდებს იმ თვისებებს, რომლებიც ახასიათებს თვით საგნებს, მათგან მოუცილებადი არიან. ლოკი მათ უწოდებს რეალურ

თვისებებს, ასეთია შეუვალობა, ფიგურა, მოძრაობა (უძრაობა) და რიცხვი ანუ რაოდენობა. პირველადი თვისებების იდეები ამ თვისებათა ასლია. მეორად თვისებებს ლოკი უწოდებს იმ თვისებებს, რომლებიც ჩვენ გვგონია რომ საგნებს ახასიათებს, მაგრამ ნამდვილად მათ არ გააჩნიათ. ასეთებია: ფერის, სუნის, გემოს და სხვა მსგავსი იდეები. ასეთი შეგრძნებების გამომწვევი უნარი თვით საგნებშია.

ლოკი დეისტი ფილოსოფოსია ე. ი. მას ღმერთის არსებობა გამოყავს ბუნების მიზანშეწონილობიდან, დიდად მნიშვნელოვანია ლოკის აზრები აღზრდის შესახებ, ის პედაგოგიკური აზროვნების ერთ-ერთი თეორეტიკოსია.

§ 6. ბენედიქტე სპინოზა (1632-1667)

სპინოზა, დეკარტესა და ლაიბნიცთან, ერთად კლასიკური რაციონალისტური სკოლის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. მან შექმნა, გრანდიოზული რაციონალისტური სისტემა.

სპინოზას ფილოსოფიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მოძღვრებას სუბსტანციის, ატრიბუტებისა და მოდუსების შესახებ. თუ დეკარტი აღიარებდა ორი სუბსტანციის – მატერიალურისა და სულიერის არსებობას, სპინოზას აზრით არსებობს მხოლოდ ერთი სუბსტანცია. რა არის სუბსტანცია? ამ კითხვაზე სპინოზა ასე პასუხობს: „სუბსტანციის ქვეშ მე მესმის ის, რაც არსებობს თავისთავად და რაც წარმოიდგინება თავისთავის საშუალებით, ე. ი. ის, რისი წარმოდგენა არ საჭიროებს სხვა საგნის წარმოდგენას, რომლისაგანაც ის უნდა აიგოს.“ ამრიგად, სუბსტანცია ისეთი რამეა, რომელსაც თავისი არსებობის მიზეზი საკუთარ თავში აქვს. „თავისთავის მიზეზში მე მესმის ის, რისი არსებაც საკუთარ თავში შეიცავს არსებობას, სხვა სიტყვებით – ის, რისი ბუნებაც წარმოიდგინება, როგორც არსებული.“ სპინოზას სუბსტანცია არის თავისთავის მიზეზი ანუ „კაუზა სუი.“

სპინოზა ამ სუბსტანციის შესახებ ამტკიცებს, რომ ის არის ღმერთი ანუ ბუნება. ეს დებულება ორაზროვანია: თუ ბუნებას გავიგებთ, როგორც ღმერთს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ სპინოზა იდეალისტია, ხოლო თუ ღმერთს გავიგებთ როგორც ბუნებას, მაშინ სპინოზა მატერიალისტად ჩაითვლება. სწორედ ასე გაიგეს მისმა მოწინააღმდეგეებმა და სპინოზა ებრაული თემიდან მოკვეთეს. სპინოზა მატერიალისტად მიაჩნდათ ფრანგ მატერიალისტებს, ფოირბახს, მარქსსა და ენგელსს, ხოლო იდეალისტად – ჰეგელს და სხვ.

მიუხედავად იმისა, თუ როგორია დებულების – „ღმერთი ანუ ბუნება“ – გაგება, ერთი რამ ცხადია, რომ სპინოზამ უარყო ღმერთის ტრადიციული გაგება, როგორც პიროვნული უზენაესი არსებისა, რომელიც ბუნების მიღმა დგას, ტრანსცენდენტურია და ბუნებას კარნახობს თავის ნებას. სპინოზამ ღმერთი თვით ბუნებაში მოათავსა, იგი ბუნებისათვის იმანენტური ანუ შინაგანია. კიდევ მეტი, სპინოზამ ღმერთი და ბუნება ერთმანეთთან გააიგივა. ამას კი ფილოსოფიაში პანთეიზმი ეწოდება. სპინოზას პანთეისტად მიიჩნევენ ისეთი ცნობილი ფილოსოფიის ქართველი ისტორიკოსები, როგორიც არიან: კ. ბაქრაძე და მ. ჭელიძე, ხოლო მ. გოგიბერიძის აზრით სპინოზა მონისტი მატერიალისტი და ათეისტია. სპინოზას პანთეიზმი, დავძენთ ჩვენ, არის წინ გადადგმული ნაბიჯი მატერიალიზმისა და ათეიზმისაკენ, რის გამოც მას სასტიკად დაუპირისპირდნენ მისი თანამედროვე თეოლოგები.

სუბსტანცია ხასიათდება ატრიბუტებით ანუ განუყრელი, მოუშორებელი თვისებებით. სუბსტანციის ატრიბუტთა რიცხვი უსასრულოა, რამდენადაც უსასრულოა თვით სუბსტანცია, მაგრამ ამ უსასრულოდ მრავალ ატრიბუტთაგან ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ორი – განფენილობა და აზროვნება. თავის მხრივ განფენილობა და აზროვნება გამოვლინდება მოდუსებში „მოდუსის ქვეშ მე მესმის სუბსტანციის აფექციები (გამოვლენანი), ანუ ის, რაც რომელიმე სხვაშია

და ამით იქნება შემეცნებული.“ აზროვნების ატრიბუტის მთავარი მოდუსებია: გონება და ნება, ხოლო განფენილობისათვის – მოძრაობა და უძრაობა. მოდუსთა ანუ ცალკეულ სასრულო საგანთა ერთობლიობას სპიზონა უწოდებს წარმოებულ ბუნებას ანუ „ნატურა ნატურატას“, ხოლო სუბსტანციას – მწარმოებელ ბუნებას ანუ „ნატურა ნატურანს“-ს, პირველი მეორის გამოვლინებაა.

სპინოზას შემეცნების თეორია ეყრდნობა გნოსეოლოგიის კლასიკურ დებულებას: „იდეების რიგი და წესწყობა იგივეა საგნების რიგისა და წესწყობისა.“ ეს ფორმულა შეიძლება მატერიალისტურადაც იქნეს გაგებული და იდეალისტურადაც. სპინოზას იგი მატერიალისტურად ესმის, რამდენადაც მისი აზრით, ის, რაც აზროვნებაში ობიექტურად მოცემულია, აუცილებლად ბუნებაში უნდა იყოს მოცემული.“ სინამდვილის შემეცნებას, სპინოზას აზრით, სამი საფეხური აქვს. პირველი ეყრდნობა გრძნობად მონაცემებს, მეორე – გონების მოღვაწეობას, მესამე – ინტუიციას. რამდენადაც აზროვნება სუბსტანციის ანუ ბუნების ატრიბუტია, სპინოზას მიხედვით, მთელი ბუნება მოაზროვნეა („ქვაც კი აზროვნებს“), მაგრამ სხვადასხვა ხარისხით. სპინოზა ვერ ამაღლდა იმის გაგებამდე, რომ აზროვნება მხოლოდ უმაღლესად ორგანიზებული მატერიის – ტვინის თვისებაა.

სპინოზას, მიუხედავად მისი ფილოსოფიის რიგი ნაკლოვანებებისა, თავისი შეხედულებებით უდიდესი დამსახურება მიუძღვის საკაცობრიო აზროვნების წინაშე.

§ 7. გოტფრიდ ლაიბნიცი

ცხოვრება და მოღვაწეობა. გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი XVII საუკუნის უდიდესი გერმანელი იდეალისტი ფილოსოფოსია. დაიბადა 1646 წელს ქალაქ ლაიბნიცში. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი ნიჭით, 15 წლის ის უკვე უნივერსიტეტის სტუდენტია. 17 წლისამ და-

იცვა ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხი, 21 წლის ლაიბნიცი სამართლის დოქტორია. 20 წლისამ ჩამოაყალიბა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის ძირითადი პრინციპები. მისი თეორიული ინტერესის სფეროს წარმოადგენდა არა მარტო ფილოსოფია, არამედ ლოგიკა, თეოლოგია, სამართალი, ფიზიკა, მედიცინა, ისტორია და ფილოლოგია; პრაქტიკულ საქმიანობაში სამთამადნო საქმე, პოლიტიკური რეფორმები, ფინანსები, საკანონმდებლო საქმიანობა, ოპტიკა, ტრანსპორტის პრობლემები, კათოლიციზმსა და პროტესტანტიზმის შორის დაპირისპირების მოხსნისა და მათი შერიგების საკითხები, სამეცნიერო საზოგადოებათა დაარსება, მისი უშუალო ინიციატივით დაარსდა ბერლინისა და დრეზდენის მეცნიერებათა აკადემიები. მანვე შეუქმნა პეტრე I-ს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის პროექტი. გარდაიცვალა ლაიბნიცი 1716 წელს, მისი მფარველებისა და მეგობრებისაგან მივიწყებული. მაშინდელმა ჩამორჩენილმა გერმანიამ თავისი გენიალური შვილი არამც თუ სათანადოდ ვერ დააფასა, არამედ მომავალ თაობას მისი საფლავი ვერ შემოუნახა.

შრომები. ლაიბნიცის ძირითად შრომებად ითვლება: „განაზრებანი მეტაფიზიკაზე“ (1685), „ბუნების ახალი სისტემა“ (1695), „ახალი გამოკვლევები ადამიანის გონების შესახებ“ (1704), „თეოდიცეა“ (1710) და „მონადოლოგია“ (1714). ლაიბნიცს ეკუთვნის 15 000-ზე მეტი წერილი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ლაიბნიცის, როგორც მოაზროვნის, ყოველმხრივი დახასიათებისათვის. გერმანიის მეცნიერებათა აკადემიამ ჯერ კიდევ 1923 წ-ს დაიწყო მისი ნაშრომების სრული კრებულის 40 ტომეულის გამოცემა, რომელიც ჯერაც არ არის დასრულებული, ქართულად თარგმნილია მისი „მონადოლოგია.“

ლაიბნიცმა, რომელსაც არ აკმაყოფილებდა არც დეკარტის სუბსტანციონალური დუალიზმი და არც სპინოზას მოძღვრება ერთადერთ სუბსტანციაზე ანუ მისი მონიზმი,

მათ დაუპირისპირა თავისი სუბსტანციონალური პლურა-ლიზმი – მოძღვრება სუბსტანციათა სიმრავლეზე. სუბსტან-ციებს ლაიბნიცი უწოდებს „მონადებს". „მონოს" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს "ერთეულს," „ერთიანს". ლაიბნიცის მი-ხედვით მონადა, მსგავსად დემოკრიტეს ატომისა, დაუნაწევ-რებელი, განუყოფელია, რამდენადაც ის ისეთი მცირე სიდი-დეა, რომელსაც თავისი შემადგენელი ნაწილები არა აქვს. თუ დემოკრიტეს ატომი მატერიალურია, ლაიბნიცის მონადა სულიერი ფენომენია. ლაიბნიცის მტკიცებით ატომი, რო-გორც მატერიალური, აუცილებლად განფენილია, ხოლო რაც განფენილია, ის ვრცეულია და ამდენად უსასრულობამ-დე გაყოფადი. მონადა, როგორც სულიერი ატომი, განუყო-ფელი ერთეულია. ყოველი საგანი სუბსტანცია ანუ მონადაა, მაშასადამე, მათი სიმრავლე უსასრულოა, მონადა არის ბა-ზისური ელემენტი, რომლისგანაც შედგება სამყარო. მონა-დებს აქვთ ცნობიერება, რომელიც სხვადასხვა ხარისხით და-მახასიათებელია ყოველი არსებულისათვის, დაწყებული არაორგანული სხეულებით და დამთავრებული ადამიანის სულით. ამრიგად, მონადები წარმოადგენენ გარკვეული იე-რარქიის ნაწილებს. ამავე დროს ცალკეული მონადა არ გა-ნიცდის გავლენას სხვა მონადის მხრივ, მონადებს არა აქვთ არც ფანჯრები და არც კარები მათში შესაღწევად, ისინი შე-უვალნი არიან. თვითოეულს აქვს თავისი ინდივიდუალობა და ამით განსხვავდება მეორე მონადისაგან. მონადების ბუ-ნებრივი ცვალებადობა მათი შინაგანი პრინციპებისაგან წარმოსდგება, რომელიც თავის მხრივ არის წარმოდგენა, ე. ი. ცნობიერება. თითოეული მონადა, გვასწავლის ლაიბნიცი, არის „ცოცხალი სარკე რომელიც მთელ უნივერსუმს თავის თავში წარმოადგენს." მონადათა იერარქიაში უმაღლესი ანუ ცენტრალური მონადა არის ღმერთი, რომელიც ყოველივე არსებულის საკმაო საფუძველია. ღმერთი აწესებს კორელა-ციას (შესაბამისობას) სულიერ და სხეულებრივ მდგომარეო-ბათა შორის. სწორედ ამაში გამოიხატება სამყაროს ტელეო-

ლოგიური ასპექტი. მთელი სამყარო ღმერთის მიერ წინასწარ მოწყობილი ჰარმონიის შედეგია.

§ 8. ჯორჯ ბერკლი (1685-1743)

ცხოვრება და მოღვაწეობა. ჯორჯ ბერკლი დაიბადა 1685 წელს ირლანდიაში, წარმოშობით იყო ინგლისელ დიდგვაროვანთა წრიდან. 15 წლის შევიდა დუბლინის სასულიერო უნივერსიტეტში, ეწაფება იმდროინდელი მოაზროვნეების – ბეკონის, დეკარტის, ჰობსის, ლოკის ფილოსოფიას. 1707 წელს იღებს მაგისტრის სამეცნიერო წოდებას. ახალგაზრდობაში ბევრს მოგზაურობდა, იყო საფრანგეთში, იტალიაში, 1728 წელს კი მიემგზავრება ამერიკაში, რათა ისლანდიაში ქრისტიანობა დაამკვიდროს. ამერიკელ აბორიგენთა მღვდლების მოსამზადებლად ცდილობს გახსნას სათანადო სასწავლებელი, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და 1731 წელს ევროპაში ბრუნდება. სამი წლის შემდეგ მას კლოინში ეპისკოპოსად ნიშნავენ, სადაც მოღვაწეობდა 1743 წლამდე. გარდაიცვალა იმავე წელს ოქსფორდში.

ძირითადი შრომები: „ტრაქტატი ადამიანური შემეცნების პრინციპების შესახებ“ (1710) და „სამი საუბარი ჰილასსა და ფილონუსს შორის“ (1713).

ბერკლი ახალი დროის სუბიექტური იდეალიზმის პირველი კლასიკური წარმომადგენელია, რომელმაც ახალგაზრდობიდანვე მიზნად დაისახა შეურიგებელი ბრძოლა მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ, როგორც ფილოსოფიაში, ასევე მეცნიერებაში. მან სწორად განსაზღვრა, რომ მატერიალიზმის გასანადგურებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო მისი საყრდენი ცნების – მატერიის უკუგდება, რათა მთელი მატერიალიზმისა და მასზე დაფუძნებული ათეიზმის შენობა ერთიანად დანგრეულიყო. ამისათვის მან ისარგებლა ლოკის ფილოსოფიის ნაკლოვანებებით. როგორც ცნობილია, ლოკი აღიარებდა მატერიალური, ნივთიე-

რი სუბსტანციის არსებობას, რომელსაც თავის მხრივ გააჩ-ნია პირველადი (განფენილობა, ფორმა, სიმაგრე) და მეორა-დი (ფერი, სუნი, გემო) თვისებები. პირველადი თვისებები, ლოკის აზრით ობიექტური ხასიათისაა, ხოლო მეორადი – სუბიექტური. ბერკლის მტკიცებით ყველა თვისება სუბიექ-ტურია, რამდენადაც ისინი ჩვენს ცნობიერებაშია მოცემუ-ლი. ადამიანის ცოდნის წყარო შეგრძნებებია – ამბობს ბერ-კლი და ამით აგრძელებს ინგლისური ემპირიზმის გზას, მაგ-რამ მატერიალისტური ემპირიზმიდან გადადის იდეალის-ტურ ემპირიზმზე და ცდილობს დაამტკიცოს, რომ შეგრძნე-ბების გამომწვევი მიზეზი ცნობიერებისაგან დამოუკიდებ-ლად არსებული მატერია ანუ სუბსტანცია კი არ არის, არა-მედ თვით სუბიექტის ცნობიერება. მატერია, ბერკლის მტკი-ცებით, ცარიელი სიტყვაა, რამდენადაც ის ცნებაა, ცნება კი ზოგადია, ზოგადი კი არ არსებული. ბერკლი ნომინალისტია, იგი უარყოფს განყენებული ზოგადის არსებობას, ასეთად მას მატერიის ცნება მიაჩნია. ბერკლს ავიწყდება ან განზრახ ივიწყებს, რომ ყოველი ზოგადი შემეცნების პროცესში გან-ყენების ანუ აბსტრაქციის შედეგია, რომ მის მიერ აღიარე-ბული ღმერთის იდეაც ზოგადია.

ბერკლის მტკიცებით, ყოველი მატერიალური საგანი უნაშთოდ იშლება მის თვისებებზე, თვისებები კი იმდენად არსებობენ, რამდენადაც არსებობს მათი აღმქმელი სუბიექ-ტი. აქედან ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „საგნის არსებობა უდრის მის აღქმას“, აღქმა კი შეგრძნებათა კომპლექსია, მათი ჯამია. აღმქმელი კი შეიძლება იყოს სუბიექტი ან სუბიექტები ან კიდევ ღმერ-თი, როგორც უმაღლესი სუბიექტი, როგორც ჩვენი შეგრძნე-ბების გამაერთიანებელი ძალა. სამყარო ღმერთის შეგრძნე-ბათა კომპლექსია.

ღმერთის არსებობის აღიარებით ბერკლი სუბიექტური იდეალიზმის პრინციპებიდან ობიექტური იდეალიზმის პო-ზიციაზე გადადის და ამით სოლიპსიზმს თავს აღწევს (სო-

ლიპსიზმი აღიარებს ერთადერთი შემმეცნებელი სუბიექტის არსებობას, დანარჩენი ყველაფერი მისი მოჩვენებაა), მაგრამ მის ფილოსოფიაში საგრძნობ წინააღმდეგობას ჰქმნის. თუ ბერკლი მატერიის ცნებას მისი ზოგადობის საფუძველზე უარყოფდა, ღმერთიც როგორც იდეა ზოგადია და ამიტომ მისი არსებობის აღიარების უფლება მას არ ჰქონდა.

ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის ეს შინაგანი წინააღმდეგობა ადვილად შენიშნა მეორე ინგლისელმა სუბიექტურმა იდეალისტმა დევიდ ჰიუმმა და ის მკაცრად გააკრიტიკა.

§ 9. დევიდ ჰიუმი (1711-1776)

ცხოვრება და მოღვაწეობა. ჰიუმი დაიბადა 1711 წელს ქ. ედინბურგში, შოტლანდიის დედაქალაქში, ნაკლებად შეძლებული მემამულის ოჯახში. ედინბურგის უნივერსიტეტში ის გატაცებული იყო ფილოსოფიითა და ლიტერატურით და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა თავისი სპეციალობის – იურისპრუდენციის შესწავლას. მას შემდეგ, რაც იურიდიული პრაქტიკასა და კომერციულ საქმიანობაში ხელი მოეცარა, სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც რამდენიმე წელი დაჰყო. მეორედ, 1763-1766 წ.წ. ჰიუმი პარიზშია. აქ ის გაეცნო ფრანგ ენციკლოპედისტებს (დალამბერს, ჰელვეციუსს, დიდროს და სხვ.), რომლებმაც თავიანთი იდეებით გარკვეული გავლენა მოახდინეს ჰიუმზე. ჰიუმმა ძალიან ახალგაზრდამ სცადა ჩამოეყალიბებინა თავისი ფილოსოფიური შეხედულებანი გარკვეულ სისტემად. ის 30 წლისაც არ იყო, როცა გამოაქვეყნა თავისი პირველი სერიოზული ნაშრომი: „ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ“ (1739). ავტორის იმედი, რომ ეს ნაწარმოები მკითხველ საზოგადოებაში სენსაციას გამოიწვევდა, არ გამართლდა, მაგრამ ამის გამო მას გული არ გასტეხია. 1748 წელს გამოსცა „გამოკვლევა ადამიანური შემეცნების შესახებ“, ხოლო 1751

წელს – „გამოკვლევა მორალის პრინციპებზე“, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიწვიეს მისი ფილოსოფიისადმი.

მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ისეთი შრომები, როგორიცაა: „ინგლისის ისტორია“, „პოლიტიკური საუბრები“, „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“. რელიგიის საკითხებში სამღვდელოება ჰიუმს ზედმეტ რადიკალად და ათეისტადაც კი თვლიდა, ამის გამო მას პროფესორობა არ ეღირსა და სახელმწიფო სამსახურში შევიდა. გარდაიცვალა 1776 წელს.

ჰიუმი არის ინგლისური ემპირიზმის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელი ლოკსა და ბერკლთან ერთად. ემპირიზმი არის ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც მეტად აზვიადებს, ააბსოლუტებს ცდისეულ ცოდნას და აშკარად ამცირებს თეორიული შემეცნების შესაძლებლობებს. ლოკის მატერიალისტური ემპირიზმისაგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ ცდა წარმოადგენს შემმეცნებელი სუბიექტის გრძნობის ორგანოებზე ობიექტურად არსებული საგნების ზემოქმედების შედეგს, ასევე ბერკლისაგან განსხვავებით, რომელიც ამტკიცებდა, რომ იდეები, შეგრძნებები თვითონ არის რეალობა, ჰიუმი სკეპტიკურად უყურებს ობიექტური რეალობის არსებობის პრობლემას.

ჰიუმის მტკიცებით, ცდა – ეს არის შეგრძნებები, აღქმები, წარმოდგენები, ე. ი. ფსიქიკური მოვლენები. რით არიან ისინი გამოწვეული, როგორია მათი მიზეზები, საიდან მომდინარეობენ ცდაში მოცემული იდეები, ეს ჩვენთვის გაუგებარია. „რის საფუძველზე შეიძლება დავამტკიცოთ, რომ აღქმები ჩვენს გონებაში უნდა იყოს წარმოშობილი გარეშე საგნებისაგან... და არა გამოწვეულნი არიან ან თვით გონების ენერგიისაგან, ან სხვა რომელიმე მიზეზით“ – წერდა იგი.

რაც შეეხება მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, ჰიუმი უარყოფს მათ შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის შესაძლებლობას, რამდენადაც, როგორც სენსუალისტი, ის ფიქრობს, რომ გონებაში არაფერი ისეთი არ შეიძლება არსებობდეს, რაც შეგრძნებებში არ არის მოცემული. მიზეზ-შედეგობრივი კავში-

რი კი არსებითი მიმართებაა ორ მოვლენას შორის, რომელი მიმართებაც, როგორც ზოგადი, შეგრძნებებში არ ეძლევა შემმეცნებელ სუბიექტს. ამიტომაც, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ობიექტურ არსებობაზე ფილოსოფოსს გადაჭრით არაფრის თქმა არ შეუძლია, ის შეიძლება არსებობდეს ან არ არსებობდეს მისგან დამოუკიდებლად. ადამიანი ვერ გადალახავს თავისი ფსიქიკის საზღვრებს და ვერ შეიცნობს მის მიღმა არსებულ ტრანსცენდენტურ რეალობას; ყოველი ცოდნა მხოლოდ და მხოლოდ ცდას შეიძლება ეყრდნობოდეს. ობიექტური სამყარო, თუ ის არსებულია, პრინციპულად შეუცნობადია, ასკვნის ჰიუმი და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი აგნოსტიციზმი.

ამრიგად, ჰიუმის აზრით, მხოლოდ შეგრძნებებია უპირობო რეალობა, რომლის გარეშეც არავითარი სხვა რეალობა არ შეიძლება არსებობდეს ცოდნის თვალსაზრისით. გარეშე სამყაროს არსებობის საკითხი პრინციპში გადაუწყვეტელია.

თავის შრომაში „რელიგიის ბუნებრივი ისტორია“ ჰიუმი ცდილობს დაასაბუთოს, რომ რელიგიის პირვანდელი ფორმა იყო პოლითეიზმი (მრავალღმერთიანობა) და არა მონოთეიზმი (ერთღმერთიანობა), უარყოფს სასწაულების არსებობის შესაძლებლობას. რელიგია, ჰიუმის მტკიცებით, შენდება არა გონებაზე, არამედ გრძნობაზე. გონების თვალსაზრისით ღმერთი, ისევე როგორც სუბსტანცია, არ არსებობს, მაგრამ გრძნობის და რწმენის თვალსაზრისით ღმერთის არსებობა დასაშვებია და თვითონ სკეპტიკოსსაც შეუძლია იყოს მორწმუნე.

ჰიუმის ნაწარმოებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ისეთ გენიალურ მოაზროვნეზე, როგორიც იყო იმანუელ კანტი.

§ 10. ფრანგი მატერიალისტები

XVIII საუკუნის საფრანგეთში ჩამოყალიბდა მატერიალიზმის ძლიერი სკოლა, რომლის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები არიან ლამეტრი, ჰოლბახი, დიდრო და ჰელვეციუსი.

ჟიულენ ოფრე დე-ლამეტრი დაიბადა 1709 წლის 25 დეკემბერს. ჯერ თეოლოგიას სწავლობდა კოლეჯში, შემდეგ პარიზში – ლოგიკას, ფიზიკას, ხოლო ერთი წლის შემდეგ მედიცინას. 1728 წელს ხდება ექიმი და მთელი ხუთი წელი ეწეოდა სამედიცინო პრაქტიკას, მსახურობდა პოლკის ექიმად გვარდიაში, შემდეგ სამხედრო ლაზარეთში. იგი თავის პირველსავე ფილოსოფიურ ნაწარმოებებში გამოდის როგორც აშკარა ათეისტი, რის გამოც მისი წიგნი სამღვდელოებამ დაწვა. საფრანგეთში მუდმივი დევნის გამო დარჩენა შეუძლებელი იყო და ლამეტრი გადადის ჰოლანდიაში, ქალაქ ლეიდენში, სადაც 1747 წელს გამოსცა თავისი წიგნი „ადამიანი – მანქანა“, სამღვდელოება მოითხოვდა მისი ავტორის სიკვდილით დასჯას. პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-ემ ის თავისთან მიიწვია და დანიშნა ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. აქ გაატარა მან თავისი სიცოცხლის ბოლო წლები. გარდაიცვალა 1751 წ. 11 ნოემბერს. მან ზიარებაზე უარი თქვა და ურყევ ათეისტად გარდაიცვალა.

დენი დიდრო დაიბადა 1713 წელს ქ. ლანგერეში. 15 წლის დიდრო მიემგზავრება პარიზში თეოლოგიის დასაუფლებლად, მაგრამ აქ მას გაიტაცებს ინგლისური ფილოსოფია და ბუნებისმეტყველება. გაეცნობა ჟ. რუსოს და გახდება მისი მეგობარი, მაგრამ იდეური უთანხმოების გამო, მალე დაშორდებიან ერთმანეთს. 1746 წ. უშვებს თავის პირველ ნაშრომს: „ფილოსოფიური აზრები.“ 1749 წ-ს – მეორე ნაშრომს – „წერილები ბრმებზე“. ამ შრომებში ის გამოდის როგორც მტკიცე მატერიალისტი. პირველი წიგნი დაწვეს, ხოლო მეორე წიგნის გამო ერთი თვე საპატიმროში გაატარა. 1751 წელს

შეუდგა „ენციკლოპედიის“ გამოშვებას, დაამთავრა 1772 წელს. დასტამბა 17 ტომი „ენციკლოპედიისა“ და 11 ტომი გრავიურებისა. 1773 წ. რუსეთის იმპერატორი ეკატრინე II-ის მიწვევით რამოდენიმე თვე იყო სანკტ-პეტერბურგში. 1784 წ. დიდრო ავად გახდა, იმავე წლის 31 ივლისს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მასთან მისულ მღვდელს, რომელსაც უნდოდა დიდროს თავისი „ცოდვები“ მოენანიებია, მან უთხრა: „ალბათ დამეთანხმებით, რომ ამით ჩავიდენდი უსირცხვილო საქციელს.“ დიდრო იყო და ბოლომდე დარჩა ურყევ ათეისტად.

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი დაიბადა 1715 წელს ექიმის ოჯახში. 1738 წელს ის იწყებს კომერციულ საქმიანობას, რომელიც მიატოვა. 1754 წ. წავიდა თავის მამულში და შეუდგა თავის შეხედულებათა ჩამოყალიბებას, რომელსაც შედეგად მოჰყვა მისი ნაშრომი „გონების შესახებ.“ ამ შრომამ მას აუმხედრა მთელი მაშინდელი საზოგადოება მეფიდან დაწყებული მღვდლებამდე. ჰელვეციუსს ბასტილია ემუქრებოდა. იგი ორჯერ აიძულეს უარი ეთქვა თავის იდეებზე, ხოლო მისი წიგნი ნაკუწ-ნაკუწად დახიეს და პარლამენტის კიბის წინ დაწვეს. მაგრამ ამან ვერ შეაშინა მისი ავტორი, რომელმაც დაწერა მეორე, არანაკლებ ათეისტური წიგნი – „ადამიანის შესახებ.“ გამოსცა იგი 1773 წელს. ჰელვეციუსი გარდაიცვალა უფრო ადრე, 1771 წლისა 26 დეკემბერს.

პოლ ანრი ჰოლბახი – დაიბადა 1723 წელს ბავარიაში. განათლება მიიღო საფრანგეთში და ბოლომდე დარჩა იქ საცხოვრებლად, კერძოდ – პარიზში. აქ გაეცნო და დაუმეგობრდა დიდროს და აქტიურად მონაწილეობდა მის „ენციკლოპედიაში.“ მის კალამს ეკუთვნის იქ დაბეჭდილი არაერთი საბუნებისმეტყველო სტატია. მისი სალონი იმ დროინდელი საფრანგეთის მატერიალისტური აზრის ცენტრი იყო. აქ მეგობრებთან კამათში ჩამოყალიბდა მისი მექანისტური მატერიალიზმის მწყობრი სისტემა. მისი ბევრი ნაწერი აკრძალეს და დაწვეს, ხოლო მისმა „ბუნების სისტემამ“ თვით ისეთი

თავისუფალი მოაზროვნის აღშფოთებაც გამოიწვია, როგორც ვოლტერი იყო. გარდაიცვალა 1789 წელს.

ფრანგულმა მატერიალიზმმა შემდგომ განავითარა XVII საუკუნის მატერიალისტთა (სპინოზას, ლოკის, ტოლანდის, ჰობსის) შეხედულებანი უფრო სრულყოფილი და თანმიმდევრული გახდეს ის. მათი მატერიალიზმის პირველი თეორიული წყარო იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, განსაკუთრებით დეკარტისა და ნიუტონის ნააზრევი. მეორე წყარო იყო ლოკის ემპირიზმი, რომელიც მათ დაუპირისპირეს დეკარტის იდეების თანდაყოლილობის თეორიას.

ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო – მეცნიერულ შეხედულებებით ფრანგული მატერიალიზმის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ. ჰოლბახი სხვაზე თანმიმდევრულ მექანისტურ ხაზს ავითარებდა. ჰელვეციუსი უმთავრეს ყურადღებას აღზრდას, ეთიკას, პოლიტიკასა და სახელმწიფოს თეორიას აქცევდა, დიდრო – დიალექტიკას. მაგრამ პრინციპულ დებულებებში მათ უფრო მეტი ჰქონდათ საერთო, ვიდრე განსხვავება. ამიტომაც ფრანგული მატერიალიზმი ფილოსოფიის ისტორიაში განიხილება როგორც ერთიანი ფილოსოფიური მიმართულება.

ფრანგმა მატერიალისტებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ მატერიისა და მოძრაობის პრობლემის გაგების საქმეში დეკარტესთან, სპინოზასთან და ტოლანდთან შედარებით. სპინოზა, მაგალითად, მატერიას ღმერთს უწოდებდა. ფრანგი მატერიალისტების აზრით კი მატერიაა ყოველივე ის, რაც არსებობს და მოქმედებს ადამიანის გრძნობის ორგანოებზე. თუ დეკარტესა და სპინოზასათვის მატერია განფენილობაა, ფრანგი მატერიალისტებისათვის განფენილობა მატერია კი არაა, არამედ მისი ერთ-ერთი ატრიბუტია. ასევე დროც მატერიის ატრიბუტია, მაგრამ დრო და სივრცე მათ ესმოდათ მექანისტურად, ნიუტონის მსგავსად.

მატერია ფიზიკური რეალობაა. ის შედგება უმცირესი ატომებისა და მოლეკულებისაგან. მატერია არასდროს არ წარმოშობილა და არსებობს მუდმივად. ასევე ის არასდროს არ შეიძლება მოისპოს. მატერია, ბუნება არსებობს ყოველთვის გარკვეული, კონკრეტული ფორმით. მატერია „საერთოდ“ არის აბსტრაქცია. სინამდვილეში იგი არსებობს ერთეული საგნების სახით, რომლებსაც აქვთ საერთო თვისებები. ამის გამო ბუნება ერთეული საგნების ჯამი კი არ არის, არამედ მთლიანი, ერთიანი, ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ანუ ობიექტური რეალობა.

ფრანგი მატერიალისტების ერთ-ერთი დიდი დამსახურება იყო იმის მტკიცება, რომ მატერია და მოძრაობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. „არ არის მატერია მოძრაობის გარეშე და მოძრაობა მატერიის გარეშე“ – ასწავლის ჰოლბახი. მოძრაობა ბუნებას გარედან კი არ ეძლევა პირველი ბიძგის სახით, როგორც ამას ნიუტონი ამტკიცებდა, არამედ ეს მისი შინაგანი ბუნებისათვის არის დამახასიათებელი, იგი მატერიის არსებაშია. ის მოძრაობს საკუთარი ენერგიით.

როგორც მატერია, მოძრაობაც არასოდეს არ წარმოშობილა, არ მოისპობა და იარსებებს მუდმივად. მოძრაობა გულისხმობს სივრცესა და დროს. სივრცე და დრო, როგორც მატერია და მოძრაობა, ობიექტურია. მატერიისა და მოძრაობის რაოდენობა უცვლელია, წარმოიშობა, იცვლება და ქრება მატერიის ცალკეული ფორმები.

მოძრაობა ფრანგ მატერიალისტებს ესმოდათ მექანიკურად, როგორც სხეულის გადაადგილება სივრცეში. მხოლოდ დიდრო განასხვავებდა ერთმანეთისაგან გარეგან მოძრაობას – გადაადგილებას სივრცეში და შინაგან მოძრაობას – მოლეკულარულს. იგი წერდა: „ძალა, რომელიც მოლეკულას ახასიათებს, არ ისპობა, ის უცვლელია, მუდმივია.“ უძრაობა შეფარდებითია, მოძრაობა აბსოლუტური.

მიუხედავად იმისა, რომ ფრანგ მატერიალისტებს თავიანთ ნააზრევში დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშები ჰქონ-

დათ, ისინი მაინც მეტაფიზიკოსებად დარჩნენ: მათი მტკიცებით ბუნებაში არსებობს მხოლოდ აუცილებლობა, შემთხვევითობა და მიზანდასახულობა ბუნებისათვის უცხოა. იგი მიზეზ-შედეგობრივი მოვლენათა უწყვეტი ჯაჭვია, სადაც ერთი მოვლენა აუცილებლად გამომდინარეობს მეორისაგან. ბუნებაში ბატონობს საყოველთაო დეტერმინიზმი, რომელიც ფრანგ მატერიალისტებთან მექანისტური ხასიათისაა.

ფრანგი მატერიალისტები ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებს განიხილავდნენ როგორც რაოდენობრივს და არა როგორც თვისებრივს, ამიტომაც მათთვის გაუგებარი დარჩა განვითარების არსი – პრინციპულად ახლის წარმოშობის შესაძლებლობა. განვითარების იდეის გაუგებრობით აიხსნება ის გარემოება, რომ ფრანგი მატერიალისტები იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, რომ მთელი მატერიისათვის დამახასიათებელია გრძნობელობა. ბუნებაში არ არსებობს ისეთი რაიმე, რომელსაც არ ახასიათებს გრძნობელობა. ცხადია, ეს იყო მათი მხრივ დაშვებული დიდი შეცდომა, რომელსაც ისინი ჰილოძოიზმამდე მიყავდა. დიდროს აზრით შეგრძნება ახასიათებს ყოველგვარი სახის მატერიას, მაგრამ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ინერტული და მოქმედი გრძნობელობა. ეს უკანასკნელი ახასიათებს ორგანულ ბუნებას. დიდრო და ლამეტრი აღიარებდნენ, რომ ცოცხალი ორგანიზმები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ისინი ერთი საერთო ძირის საფეხურებს წარმოადგენენ. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ევოლუციონური თეორიის ჩანასახებთან. ადამიანი ბუნების ქმნილებაა, ამდენად მისი ცნობიერებაც ბუნების თვისებაა. ამრიგად, ცნობიერება მეორადია, მატერია – პირველადი.

შემეცნების წყარო შეგრძნებებია, შეგრძნებები წარმოიშობა გრძნობადობისაგან, რომელიც მთელ მატერიას ახასიათებს, ის არის აქტიური გრძნობადობის ფორმა, რასაც იწვევს ობიექტური სამყაროს ზემოქმედება. მთელი ჩვენი ცოდნა წარმოიშობა შეგრძნებებისაგან: „შევიმეცნოთ რომე-

ლიმე საგანი – ამბობს ჰოლბახი, – ნიშნავს შევიგრძნოთ ის, ხოლო შევიგრძნოთ ნიშნავს იმას, რომ განვიცადოთ მისი ზემოქმედება. ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა მოქმედებდეს ჩვენზე საგანი, ჩვენ მას შევიცნობთ მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომლებსაც ის ჩვენში იწვევს". ამრიგად, ფრანგი მატერიალისტები შემეცნებისა თეორიაში სენსუალისტები არიან, რამდენადაც შემეცნების წყაროდ თვლიან შეგრძნებებს. მათი სენსუალიზმი მატერიალისტურია, ვინაიდან აღიარებენ, რომ შეგრძნებები გამოწვეულია ობიექტურად არსებული მატერიალური სამყაროთი.

შეგრძნებები არის საგნის სახე, ისევე როგორც წარმოდგენები. „ყოველი შეგრძნება საგნის სახეა, რომელ საგანზეც არის დამოკიდებული შეგრძნებები და აღქმები" – დასძენს ჰოლბახი. მათი მეშვეობით ჩვენ ვიმეცნებთ სამყაროს. ცოდნა არის ობიექტური სამყაროს ასახვა ჩვენს თავებში. ცნობიერების აუცილებელი პირობა არის მეხსიერება, რომელზედაც თავის მხრივ, დამყარებულია წარმოდგენა.

ფრანგი მატერიალისტები ამავე დროს არ უარყოფდნენ რაციონალური შემეცნების მნიშვნელობას. გონება, მათი მტკიცებით, ამოწმებს გრძნობად მონაცემების სისწორეს, მას არ შეუძლია მოწყდეს ამ მონაცემებს, მაგრამ არც ზედმეტად უნდა ვენდოთ მათ. გრძნობად მონაცემებისაგან გონების მოწყვეტა შემეცნებას შეუძლებელს ხდის. ფრანგი მატერიალისტები აღიარებდნენ ობიექტური სინამდვილის შემეცნების შესაძლებლობას და ამდენად ისინი არ იყვნენ აგნოსტიკოსები, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობს ფილოსოფიის ზოგიერთი ისტორიკოსი. ისინი აღიარებდნენ ადამიანის გონების შეზღუდულობას მეცნიერების განვითარების დონითა და არსებული საზოგადოებრივი პირობებით, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდათ იმაში, რომ ადამიანის გონება ოდესმე შეაღწევდა ბუნების საიდუმლოების იმ სიღრმეში, რომელსაც ის დღეს ვერ ახერხებს.

ფრანგი მატერიალისტები ეთანხმებიან ლოკს იმაში, რომ არ არსებობენ თანდაყოლილი იდეები. მათი აზრით, ყველა წარმოდგენა და ცნება შეძენილია ცხოვრების პროცესში. მიუხედავად ასეთი მტკიცებისა, მათ სათანადოდ არ ესმოდათ ცნებათა როლი შემეცნებაში, მათი უკუმოქმედება გრძნობად მონაცემებზე. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ისინი არ იყვნენ დიალექტიკოსები და როგორც მეტაფიზიკოსები შემეცნების პროცესს იხილავდნენ ცალმხრივად, მათ ვერ შეძლეს შემეცნების გრძნობადი და ლოგიკური საფეხურების ურთიერთკავშირის ჭეშმარიტი სურათის მოცემა.

ფრანგი მატერიალისტების სოციალურ-ისტორიული შეხედულებები დაფუძნებულია მათი შემეცნების თეორიაზე: ადამიანთა ცნობიერება განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი გარემოთი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ; მათი გონება თავდაპირველად სუფთა დაფაა, რომელსაც შემდეგში ცხოვრება ავსებს.

ადამიანები იბადებიან თანასწორნი, ეს ბუნებრივი კანონია. ამასთანავე ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტია და ყოველთვის ესწრაფვის თავის საკუთარ ბედნიერებას. „თავის არსებაში ადამიანს უყვარს თავისი თავი, ესწრაფვის თვითშენახვას, ცდილობს საკუთარი არსებობა გახადოს ბედნიერი“ – ამბობს ჰელვეციუსი. თვითსიყვარული – საკუთარი ინტერესი – არის კაცობრიობის მოქმედების უმთავრესი მოტივი. მაგრამ ბედნიერების მიღწევა მარტოხელა ადამიანს არ შეუძლია, თუ ამაში მას სხვები არ დაეხმარნენ, მაგრამ მათაც ხომ აქვთ თავიანთი საკუთარი ინტერესები, ამიტომაც ისინი მაშინ შეიძლება სხვას დაეხმარონ ბედნიერების მიღწევაში, როცა ეს ბედნიერება მათთვისაც სასარგებლო იქნება. აქედან გამომდინარეობს, რომ ადამიანმა უნდა იმოქმედოს არა მხოლოდ თავისი ბედნიერებისათვის, არამედ სხვათა ბედნიერებისთვისაც, ე. ი. აკეთოს სიკეთე, ხოლო სხვათა მიმართ სიკეთის გამოჩენით მიიღწევა ბედნიერება. მაგრამ ეს არ ესმით ადამიანებს, თავიანთი უვიცობის, გაუ-

ნათლებლობის გამო. ამის მიზეზი კი რელიგიაა, რომელიც თავისი ყალბი მოძღვრებით ხელს უშლის ადამიანებს სწორად გაიგონ როგორ მიაღწიონ ბედნიერებას. აქედან გამომდინარეობდა ფრანგი მატერიალისტების აშკარა იერიშები რელიგიის წინააღმდეგ. „გამოცდილება გვასწავლის ჩვენ – წერდა ჰელვეციუსი, რომ რელიგიური მოძღვრებები იყო ნამდვილი წყარო ადამიანთა მოდგმის უბედურებისა. ბუნებრივი მიზეზების უცოდინარობამ მას შეუქმნა ღმერთებზე წარმოდგენა. ამ წარმოდგენამ ხელი შეუშალა გონების პროგრესს. ამრიგად, ადამიანმა გონივრულად რომ მოიპოვოს თავისი ბედნიერება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოისპოს რელიგია". ფრანგი მატერიალისტები რელიგიის შეურიგებელი მტრები იყვნენ.

ფრანგი მატერიალისტები იბრძოდნენ რელიგიაზე დამყარებული მორალის წინააღმდეგაც. ეთიკას საფუძვლად ასკეტიზმი, განდეგილობა კი არ უნდა ედოს, არამედ – ადამიანთა ბრძოლა კეთილდღეობის, ბედნიერების მისაღწევად. მათი მტკიცებით ადამიანთა მორალი განსაზღვრულია მათი აღზრდით, აღზრდა კი – საზოგადოებრივი გარემოთი. საზოგადოებრივი გარემო კი არის შეხედულებათა ჯამი, რომლის გამოხატულებაც არის კანონები. ცუდი გარემო, ცუდი კანონების არსებობის ბრალია, კანონები კი ცუდია იმიტომ, რომ გაუნათლებელი პირების მიერ არის შედგენილი. კარგი კანონების შემდგენლები მაღალი განათლების პირები უნდა იყვნენ. აქედან ფრანგ მატერიალისტებს გამოჰქონდათ ასეთი დასკვნა: განათლება შეცვლის კანონებს, კანონები – გარემოს, გარემო – ადამიანებს, მათ ცოდნასა და შეგნებას ანუ რომ შეიცვალოს ადამიანთა ცნობიერება და ზნეობა უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივი ინსტიტუტები, მაგრამ რომ შეიცვალოს საზოგადოებრივი ინსტიტუტები, უნდა შეიცვალოს ადამიანთა ცნობიერება. როგორც აქედან აშკარად ჩანს, ისინი ჩავარდნენ ლოგიკურ ანუ მოჯადოებულ წრეში და მისგან გამოსავალი ვერ მონახეს. სწორედ ამაში ხედავენ

შემდგომი დროის მატერიალისტები ამ ფილოსოფიური მიმართულების ერთ-ერთ მთავარ ნაკლს. მიუხედავად აგრეთვე სხვა ნაკლოვანებებისა, ფრანგული მატერიალიზმი იყო ფილოსოფიის განვითარების მთლიანი პროცესის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტი.

§ 11. იმანუელ კანტი

ცხოვრება და მოღვაწეობა. კანტი დაიბადა 1724 წელს, იმდროინდელი აღმოსავლეთ გერმანიის დედაქალაქ კენიგსბერგში (დღევანდელ კალინინგრადში), ხელოსნის ოჯახში. მასზე დიდი გავლენა მოახდინა დედამ თავისი რელიგიური მორალური პრინციპებით, რომელმაც შემდეგში გარკვეული უარყოფითი დაღი დაამჩნია მომავალი ფილოსოფოსის პირად ცხოვრებას. 16 წლის კანტი შედის კენიგსბერგის უნივერსიტეტში, სადაც ის გაიტაცა ლაიბნიც-ვოლფის ფილოსოფიამ და ნიუტონის ფიზიკამ. უნივერსიტეტდამთავრებული კანტი თავისი ეკონომიკური პირობების გამო იძულებულია 9 წელი კერძო მასწავლებლობით ირჩინოს თავი. 1753 წელს კენიგსბერგის უნივერსიტეტში იცავს დისერტაციას და ხდება ლექტორი. 1755-1770 წლებში ის ამავე უნივერსიტეტის დოცენტია, ხოლო 1770-1796 წლებში – პროფესორი, 1786 წელს კი ხდება მისი რექტორი. იმავე წლის დეკემბერში კანტი აირჩიეს ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ის ლექციებს კითხულობდა არა მხოლოდ ფილოსოფიაში, ლოგიკაში, ანთროპოლოგიაში, თეოლოგიაში, ეთიკასა და სამართალში, არამედ მრავალ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში: ფიზიკაში, მათემატიკაში, ფიზიკურ გეოგრაფიაში და სხვა.

კანტი თავისი პირადი ცხოვრებითაც გამორჩეული პიროვნება იყო, ეწეოდა ძალზე უბრალო და მარტივ ცხოვრებას.

ძირითადი შრომები: „წმინდა გონების კრიტიკა“ (1781), „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ (1788), „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ (1790). პოლიტიკურ ნაშრომთა შორის აღსანიშნავია, „ზნეობრიობის მეტაფიზიკის საფუძვლები“ (1785) და „საყოველთაო მშვიდობისთვის“ (1798).

კანტმა იმთავითვე მიზნად დაისახა ყველა მანამდე არსებული მიმართულებების: მატერიალიზმის, იდეალიზმის, დუალიზმის, ემპირიზმის, რაციონალიზმის თუ აგნოსტიციზმის ნაკლოვანებათა დაძლევა და სრულიად უნაკლო, ახალი, ყველა მიმართულებაზე მაღლა მდგომი ფილოსოფიური სისტემის შექმნა. მიუხედავად ასეთი მცდელობისა, მან ეს მაინც ვერ შესძლო. ფილოსოფიის ისტორიაში კანტი მიჩნეულია სუბიექტურ იდეალისტად, აგნოსტიკოსად და იმავე დროს დუალისტად.

განვიხილოთ ცალ-ცალკე თუ რაში გამოიხატება ამ განსაზღვრულობის არსებითი ნიშნები:

ა) კანტის სუბიექტური იდეალისტობა, უწინარეს ყოვლისა, ჩანს მის გნოსეოლოგიაში ანუ შემეცნების თეორიაში, რომელსაც ონტოლოგიის ადგილზე აყენებს და უპირატესობას ანიჭებს მის წინაშე. შემეცნება ხორციელდება ცნობიერების სამი უნარით-გრძნობიერებით, განსჯითა და გონებით. კანტი ეთანხმება ემპირისტებს (ლოკი, იუმი), რომ ჩვენი შემეცნება იწყება ცდიდან. ჩვენი გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს რაღაც, რომელსაც კანტი „თავისთავად საგანს“ უწოდებს, იგი იწვევს ქაოსურ შეგრძნებებს, რომელსაც თავის მხრივ აწესრიგებს ჩვენი გრძნობების ისეთი ფორმები, როგორიცაა სივრცე და დრო. კანტის მტკიცებით, სივრცე და დრო თვით საგნების არსებობის ფორმები კი არ არის, რომელიც ცდაში გვეძლევა, არამედ გრძნობადი ჭვრეტის ცდამდე მოცემული ანუ აპრიორული ფორმებია, რომლებიც ქაოსურ შთაბეჭდილებებს „ჩააწყობენ“ გარკვეულ „ყალიბში“ ანუ განალაგებენ ერთიმეორის გვერდით და ერთიმეორის შემდეგ და მით აწესრიგებენ შთაბეჭდილებებს, ქმნიან მოვლენებს

ანუ ფენომენებს. კანტი თვლის, რომ ის, რაც აწესრიგებს და აგებს ცდის სტრუქტურას, გამომდინარეობს არა ჩვენს მიერ შემეცნებული საგნებიდან, არამედ თვით ჩვენგან. გრძნობიერების ფორმებს: სივრცესა და დროს აუცილებელი და საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ, რამდენადაც ისინი დამახასიათებელია საერთოდ ადამიანური ცნობიერებისათვის. საყოველთაო და აუცილებლობა კანტს ესმის როგორც ობიექტურობა.

გრძნობიერებაში მოცემული მასალის გაერთიანება, დროსა და სივრცეში არსებული საგნების დაკავშირება ხდება ცნობიერების მეორე უნარით, რომელსაც კანტი განსჯას უწოდებს (კანტმა პირველად ფილოსოფიის ისტორიაში ერთმანეთისაგან განასხვავა განსჯა და გონება, რომელსაც შემდგომში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სხვა ფილოსოფოსები). განსჯასაც გააჩნია თავისი უნარები ანუ ფორმები. კანტის აზრით მათი რაოდენობა 12-ია, რომლებიც თავის მხრივ ოთხ დიდ ჯგუფად იყოფა. ესენია: რაოდენობა, თვისებრიობა, მიმართება და მოდალობა. თითოეულ მათგანში სამი კატეგორია შედის:

I. რაოდენობა

ერთიანობა, სიმრავლე, ტოტალობა

II. თვისებრიობა

რეალობა, უარყოფა, განსაზღვრება

III. მიმართება

სუბსტანცია – აქციდენცია

მიზეზ – შედეგი

ურთიერთქმედება

IV. მოდალობა

შესაძლებლობა – შეუძლებლობა

არსებობა – არ არსებობა

აუცილებლობა – შემთხვევითობა

ეს კატეგორიები აზროვნების ძირითადი ფორმებია, მაგრამ არა ყოფიერების ფორმები, არამედ განსჯის ცნებე-

ბი, რომლებიც არ გამოხატავენ ცდაში მოცემულ შინაარსს. ისინი, როგორც სივრცე და დრო, ადამიანებში მოცემულია ცდამდე, ე. ი. აპრიორულად, არ ვითარდებიან და არც გადადიან ერთმანეთში. არც შეგრძნებები და არც ცნებები თავისთავად არ იძლევიან ცოდნას. შეგრძნებები ცოდნის გარეშე „ბრმაა“, ხოლო ცნებები შეგრძნებების გარეშე „ცარიელია.“ ცოდნა მათი გაერთიანებაა.

კანტის აზრით ყველა ადამიანისათვის დამახასიათებელია ერთი და იგივე ფუნდამენტალური „ფორმები“. ამიტომაც ყოველი ადამიანის ყოველგვარი ცოდნა უნდა გაფორმდეს ერთი და იგივე ფორმების საშუალებით. ამ აზრით ცნობიერების ფორმები არის საყოველთაო და აუცილებელი.

გრძნობებისა და განსჯის ზემოთ აღნიშნული ფორმები, კანტის მიხედვით, ტრანსცენდენტალური ცნობიერების ფორმებია, ტრანსცენდენტალურ ცნობიერებას კი კანტი უწოდებს ინდივიდუალური ცნობიერების ძირითად კანონზომიერებას. ეს კანონზომიერება აღნიშნული ფორმით ქმნის შემეცნების საგანს; შეგრძნებებით მიღებული შთაბეჭდილებები ჩამოყალიბდება საგანთა ურთიერთკავშირის სახით ერთ მთლიანობად. ამ მთლიანობას კანტი უწოდებს მეცნიერების საკვლევ ბუნებას, რომელიც განსხვავდება ჩვეულებრივი ბუნებისაგან იმით, რომ ეს უკანასკნელი არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მაშინ, როდესაც მეცნიერების საკვლევი ბუნება შექმნილია თვით ადამიანის ცნობიერების მიერ.

ამრიგად, ტრანსცენდენტალური ცნობიერება ქმნის ბუნებას, რომელსაც მეცნიერება სწავლობს, მეცნიერებას შეუძლია შეიცნოს მხოლოდ ის, რაც თვითონ შექმნა, რაც თვითონ შეიტანა ბუნებაში. ეს კი არის ცნობიერების მიერ საკუთარი თავის, საკუთარი კანონზომიერების შემეცნება, რომელსაც შემდეგ განვითარებული სახით ვხვდებით ჰეგელის ფილოსოფიაში.

გამოდის, რომ კანტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ბუნების ორ სახეს: ემპირიულსა და ტრანსცენდენტალურს. კანტისათვის ბუნება ემპირიულად რეალურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნების მოვლენებს ადამიანი აღიქვამს როგორც ერთიანსა და მთლიანს, რომელსაც გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს, რომელიც არსებობს ობიექტურად, მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. იმავე კანტისათვის ბუნება ტრანსცენდენტალურად იდეალურია. ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ ბუნება ნამდვილად ადამიანის ცნობიერებაში არსებული საერთო კანონზომიერების მიერ არის შექმნილი და ამდენად ის აზროვნების მოქმედების შედეგი ანუ იდეალურია. თუ კანტამდე ფილოსოფოსები აღიარებდნენ, რომ ადამიანის შემეცნებას განსაზღვრავს მისგან დამოუკიდებლად არსებული სამყარო და ეს სამყარო ამ ცნობიერებაში აისახება მეტ-ნაკლები ხარისხით, რომ ადამიანთა აზრები ასევე მეტ-ნაკლები ხარისხით შეესაბამება სამყაროს საგნებსა და მოვლენებს, რომ საგნები განსაზღვრავენ ადამიანთა აზრებს, მის ცოდნას, კანტი ცდილობს დაამტკიცოს სრულიად საწინააღმდეგო, კერძოდ, რომ ცოდნა, ანუ შემეცნება ქმნის საგანს, რომ სუბიექტის ზემოქმედება ობიექტზე არის სწორედ შემეცნების საფუძველი. კანტის მიერ საკითხის ასეთ შებრუნებას ფილოსოფიაში ეწოდა კოპერნიკისებური გადატრიალება. თუ კოპერნიკამდე ამტკიცებდნენ, რომ დედამიწა და ადამიანები იმყოფებიან უძრავ სამყაროს ცენტრში და პლანეტები მოძრაობენ მათ გარშემო, კოპერნიკმა დაამტკიცა ამის საწინააღმდეგო, რომ დედამიწა და მასთან ერთად ადამიანები მოძრაობენ მზის გარშემო.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: კანტთან სუბიექტის ცნობიერება გნოსეოლოგიურად პირველადია, ხოლო ყოფიერება – მეორადი, პირველი განსაზღვრავს მეორეს და არა პირიქით, როგორც ამას მატერიალიზმი ამტკიცებს. ამაშია კანტის სუბიექტური იდეალიზმის არსი.

ბ) კანტის მოძღვრების აგნოსტიციზმი ძალზე მოკლედ მდგომარეობს შემდეგში: კანტი სამყაროს ყოფს „მოვლენებად“ ანუ ფენომენებად და „თავისთავად საგნებად“ ანუ ნოუმენებად. ეს უკანასკნელი არსებობს ჩვენი ცნობიერებისაგან (შეგრძნებებისაგან, აზროვნებისაგან) დამოუკიდებლად. ჩვენ ვიმეცნებთ სამყაროს არა როგორც ის თავისთავად არის, არამედ ისე, როგორც ის ჩვენ გვევლინება, ჩვენთვის მისაღწევია მხოლოდ საგნების გამოვლინება – ფენომენები, რომლებიც შეადგენენ ჩვენი ცოდნის შინაარსს. სამყარო ჩვენს მიერ შეიმეცნება მისი გამოვლენის ფორმებში. კანტის მტკიცებით ჩვენი შეგრძნებები, ცნებები და მსჯელობები არ გვაძლევენ თეორიულ ცოდნას „თავისთავად საგნებზე.“ გონებას არ შეუძლია შეიმეცნოს საგანთა არსი, მას მხოლოდ მოვლენათა შემეცნება ძალუძს. ემპირიული ცოდნის პროგრესი უსაზღვროა, მაგრამ მას თავის მხრივ არავითარი შეხების წერტილი არა აქვს „თავისთავად საგნების“ სამყაროს ცოდნასთან. ეს სამყარო ტრანსცენდენტურია, მიღმურია, შეუცნობელია.

გ) კანტის დუალიზმი მდგომარეობს, ერთის მხრივ, „თავისთავადი საგნის“ სამყაროს ანუ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური სინამდვილის არსებობის აღიარებაში, რომელიც მატერიალიზმად არის მიჩნეული კანტის მოძღვრებაში, ხოლო, მეორეს მხრივ, მის სუბიექტურ იდეალიზმში, რის გამოც მას აკრიტიკებდნენ როგორც მიმდევრები, ასევე მოწინააღმდეგეები.

კანტი არა მარტო დიდი ფილოსოფოსია, არამედ ის დიდი ეთიკოსიცაა, რომელმაც ჩამოაყალიბა საკმაოდ ცნობილი ზნეობრივი ქცევის კანონი ანუ „კატეგორიული იმპერატივი“, რომლის ფორმულის ერთ-ერთი ვარიანტი შემდეგია: „ყოველი ინდივიდი უნდა იქცეოდეს ისე, რომ მისი პირადი საქციელის წესი შეიძლება გახდეს ყველასათვის საკუთარი საქციელის წესი.“ ან კიდევ: „მოიქეცი ისე, რომ შენს მოქმედებაში კაცობრიობა, როგორც შენი საკუთარი, ისე სხვა პიროვნების

სახით ყოველთვის იყოს მიზანი და არასოდეს მხოლოდ საშუალება.“ ადამიანის საქციელი, ფიქრობს კანტი, ზნეობრივია მხოლოდ მაშინ, როცა იგი იმას აკეთებს, რაც უნდა გააკეთოს, ე. ი. რისი გაკეთებაც მას ევალება. ამის გამო კანტის ეთიკას მოვალეობის ეთიკას უწოდებენ. კანტი ამტკიცებდა, რომ ზნეობა კი არ ეფუძნება რელიგიას, არამედ, პირიქით, რელიგია – ზნეობას.

კანტი, რომელიც უარყოფდა ღმერთისა და მიღმური სამყაროს არსებობის ლოგიკური დასაბუთების შესაძლებლობას, მაინც თვლიდა, რომ ღმერთის არსებობის რწმენა არა მარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიცაა, რამდენადაც რწმენის გარეშე შეუძლებელია გჯეროდეს, რომ მსოფლიოში არსებობს ზნეობრივი წესრიგი; გულწრფელად გწამდეს ღმერთი – ნიშნავს იყო კეთილი, იყო საერთოდ ჭეშმარიტად ზნეობრივი. ღმერთის არსებობის რწმენა გარანტია იმ ზნეობრივი წესრიგისა, რომელიც არსებობს არა ემპირიულ სინამდვილეში, არამედ გონებით მისაწვდომ ანუ ინტელიგიბელურ სამყაროში.

კანტის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანია დიალექტიკის ცალკეული ელემენტები. მისი მტკიცებით, გონებაში არსებობს დიალექტიკური წინააღმდეგობები, როგორიცაა ღმერთის არსებობა – არ არსებობის, სამყაროს სასრულობა – უსასრულობის, თავისუფლებისა და აუცილებლობის და ა. შ. დაპირისპირებანი ანუ ანტინომიები. კანტს დიალექტიკა ესმის ნეგატიური აზრით. გერმანული იდეალიზმის მამამთავარმა – ჰეგელმა, ის დადებითი დიალექტიკის სახით განავითარა.

§ 12. გეორგ ჰეგელი

ცხოვრება და მოღვაწეობა. ჰეგელი დაიბადა 1770 წ. შტურდგარტდში, ვიურტენბურგის საჰერცოგოს დიდი მოხელის ოჯახში. 1789 წელს ის შევიდა ტიუბინგენის უნივერსი-

ტეტში, რომელიც დაამთავრა 1792 წელს. აქ ის ეუფლებოდა ფილოსოფიასა და თეოლოგიას. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი იმუშავა შინაურ მასწავლებლად. 1801 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და გახდა იენის უნივერსიტეტის პროფესორი, იყო შელინგის მიმდევარი და მასთან ერთად სცემდა „კრიტიკულ ფილოსოფიურ ჟურნალს.“ 1808 წელს ნიუნბერგის გიმნაზიის დირექტორი ხდება. 8 წლის შემდეგ ის მიიწვიეს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში, ხოლო 1818 წელს – ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა პროფესორად, შემდეგ კი – არც თუ დიდხანს, ამ უნივერსიტეტის რექტორად, გარდაცვალებამდე (1831).

მთავარი შრომები: „სულის ფენომენოლოგია“ (1812), „ლოგიკის მეცნიერება“ (1812-1816), „სამართლის ფილოსოფია“ (1812), „ლექციები ესთეტიკაში“ (1817), „ისტორიის ფილოსოფია“, „რელიგიის ფილოსოფია“.

ჰეგელის ობიექტური იდეალიზმის სისტემა შედგება სამი ნაწილისაგან: „ლოგიკის მეცნიერება, „ბუნების ფილოსოფია“ და „გონის ფილოსოფია“. პირველში ჰეგელი მსოფლიო სულს გამოხატავს, როგორც თავისთავად არსებულს, როგორც წმინდა აზრს, რომელიც პირველადია, ობიექტურად არსებულია. მეორე ნაწილში ჰეგელი ახასიათებს ბუნებას, როგორც აბსოლუტური იდეის სხვად ყოფნას, მისგან გაუცხოებულს; მესამე ნაწილში ჰეგელი იძლევა საზოგადოების შესახებ თავის იდეალისტურ თეორიას. საზოგადოება და აზროვნება არის „აბსოლუტური იდეის“ „აბსოლუტურ სულად“ გარდაქმნის პროცესი.

ჰეგელის ფილოსოფიის გამოსავალი წერტილი არის ყოფიერებისა და ცნობიერების იგივეობა, რომელიც ქმნის სამყაროს სუბსტანციონალურ საფუძველს. ცნობიერება, აზროვნება არ არის სუბიექტური, არამედ მისგან დამოუკიდებელია, ობიექტურად არსებული სამყაროს უპირველესი საფუძველია, აბსოლუტური იდეაა, რომლის გაუცხოების, გამოვლენის ფორმასაც წარმოადგენს მატერია, ბუნება, აზ-

როვნება, გონება სამყაროს აბსოლუტური სუბსტანციონალური არსია, რომელიც გამოვლინდება სინამდვილის მრავალფეროვნებაში. აბსოლუტური იდეის განვითარების უმაღლესი საფეხური არის აბსოლუტური სული – კაცობრიობა, ადამიანთა ისტორია.

რამდენადაც ჰეგელი აიგივებს ყოფიერებასა და აზროვნებას, ამდენად აზროვნების კანონები იმავე დროს ყოფიერების კანონებიცაა. აზროვნების კანონებს კი სწავლობს ლოგიკა, რომელიც ჰეგელის მიხედვით მთელი სინამდვილის: ბუნების, საზოგადოების და აზროვნების შემსწავლელ მეცნიერებად იქცევა, მაგრამ ეს უკვე ტრადიციული, ფორმალური ლოგიკა კი არ არის, არამედ დიალექტიკური ლოგიკა, რასაც მარქსიზმის კლასიკოსები ჰეგელის ისტორიულ დამსახურებად მიიჩნევდნენ. სწორედ „ლოგიკაში“ იხილავს ჰეგელი დიალექტიკის ძირითად კატეგორიებს ანუ უზოგადეს ცნებებს და აყალიბებს მთელი სინამდვილის ცვალებადობისა და განვითარების ძირითად კანონებს, როგორიცაა: რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის, უარყოფის უარყოფისა და წინააღმდეგობის კანონებს. ასევე დიალექტიკის კატეგორიებს: ერთეული, განსაკუთრებული, საყოველთაო; აუცილებლობა და შემთხვევითობა; შესაძლებლობა და სინამდვილე, შინაარსი და ფორმა, მიზეზი და შედეგი და სხვ.

ჰეგელის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება აზროვნების დიალექტიკური მეთოდის ჩამოყალიბებაში მდგომარეობს. ამ მეთოდის საფუძველზე აბსოლუტური იდეა, აბსოლუტური სული განიხილება მოძრაობაში, დიალექტიკური განვითარების პროცესში. „ქმნადობის“ შესახებ ჰეგელის აზრები მისი დიალექტიკის ძირითადი ბირთვია და მიმართულია აზროვნების მეტაფიზიკური მეთოდის წინააღმდეგ.

ჰეგელთან მთელი სამყარო განხილულია დიალექტიკის თვალსაზრისით: „მსოფლიო გონება“, „აბსოლუტური იდეა“ არის სამყაროს წარმოშობისა და მისი განვითარების წყარო.

აბსოლუტური იდეის მოქმედება მდგომარეობს აზროვნებაში, მიზანი – თვითშემეცნებაში. თვითშემეცნების პროცესში სამყაროს გონება გაივლის სამ ეტაპს: 1. თვითშემმეცნებელი აბსოლუტური იდეის ყოფნა თავის წიაღში, წმინდა აზროვნების სტიქიაში; 2. იდეის განვითარება „მის სხვადყოფნაში“ ბუნების მოვლენების სახით; 3. იდეის განვითარება აზროვნებასა და კაცობრიობის ისტორიაში.

ჰეგელს ბუნება მიაჩნია აბსოლუტური იდეის გამოვლენის დაბალ საფეხურად. ბუნებას არა აქვს დასაწყისი დროში – აცხადებს ჰეგელი. იმავე დროს ბუნებას ის აცხადებს ღვთაების მიერ შექმნილად. დროსა და სივრცეს, ასევე მოძრაობასაც მატერიის არსებობის ფორმად მიიჩნევს. ჰეგელი აღიარებს, რომ მატერია და მოძრაობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. „არ არსებობს მოძრაობა მატერიის გარეშე, ისევე, როგორც არ არსებობს მატერია მოძრაობის გარეშე“ – აცხადებს ჰეგელი. მოძრაობა ჰეგელს ესმის არა როგორც განვითარება, არამედ მხოლოდ გამეორება, წრეში ბრუნვა, ბუნებაში განვითარებას ადგილი არა აქვს – ამტკიცებდა ჰეგელი. „მთვარის ქვშ ახალი არაფერია“. იგი უშვებდა ბუნების განვითარებას სივრცეში, მაგრამ არა დროში, რის გარეშე ნამდვილ განვითარებას ადგილი არა აქვს. ბუნების ფილოსოფია ჰეგელის სისტემის ყველაზე სუსტი მხარეა.

ჰეგელი უარყოფს კანტის მტკიცებას თავისთავადი საგნების ანუ მატერიის შეუცნობადობის შესახებ და ამტკიცებს რომ საგნების შემეცნება შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც მისი არსება ატარებს ლოგიკურ ხასიათს. თავის მხრივ ეს თვითშემეცნების პროცესი ცხადყოფს, რომ ის არის აბსოლუტური, ადამიანის გარეშე არსებული აზროვნების – აბსოლუტური იდეის ანუ ღმერთის გამოვლენის ერთი ფორმათაგანი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აბსოლუტური სულის არსებობის პირველი საფეხურია წმინდა აზრის სფერო, მეორე – საკუთარი თავისაგან გაუცხოებული აბსოლუტური სული

ანუ ბუნება, მესამე საფეხურია აბსოლუტური იდეა. აბსოლუტური იდეა თავის მხრივ ვლინდება სუბიექტურ სულში, ობიექტურ სულსა და აბსოლუტურ სულში. ჰეგელის მტკიცებით სუბიექტური ანუ ინდივიდუალური სული ვლინდება ანთროპოლოგიაში, ფენომენოლოგიასა და ფსიქოლოგიაში; ობიექტური სული – სამართალში, ზნეობასა და სახელმწიფოში, ხოლო აბსოლუტური სული – ხელოვნებაში, რელიგიასა და ფილოსოფიაში.

ჰეგელი ფილოსოფიას აყენებს რელიგიაზე მაღლა, მაგრამ არ უარყოფს, რომ რელიგიაც შეიცავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, მაგრამ გრძნობად ფორმებში მაშინ, როდესაც ფილოსოფიაში აბსოლუტური ჭეშმარიტება გამოხატულია ლოგიკურ ფორმებში. „არაჭეშმარიტი ფილოსოფია გვაშორებს ღმერთს, ჭეშმარიტ ფილოსოფიას კი მივყევართ ღმერთამდე“ – აცხადებს ჰეგელი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჰეგელის შეხედულებები საზოგადოების შესახებ. კაცობრიობის ისტორია შედგება ცალკეული ადამიანების მოქმედებებისაგან, რომელთაგან თითოეული ცდილობს განახორციელოს თავისი საკუთარი ინტერესები და მიზნები. მაგრამ ამ ადამიანთა მიზნობრივი მოქმედებისაგან ხორციელდება ისეთი ახალი რამ, მათი ადრე განზრახულისაგან განსხვავებული, რასაც ადამიანებმა თავიანთ შემდგომ საქმიანობაში ანგარიში უნდა გაუწიონ, როგორც ობიექტურ წანამძღვარს. ამგვარად, ჰეგელის აზრით შემთხვევითობა იქცევა აუცილებლობად. ამ პროცესში ხორციელდება მსოფლიო გონების მიზანი. მთელი ისტორია არის აზრის ისტორია, გონების თვითგანვითარების ისტორია. მსოფლიო ისტორიის მიზანია მსოფლიო სულის მიერ თავისთავის შემეცნება. მსოფლიო გონების მატარებელი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხალხია, რომლებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი მსოფლიო გონების თვითშემეცნების აღმავალ პროცესში. ისტორიის განვითარების პროცესის კრიტერიუმი თავისუფლების შეგნების ხარისხშია. ჰეგელს თავი-

სუფლება ესმოდა როგორც სულის თავისუფლება, პიროვნების ინტელექტუალური თავისუფლება, რომელიც განვითარებადია. ჰეგელი ამ პროცესში განასხვავებს სამ საფეხურს: აღმოსავლეთის, საბერძნეთ-რომის და გერმანიის სამყაროს. აღმოსავლეთის ქვეყნებს არ ჰქონდათ თავისუფლება, თავისუფლად იქ ითვლება ერთი – დესპოტი, ხოლო ყველა დანარჩენი – არათავისუფალია. ბერძნულ-რომაულ სამყაროში მხოლოდ რამდენიმეა თავისუფალი. სრული თავისუფლება, ჰეგელის მტკიცებით, განხორციელდა მხოლოდ გერმანელ ხალხებში, რომლებმაც მიაღწიეს საყოველთაო, სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებას. ჰეგელის აზრით გერმანელი ხალხი არის მსოფლიო-ისტორიული პროგრესის მატარებელი ხალხი. „მსოფლიო ისტორია მიიმართება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, რამდენადაც ევროპა არის ნამდვილად მსოფლიო ისტორიის დასასრული, აზია კი მისი დასაწყისი“ – წერდა ჰეგელი. ჰეგელისათვის თავისუფლება არის, თავისი არსით, დადებითი თავისუფლება. თავისუფლება არის ისტორიული ურთიერთთანამშრომლობის (ურთიერთობის) და მით ამ ურთიერთობაში საკუთარი როლის რეალიზაცია. უარყოფითი თავისუფლება, რომელიც გულისხმობს „სახელმწიფო იძულების“ არსებობას, ჰეგელისათვის თითქმის უაზრობაა. სახელმწიფო არ არის რაღაც ისეთი, რომელიც ადამიანისაგან განსხვავებულია. ის არ არის რაღაცა გარეგანი, რომელსაც შეუძლია აიძულოს ადამიანი. „სახელმწიფო ეს არის ზნეობრივი გაერთიანება, რომლის ორგანულ ნაწილებს წარმოადგენს ადამიანური ქმნილება. სახელმწიფოს ნება – ეს ადამიანის ნებაა. იძულებას აქ ადგილი არა აქვს“ – აცხადებს ჰეგელი. მისთვის პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენდა მონარქია, რომელშიც მონარქი იქნება მხოლოდ ნომინალური ფიგურა, ხოლო სახელმწიფოს მართავდნენ იქნება ჭკვიანი სახელმწიფო მოხელეები და წარმომადგენლობითი ასამბლეა.

ჰეგელი იცავს კერძო საკუთრებას, როგორც საშუალებას, რომლითაც ადამიანს შეუძლია თავისი თავი გამოხატოს. ადამიანებს არ შეუძლიათ იცხოვრონ მხოლოდ „საკუთარი თავის შიგნით“, მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება საკუთარი თავის გამოსახატავად, რომელშიც შეუძლიათ ცნონ საკუთარი თავი. ამიტომ ყოველი ადამიანი რაღაცას უნდა ფლობდეს.

ჰეგელი არ თვლიდა, რომ პიროვნებას შეუძლია ისტორიაში ჩარევა. ისტორია არ იქმნება ე. წ. მსხვილი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ. სინამდვილეში ისინი, ვისაც ჩვენ მივიჩნევთ დიდ ადამიანებად, გამოიყენება ისტორიის მიერ ხშირად ისე, რომ ეს მათ გაცნობიერებული არა აქვთ. ნაპოლეონი ფიქრობდა, რომ ის აერთიანებდა ევროპას, მაგრამ ისტორიამ კი გამოიყენა ახალი ნაციონალიზმის მხარდასაჭერად. ისტორიას თავისი საკუთარი ლოგიკა აქვს, რომლის მიხედვითაც ის ვითარდება და ეს შეიძლება არც ესმოდეთ ამ ისტორიაში მოქმედ ადამიანებს.

ისტორიაში პიროვნების როლის გაგება ჰეგელთან დამახინჯებულია მისი ობიექტური იდეალიზმით. პიროვნებათა მოქმედებების ობიექტური კანონზომიერებების ახსნის ნაცვლად, ჰეგელმა ადამიანი მსოფლიო გონის ხელში სათამაშო თოჯინად აქცია, რომელსაც იგი თავის ნებას კარნახობს და ადამიანის თავისუფლება ფაქტიურად სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო გონის ნების გამოხატულება.

ჰეგელის ფილოსოფიაში აზროვნებისა და კვლევის დიალექტიკური მეთოდი წინააღმდეგობაშია მის მეტაფიზიკურ სისტემასთან. დიალექტიკური მეთოდი მოითხოვს სინამდვილის საგნებისა და მოვლენების განხილვას მათი განვითარების უსასრულო პროცესში, ხოლო მეტაფიზიკური სისტემა ისეთი ფილოსოფიის შექმნას, რომელიც აბსოლუტურად ამომწურავ პასუხს გასცემს ყველა დასმულ პრობლემას. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს სინამდვილის განხილვას მის გაჩერებულობაში, ამოუწურავად მრავალფეროვანი სინამდვი-

ლის აბსოლუტურ შემეცნებას, რაც ყოვლად შეუძლებელია. რამდენადაც სინამდვილე ამოუწურავია დროსა და სივრცეში, როგორც სიღრმით, ასევე სიგანით.

მიუხედავად ამისა, ჰეგელის ფილოსოფიამ, კერძოდ მისმა დიალექტიკურმა მეთოდმა, დიდად განსაზღვრა ფილოსოფიის შემდგომი განვითარების პროცესი.

§ 13. ლუდვიგ ფოიერბახი

ცხოვრება და მოღვაწეობა. ფოიერბახი დაიბადა 1804 წელს გერმანიის ქალაქ ლანდსჰუტში, ცნობილი გერმანელი იურისტის ოჯახში. 1823 წელს თეოლოგიის დაუფლების მიზნით ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე მოეწყო, რომელიც ერთი წლის შემდეგ მიატოვა და გადავიდა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც ისმენდა ჰეგელის ლექციებს. თავდაპირველად იყო მისი თაყვანისმცემელი და აღტაცებული მიმდევარი, მაგრამ 1828 წლიდან ეჭვი შეეპარა ჰეგელის ფილოსოფიის ჭეშმარიტებაში და დაიწყო მისი კრიტიკა. 1839 წელს მან საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი იდეალიზმთან და მტკიცედ დგება მატერიალიზმისა და ათეიზმის პოზიციებზე. 1830 წლიდან ფოიერბახი განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა, ძირითადად სოფელში. 1870 წელს შედის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, გარდაიცვალა 1872 წელს.

მთავარი შრომებია: „ქრისტიანობის არსება“ (1841) და „მომავალი ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები“ (1843).

ფოიერბახმა იმთავითვე მიზნად დაისახა მოეცა რელიგიისა (უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანობის) და ჰეგელის ობიექტური ფილოსოფიის კრიტიკა, რასაც თავისი მთავარი შრომები მიუძღვნა. ჰეგელის იდეალიზმი, ამტკიცებდა ფოიერბახი, ეს იგივე ქრისტიანობაა, ფილოსოფიურ ენაზე გადმოცემული.

ფოერბახის მტკიცებით, ფილოსოფია და რელიგია თავისი პრინციპებით ურთიერთგამომრიცხავი ფენომენია. ფილოსოფია მიისწრაფვის ახსნას ობიექტური სინამდვილის ბუნება, მას აინტერესებს ამ სინამდვილის ჭეშმარიტი შემეცნება მაშინ, როდესაც რელიგია დამყარებულია რწმენაზე. ამიტომაც, ფოიერბახის აზრით, უპირველეს ყოვლისა, მხილებულ უნდა იქნეს რელიგიური ილუზიები, რომლებიც შეადგენენ რეალიგიური ცნობიერების არსებას. ამასთანავე ფოიერბახი ამტკიცებს, რომ იდეალისტური ფილოსოფია სხვა არაფერია, თუ არა თეორიის სახემიცემული რელიგია.

რელიგიის წარმოშობის მიზეზად ფოირბახი თვლიდა ადამიანთა მიერ იმ საგნებისა და მოვლენების უცოდინარობას რომელიც მათ გარს ეკრათ, რომლებზედაც დამოკიდებული იყო მათი არსებობა. ადამიანებმა ამ საგნებისა და მოვლენების „გულის მოსაგებად“ დაიწყეს მათი თაყვანისცემა, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ადამიანის გონების წარმოსახვის, აბსტრაქტული აზროვნების უნარს. რელიგიის შინაარსი, ფოიერბახის მტკიცებით, ადამიანის გრძნობადობაშია, მათ ემოციებშია. რელიგიის არსი სიყვარულია. „ადამიანს ღმერთის სწამს არა მხოლოდ იმიტომ, ამბობს ფოიერბახი, რომ მას აქვს ფანტაზია და გრძნობა, არამედ იმიტომ, რომ მას ასევე აქვს მისწრაფება იყოს ბედნიერი. მას სწამს ნეტარი ცხოვრება არა მარტო იმიტომ, რომ მას აქვს წარმოდგენა ნეტარებაზე, არამედ იმიტომ, რომ მას თვით უნდა იყოს ნეტარებაში. მას სწამს სრულყოფილი არსება იმიტომ, რომ თვითონ უნდა იყოს სრულყოფილი. მას სჯერა უკვდავი არსებობა იმიტომ, რომ თვითონ არ უნდა მოკვდეს.“

ამრიგად, ფოიერბახის მტკიცებით, რელიგიის წარმოშობის მიზეზი ერთია: ადამიანის არსების გაუცხოება, რომელიც ხდება ღმერთისათვის იმ თვისებების მიწერით, რაც სინამდვილეში თვით ადამიანს ახასიათებს. ამის საფუძველზე ღვთის შემქმნელი ადამიანი ცხადდება ღვთის შექმნილად, ცხადდება მასზე დამოკიდებულად, კარგავს თავისუფლება-

სა და თავისთავადობას. ადამიანი არის ბუნების ნაწილი, მისი განვითარების პროდუქტი, ხოლო ღმერთი (ღმერთები) შექმნილია ადამიანის რელიგიური ფანტაზიის მიერ და არის სწორედ მისი არსების ფანტასტიკური ასახვა. აქედან ფოიერბახი აკეთებს დასკვნას: „ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა – ღმერთი."

მიუხედავად იმისა, რომ ფოიერბახმა მკაცრად გააკრიტიკა ქრისტიანობა, რელიგიის საჭიროება საერთოდ მას არ უარყვია. პირიქით, წამოაყენა ახალი რელიგიის შექმნის საჭიროება. ეს რელიგია უნდა იყოს სიყვარულის რელიგია. „ჩვენს დროში, წერს ფოიერბახი, ქრისტიანობა უკვე არ აკმაყოფილებს ადამიანებს არც პრაქტიკულად და არც თეორიულად. ის უარყოფილია სულისა და გულის, მეცნიერებისა და ცხოვრების, ხელოვნებისა და ინდუსტრიის მიერ. რწმენის ადგილას მოდის ურწმუნოება, ბიბლიის ადგილას - გონება, რელიგიასა და ეკლესიას ცვლის პოლიტიკა, ცას – მიწა, ჯოჯოხეთს – მატერიალური საჭიროება, ქრისტეს – ადამიანი. ამ პირობებში ქრისტეს უარყოფა ქმნის ახალ ეპოქას, რომელსაც ესაჭიროება ახალი ფილოსოფია და კიდევაც შობს მას. ეს არის ანთროპოლოგიური ფილოსოფია როგორც ახალი ადამიანური რელიგია, რომელიც ეფუძნება პრინციპს: „ადამიანი ადამიანისათვის ღმერთია."

ამრიგად, არა რაღაცა ზეციური ძალა, რომელსაც ადამიანის გონება ვერ წვდება, არამედ თვითონ ადამიანი უნდა გახდეს სხვა ადამიანებთან მიმართებაში თაყვანისცემის ობიექტი. რელიგია უნდა ქადაგებდეს ადამიანის სიყვარულს ადამიანისადმი.

წინააღმდეგ ჰეგელისა, რომელიც აღიარებდა აბსოლუტური იდეის ობიექტურ არსებობას, ფოიერბახი ამტკიცებდა, რომ გონების რეალურ სუბიექტს წარმოადგენს ადამიანი და მხოლოდ ადამიანი, რომელიც, თავის მხრივ, არის ბუნების პროდუქტი, ბუნებრივი არსება, რომელშიც ფიზიკური და სულიერი საწყისები ერთიანობაშია და მათი ურთიერ-

თდაშორება შეუძლებელია. ადამიანში არ არის სხეულისა და სულის დუალიზმი, ადამიანის ბუნება ერთიანია. ადამიანი, როგორც ყოფიერებისა და აზროვნების ერთიანობა, იმავე დროს არის ფილოსოფიის ერთადერთი, უნივერსალური და უმაღლესი საგანი. მაშასადამე, თავის მხრივ ასეთი ფილოსოფია არის ანთროპოლოგია ანუ მოძღვრება ადამიანებზე. ფოიერბახი რომელიც მარქსამდელი მატერიალიზმისა და ათეიზმის უბრწყინვალეს წარმომადგენლად ითვლება. ამ მატერიალიზმის რიგი ნაკლოვანებების გამო თავის ფილოსოფიას მატერიალიზმს კი არ უწოდებს, არამედ – ანთროპოლოგიას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოიერბახისათვის ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ბიოლოგიური არსებაა და არა სოციალური და ისტორიული ფენომენი. ამის გამო ფოიერბახის ანთროპოლოგია აბსტრაქტული ხასიათისაა, ის არ წარმოადგენს მოცემული ეპოქის ადამიანის კონკრეტულ სურათს.

ფოიერბახის აზროვნების მეთოდი არსებითად მეტაფიზიკური იყო, თუმცა მას ჰქონდა დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშები. მან ვერ შესძლო სათანადოდ დაეფასებინა ჰეგელის დიალექტიკა და მისი ობიექტური იდეალიზმის კრიტიკას დიალექტიკაც თან გადააყოლა, როგორც ზედმეტი და ფილოსოფიისათვის გამოუყენებელი რამ, რაც ფოიერბახის დიდი შეცდომა იყო.

ფოიერბახის ერთ-ერთ დამსახურებად ითვლება XVI-XVIII საუკუნეების მატერიალიზმის დაცვა და შემდგომი განვითარება, სათანადო ნიადაგის მომზადება მატერიალიზმის ახალი ნაირსახეობის – დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის წარმოსაშობად.

§ 14. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი

ცხოვრება და მოღვაწეობა. კარლ მარქსი დაიბადა 1818 წელს ქ. ტრირში (პრუსია), ადვოკატის ოჯახში. 1830-1835 წლებში სწავლობდა ტრირის გიმნაზიაში. მისი დამთავ-

რების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯერ ბონის, ხოლო შემდეგ ბერლინის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ახალგაზრდა მარქსი დიდ ინტერესს იჩენდა ფილოსოფიისა და ისტორიის მიმართ. სტუდენტობის დროს ის დაუახლოვდა ახალგაზრდა ჰეგელიანელების ჯგუფს და გატაცებული იყო ჰეგელის ნაწარმოებებით. 1841 წლის აპრილში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ იმ დროს გერმანიაში არსებული რეაქციული რეჟიმის პირობებში მარქსი ვერ გახდა უნივერსიტეტის პროფესორი, მაგრამ მალე ის გახდა „რეინის გაზეთის“ რედაქტორი და დაიწყო „შეურიგებელი კრიტიკა ყოველივე არსებულისა.“ 1844 წელს გაეცნო ინგლისიდან პარიზში ჩასულ ენგელსს, რომელთანაც მეგობრობდა სიკვდილამდე. 1845 წელს პოლიტიკური დევნის შედეგად მარქსი იძულებული გახდა დაეტოვებინა პარიზი და ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გადასულიყო. 1849 წლიდან მარქსი ლონდონშია, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა 1883 წლამდე, გარდაცვალებამდე. მარქსი და მისი ოჯახი ეწეოდა მძიმე ემიგრანტულ ცხოვრებას, დაეღუპა სამი შვილი. ენგელსის მატერიალურმა დახმარებამ გადაარჩინა ოჯახი სრულ განადგურებას.

ფ. ენგელსი დაიბადა 1820 წელს ქ. ბარმენში, ქსოვილების ფაბრიკის მფლობელის ოჯახში. 1834 წელს შედის გიმნაზიაში, რომელიც დამთავრებამდე ერთი წლით ადრე დატოვა მამის მოთხოვნით, რომელსაც უნდოდა, რომ მისი შვილი კომერსანტი გამოსულიყო. ენგელსი იწყებს მუშაობას მამის სავაჭრო კანტორაში. მთელ თავისუფალ დროს უთმობს თვითგანათლებას. 1841 წელს გაემგზავრა ბერლინში სამხედრო ვალდებულებების მოსახდელად, თავისუფალ დროს ესწრება ლექციებს ბერლინის უნივერსიტეტში და ეწაფება ჰეგელის ფილოსოფიას, ახალგაზრდა ჰეგელიანელთა შორის მალე იხვეჭს დიდ პატივისცემასა და ავტორიტეტს. 1842 წელს მიემგზავრება ინგლისში, ქ. მანჩესტერში, სადაც მამამისს ჰქონდა სავაჭრო კანტორა. აქ ის დიდი გატაცებით ეწაფება პო-

ლიტიკური ეკონომიკის თეორიას, რომლის შედეგი იყო მისი ნაშრომი: „პოლიტეკონომიის კრიტიკის მონახაზები“ (1843-1844). 1844 წელს ენგელსმა დატოვა ინგლისი. 1845 წელს ის ბრუსელშია, სადაც ამ დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა კ. მარქსი. ენგელსი გადაწყვეტს, რომ მთელი თავისი ენერგია მოახმაროს რევოლუციური თეორიის შექმნას. 1849 წლიდან ენგელსი ლონდონშია და მარქსთან ერთად იბრძვის კომუნისტთა კავშირის რეორგანიზაციისათვის, ეწევა დაუღალავ თეორიულ მოღვაწეობას და ხდება საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის ერთ-ერთი ბელადი და „მეცნიერულ კომუნიზმის“ თეორიის შემქმნელი მარქსსთან ერთად.

კ. მარქსი თვით მისი მოწინააღმდეგეების აღიარებითაც იყო მრავალმხრივი და ღრმად მოაზროვნე პიროვნება, რომლის იდეებმა ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვეს მთელ მსოფლიოში. მრავალი მილიონი ადამიანი მისი მიმდევარი გახდა.

მარქსის თეორიული ინტერესები ეხებოდა საზოგადოების შესახებ ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტოლოგია, პოლიტიკური ეკონომია.

მარქსი ახალგაზრდობიდანვე შეეცადა შეემუშავებინა კომუნიზმის ფილოსოფიური საფუძვლები და ის როგორც სულიერი იარაღი დაეკავშირებინა პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობისათვის, ე. ი. გააერთიანებინა ფილოსოფია და პროლეტარიატი. ამისათვის მას დასჭირდა, უპირველეს ყოვლისა, მოეხდინა ევროპული სინამდვილის პოლიტიკურ-ეკონომიკური ანალიზი და მისი შედეგები გაეაზრებინა გერმანული ფილოსოფიის შუქზე. ამასთანავე მან კრიტიკულად გადაამუშავა მაშინდელი ფრანგული და ინგლისური სოციალისტური და კომუნისტური უტოპიური თეორიები.

მარქსი ჯერ კიდევ 1844 წელს დაინტერესებულია ადამიანის გაუცხოვების პროცესით კერძო მესაკუთრულ საზოგადოებაში და მისი დაძლევით ისტორიულ პერსპექტივაში. ამ გაუცხოვების უპირველეს მიზეზად ის ასახელებს კერძო

საკუთრებას, რომ მოისპოს ადამიანის გაუცხოება საზოგადოებაში, უნდა მოისპოს წარმოების საშუალებებზე არსებული კერძო საკუთრება, ე. ი. ბურჟუაზიული საზოგადოება, ის უნდა შეიცვალოს ისეთი საზოგადოებით, სადაც წარმოების საშუალებებზე იქნება საზოგადოებრივი საკუთრება, ე. ი. კომუნისტური საზოგადოებით – ასკვნის მარქსი. მარქსის მიხედვით ადამიანის საგნობრივი მოქმედება – (უპირველეს ყოვლისა, მატერიალური დოვლათის წარმოება) ანუ პრაქტიკა – არის ისტორიული და იმავე დროს პირველადი მთელი სულიერი სამყაროს მიმართ. ამით მარქსმა გააფართოვა მატერიალიზმი და მისი პრინციპები გაავრცელა საზოგადოებრივ მოვლენებზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მოგვცა ისტორიის მატერიალისტური გაგება, რაც მის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად ითვლება.

მარქსი არ ყოფილა ფილოსოფოსი ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, მას სპეციალურად არასოდეს არ უკვლევია ფილოსოფიის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური პრობლემები. და მიუხედავად ამისა იგი ითვლება ახალი ტიპის ფილოსოფიის ფუძემდებლად, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაში შესულია „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის“ სახელწოდებით.

მარქსის ფილოსოფიის მოკლე განხილვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა შევაჩეროთ ამ ფილოსოფიის მეთოდზე, აზროვნების იმ წესზე, რომლის თვალსაზრისითაც მარქსი განიხილავს მთელ სინამდვილეს, როგორც ბუნებას, ასევე საზოგადოებასა და აზროვნებას. მარქსი ამ საკითხში ჰეგელის პოზიციაზე იდგა იმ გაგებით, რომ ის სამყაროს განიხილავდა როგორც დიალექტიკურ-ისტორიულ პროცესს, რომელიც მიმდინარეობს მარტივიდან რთულისაკენ და აქვს აღმავალი, პროგრესული მიმართულება. ჰეგელისათვის ამ პროცესის საფუძველს წარმოადგენს შემმეცნებელი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად ანუ ობიექტურად არსებული იდეა, რომელსაც ის „მსოფლიო სულს“, „აბსოლუ-

ტურ იდეას“ ან მარტივად „აბსოლუტს“ უწოდებს. მარქსისათვის დიალექტიკური ისტორიული პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალა საზოგადოების მიერ მატერიალური დოვლათის წარმოებაა.

ჰეგელისა და მარქსის აზრით ისტორიაში მოქმედებს მრავალი ძალა, ფაქტორი, რომელთა შორის, ჰეგელის მტკიცებით, უმთავრესია კულტურულ-ინტელექტუალური ანუ სულიერი ფაქტორი. მარქსიზმისათვის კი ასეთი ფაქტორი არის ეკონომიკური ანუ მატერიალური ფაქტორი. საზოგადოებრივ ყოფიერებას განსაზღვრავს არა ცნობიერება (თუნდაც მსოფლიო სულის სახით), როგორც ამტკიცებდა ჰეგელი, არამედ პირიქით – საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას – ამტკიცებდა თავის მხრივ მარქსი. სწორედ იმის გამო, რომ მარქსის მიხედვით „ეკონომიკური – მატერიალური ფაქტორი არის ისტორიული პროცესის წარმართავი ძალა“ – მარქსი ითვლება ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლად. ენგელსის დახასიათებით, „მარქსმა პირველმა შექმნა ისტორიის მატერიალისტური გაგება“ და ეს ითვლება მის მიერ მეცნიერებაში გაკეთებული ორი დიდი აღმოჩენიდან ერთ-ერთ უდიდეს აღმოჩენად, მეორეა – ზედმეტი ღირებულების თეორია, რომელიც პოლიტიკური ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება.

მარქსი ეკონომიურ-ისტორიულ ფაქტორს სხვანაირად ბაზისსაც უწოდებს, ხოლო კულტურულ ფენომენებს, როგორიცაა რელიგია, ფილოსოფია, ეთიკა, ლიტერატურა და მისთ. – ზედნაშენს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს: პირველი. ბაზისი და არა ზედნაშენი განსაზღვრავს საზოგადოების ისტორიის მსვლელობას და მეორე, ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს და არა – პირიქით. ასეთი მტკიცება ეკონომიკურ დეტერმინიზმის აღიარებაა, ე. ი. იმის თქმა, რომ ისტორიის მსვლელობაც და ადამიანთა აზრებიც განისაზღვრება ეკონომიკურ-მატერიალური გარემოებებით და ადა-

მიანებს არა აქვთ თავისუფალი მოქმედებისა და არჩევანის შესაძლებლობა. ამ ბრალდების გასანეიტრალებლად ფ. ენგელსს დასჭირდა რიგი „წერილების“ დაწერა ამ თემაზე, სადაც იგი შეეცადა განემარტა მარქსის აზრები ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთმიმართებაზე და ხაზი გაესვა ბაზისის მიმართ ზედნაშენის აქტიურ უკუზემოქმედებაზე. ასე, რომ მარქსისა და ენგელსის შეხედულება ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთმიმართებაზე ღებულობს შემდეგ სახეს: ბაზისი და ზედნაშენი ურთიერთს განსაზღვრავენ, მაგრამ ბაზისს აქვს გადამწყვეტი როლი და რაც შეეხება ზედნაშენურ ინსტიტუტებს: სახელმწიფოს, იდეოლოგიას, აზროვნებას – მათ შეუძლიათ დააჩქარონ ან შეანელონ ბაზისის განვითარება.

მარქსის მიხედვით ბაზისს აქვს ორი ასპექტი: საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი. ამათგან უმთავრესია წარმოებითი ურთიერთობანი ანუ წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ ეკონომიკურ ფორმაციებს ანუ ისტორიული პროცესის ცალკეული ეტაპების საფუძველს.

საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა შეადგენს წარმოების წესს. საწარმოო ძალები უფრო აქტიური და მოძრავია, რამდენადაც მათში აისახება ადამიანთა მოთხოვნილებანი. საწარმოო ძალების თანდათანობითი ანუ რაოდენობრივი ცვალებადობა გარკვეულ წერტილზე იწვევს თვისებრივ ცვალებადობას ანუ წარმოებით ურთიერთობათა ცვალებადობას, ძველი იცვლება ახლით, რომელიც უფრო მეტ გასაქანს იძლევა ახალი საწარმოო ძალების განვითარებისათვის, რამდენადაც მათ შორის შესაბამისობა უფრო მაღალი ხასიათისაა, ვინემ ადრე. ერთი სახის წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა მეორე სახის წარმოებით ურთიერთობებით, ხდება ძველის მოხსნის, გაუქმების, როგორც წესი, რევოლუციის სახით. ახალი წარმოებითი ურთიერთობა უკუქმედებს არსებულ საწარმოო ძალებზე და აჩქარებს მათ

განვითარებას. განვითარების პროცესში ხდება მათი აუცილებელი შესაბამისობის კანონის კვლავ დარღვევა, კვლავ წარმოიშობა კონფლიქტი სწრაფად განვითარებად საწარმოო ძალებსა და შედარებით მდგრად წარმოებით ურთიერთობათა შორის, რომელსაც კვლავ რევოლუციამდე მივყევართ. ეს პროცესი უწყვეტია და თავის მხრივ განსაზღვრავს საზოგადოების პროგრესულ განვითარებას, რასაც, სხვა ფაქტორების მოქმედებებთან ერთად, მივყევართ კაპიტალიზმის დანგრევამდე და კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე.

ამ პროცესში მარქსისა და ენგელსის მტკიცებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ზემოთხსენებულ ობიექტურ ფაქტორებს, არამედ სულიერ ფაქტორებსაც: პიროვნებების, პარტიების, კლასების მოქმედებას. რამდენადაც მეტად ექნებათ მათ შეგნებული ისტორიული აუცილებლობა ანუ ობიექტური კანონზომიერებანი და იმოქმედებენ მათი მიხედვით, მით უფრო დაჩქარდება საზოგადოებრივი ისტორიული განვითარების პროცესი. აქედან, თავის მხრივ გამომდინარეობს მეცნიერული ფოლოსოფიის შექმნისა და ადამიანთა მიერ მისი დაუფლების უდიდესი მნიშვნელობა.

დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი პრინციპების მეტნაკლებად სისტემური დალაგება მოგვცა ფ. ენგელსმა თავის შრომებში: „ანტი-დიურინგი“ (1878) და „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული“ (1886). „ანტი-დიურინგში“ განხილულია ფილოსოფიის საგნის, მისი მეთოდებისა და პრინციპების, სამყაროს ერთიანობის, სივრცისა და დროის, მოძრაობისა და მისი ფორმების, შემეცნების თეორიის პრობლემები, ასევე გაანალიზებულია ბუნებისმეტყველების თეორიული პრობლემები, დალაგებულია მატერიალისტური დიალექტიკის კანონები და კატეგორიები.

დიალექტიკის ძირითად კანონებად ენგელსი ასახელებს სამ კანონს: 1. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძო-

ლის კანონს; 2. რაოდენობრივ ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონს და 3. უარყოფის უარყოფის კანონს. თითოეული ეს კანონი გამოხატავს სინამდვილის განვითარების ერთიანი პროცესის არსებით მხარეებს.

მოძრაობას ენგელსი აცხადებს მატერიის არსებობის ფორმად. იგი წერს: „მატერია მოძრაობის გარეშე ისეთივე უაზრობაა, როგორც მოძრაობა მატერიის გარეშე. მოძრაობა ამის გამო ისეთივე შეუქმნადი და მოუსპობადია, როგორც თვით მატერია.“

„ანტი-დიურინგში“ ენგელსი ეხება სამყაროს შემეცნების შესაძლებლობის, ჭეშმარიტების რაობის, რელატიურ და აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა დიალექტიკასა და ჭეშმარიტების კრიტერიუმის საკითხებს.

„ლუდვიგ ფოიერბახში“ ენგელსი იძლევა ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების თავისებურ ანალიზს, მისი მტკიცებით ფილოსოფიის ისტორია ეს არის მატერიალიზმისა და იდეალიზმის ურთიერთბრძოლის ისტორია. აქვე მან გააკრიტიკა კონცეფცია იმის შესახებ, რომ ფილოსოფიის ისტორია, თითქოსდა, არის იდეების განვითარების ისტორია, რომელიც დამოკიდებული არ არის საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ ისტორიასთან. მან ასევე აჩვენა, რომ ფილოსოფიის განვითარება საბოლოო ანგარიშით განისაზღვრება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მსვლელობით. ამასთანავე ენგელსი ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ ფილოსოფიის განვითარებას გააჩნია შედარებითი დამოუკიდებლობაც.

ამავე შრომაში ენგელსი იძლევა წინამარქსისტული მატერიალიზმის დახასიათებას, აღნიშნავს მის სამ ძირითად ნაკლოვანებას: მექანისტურობას, მეტაფიზიკურობას და იდეალისტურობას საზოგადოებრივი მოვლენების ახსნის საკითხებში.

„ბუნების დიალექტიკაში“ ფ. ენგელსი იძლევა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ბუნების მეცნიერების ფილოსოფიური პრობლემების დამუშავებას.

მარქსისტულმა ფილოსოფიამ, მიუხედავად მისი რიგი ნაკლოვანებებისა, ხელი შეუწყო ფილოსოფიის, როგორც გარკვეული მსოფლმხედველობისა და მეცნიერების შემდგომ განვითარებას. ის არის ფილოსოფიის ისტორიის, როგორც ერთიანი ჯაჭვის აუცილებელი რგოლი, რომლის ამოგდებითაც წყდება ეს ჯაჭვი და ირღვევა საკაცობრიო აზროვნების განვითარების დიალექტიკური პროცესი.

თავი VII. XX საუკუნის ფილოსოფიური მიმართულებები

§ 1. ნეოკანტიანელობა

ნეოკანტიანელობა, როგორც ფილოსოფიური მიმართულება, წარმოიშვა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. ნეოკანტიანელები ცდილობდნენ განევითარებინათ კანტის ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები: კრიტიციზმი, აგნოსტიციზმი, აპრიორიზმი. ნეოკანტიანელები „კრიტიცისტები“ არიან იმდენად, რამდენადაც ისინი კანტის კვალდაკვალ თეორიულ ფილოსოფიას იცავენ „მეტაფიზიკისაგან“ ანუ ისეთი პრობლემებისაგან, რომლებიც დაკავშირებულია გარეშე მატერიალურ სამყაროსთან. მათი თეორიული ფილოსოფიის ცენტრში, ისევე როგორც კანტთან დგას გნოსეოლოგიური პრობლემა, ონტოლოგიური საკითხები ცხადდება როგორც ფსიქოლოგიზმი, ემპირიზმი და დოგმატიზმი. ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართების საკითხი, მათი აზრით, საშუალო საუკუნეების სამწუხარო გადმონაშთია.

ნეოკანტიანელები აგნოსტიკოსები არიან იმდენად, რამდენადაც მატერიალურ სინამდვილეს აცხადებენ შეუცნობადად, ხოლო აპრიორისტები კი იმდენად, რამდენადაც, ისევე როგორც კანტს, მათ შემეცნების ფორმები მიაჩნიათ აპრიორულად შემეცნების გრძნობად მასალასთან მიმართებაში.

ნეოკანტიანელები კანტის მოძღვრებას ანვითარებენ ახალ ეპოქასთან და მეცნიერების ახალ დონესთან მიმართებაში. მათ „ნივთი თავისთავად“ ანუ მატერიალური სამყარო სავსებით გააძევეს თეორიული ფილოსოფიიდან და მით გახდნენ კანტზე უფრო თანმიმდევრული აგნოსტიკოსები. ნეოკანტიანელები უფრო აღრმავებენ კანტის სუბიექტურ იდეალიზმს და ანვითარებენ მის ცალკეულ ასპექტებს. კოჰენ-ნა-

ტორპი-კასირერის სკოლას (მარბურგის) კანტის ფილოსოფიაში ძირითად მომენტად მიაჩნია ტრანსცენდენტალური მეთოდი. ვინდელბანდ-რიკერტის სკოლა (ფრაიბურგის) აქცენტს აკეთებს შემეცნების ემპირიულ და აპრიორული ელემენტების ურთიერთდაპირისპირებაზე.

მარბურგელთა მტკიცებით ფილოსოფია არის მეცნიერება მეცნიერებებზე. ის მეცნიერებაა შემეცნებაზე, რომელიც იკვლევს შემეცნების წყაროებს, მის პირობებს, მის საზღვრებს. ასე გაგებულ ფილოსოფიას უკავია ცენტრალური ადგილი სხვა მეცნიერებათა შორის, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებდა ძველი ფილოსოფია. მაშინ, როცა სხვა მეცნიერებანი მოვლენათა ცალკეული ჯგუფების ახსნას იძლევიან, ფილოსოფია ახსნას აძლევს თვით მეცნიერებას. ფილოსოფიის დანიშნულება ის არის, რომ მოგვცეს საყოველთაო მეცნიერული გაგება, წინააღმდეგ ცალკეული პოზიტიური მეცნიერებისა.

ჰეგელის ობიექტური იდეალიზმიდან მარგბურგელები სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებისაკენ იხრებიან. მათთვის ყოფიერება აზროვნების პროდუქტია. შემეცნების საგანი ასევე აზროვნების სპონტანური მოქმედების პროდუქტია. ცოდნა არ არის ცოდნა საგანზე, არამედ – ცოდნა საგნის ცნების შესახებ, ის არის საშუალება ცდის მოსაწესრიგებლად. შემეცნების საგანი იქმნება შემეცნების პროცესში. აზროვნება არის საგნის შექმნის, მისი კონსტრუირების პროცესი. ყოფიერებისა და აზროვნების გაიგივებით, მარბურგელები აიგივებენ შემეცნების საგანს საგნის შესახებ ცოდნასთან.

მარბურგელები ასევე იდეალისტურად წყვეტენ ობიექტ-სუბიექტის მიმართების საკითხსაც. მატერიალიზმში ეს პრობლემა განიხილება როგორც სუბიექტის მიმართება ობიექტურ მატერიალურ სამყაროსთან. მარბურგელებისათვის საკითხის ასე დაყენება ნიშნავს „მეტაფიზიკურ დუალიზმს“. მათთვის ეს არის სუბიექტური და ობიექტური ელემენტების

ურთიერთობის პრობლემა შემეცნების შინაგან პროცესში. ობიექტურია ის, რაც ცდის ცვალებად შინაარსში უცვლელია, მყარია, იგივეობრივია; სუბიექტური კი ცვალებადი, არამდგრადი და მოძრავია. ობიექტურისა და სუბიექტურის ურთიერთმიმართება შეფარდებითია, რელატურია, ყოველი ობიექტური გარკვეულ პირობებში შეიძლება გადავიდეს სუბიექტურში. ობიექტი და სუბიექტი იგივეობრივია.

ამრიგად, მარბურგელთა შემეცნების თეორიის ძირითადი ნიშნებია აბსოლუტური რელატივიზმი, სუბიექტივიზმი და აგნოსტიციზმი.

მარბურგელებისათვის დამახასიათებელია მათემატიკის განდიდება. მათემატიკა ყოველგვარი მეცნიერული ცოდნის ცენტრი და მწვერვალია. მათემატიკური მეთოდი უნივერსალურია, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სხვა საბუნებისმეტყველო საგნები და თვით ლოგიკაც–კი. აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს ჰეგელის აზრი იმის შესახებ, რომ „თუ ფილოსოფიას სურს გახდეს მეცნიერება, მას არ შეუძლია ამისათვის აიღოს მეთოდი რომელიმე დაქვემდებარებული მეცნიერებიდან, მაგალითად მათემატიკისაგან“.

ფრაიბურგის (ბადენის) სკოლის წარმომადგენლები: ვინდელბანდი და რიკერტი ერთმანეთს უპირისპირებენ ბუნების შესახებ მეცნიერებებს და კულტურის შესახებ მეცნიერებებს. ამ უკანასკნელის ქვეშ მათ ესმით ის, რაც შეიძლება მოთავსდეს საზოგადოებრივი მოვლენების ჩარჩოში და ადამიანთა ისტორია. ამიტომ ისინი კულტურის შესახებ მეცნიერებიდან აძევებენ ფსიქოლოგიას და ეწინააღმდეგებიან მის შეტანას „სულის“ შესახებ მეცნიერებათა სფეროში. ზემოთ აღნიშნულ ორ მეცნიერებას შორის განსხვავებას ვინდელბანდი და რიკერტი იმაში ხედავენ, რომ მეცნიერებანი ბუნების შესახებ **ანზოგადოებენ,** ხოლო მეცნიერებები კულტურის შესახებ **აინდივიდუალიზირებენ** მათ მიერ შესასწავლ ობიექტებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შემმეცნებელ ადამიანს ბუნებაში აინტერესებს ზოგადი, ტიპიური, ისტორიაში კი – ინ-

დივიდუალური ფაქტი მის ინდივიდუალურობაში. ამიტომ ისინი გადაჭრით უპირისპირებენ ერთმანეთს ზოგადს-ერთეულს, აბსტრაქტულს – კონკრეტულს, კანონს – მოვლენას. ბუნებისმეტყველების ამოცანას წარმოადგენს თავისი მასალის მაქსიმალური განზოგადება. „საბუნებისმეტყველო მეცნიერული თეორია მით უფრო სრულყოფილია, რაც უფრო ნაკლებ სინამდვილეს შეიცავს თავისთავში მისი ცნებები“ – წერს რიკერტი. აქედან გამომდინარეობს მეორე მეტად მნიშვნელოვანი დასკვნა ბუნებისმეტყველებისათვის: რაკი ბუნებისმეტყველება მიმართავს მაქსიმალურ განზოგადებას, ამის საფუძველზე ის შეიძლება დავიყვანოთ უფრო ზოგად მეცნიერებაზე – მათემატიკასა და მექანიკაზე. „მექანიკა არის ძირითადი მაგენერალიზირებელი მეცნიერება მატერიალური სამყაროსი (რიკერტი).

ანტიინდივიდუალური ზოგადი, რომელსაც იყენებს ბუნებისმეტყველება, მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს და წარმოადგენს აბსტრაქციის ნაყოფს, რასაც რიკერტი და მისი მიმდევრები უწოდებენ კანონს. კანონი არ არის ობიექტური, ის ერთეულს მოწყვეტილი ზოგადობაა. ამიტომაც იქ, სადაც ზოგადი საჭირო არ არის, სადაც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფაქტი, იქ კანონი არ არის. ამიტომ ისტორიას არა აქვს კანონი. მეცნიერებებიდან ერთნი კანონის შესახებ მეცნიერებებია, მეორენი – მეცნიერებანი მოვლენებზე. პირველნი გვასწავლიან იმას, რასაც ყოველთვის აქვს ადგილი, ხოლო მეორენი კი – რაც ერთხელ იყო. მეცნიერული აზროვნება პირველ შემთხვევაში არის ნომოთეტური (კანონის დამდგენი) აზროვნება, მეორე შემთხვევაში – იდეოგრაფიული ანუ აღწერითი“ (რიკერტი). აღწერითი ისტორია სწავლობს სწორედ ინდივიდუალურს. ისტორიის ძირითადი მეთოდი, რიკერტის მტკიცებით, არის აღწერითი მეთოდი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსმა ისტორიული ფაქტი აბსოლუტური სიზუსტით აღწეროს, ეს შეუძლებელიცაა, რამდენადაც ინდივიდუალური ირაციონალურია და მისი ზუს-

ტად ასახვა ჩვენს უნარს აღემატება. ისტორია ინდივუალურია, მაგრამ არა ყოველი ფაქტი არის ისტორიული. ისტორიას აინტერესებს ისეთი ინდივიდუალური, რომელსაც აქვს გარკვეული ზოგადი მნიშვნელობა, არის ტიპიური, სამაგალითო. ისტორიკოსი ინდივიდუალური ფაქტებიდან არჩევს ისეთს, რომელსაც გააჩნია რაღაცა ტიპიური, ერთმანეთისაგან გამოყოფს მნიშვნელოვანსა და არამნიშვნელოვანს, ისტორიული თვალსაზრისით.

ისტორიკოსი აფასებს ისტორიულ მოვლენას იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შეუწყო მან ხელი კულტურის განვითარებას, ყოველ ფაქტს მოეთხოვება შეავსოს კულტურა. ისტორიკოსისათვის მთავარია არა ის, თუ რატომ იყო იმპერატორი ფრიდრიხი, არამედ თუ რა გააკეთა მან კულტურის განვითარებისათვის. „კულტურული – ღირებულებითი თვალსაზრისი“ არის ის კრიტერიუმი, რომლითაც ისტორიკოსი განასხვავებს ერთმანეთისაგან ისტორიულად მნიშვნელოვან ფაქტს, არა მნიშვნელოვანისაგან. აქ სახეზეა ნეოკანტიენელთა სუბიექტური იდეალიზმი.

ნეოკანტიენელთა ასეთი მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არ არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელიც თავის საკვლევ სფეროს კანონებს არ ადგენდეს და ამდენად მეცნიერებათა დაყოფა ნომოთეტურ და აღწერით მეცნიერებებად საფუძველს მოკლებულია. მეორე, ისტორია აქვს თვით ბუნებასაც, რამდენადაც ის პროცესია. ამას ნათლად აჩვენებს ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა: გეოლოგია, პალეონტოლოგია, ბიოლოგია, ფიზიკა და სხვ.

ვინდელბანდისა და რიკერტის მტკიცებით „ისტორიული განვითარების ცნება და კანონის ცნება ურთიერთს გამორიცხავენ.“ ნეოკანტიანელები ერთმანეთს წყვეტენ ზოგადსა და ერთეულს, უარყოფენ ზოგადის შემეცნებას ერთეულის მეშვეობით და პირიქით, რასაც ისინი სრულ აგნოსტიციზმამდე მიჰყავს.

§2. ირაციონალიზმი. შოპენჰაუერი

XX საუკუნის ფილოსოფიაში ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ირაციონალიზმი. „ირაციონალის“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს არაგონიერს, არაცნობიერს, ირაციონალიზმი უარყოფს ობიექტური სამყაროს მოვლენებისა და კანონების გონებრივ, ლოგიკური შემეცნების შესაძლებლობას, მთავარ როლს შემეცნებაში ინსტინქტს, ბრმა რწმენას, გრძნობებსა და ინტუიციას ანიჭებს.

ირაციონალიზმის ერთ-ერთი გამოკვეთილი წარმომადგენელია არტურ შოპენჰაუერი. იგი დაიბადა ბანკირის ოჯახში 1728 წელს, ქალაქ დანციგში. საშუალო განათლება მიიღო ინგლისში. იენში მიიღო სამეცნიერო ხარისხი და დასახლდა დრეზდენში, სადაც 1818 წელს დაასრულა თავისი მთავარი ნაწარმოები „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“. ვაიმარში ცხოვრების დროს გაეცნო გოეთეს, ძმებს შლეგელებს და ბევრ მაშინდელ გამოჩენილ პიროვნებებს. ორ-ორი წელი ისწავლა გოტინგენისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. შოპენჰაუერმა სცადა დაპირისპირებოდა ჰეგელს და მისი აუდიტორიის გვერდით დაიწყო ლექციების კითხვა, რათა ჰეგელის მსმენელები თვითონ მიემხრო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა, მან მიატოვა ლექციების კითხვა და მამის მონაგარით უზრუნველყოფილად ცხოვრობდა. პოპულარული გახდა 1848 წლის რევოლუციის შემდეგ პესიმისტურად განწყობილი საზოგადოების წრეში. გარდაიცვალა 1860 წ.

წინააღმდეგ კანტისა, რომელიც სინამდვილის შემეცნების პროცესში პრიმატს პრაქტიკულ გონებას ანიჭებდა და ნებას მას უქვემდებარებდა, შოპენჰაუერი, პირიქით, ნებას გონებაზე უფრო მაღლა აყენებდა და ამტკიცებდა, რომ ადამიანის ნება ანუ მოტივები, სურვილები შედარებით დამოუკიდებელნი არიან და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ გონებრივი შემეცნების მიმართულებებსა და შედეგებს. გონების ადგილას შოპენჰაუერმა ნება დააყენა, ნება გონების

კონტროლს არ ექვემდებარება, ის აბსოლუტურად თავისუფალია. ის ყოველგვარი ყოფიერების საწყისია, პირველმიზეზია, საიდანაც წარმოიშობა მოვლენა ანუ წარმოდგენა. „წარმოდგენების“ წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა შესაბამისი, თანაფარდობითი, ურთიერთ განმსაზღვრელი „ობიექტი“ და „სუბიექტი“, რომლებიც ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ამით შოპენჰაუერი უპირისპირდება როგორც მატერიალიზმს, ასევე იდეალიზმსაც, მაგრამ საბოლოო ანგარიშით მისი ფილოსოფია ობიექტური იდეალიზმია, სუბიექტური იდეალიზმის პრინციპების ნარევით. შოპენჰაუერმა ადამიანის ფსიქიკის ირაციონალური მომენტი – ნება - მეტაფიზიკურ პირველ ნებად აქცია და ჰეგელის აბსოლუტური იდეის ადგილას დააყენა. ის კოსმიური ნებაა, რომელიც სამყაროს მოვლენებში ვლინდება, რომელიც მოვლენათა მიღმა არსებობს როგორც კანტის „ნივთი თავისთავად““ და ამიტომ მას შეიძლება თავისთავადი ნება ვუწოდოთ, რომელთანაც ადამიანს, სუბიექტს მხოლოდ სურვილი აკავშირებს.

ამრიგად, შოპენჰაუერმა ნება აქცია აბსოლუტურ საწყისად, იგი ყოველივე არსებულის ძირია. სამყაროს შოპენჰაუერი გაიაზრებდა, როგორც ნებასა და წარმოდგენას, ცნობიერების პირველ ფაქტს ის ხედავდა წარმოდგენაში. შემეცნება ხორციელდება ან როგორც ინტუიციური, ან როგორც განყენებული ანუ რეფლექსური პროცესი. ინტუიცია ეს არის პირველი და მნიშვნელოვანი სახე ცოდნისა. რეფლექსები ინტუიციას ემყარება. აზროვნების მეშვეობით ადამიანი სამყაროს შეიმეცნებს როგორც ნებას, რომელმაც ბუნებაზე გავლით თავისთავი ადამიანში აღმოაჩინა. ამიტომაც სამყარო, რომელშიც ადამიანი იმყოფება, არის ერთსადაიმავე დროს ნებაც და წარმოდგენაც.

შოპენჰაუერის აზრით, სამყარო არაგონიერი და უაზროა. მას მართავს ბრმა, ბოროტი ნება. ადამიანთა ტანჯვა ამ ბოროტი ნებითაა განპირობებული და გამოიხატება სიკვდილის წინაშე ადამიანის დაუძლეველ შიშში. ამ აზრით სიცოც-

ხლე ბედის საჩუქარი კი არაა, არამედ – უბედურებაა. ერთადერთი, რაც აიძულებს ადამიანებს იცოცხლონ, ეს არის ნება. როცა ისპობა ნება, ისპობა ადამიანიც. სიცოცხლე ტანჯვაა, ბედნიერებას ყოველთვის უბედურება მოსდევს და ამის მიზეზი ადამიანთა ნება, მათი მისწრაფებაა აისრულონ სხვადასხვა სურვილი. ტანჯვისა და უბედურებისაგან თავის დაღწევა შეიძლება სურვილების ჩახშობით, ნების დათრგუნვით, სურვილების აბსოლუტური უარყოფა, ბუდიზმის მიხედვით, ნირვანაში გადასვლაა. შოპენჰაუერი იზიარებდა ბუდიზმის პრინციპებს და მან ერთ-ერთმა პირველმა სცადა მათი ევროპულ აზროვნებაში დანერგვა.

§ 3. კირკეგორი

ცხოვრება და მოღვაწეობა. სიორენ კირკეგორი დაიბადა 1813 წელს, კოპენჰაგენში, საკმაოდ მდიდარი მამის ოჯახში. თუმცა მატერიალურად მთელი სიცოცხლე უზრუნველყოფილი იყო, ბავშვობის წლებში არსებითი სულიერი ტრავმა გადაიტანა და ჩამოყალიბდა ავადმყოფურად მგრძნობიარე პიროვნებად.

გარეგნულად მეტად უბრალო ცხოვრებას ეწეოდა. აინტერესებდა თეოლოგია და ფილოსოფია. 1841 წელს დაიცვა მაგისტრის ხარისხი ფილოსოფიაში. ჰქონდა დახვეწილი სტილი, ერთსადაიმავე დროს ირონიულიც და გამომწვევად პოლემიკური.

იცოცხლა სულ 42 წელი, გარდაიცვალა 1855 წელს.

ძირითადი შრომები: „ან – ან“, “შიში და შეშფოთება“, „შიშის ცნება“, „ფილოსოფიური ნამცეცები“, „თვალსაზრისი“ და სხვ. მისი თხზულებათა კრებული შეადგენს 20 ტომს. მისი დღიურები გამოქვეყნდა გარდაცვალებიდან მეოთხედი საუკუნის შემდეგ.

თანამედროვე ფილოსოფიაში კირკეგორი ითვლება ეგზისტენციალიზმის ფუძემდებლად. კირკეგორის აზრით ბოროტების წყარო ათეიზმის გავრცელებასა და მასთან დაკავშირებულ რაციონალიზმსა და მეცნიერულ შემეცნებაშია. ქრისტიანობა და ფილოსოფია ერთმანეთთან შეუთავსებელია. რწმენა არ საჭიროებს დასაბუთებას. რწმენის დასაბუთება ნიშნავს მის უარყოფას. რწმენა უნდა იყოს ბავშვური. იგი იზიარებს ტერტულიანეს აფორიზმს: „მწამს, რადგან აბსურდია.“ ერთადერთ რეალობად კირკეგორს მიაჩნია სუბიექტი, ადამიანთა „არსებობა“.

„არსებობა“ ანუ „ექსისტენცი“ კირკეგორის ფილოსოფიის ცენტრალური ცნებაა. „არსებობის“ ქვეშ იგი გულისხმობს „ადამიანურ ცხოვრებას“. „ცხოვრების“ ქვეშ მას ესმის „წმინდა“ ეთიკური პიროვნების “ცხოვრება“. „არსებობა“ გაიგივებულია სუბიექტურობასთან, უპირისპირდება ყოველგვარ ობიექტურობას, მატერიალურს, გრძნობად ყოფიერებას, რომელიც გამოდის ადამიანის მიმართ როგორც უცხო და დაპირისპირებული. ადამიანი გადასროლილია სამყაროში და ადამიანის მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ მას უწევს ყოფნა სამყაროში – როგორც თევზს ხმელეთზე. მატერიალური სამყარო კირკეგორის სიცოცხლის ფილოსოფიის თვალსაზრისით, არარაობაა.

„სიდიადე, ცოდნა, სახელი,
მეგობრობა, ტკბობა, ანდა სიკეთე –
ეს ყოველივე მხოლოდ მოჩვენებაა,
ზუსტად რომ ითქვას – არარაობა!“

ეს ლექსი კირკეგორმა ერთ-ერთ თავის ნაშრომს ეპიგრაფად წინ წარუმძღვარა.

„არსებობის“ ასეთ გაგებას კირკეგორის ფილოსოფია სუბიექტურ-იდეალისტურ ეთიკამდე მიჰყავს, რომლის კატეგორიები შიში, გულგატეხილობა, პარადოქსი, მსხვერპლი – კირკეგორის მოძღვრების ძირითადი ცნებებია. იგი ობიექტურს უპირისპირებს სუბიექტურს, დეტერმინიზმს – ინდე-

ტერმინიზმს, საყოველთაოს – ინდივიდუალურს. პირადი უკ-ვდავების თემას კირკეგორთან ცენტრალური ადგილი უჭი-რავს. სიკვდილის წინაშე შიში მსჭვალავს პიროვნებას და იღებს ფსიქოპათოლოგიურ სახეს. შიში უდევს საფუძვლად რელიგიურ რწმენას, შიში ღრმად ზის ადამიანის სულში. ქრისტესადმი მიბაძვა, ვნება და ცოდვებისაგან გამოსასყიდი მსხვერპლი – კირკეგორის ეთიკის იდეალია.

სიცოცხლის ბოლო წლებში კირკეგორი მკაცრად აკრი-ტიკებდა დანიის ოფიციალურ ეკლესიას მისი მიმტევებლო-ბისა და არასაკმარისი ფანატიზმის გამო. ქრისტიანობა უნდა იყოს არა ადამიანებისადმი სიყვარულის რელიგია, არამედ ღმერთისადმი სიყვარულის რელიგია, მკაცრი და შეურიგე-ბელი. მან არამორწმუნეებს როგორც მერყევებსა და ძეშეც-დომილებს კი არ უნდა შეხედოს, არამედ როგორც ღმერთის წინააღმდეგ ამხედრებულთ. ისინი კი არ უნდა დავარწმუ-ნოთ, არამედ ულმობლად უნდა დავსაჯოთ.

რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და ჰუმანიზმის შეუ-რიგებლობა მსჭვალავს კირკეგორის მსოფლმხედველობას. კირკეგორი ამტკიცებს, რომ აზროვნება ვერასდროს ვერ შეძლებს ჩაწვდეს სინამდვილეს. ის, რაც გაიაზრება, არ არ-სებობს რეალურად, ის მხოლოდ შესაძლებლობაა. აზრები აბსტრაქტულია, არსებობა – კონკრეტული. აზროვნება და არსებობა, ზოგადი და ერთეული აბსოლუტურად ურთიერ-თსაწინააღმდეგოა და ისინი ერთმანეთში არ გადადიან, არ-სებობს მხოლოდ ერთეული. ამ აზრით ფილოსოფიის საგანია არა „არსებობა“ – ზოგადობა, არამედ „არსებობა“, რომელიც ყოველთვის კონკრეტულია, ინდივიდუალურია.

კარკეგორის აზრით პიროვნების განვითარების უმაღ-ლესი საფეხური რელიგიურია. მას წინ უსწრებს ესთეტიკური და ეთიკური სტადიები. მხოლოდ განვითარების რელიგიურ სტადიაზე პიროვნება აღწევს უფრო ღრმა თვითწვდომას. რელიგიური რწმენა მას ესმის როგორც რწმენა უაზრობისა ან კიდევ პარადოქსალურობა გონების თვალსაზრისით.

ღმერთი არ არის ლოგიკური დასაბუთების საგანი. ღმერთი ისეთი აბსოლუტია, რომლის გარეშე ადამიანს არ შეუძლია აიტანოს ცხოვრების წინააღმდეგობა და ტანჯვა.

ჭეშმარიტება გონების მონაპოვარი კი არაა, არამედ - ნებელობის. ჭეშმარიტებას გვაძლევს რელიგია, მაგრამ არა-ყოველგვარი რელიგია, არამედ – ქრისტიანული. იმავე დროს კირკეგორის „ქრისტიანობა“ მიმართულია შემეცნებისა და გონების წინააღმდეგ.

კირკეგორის დამსახურება იმაშია, რომ ყურადღება გა-ამახვილა ადამიანის სულიერ ყოფიერებაზე, ადამიანის შიშ-ზე და საშინელებებზე, რომელსაც ის ხვდება უშუალოდ ცხოვრებაში. კირკეგორი ფილოსოფიას აკრიტიკებდა იმაში, რომ ის ნაკლებ ყურადღებას უთმობდა პიროვნების პრობ-ლემებს. ადამიანის ყველაზე დიდი უბედურება, ფიქრობდა კირკეგორი, არის მისი უპირობო ნდობა გონებრივი აზროვ-ნებისადმი. ფილოსოფიის ამოცანა იმაშია, რომ გაწყვიტოს კავშირი გონებრივ აზროვნებასთან და ჭეშმარიტება აქციოს იმად, რასაც ადამიანები ჩვეულებრივ პარადოქსს და აბ-სურდს ეძახიან.

„კირკეგორის აზრით, ადამიანი არ არის ღმერთზე და-მოკიდებული. ეს მისი სასჯელიცაა და უპირატესობაც. იგი გამოგდებულია სამყაროს წყობიდან, არა აქვს მასში გარან-ტირებული ადგილი. ადამიანი მუდამ მოწყვეტილია ღმერთს და ამავე დროს მუდამ მიმართულია მისკენ, ეძებს მას“ (რ. გორდეზიანი).

§ 4. ნიცშე

ცხოვრება და მოღვაწეობა. ფრიდრიჰ ვილჰელმ ნიცშე დაიბადა 1844 წელს გერმანელი პასტორის ოჯახში. ახალ-გაზრდობიდანვე გაიტაცა ფილოსოფიამ, ფილოლოგიამ და მუსიკამ. 1868 წელს, 24 წლის ნიცშე ხდება ბაზელის უნივერ-

სიტეტის კლასიკური ფილოლოგიის პროფესორი. 1869 წელს ავადმყოფობის გამო იძულებული ხდება გავიდეს პენსიაზე და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობს. გარდაიცვალა 1900 წელს.

ძირითადი შრომები: „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ – (1872 წელი), „აისი – (1881), „კეთილისა და ბოროტის იქით“ (1886), „მხიარული მეცნიერება“ (1882-1887), „მორალის გენეალოგიისათვის“ (1887), „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ (1883-1892), „ძალაუფლების ნება“ (1906), „ანტიქრისტე“ (1902).

ნიცშეს ფილოსოფიის ძირითადი ცნება არის „სიცოცხლე“, ამიტომაც ის ითვლება „სიცოცხლის ფილოსოფიის“ ფუძემდებლად. სიცოცხლეს ნიცშე განიხილავს როგორც კოსმიურ საწყისს, როგორც სამყაროს პროცესის საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას. თავის მხრივ სიცოცხლის საფუძველი არის ნება. სიცოცხლე არის ნების გამოვლენა, მისი ობიექტივაცია. თუ შოპენჰაუერი ნებას განიხილავდა როგორც აბსტრაქტულ მსოფლიო ნებას, ნიცშესათვის ის კონკრეტული, ძალაუფლებისაკენ მიმსწრაფი ნებაა. ის არის ირაციონალური (არაგონიერი,), ინსტინქტური საწყისი, რომელსაც ექვემდებარება ადამიანის აზრები, გრძნობები და ქცევები. ნიცშეს აზრით ადამიანები ირაციონალური არსებაა, რომელიც მოქმედებს ინსტინქტებით, გაუცნობიერებელი მისწრაფებებით.

ნიცშეს ფილოსოფიის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ნიჰილიზმია (უარყოფა,) რომელიც გამოიხატება ფორმულაში: „ღმერთი არ არსებობს თანამედროვე ადამიანისათვის, ღმერთი მოკვდა.“ ნიცშემდე ფილოსოფოსები სამყაროსა და ისტორიას განიხილავდნენ, როგორც მოაზრებად, რაციონალურსა და სამართლიანს. არსებობას ჰქონდა მიზანი, საზრისი, სამყარო და ისტორია არ იყო ბრმა და შემთხვევითი. სამყაროში არსებობდა წესრიგი, ღმერთის მიერ მასში ჩადებული, სამყარო არ იყო ქაოსური, არადა იყო მოწესრიგებული

კოსმოსი, სადაც ადამიანს ეჭირა საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი. ნიცშე ებრძვის სამყაროს ასეთ წარმოდგენას, როგორც ილუზიას, რომელსაც ქმნიან ფილოსოფია და რელიგია. სამყაროს არა აქვს წესრიგი, იგი ქაოსია, იგი უაზრო პროცესია, ის წარმოადგენს სათამაშოს ბედის ხელში. ქაოსის საშიშროება ადამიანებს აიძულებთ შექმნან არსებულის ფორმები, მიანიჭონ მათ საზრისი. ადამიანურ სამყაროში შეაქვთ „საზრისი“ და „მიზანი“, რათა უკეთ მოახდინონ მათში ორიენტირება და გაიხანგრძლივონ სიცოცხლე. მაგრამ ადამიანებს ავიწყდებათ ის, რასაც ისინი დებენ სამყაროში და ისინი მიაჩნიათ სამყაროს საკუთარ სტრუქტურად, რომელიც შექმნილია ღმერთის მიერ. ადამიანი საყრდენს ეძებს თვისი უშიშროებისათვის ღმერთში. მაგრამ რაკი „ღმერთი მოკვდა“, ადამიანს ეს საყრდენი ფეხებიდან ეცლება, ის რჩება უღმერთო სამყაროში. თუ ადრე ყველაფერი გაიაზრებოდა ღმერთთან მიმართებაში და მის საფუძველზე ერთმანეთისაგან გაირჩეოდა ბოროტება და სიკეთე, ჭეშმარიტება და სიმცდარე, თუ ღმერთით გასაგები იყო ადამიანის დაბადების, ამქვეყნიური ცხოვრებისა და გარდაცვალების აზრი, მისი სულის უკვდავება, „ღმერთის სიკვდილის“ აღიარებით, ადამიანი ამ ქვეყნად რჩება „უპატრონოდ“, საკუთარი თავის ანაბარა. მის მოქმედებას არ განსაზღვრავს უზენაესი ძალა, იგი თავისუფალია და ამდენად თავის ქმედებაზე თვითონ არის პასუხისმგებელი. თუ ღმერთი მოკვდა, თუ ის არ არსებობს, მაშინ „არაფერი არაა ჭეშმარიტი, ყველაფერი დასაშვებია.“ სამყარომ დაკარგა თავისი ღირებულება, ყველაფერი გაუფასურდა, ყველაფერი სიყალბეა, ყველაფერი ილუზიაა. ეს არის ნიცშეს ფილოსოფიაში გამოკვეთილი ნიჰილიზმი.

ნიცშე უარყოფს ნამდვილ ყოფიერებას, „სუბსტანციას“. არსებობს მხოლოდ ხილვადი სამყაროს ქმნადობა და ცვალებადობა. არ არსებობს არავითარი სუბსტანცია ან ნამდვილი რეალობა სივრცისა და დროის გარეშე. არსებობს მხოლოდ გრძნობადად აღქმადი სამყარო, რომელიც ვლინ-

დება დროსა და სივრცეში. მიწიერმა სამყარომ არ იცის არაფერი ისეთი, რომელიც არის მუდმივი ანუ სუბსტანციონალური, ის არის მოძრაობა, დრო, ქმედება და მეტი არაფერი, ყველაფერი ცვალებადი და მდინარებაა, ე. წ. „ჭეშმარიტი სამყარო“ სიმცდარეა. ადამიანის ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლაა, მითვისებაა, ნგრევა-შენებაა, უცხოსა და სუსტის დაპყრობა – დამორჩილებაა, საკუთარი ნების დადგენაა სიმკაცრისა და შეუბრალებლობის გზით. ნიცშეს მტკიცებით არსებობს ორი მორალი: ბატონისა და მონის. ბატონის მორალი არის ძლიერის მორალი, მონის კი – სუსტის, რომლისთვისაც დამახასიათებელია თანაგრძნობა, მორჩილება და ტანჯვა. ქრისტიანობა არის მონათა, სუსტთა და მორჩილთა რელიგია. კაცობრიობას სჭირდება არა სუსტი ადამიანები, არამედ ფიზიკურად და სულიერად ძლიერები. სიცოცხლისათვის ბრძოლაში იმარჯვებენ ძლიერები, ბუნებრივი შერჩევის შედეგად მიღებული რასები. ძლიერი ჯანსაღი, ველური რასა („ქერა ბესტია“) იპყრობს სუსტსა და ცდილობს თავს მოახვიოს თავისი ნება. „იცხოვრო – ნიშნავს იყო მკაცრი და შეუბრალებელი ყოველგვარი სისუსტისადმი, როგორც ჩვენს გარეთ, ასევე ჩვენს შიგნით“ – წერს ნიცშე. ძლიერი პიროვნების სინონიმი ნიცშეს ფილოსოფიაში არის ზეკაცი, რომელიც სამყაროს მიზანია, რომელიც დაძლევს უღმერთობას და იქნება ადამიანის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღის გამოხატულება. ნიცშემ წამოაყენა მოთხოვნა „ღირებულებათა გადაფასებისა“, აშკარად გააკრიტიკა ჰუმანიზმი. ის უარყოფდა არა მარტო ქრისტიანულ მორალს, არამედ მორალს საერთოდ. მორალი და კულტურა, მისი აზრით, შეუთავსებელი ცნებებია. მორალი სუსტთა მოგონილია, სუსტებს ცხოვრებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. კულტურა ყოველთვის უნდა იყოს ძლიერების კულტურა, რამდენადაც მხოლოდ ძალაა მშვენიერება. ინტელექტი სამყაროში შემთხვევითი მოვლენაა, ის აჩიავებს ადამიანს, ამიტომაც არის დეკადენსის, კულტურის დაცემის გამოხატულება. ნიცშეს იდეალია ძლი-

ერი პიროვნება, ზეკაცი, რომელიც მიისწრაფვის ხელისუფ-ლებისაკენ, რათა თავის ნებას დაუმორჩილოს სხვები. ადვი-ლი გასაგებია, თუ რატომ თვლიდნენ გერმანელი ფაშისტები ნიცშეს თავიანთ საყვარელ ფილოსოფოსად – ზეკაცის თეო-რია მათი ოფიციალური თეორია გახდა.

§ 5. ექსისტენციალიზმი
მ. ჰაიდეგერი (1889-1976)

მარტინ ჰაიდეგერი კ. იასპერსსთან, პ. სარტრთან, გ. მარსელთან, კამიუსთან და კაფკასთან ერთად ექსისტენცია-ლიზმის – XX საუკუნის ევროპული ირაციონალისტური ფი-ლოსოფიური მიმართულების – ერთ-ერთი მთავარი წარმო-მადგენელია.

მთავარი საკვლევი პრობლემა, რომელიც ჰაიდეგერთან დგას არის არსისა და არსებობის განსხვავების გარკვევა და მის საფუძველზე ადამიანის რაობის დადგენა. არსის ანუ არ-სებულის ძირითად გარკვეულობებს, ჰაიდეგერის აზრით, კა-ტეგორიები, ე. ი. უზოგადესი ცნებები წარმოადგენს, არსე-ბობის ძირითად გარკვეულობებს კი – ექსისტენციალები. არსებობა არის მოქმედი ადამიანი, რომელიც ამ მოქმედებით ჰქმნის თავის თავს იმად, რაც ის უნდა იყოს. რამდენადაც ადამიანი თვით ადგენს თავის არსებას, მისი არსებობა წინ უსწრებს საკუთარ არსებას. არსი (არსებული) – ნივთი, საგა-ნი, მცენარე თუ ცხოველი მხოლოდ არის, რადგანაც მათ თა-ვიანთი თავის დადგენა არ შეუძლიათ, ისინი წინასწარ არიან განსაზღვრული იმად, რაც ისინი არიან, მათ არა აქვთ თავი-სუფლება თავის თავის არჩევანში მაშინ, როცა არსებობა – ადამიანის არსებობა – თვითონ ირჩევს თავის არსებობას. ადამიანი ქმნადობაა იმად, რაც ის შეიძლება გახდეს და თვი-თონვე ქმნის იმას, რაც ის შეიძლება გახდეს. ადამიანის არ-

სებობის ექსისტენციალი არის ზრუნვა, ე. ი. ყველაფერი რასაც ის აკეთებს არის ზრუნვის გამოხატულება. ზრუნვა კი გამომდინარეობს ისეთი ფენომენიდან, როგორიცაა ნებელობა, სურვილი, მისწრაფება. ადამიანი „გადასროლილია“, „მიტოვებულია,“ „უპატრონოა“ სამყაროში, ამის გამო ის განიცდის შიშს, ძრწოლას სიკვდილის წინაშე. შიში სიკვდილის წინაშე არის მისი არსებობის დამახასიათებელი. ადამიანი ცდილობს გაექცეს ამ შიშს. ის გაიქცევა საზოგადოებაში, სადაც თავის თავს კარგავს როგორც პიროვნება. ის არარაობაა საზოგადოებაში, მისი არსებობა არ არის ჭეშმარიტი არსებობა, მან უნდა მიაღწიოს ასეთ არსებობას. ის არავისზე (ღმერთზე) და არაფერზე არ არის დამოკიდებული. ის მხოლოდ თავის თავზეა დამოკიდებული, მან უნდა შექმნას თავის თავიდან ის, რაც ის უნდა იყოს, ის გადაწყვეტს გახდეს იმად, რაც მას შეუძლია გახდეს, ის თავისუფალია და თავისუფლად ყოფნა არის ჭეშმარიტი არსებობა, არის ჭეშმარიტება. ის თავისუფალია და თავისუფლად დგება სიკვდილის წინაშე, ემორჩილება თავის ბედს, თავისუფლად ხვდება სიკვდილს, თავისუფლდება სიკვდილის შიშისაგან. მართალია, ყოველი განვლილი წამი ადამიანს სიკვდილს უახლოებს, ადამიანი იბადება და კვდება, მაგრამ ადამიანი არ იბადება სიკვდილისათვის. ის გარემოება, რომ ადამიანი ბოლოს და ბოლოს კვდება, არ ნიშნავს იმას, რომ იგი სიკვდილისათვის იბადება. ადამიანი იბადება არა სკვდილისათვის, არამედ ნამდვილი მთლიანი ცხოვრებისათვის. იბადება იმისათვის, რომ შექმნას სამართლიანი ლამაზი, ზნეობრივი ცხოვრება დედამიწაზე (კ. ბაქრაძე).

უკიდურესი ირაციონალიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელია **გიორგი გურჯიევი**. წარმოშობით ქართველი (1877-1949), სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში იოსებ ჯუღაშვილთან (სტალინთან) ერთად. მან შექმნა ე. წ. „ფსიქოტრანსმუტაციის თეორია.“ 1910-1918 წლებში ლექციებს კითხულობდა მოსკოვსა და პეტერბურგში, 30-40-იან

წლებში ჩამოაყალიბა თავისი მიმდევართა ჯგუფები ევროპასა და ამერიკაში. მან შექმნა საკმაოდ რთული და ბუნდოვანი „კოსმიური“ სურათი სამყაროსი, რომლის ცენტრშიც მოათავსა ძალზე მისტიფიცირებული მატერიალური „ვიბრაციული“ აბსოლუტი, რომლისგანაც, თითქოსდა, გამოდის რაღაც „შემოქმედებითი სხივი“, რომელიც ძლივს აღწევს ჩვენს სამყარომდე, სადაც ძალზე დიდია „მატერიის სიმკვრივე“ და სადაც ადამიანისათვის განსაკუთრებით შეზღუდულია მისი ევოლუციის შესაძლებლობები. ამის გამო ადამიანი „კოსმიურად“ გაპირობებულია გახდეს თავისებური მანქანა, „მძინარე ავტომატი.“ მისი „გაღვიძება“ არ ძალუძს რაციონალიზმს, მხოლოდ მისტიურ „ფსიქოტრანსმუტაციის“ მეთოდებით შეიძლება „მანქანისაგან“ ნამდვილი ადამიანური არსების შექმნა.

§ 6. პრაგმატიზმი

ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას XX საუკუნის დასავლეთის ქვეყნების ფილოსოფიაში წარმოადგენს პრაგმატიზმი, რომელიც წარმოიშვა წინა საუკუნის 70-იან წლების ამერიკის შეერთებულ შტატებში. მას საფუძველი ჩაუყარა **ჩარლზ პირსმა** (1839-1914), შემდგომ განავითარა **უილიამს ჯემსმა** (1842-1910), ხოლო პრაგმატიზმის თანამედროვე სახე შექმნა **ჯონ დიუიმ** (1859-1952). იგი ნაწილობრივ გავრცელდა აგრეთვე ევროპაშიც, კერძოდ ინგლისში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ასევე ჩინეთშიც.

პრაგმატიზმის წარმომადგენლების მტკიცებით, ამ მიმართულების წარმოშობა წარმოადგენს „კოპერნიკისეულ გადატრიალებას“ ფილოსოფიაში, ფილოსოფიის სრულ რეკონსტრუქციას, რომლის არსიც მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიის საგნის შეცვლაში. თუ ადრე ცოდნის ეს დარგი ცდილობდა გადაეჭრა თეორიული ანუ განყენებული პრობლემები, ახლა ფლოსოფიის წინაშე დგება გადაწყვი-

ტოს ადამიანური ცხოვრების პრაქტიკული საკითხები, კერძოთ ადამიანთა მიზნებისა და მათი განხორციელების საშუალებათა ურთიერთმიმართების საკითხები. ფილოსოფია უნდა გახდეს ადამიანთა პრაქტიკული მოქმედების წარმატებების ინსტრუმენტი.

პრაგმატიზმი მისი ფუძემდებლის მიერ წარმოდგენილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც გნოსეოლოგიური თეორია, რომლის ცენტრშიაც დგას ჭეშმარიტების რაობის პრობლემა. კითხვაზე – რა არის ჭეშმარიტება? ფილოსოფიის ისტორიაში არაერთი თვალსაზრისია ცნობილი. მაგალითად, ჭეშმარიტება არის სინამდვილის საგნებისა და მოვლენების შესახებ აზრი, რომელიც ისე ასახავს მათ, როგორც ფაქტიურად არიან ისინი. ან კიდევ: ჭეშმარიტება არის აზრი, რომელიც ლოგიკურ წინააღმდეგობას არ შეიცავს და ა. შ. პრაგმატისტების მტკიცებით ჭეშმარიტება არის აზრი, რომელიც „ჩვენთვის მუშაობს“, რომელსაც ჩვენს მიზნებამდე მივყევართ“, რომელიც „ჩვენთვის მომგებიანია“, ე. ი. „სასარგებლო აზრი არის ჭეშმარიტება“. ჭეშმარიტი აზრი რომ სასარგებლოა ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი სასარგებლო აზრი თავის მხრივ ჭეშმარიტია, რამდენადაც ის, რაც ერთი ინდივიდისათვის, თუ ერთი კოლექტივისათვის სასარგებლოა, შეიძლება მეორე ინდივიდისათვის არამც თუ სასარგებლო, არამედ მეტად საზიანოც იყოს. ჭეშმარიტების საზომად ანუ კრიტერიუმად სარგებლიანობის გამოცხადება საკითხისადმი სუფთა სუბიექტივისტური მიდგომაა, რომელსაც მივყავართ ძველი ბერძენი ფილოსოფოს პროტაგორას დებულებამდე: „ადამიანია საზომი ყოველივე იმისა, რაც არსებობს და აგრეთვე იმისა, რაც არ არსებობს.“

თუ მივიღებთ პრაგმატისტების მტკიცებას , რომ ჭეშმარიტება არის სასარგებლო აზრი“, მაშინ გამოდის, რომ იმდენი ჭეშმარიტება უნდა არსებობდეს, რამდენიც ადამიანია, ე. ი. ობიექტური ჭეშმარიტება შეუძლებელია, რაც საერთოდ ჭეშმარიტების უარყოფას წარმოადგენს. აქედან გამომდინა-

რეობს პრინციპი: „აკეთე ყველაფერი ის, რაც შენთვის სასარგებლოა, რაც მომგებიანია.“

ამრიგად, პრაგმატიზმისათვის დამახასიათებელია უკიდურესი სუბიექტივიზმი, აშკარა ინდივიდუალიზმი და ეგოიზმი.

პრაგმატისტების მტკიცებით ფილოსოფია ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, აბსტრაქტული და მჭვრეტელობითი კი არ უნდა იყოს, რომელიც ცდილობს დაადგინოს ყოფიერების თუ ცნობიერების პირველადობა და მათი ურთიერთმიმართების საკითხები, არამედ ის უნდა იყოს ადამიანთა წინაშე კონკრეტულ სიტუაციაში წამოჭრილი რეალური პრობლემების გადაჭრის ზოგადი მეთოდი. ამ მეთოდის ძირითადი პრინციპებია: ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს მოქმედებას, რაც ადამიანს გამოიყვანს კონკრეტული სიტუაციიდან, არის ჭეშმარიტება. პრაგმატიზმი ამ თვალსაზრისით ერთმანეთთან ათანაბრებს მეცნიერებათა ცნებებსა და რელიგიურ რწმენას. „თუ აღმოჩნდება, რომ რელიგიურ იდეებს აქვთ ღირებულება ნამდვილი ცხოვრებისათვის, მაშინ ისინი იქნებიან ჭეშმარიტი იმ ზომით, თუ რამდენად არიან ისინი გამოსადეგნი“. რომელიმე დებულება თავისთავად არსებული, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. იგი ჭეშმარიტი ან მცდარი „ხდება“ იმის მიხედვით, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას ჩემთვის. მაგალითად, ღმერთის ცნება ჩვენ გვაძლევს იმედს საიქიო მარადიული ცხოვრების შესახებ და ამიტომ ეს იდეა სასარგებლო, მისაღები და ჭეშმარიტია ჩვენთვის.

ჭეშმარიტების კრიტერიუმად პრაგმატიზმში გამოდის არა პრაქტიკა, როგორც შემეცნების საფუძველი და მიზანი, არამედ სარგებლიანობა, ცდა – არა როგორც ობიექტური შინაარსი, არამედ სუბიექტური განცდა. პრაგმატიზმი ხასიათდება გარემომცველი სინამდვილისადმი უტილიტარული მიდგომით, სხვა ადამიანი და ნივთები მხოლოდ საშუალებებია საკუთარი წარმატებისათვის, რომელიც ყველაფერია,

ცხოვრების უმაღლესი მიზანია. პრაგმატიზმი ადამიანებს ასწავლის იბრძოლონ თავიანთი ღირებულებების, მნიშვნელობის ანუ იმიჯის ასაწევად ხალხში. პრაგმატიზმი წარმოდგენილია როგორც ისეთი ფილოსოფია, რომელიც ადამიანებს ასწავლის, თუ როგორი საშუალებები უნდა გამოიყენონ თავიანთი მიზნის მისაღწევად, სწორედ ამის გამო პრაგმატიზმი მიჩნეულია როგორც მოქმედების ფილოსოფია, ისევე როგორც მარქსისტული ფილოსოფია, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პრაგმატიზმი სუბიექტური იდეალიზმის, კერძოდ პოზიტივიზმის, ნაირსახეობაა, ხოლო მარქსისტული ფილოსოფია – მატერიალიზმია.

პრაქტიკული ინტერესი არის ჭეშმარიტების ძიების მიზეზი. პრაგმატიზმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცდას, კონკრეტულ ფაქტებს, უპირველეს ყოვლისა მოქმედებებს, ქცევებს. უარყოფს აბსტრაქტულ, აბსოლუტურ საწყისებს, ემპირიულ მეთოდს აყენებს რაციონალისტურზე მაღლა. ცდა არის „ცნობიერების ნაკადი“. ცდა არასოდეს არ ეძლევა სუბიექტს როგორც იმთავითვე რაღაცა გარკვეულობა. შემეცნების ყველა ობიექტი ყალიბდება სუბიექტის შემეცნებითი ძალებით ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტისას. აზროვნების მიზანია აირჩიოს საშუალება, რომელიც აუცილებელია წარმატების მისაღწევად. ღმერთის იდეა ჭეშმარიტებაა, რამდენადაც იგი ეხმარება ადამიანებს გახდნენ ბედნიერები.

ცდა არის ადამიანური ცხოვრების გამოვლენის ყველა ფორმა. ფილოსოფიის ამოცანაა დაეხმაროს ადამიანებს ცხოვრების უკეთესად მოწყობაში. ამის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს მეცნიერებისა და გონიერების მეთოდი, რომელიც უნდა იყოს იარაღი, ინსტრუმენტი ადამიანთა მისწრაფებების განხორციელების საქმეში (აქედან დიუის შეხედულებათა სახელწოდება – ინსტრუმენტალიზმი). შემეცნება არის ინსტრუმენტი ადამიანებისათვის, რათა მიესადაგონ

როგორც ბუნებრივ, ასევე სოციალურ გარემოს. ჭეშმარიტების საზომი არის მისი პრაქტიკული შრომისუნარიანობა მოცემულ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. პრაქტიკული მიზანშეწონილობა – არა მარტო ჭეშმარიტების კრიტერიუმია, არამედ მორალურობისაც. ადამიანის მიზანი უნდა იყოს რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს ცხოვრებაში, სამყაროში; ფილოსოფიის ამოცანაა – დაეხმაროს მას ამაში. პრაგმატიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ამერიკელთა აზროვნებასა და პრაქტიკაზე.

§ 7. ნეოპოზიტივიზმი

როგორც სახელწოდება მიუთითებს, ნეოპოზიტივიზმი ადრინდელი პოზიტივიზმის თავისებური გაგრძელებაა ახალ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით. პოზიტივიზმი ისეთი მიმართულებაა ფილოსოფიაში, რომელიც ნამდვილ ცოდნად კონკრეტულ ანუ პოზიტიურ (დადებით) მეცნიერებებს აღიარებს. ნეოპოზიტივიზმი კი, მისი წარმომადგენლების მტკიცებით, პოზიტივიზმის თანამედროვე ფორმაა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს იყოს უნიფიცირებული მეცნიერება.

პოზიტივიზმი სათავეს იღებს ჰიუმის ნააზრევიდან. **ო. კონტი, ჯ. ს. მილი და ჰ. სპენსერი** ითვლებიან პირველ პოზიტივისტებად. ო. კონტის მტკიცებით „პოზიტიურ“ ცოდნას იძლევა მხოლოდ მეცნიერება, რაც შეეხება ფილოსოფიას, ის არ არის და ვერ იქნება მეცნიერება, რამდენადაც მისი საკვლევი სფერო ადრე იყო და დღესაც არის „მეტაფიზიკური პრობლემები“, რომელთა გადაწყვეტა მეცნიერული მეთოდებით ყოვლად შეუძლებელია. ის, რაც არ არის ემპირიული ცდის ფაქტი, არ შეიძლება იყოს შემეცნების საგანი. ვიმეცნებთ მოვლენებს და არა არსებას. პოზიტივიზმის აზრით ერთადერთი ჭეშმარიტი მეცნიერება ბუნებისმეტყველებაა, რომელიც სწავლობს გარე სამყაროს მოვლენებს. მაგალითად, ფიზიკოსები სწავლობენ მიზიდულობის კანონს, მაგრამ

მათ თავში არ მოუვათ ისეთი „სულელური“ კითხვა, როგორიცაა: რატომ მოქმედებს ეს კანონი? ამიტომ ყოველგვარი მისტიკური, მითიური და მეტაფიზიკური უნდა გაძევებული იქნას მეცნიერებიდან.

პოზიტივიზმის განვითარების მეორე საფეხურს წარმოადგენს ემპირიოკრიტიციზმი ანუ მახიზმი, რომლის წარმომადგენლები არიან **ერნესტ მახი** (1838-1916) და **რიჰარდ ავენარიუსი** (1847-1896). ისინი მივიდნენ იმ დასკვნებამდე, რომ შეუძლებელია არსებობდეს ობიექტური და აბსოლუტური ჭეშმარიტებები, მეცნიერებაში საქმე გვაქვს მხოლოდ რელატივიზმთან ანუ შედარებით ჭეშმარიტებასთან. განსხვავებით წინა პოზიტივისტებისაგან, ემპირიოკრიტიციზმის წარმომადგენლები არ უარყოფდნენ ფილოსოფიის საჭიროებას, მაგრამ ის დაყავდათ მეთოდოლოგიამდე და ივიწყებდნენ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ფილოსოფიას შეუძლია გამოვიდეს ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის, აქსიოლოგიის, მსოფლმხედველობის სახით. ემპირიოკრიტიციზმი არის სუბიექტური იდეალიზმის ნაირსახეობა, რომელიც ამტკიცებს, რომ სამყარო შემმეცნებელი სუბიექტის შეგრძნებათა კომპლექსია. „სხეული კი არ იწვევს შეგრძნებებს, არამედ ელემენტთა კომპლექსი (შეგრძნებათა კომპლექსი) ქმნის სხეულს“ – წერს მახი თავის წიგნში „შეგრძნებათა ანალიზი და ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობა.“ ატომები ფიზიკაში, მოლეკულები ქიმიაში, აცხადებენ მახისტები, სხვა არაფერია, თუ არა ფიზიკოსისა და ქიმიკოსის შეგრძნებათა კომპლექსები. ეს არის წმინდა წყლის სუბიექტური იდეალიზმი.

პოზიტივიზმის განვითარების მესამე საფეხურად ითვლება თანამედროვე პოზიტივიზმი, რომელიც ცნობილია აგრეთვე სხვადასხვა სახელწოდებებით: „ლოგიკური ატომიზმი“, „ლოგიკური პოზიტივიზმი“, „ლოგიკური ემპირიზმი“, „ლოგიკური ანალიზი“ და ა. შ. მის წარმოშობაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინგლისელმა მათემატიკოსმა,

ლოგიკოსმა და ფილოსოფოსმა **ბერტრან რასელმა** (1872-1970) და ავსტრიელმა ფილოსოფოსმა **ლუდვიგ ვიტგენშტაინმა** (1889-1951).

ლოგიკურ პოზიტივიზმს თავდაპირველად ეძახდნენ იმ ფილოსოფოსთა მოძღვრებას, რომელებიც XX საუკუნის 20-30-იან წლებში ცხოვრობდნენ ვენაში და შექმნეს ე. წ. „ვენის წრე.“ ესენი იყვნენ **მორიც შლიკი** (1882-1936), **ოტტო ნოირატი** (1882-1945), **რუდოლფ კარნაპი** 1891-1970). მათ რიცხვს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე გერმანულენოვანი ფილოსოფოსები **კარლ ჰემპელი და ჰანს რაიხენბახი**.

თუ პირველი პოზიტივისტები (კონტი და სპენსერი) თვლიდნენ, რომ ძირითადი ფილოსოფიური პრობლემები ადამიანის გონების სისუსტისა და შეზღუდულობის გამო გადაუჭრელია, ხოლო მახისტების აზრით ფილოსოფიის ძირითადი საკითხები საერთოდ იხსნება და მას ცვლის მოძღვრება „ნეიტრალური“ ელემენტების შესახებ, ნეოპოზიტივისტები სავსებით უარყოფენ ყველა ფილოსოფიურ პრობლემას, თვლიან მათ მოჩვენებით ანუ ფსევდოპრობლემად, რომლებიც საერთოდ უნდა იქნან უარყოფილნი, როგორც მეცნიერულად საზრისის არ მქონენი. მხოლოდ მეცნიერებებს შეუძლიათ მოგვცენ სინამდვილის შესახებ ცოდნა, ფილოსოფიის დანიშნულება კი არის მოგვცეს მეცნიერული დებულების ლოგიკური ანალიზი. მეცნიერების ანალიტიკური ფილოსოფია არის ერთადერთი შესაძლებელი და მისაღები ფილოსოფია, რასაც ლოგიკური პოზიტივიზმი ეწოდება.

ამრიგად, თანამედროვე პოზიტივიზმა ფილოსოფიის პრობლემები დაიყვანა მეცნიერების ენის ლოგიკურ-სინტაქსისტურ ანალიზამდე და ფილოსოფია გამოაცხადა ცოდნის ისეთ დარგად, რომელიც სწავლობს, იკვლევს ენის პრობლემებს, კერძოდ სიტყვებისაგან წინადადებათა და წინადადებებისაგან დებულებათა გამოყვანის ლოგიკურ წესებს, რომელიც აუცილებელია ჭეშმარიტების მისაღწევად. ჭეშმარიტი წინადადების აზრი კი მდგომარეობს მის ვერიფიკაციის

მეთოდში, ე. ი. ცდის გზით მის შემოწმებაში. თუ ვერიფიკაცია შესაძლებელია, მაშინ დებულებას აქვს მნიშვნელობა, საწინააღმდეგო შემთხვევაში – არა. „მათთვის დებულების ჭეშმარიტება სინამდვილის ასახვაში კი არ მდგომარეობს, არამედ დებულებათა ერთმანეთთან ლოგიკურ თანხმობაში. ნეოპოზიტივისტების ამ თვალსაზრისზე თუ დავდგებით, მაშინ ძნელი გასარკვევი იქნება თუ რა განსხვავებაა მეცნიერული ცოდნის სისტემასა და ლოგიკური თანმიმდევრობით აგებულ ზღაპარს შორის“ (რ. გორდეზიანი).

პოზიტივისტებს არ სურთ გაიგონ, რომ ფილოსოფია სამყაროს შემეცნების განსაკუთრებული ფორმაა, მეცნიერებათაგან განსხვავებული. მეცნიერებასთან მისი არც გაიგივება შეიძლება და არც დაპირისპირება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, პოზიტივიზმმა გარკვეული წვლილი შეიტანა მეთოდოლოგიური პრობლემების დამუშავებაში. დიდი მნიშვნელობა მოიპოვა მათემტიკურმა ლოგიკამ, როგორც დაუკვირვებადი ობიექტების ანალიზის საშუალებამ, ასევე სემიოტიკამ, როგორც ნიშნების თეორიამ. ლოგიკურმა პოზიტივიზმმა ხელი შეუწყო აგრეთვე კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის განვითარებას.

§ 8. ნეოთომიზმი

ნეოთომიზმი, როგორც ზემოთ განხილული შუა საუკუნეების ცნობილი თეოლოგის თომა აქვინელის მოძღვრების თავისებური განვითარება, წარმოიშვა XIX საუკუნის 70-იან წლებში. 1879 წელს რომის პაპმა ლევ XIII-ემ თავის ენციკლიკეში აქვინელის ფილოსოფია გამოაცხადა ერთადერთ ჭეშმარიტებად. პაპი მოითხოვდა „კათოლიკურ სკოლებში ქრისტიანული ფილოსოფიის აღდგენას ანგელოზური დოქტორის წმინდა თომა აქვინელის მოძღვრების თანახმად“. ნეოთომიზმი გახდა კათოლიციზმის ოფიციალური ფილოსოფია,

ხოლო **ჟ. მარიტენი, ე. ჟილსონი, გ. მარსელი, ტეიარ დე შარდენი** და სხვ. – მისი კლასიკური წარმომადგენელი ფილოსოფოსები, რომელთა ძალისხმევითაც განხორციელდა ჩვენი დროის რელიგიურ აზროვნებაში „ანთროპოლოგიური მობრუნება.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ფილოსოფოსებთან ადამიანის პრობლემა, წინააღმდეგ ღმერთის არსებობის პრობლემისა, იქცევა უმნიშვნელოვანეს და უძირითადეს პრობლემად, თეოცენტრიზმს ცვლის ანთროპოცენტრიზმი, წინ წამოიწევა სოციალური და ეთიკური პრობლემები.

შუა საუკუნეების სქოლასტიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამტკიცებდნენ რწმენის უზენაესობას ცოდნის წინაშე, ნეოთეომისტები აცხადებდნენ, რომ რწმენა და ცოდნა კი არ უარყოფენ, არამედ ავსებენ ერთმანეთს და წარმოადგენენ ღვთის მიერ მოცემულ ჭეშმარიტების ორ წყაროს; რწმენა უნდა ეყრდნობოდეს გონიერ, ლოგიკურ საფუძველს. ღმერთის არსებობის აღიარება – ეს მხოლოდ რწმენა კი არ არის, არამედ – ცოდნაც. ღმერთის არსებობის დასაბუთება – ეს ფილოსოფიის საქმეა და ის უნდა ხდებოდეს წმინდა ლოგიკური ხერხებით. რწმენის ჭეშმარიტებანი გონიერების საწინააღმდეგონი კი არ არიან, არამედ ზეგონიერნი, რამდენადაც ისინი უშუალოდ ღმერთისაგან გამომდინარეობენ, ისინი გონიერების ჭეშმარიტებებზე მაღლა დგანან.

რწმენისა და ცოდნის ჰარმონიის საჭიროების სიტყვიერი აღიარების უკან მალულად მაინც დგას რწმენის უპირატესობა ცოდნასთან მიმართებაში, რამდენადაც ღმერთის არსებობა ის პრინციპია, რომელსაც ნეოთომისტები თავიანთი ფილოსოფიის ამოსავალ წერტილად თვლიან.

ნეოთომიზმის ერთ-ერთი არაორთოდოქსი წარმომადგენელი დიდი ფრანგი ფილოსოფოსი **ტეიარ დე შარდენი** (1881-1955) ცდილობს ორგანული სამყაროს განვითარების შესახებ ჩარლზ დარვინის ევოლუციონისტური თეორია შეარიგოს ქრისტიანულთან. მისი მტკიცებით სამყაროს პირვე-

ლად საფუძველს წარმოადგენს სულიერი, ენერგეტიკული სუბსტანცია, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს საგნობრივი ფორმების მრავალფეროვნებაში. კოსმიურ პროცესებს განსაზღვრავს არა ობიექტური კანონები, არამედ ღმერთი, რომელსაც ტეიარ დე შარდენი უწოდებს „ომეგას“. „ომეგა“ – ეს ქრისტეა. ის არის სამყაროსა და ადამიანის ევოლუციის მამოძრავებელი ძალა, ხოლო ადამიანი, რომელიც სულიერ ენერგიის კონცენტრირებას ახდენს თავისთავში, ქმნის ნოოსფეროს (გონების სფეროს ანუ პლანეტის სფეროს, რომელსაც მოიცავს გონიერი ადამიანის მოღვაწეობა).

სრულყოფს რა თავისთავს როგორც ქრისტე, ადამიანმა შექმნა შესაძლებლობა აქტიურად იმოქმედოს სამყაროს სრულყოფაზე. სულიერის საწყისი როგორც „თვითცნობიერება“ წარმოადგენს ადამიანის პერსონალიზაციისა და სოციალიზაციის წანამძღვარს.

ტეიარ დე შარდენის მოძღვრება ჰუმანისტურ-ქრისტიანულია. ის მოუწოდებდა მეცნიერებისა და რელიგიის, ასევე ხალხების ერთიანობისაკენ, რათა თანამედროვე სამყაროში ყოფილიყო ადამიანთა შორის მშვიდობა და სოლიდურობა.

§ 9. XX საუკუნის ქართული ფილოსოფია

ათასხუთასწლოვანმა ქართულმა ფილოსოფიამ, რომელსაც ისეთი მოაზროვნეები ამშვენებენ, როგორიცაა პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი, V ს.), იოანე პეტრიწი (XI ს.), სოლომონ დოდაშვილი, გაბრიელ ქიქოძე (XIX ს.), თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს XX საუკუნეში მიაღწია და თავისი საკვლევი პრობლემატიკის მრავალფეროვნებით, მათი გადაწყვეტის გზებითა და ფილოსოფოსების დონით ღირსეულად დგას თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის გვერდით. როგორც პროფესორი ე. კოდუა ერთგან აღნიშნავს „მე-20 საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში არაა

პრობლემა, რომელიც თავისებურად არ იყო დასმული და გააზრებული ქართულ აზროვნებაში და არაა მიმართულება, რომელიც ქართულ აზროვნებას გამოხმაურების გარეშე დარჩენოდა. მე-20 საუკუნის ქართული ფილოსოფია იდგა თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნების დონეზე და განიხილავდა ევროპული ფილოსოფიისათვის ნიშანდობლივ ყველა აქტუალურ პრობლემას – იმ საკითხებს, რომელნიც საუკუნის დასაწყისის აზროვნებისათვის არსებითს წარმოადგენენ და ქმნიან მრავალფეროვან ფილოსოფიურ მიმდინარეობათა სიმდიდრეს. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის ქართული აზროვნება, ევროპული და მსოფლიო აზროვნების დონეზეა."

XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა პლეადის ბრწყინვალე წარმომადგენლებია: **შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, სერგი დანელია, კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურია), კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, კიტა მეგრელიძე, სავლე წერეთელი.** ჩვენ მოკლედ შევეხებით ზოგიერთი მათგანის დამსახურებას ქართული ფილოსოფიის განვითარების მეტად საპატიო საქმეში.

შალვა ნუცუბიძე (1888-1969) იყო დიდი ფილოსოფოსი და მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, კულტურის ისტორიკოსი და მთარგმნელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, პრორექტორი, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1944 წლიდან, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე 1961 წლიდან.

1906-1910 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის განხრით. 1911-1914 წლებში იმყოფებოდა გერმანიაში და მუშაობდა ფილოსოფიაში ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით.

XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაში, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ფილოსოფიაში, ერთ-ერთ ძირითად

ტენდენციას წარმოადგენდა გნოსეოლოგიური პრობლემატიკის კვლევა. მეცნიერების თეორიის, შემეცნების საკითხისა და ლოგიკის პრინციპის კვლევისადმი სწრაფვა იმთავითვე დამახასიათებელი აღმოჩნდა შ. ნუცუბიძის ფილოსოფიური მოღვაწეობისათვის. მან სცადა შეექმნა ორიგინალური თეორია-ალეთოლოგია ანუ მოძღვრება ალეთეიაზე – თავისთავად არსებულ ჭეშმარიტებაზე, რომელიც ყოველივე ადამიანურზე მაღლა დგას. ეს ალეთეია, ჭეშმარიტება თავისთავად, რეალობაა. ამიტომ ეს თეორია რეალიზმია, ხოლო, მისი ავტორის, შ. ნუცუბიძის, მსოფლმხედველობა – ალეთოლოგიური რეალიზმი. ამ თეორიაში შ. ნუცუბიძე მიზნად ისახავს შემეცნების განთავისუფლებას ფსიქოლოგიზმისა და ანთროპოლოგიზმისაგან.

შ. ნუცუბიძე ქართული ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი პირველი მეისტორიეა, რომელმაც წამოაყენა და სათანადოდ დაასაბუთა „აღმოსავლეთის რენესანსის“ პრობლემა და საფუძველი ჩაუყარა ქართველოლოგიურ სრულიად ახალ დარგს – ქართულ რენესანსმცოდნეობას.

შ. ნუცუბიძემ მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული რუდუნებითა და გამბედაობით გამოიკვლია 15 საუკუნის განმავლობაში ბურუსით მოცული და ამოუცნობი ამოცანა იმის შესახებ, თუ ვინ იყო ფსევდო – დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი წიგნების ნამდვილი ავტორი. დიდი დამაჯერებლობით დაასაბუთა, რომ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო V ს. ცნობილი ქართველი მოღვაწე პეტრე იბერი. ეს ჰიპოთეზა შ. ნუცუბიძემ წამოაყენა 1942 წელს. მისგან დამოუკიდებლად ამავე დასკვნამდე მივიდა ბელგიელი მეცნიერი ერნესტ ჰონიგმანი 1952 წელს, რის შემდეგაც აღნიშნულ თეორიას ეწოდება ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია.

დიდი წვლილი მიუძღვის შ. ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ფილოსოფიური ასპექტების შესწავლისა და დადგენის საქმეში, რუსთაველის ადგილის განსაზღვრაში ქართული რენესანსის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესში.

მანვე დაასაბუთა, რომ ქართული რენესანსის წყაროა ნეოპ-ლატონიზმი. შ. ნუცუბიძემ რუსულ ენაზე უბადლოდ თარ-გმნა „ვეფხისტყაოსანი“.

სერგი დანელია (1889-1963) ასევე იყო დიდი ფილოსო-ფოსი და ლიტერატურათმცოდნე. ფილოსოფიურ მეცნიერე-ბათა დოქტორი ხდება 1927 წელს, მეცნიერების დამსახურე-ბული მოღვაწე – 1944 წელს.

ს. დანელიას მეცნიერული მუშაობის ძირითადი სფერო იყო ფილოსოფია, განსაკუთრებით – ანტიკური ფილოსოფი-ის ისტორია. მან პირველმა შეიმუშავა საქართველოში ფი-ლოსოფიის ისტორიის კვლევის მეთოდოლოგიური პრინცი-პები. სისტემატურად იკვლევდა ბერძნულ ფილოსოფიას თა-ლესიდან არისტოტელემდე და შექნა კაპიტალური შრომები: „ანტიკური ფილოსოფია სოკრატემდე“, „ქსენოფანე კოლო-ფონელის მსოფლმხედველობა“, „ატომისტური ფილოსოფია ძველ საბერძნეთში“, „სოკრატეს ფილოსოფია“. მისი მტკი-ცებით, შემეცნებისა და ადამიანის პრობლემები პირველად ელეატურ ფილოსოფიაში დაისვა. ს. დანელია მოღვაწეობდა ახალი ფილოსოფიის ისტორიაშიც. იკვლევდა სპინოზას, იუ-მის, კონტის, რუსოს, კანტისა და სხვათა მსოფლმხედველო-ბას. მის კალამს ეკუთვნის „ჰელვეციუსის ზნეობრივი თეო-რიის გამოკვლევის ცდა“, „გრიბოედოვის ფილოსოფიის შე-სახებ“, „ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა ოგიუსტ კონტისა“, გამოუქვეყნებელ შრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ცხოვრება და მოღვაწეობა იმანუელ კან-ტისა.“

ს. დანელიამ პირველად თარგმნა ქართულად არისტო-ტელეს „პოეტიკა“, „კატეგორიები“, „მეტაფიზიკა“, პლატო-ნის „სოკრატეს აპოლოგია“, ლუკრეციუსის „ბუნებისათვის საგანთა“, რუსოს „ემილი“.

მოსე გოგიბერიძე (18097-1949) XX საუკუნის გამოჩე-ნილ ქართველ ფილოსოფთა ხუთეულის ერთ-ერთი ღირსეუ-ლი წევრია. 1918-1922 წლებში სწავლობდა ბერლინის და

მარბურგის უნივერსიტეტებში ფილოსოფიას, ბუნებისმეტ-ყველებასა და პოლიტეკონომიას. 1922 წელს მარბურგში და-იცვა სადოქტორო დისერტაცია, ცნობილი გერმანელი ფი-ლოსოფოსის ნ. ჰარტმანის ხელმძღვანელობით. 1923 წელს გახდა თბილისის უნივერსიტეტის თანამშრომელი, 1930 წელს – პროფესორი, იყო ბუნების ფილოსოფიის კათედრის გამგე. მ. გოგიბერიძე დიდი დიაპაზონისა და ღრმა ერუდიცი-ის მქონე მკვლევარია. მისი მეცნიერული ინტერესი მრავალ-მხრივი და საკმაოდ ფართოა, კვლევის სფეროებია: ფილო-სოფიის ისტორია, შემეცნების თეორია, მატერიალიზმისა და დიალექტიკის ისტორია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, სოციოლოგია. მან პირველმა სცადა ქართული ფილოსოფიის ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ფილოსოფიის ისტორიაში. ამ მხრივ საყურადღებოა პეტრიწის მსოფლმხედველობისა და რუსთაველის შეხედულებათა კვლევა. მან პირველმა და-წერა ქართულად „ფილოსოფიის ისტორიის“ სისტემური კურსი (ტ. I. 1941).

მ. გოგიბერიძე აგრძელებს შ. ნუცუბიძის მიერ ქართულ ფილოსოფიაში დაწყებული გნესეოლოგიურ პრობლემატი-კის კვლევას და წერს შრომებს: „შემეცნების აქსიომატული დასაბუთება“ და „შემეცნების საგნის პრობლემა“. მისი მტკი-ცებით „ფილოსოფიის საგანია შემეცნების ზოგადი პრობლე-მები. ამიტომ ნამდვილი ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა, შემეცნების თეორია და მეცნიერული მეთოდოლოგია არის“. ფილოსოფიის საგანს შეადგენს, წერს მ. გოგიბერიძე, „ერ-თგვარად შეაჯამოს ცოდნა და შეიმუშაოს ერთიანი მსოფ-ლმხედველობა. ფილოსოფია, ერთი მხრივ, შემეცნების თეო-რია და მეთოდოლოგიაა, ხოლო მეორეს მხრივ მეცნიერული მსოფლმხედველობა.“ ფილოსოფიის შესწავლის საგნად უფ-რო გვიანდელ შრომებში მას მიაჩნია სინამდვილის ზოგადი კანონები და ასევე შემეცნების განვითარების ზოგადი ფორ-მები.

მ. გოგიბერიძე თავის თეორიულ მოღვაწეობაში დიდ ინტერესს იჩენდა დიალექტიკის ისტორიისადმი, ის ფილოსოფიის ისტორიას განიხილავდა როგორც დიალექტიკის წარმოშობისა და განვითარების უწყვეტ პროცესს. მკაცრად აკრიტიკებდა შემეცნების სხვადასხვა იდეალისტურ თეორიებს და ამტკიცებდა, რომ „ცნობიერების საგანი არის რეალური საგნის სახე. ჩვენს ცნობიერებაში მოცემული საგანი არის რეალურ სინამდვილეში არსებული საგნის გამოხატულება. შემეცნების ნამდვილი საგანი არის ობიექტური სინამდვილე, რეალური სამყარო და მისი კანონები.“

მ. გოგიბერიძე ძალასა და ენერგიას არ იშურებდა იმისათვის, რომ ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებინა დიდი გერმანელი ფილოსოფოსის კანტის შრომების თარგმანები. მან თარგმნა „პროლეგომენები“ და „წმინდა გონების კრიტიკა“, შპენგლერის „პოლიტიკის ფილოსოფია“, კ. კაუცკის გ. პლეხანოვის, კ. მარქსისა და ენგელსის შრომების ნაწყვეტები. მ. გოგიბერიძის ძირითადი შრომებია: „აინშტაინის რელატივობის თეორია და მისი ფილოსოფიური საფუძვლები“, „შემეცნების აქსიომატური დასაბამი“, „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები“, „რუსთაველის ესთეტიკა“, „უზენაესი არსების ცნება ვეფხისტყაოსანში“, „ფილოსოფიის ისტორია“.

კონსტანტინე ბაქრაძე (1898-1970) სერგი დანელიასთან ერთად, ეკუთვნის იმ ფილოსოფოსთა რიცხვს, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1922). 1923-1925 წლებში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა გერმანიაში და მუშაობდა ცნობილი პროფესორების: ჰუსერლის, რიკერტისა და ჰაიდეგერის ხელმძღვანელობით. 1930 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფილოსოფიის ისტორიისა და ლოგიკის კათედრებს, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა 1943 წლიდან, ხოლო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1969 წლიდან.

კ. ბაქრაძე განსაკუთრებული ინტენსიობით იკვლევდა ფილოსოფიის ისტორიის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის პრობლემატიკას. განსაკუთრებული როლი შეასრულა გერმანული დიალექტიკის ისტორიის დამუშავებაში. დაასაბუთა, რომ ჰეგელის დიალექტიკა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უმაღლესი მონაპოვარია, რომელიც, თავის მხრივ, ემყარება კანტის, ფიხტესა და შელინგის დიალექტიკურ ნააზრევს და წარმოადგენს მათ შემდგომ განვითარებას. კ. ბაქრაძე ჰეგელის სისტემასა და მეთოდს შორის წინააღმდეგობას განიხილავს მათ მთლიანობაში და ასაბუთებს, რომ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან.

კ. ბაქრაძემ სპეციალური შრომები უძღვნა XIX-XX საუკუნეების ისეთ ფილოსოფიურ სკოლებს, როგორიცაა ნეოკანტიანელობა, ფენომენოლოგია, პრაგმატიზმი და ეგზისტენციალიზმი. მან ეს მიმართულებები განიხილა ონტოლოგიური თვალსაზრისით. მანვე დაასაბუთა, რომ სუბიექტური იდეალიზმი ონტოლოგიური მიმართულება კი არ არის, არამედ – გნოსეოლოგიური.

ლოგიკაში კ. ბაქრაძე იკვლევდა კლასიკურ და დიალექტიკურ ლოგიკათა ურთიერთმიმართებას, ასევე – ლოგიკისა და დიალექტიკის ურთიერთდამოკიდებულებას. იგი ამტკიცებდა, რომ ლოგიკა ერთია, ის არის მოძღვრება სწორი აზროვნების კანონებისა და წესების შესახებ, რაც შემეცნების პროცესის ერთ-ერთი ელემენტია და ამდენად ლოგიკა შემეცნების თეორიის ნაწილია. კ. ბაქრაძის მტკიცებით, დიალექტიკური ლოგიკა სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკა.

კ. ბაქრაძემ პირველმა საბჭოთა კავშირში გამოაქვეყნა ლოგიკის სახელმძღვანელო (1946 წ.), 1950 წელს ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის“ №2-ის ფურცლებზე დაბეჭდილი მისი სტატიით – „ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულების საკითხისათვის“ – დაიწყო საკავშირო დისკუსია ლოგიკის ძირეულ პრობლემებზე. კ. ბაქრაძის შრომებში გამოკვლეულია ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ჭეშმარი-

ტების ობიექტურობის, ჭეშმარიტების კრიტერიუმის პრობ-ლემები და სხვ.

კ. ბაქრაძის კალამს ეკუთვნის ისეთი ფუნდამენტური შრომები, როგორიცაა: „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“ და „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფი-აში“, „ნარკვევები თანამედროვე და უახლესი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიიდან“. მას ეკუთვნის ისეთი მნიშვნე-ლოვანი გამოკვლევები, როგორიცაა „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, „ექსისტენციალიზმი“, „პრაგმატიზმი“ და სხვ.

სავლე წერეთელი (1907-1966). ფილოსოფიურ მეცნიე-რებათა დოქტორი (1958), პროფესორი (1958), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1967). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგე (1948-1957), საქართველოს მეცნიერებაღა აკადემიის ფილო-სოფიის ინსტიტუტის დირექტორი (1948-1953 და 1957-1966). წერეთლის შრომების უმეტესობა ეძღვნება დიალექტიკური ლოგიკის, დიალექტიკური მატერიალიზმისა და ფილოსოფი-ის ისტორიის პრობლემებს. მან შეიმუშავა ეგრეთწოდებული „უსასრულო დასკვნის“ ორიგინალური თეორია. უსასრულო დასკვნა აზრის უმაღლესი ფორმაა, რომელიც მოხსნის აზ-რის სხვა ფორმების ანტინომიურობას, იგი შინაარსით ემ-თხვევა ლოგიკურის კატეგორიას. სხვა კატეგორიებისაგან განსხვავებით, ამ კატეგორიების უარყოფა მასვე ადგენს. უსასრულო დასკვნა საპირისპიროთა ერთიანობაა ანუ თვითდადგენა შინაგანი უარყოფის გზით. შრომისათვის „დი-ალექტიკური ლოგიკა“ 1977 წელს მიენიჭა საქართველოს სა-ხელმწიფო პრემია (გარდაცვალების შემდეგ) დაჯილდოებუ-ლი იყო ორდენებითა და მედლებით.

ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმო-მადგენელი ს. წერეთელი მრავალმხრივი დიაპაზონის მკვლე-ვარი იყო. ის განსაკუთრებული ინტენსივობით მუშაობდა ან-ტიკური და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებზე. ამაზე აშკარად მიუთითებს მისი შესანიშნავი,

ფილოსოფოსებისათვის სამაგიდო წიგნად ქცეული „ნარკვევები ანტიკურ ფილოსოფიაში“ და „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში.“ მაგრამ ყველაზე დიდი დამსახურება ს. წერეთელს მაინც დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა დამუშავებაში მიუძღვის.

დიალექტიკურ – ლოგიკურის ბუნების კვლევას ს. წერეთელმა მთელი 30 წელი მოანდომა, თუ მეტი არა. იგი შეეცადა დაესაბუთებინა, რომ „დიალექტიკური სინამდვილის ამსახველ აზრთა ლოგიკური კავშირი თვითონ უნდა იყოს დიალექტიკური. თუ აზრები და მათი კავშირები დიალექტიკური არაა, მაშინ ისინი დიალექტიკური სინამდვილის ასახვას ვერ შეძლებენ.“ დიალექტიკური კავშირების ამსახველი ლოგიკა კი იქნება დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც დასძლევს ტრადიციული ლოგიკის „ზერელობასა და ცალმხრიობას“. ს. წერეთელმა მოგვცა ლოგიკური აზროვნების ფორმების: ცნების, მსჯელობისა და დასკვნების მატერიალისტურ – დიალექტიკური თვალსაზრისით განხილვა, წინააღმდეგ ჰეგელისა, რომლის დიალექტიკაც და მოძღვრებაც ამ ფორმებზე იყო იდეალისტური. ს. წერეთელი დეტალურად აანალიზებს ჰეგელის მოძღვრებას აზროვნების ფორმების, განსაკუთრებით დასკვნის შესახებ და აჩვენებს მის დადებითსა და უარყოფით მხარეებს. იგი ჰეგელის დასკვნის თეორიის ერთ-ერთ რაციონალურ მარცვალს ძველი ლოგიკის კრიტიკას და მისი არა საკმარისობის დასაბუთებაში ხედავს, ასევე ჰეგელის დამსახურებად მას მიაჩნია აზროვნების ლოგიკურ ფორმებში კატეგორიებისა და მათი კავშირების აღმოჩენა. ს. წერეთლის ლოგიკურ თეორიას უსასრულო დასკვნის თეორიას უწოდებენ.

ს. წერეთელი XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი და ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია.

განყოფილება II

ონტოლოგია

თავი 1. ყოფიერების არსებობის წესი და ფორმები

§ 1. ყოფიერება და მატერია

ონტოლოგია ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ონტოლოგია წარმოდგება ორი ბერძნული სიტყვიდან „ონტოს“ ნიშნავს არსებულს, ხოლო „ლოგოს“ - მოძღვრებას, ე.ი. „ონტოლოგია“ არის მოძღვრება ყოფიერების შესახებ, ყოფიერების როგორც არსებულის, როგორც ასეთის ზოგადი ბუნების შესახებ.

პირველი ონტოლოგიური კონცეფციები ჯერ კიდევ პირველ ბერძენ ფილოსოფოსებთან: თალესთან, ანაქსიმანდრესთან და ანაქსიმენთან შეინიშნება. პარმენიდესთან მას მეტნაკლებად გამოკვეთილი სახე აქვს. არისტოტელეს მტკიცებით, არსებობს ისეთი მეცნიერება, რომელიც განიხილავს არსებულს, როგორც ასეთს. მას არ ჰქონდა ტერმინი „ონტოლოგია“. მის ნაცვლად არისტოტელე ხმარობდა ტერმინს „პირველი ფილოსოფია“. ახალ დროში ეს აზრი კრისტიან ვოლფმა განავითარა და შემოიტანა ტერმინი „პირველი ფილოსოფია“ ანუ „ონტოლოგია“.

ამრიგად, ონტოლოგია იკვლევს არსებულს, როგორც არსებულის ზოგად ბუნებას, რომელიც გამოითქმება უზოგადესი ცნებით „არსი“ (ყოფიერება). მაშასადამე, არსი არის ნებისმიერი ონტოლოგიის საგანი. არსი უზოგადესი ცნებაა, რომელიც უზოგადეს კანონზომიერებას ასახავს. მას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც არსებობს არა მხოლოდ ბუნებასა და საზოგადოებაში, არამედ ადამიანთა სულიერ ცხოვრებაშიც.

ყოფიერება. ყოფიერება არსებობაა, ყოფიერების საწინააღმდეგო – არარსებობაა, არარაა. ყოფიერი არსია, არარა კი – არარსი.

ყოფიერება და არარაობა ერთმანეთისაგან მოუცილებელია, ისინი ცალ-ცალკე ვერ იარსებებენ, რამდენადაც მათ მხოლოდ ერთიანობაში აქვთ აზრი. არარაობა მოიაზრება როგორ ფარდობითი, რელატიური ცნება. აბსოლუტურობის აზრით არარაობა არ არსებობს. ყოფიერება და არარაობა ერთმანეთში გადადიან. არარაობაში გადასვლა ნიშნავს მოცემული ყოფიერების გარდაქმნას სხვა ყოფიერებად. ასევე ყოფიერების წარმოშობა არის მისი ერთი ფორმის მეორე ფორმაში გადასვლის შედეგი.

განასხვავებენ ყოფიერების ორ სახეს: რეალურსა და იდეალურს. რეალურს უწოდებენ იმას, რაც არსებობს დროსა და სივრცეში, ცვალებადი და გარდაქმნადია, იდეალურს კი იმას, რაც არსებობს დროისა და სივრცის გარეშე და რაც უცვლელია, არ არის ქმნადი.

რეალურ ყოფიერებას თავის მხრივ ფილოსოფოსები ყოფენ ნივთიერ ანუ მატერიალურ, სულიერ და ისტორიულ რეალობად.

მატერია. ნივთიერ ანუ მატერიალურ რეალობას, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მატერიას უწოდებენ, ხოლო ადამიანთა ფსიქიკასთან დაკავშირებულ მოვლენებს – სუბიექტურ ანუ სულიერ რეალობას.

მარქსისტულ ფილოსოფიაში „ყოფიერებისა“ და “მატერიის“ ცნებები, სინონიმებად ითვლებოდა, რამდენადაც მატერიის ცნებაში გულისხმობდნენ ყოველივე იმის ერთობლიობას, რაც ობიექტურად არსებობს, ე.ი. ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად არსებულს. სინამდვილეში მატერია არ არის ობიექტური რეალობის იგივეობრივი, ყოველი ობიექტურად არსებული არ არის მატერიალური. „ობიექტურად არსებულის“ ცნება მოცულობით უფრო

ფართო ცნებაა, გვარია, ვიდრე „მატერია“. „მატერია“ მისი ერთ-ერთი სახეა.

ამრიგად, მატერია არის ერთ-ერთი უზოგადესი ფილოსოფიური კატეგორია (უზოგადესი ცნება) იმ საგნებისა და მოვლენების ერთობლიობის აღსანიშნავად, რომლებიც არსებობენ ან მომავალში შეუძლიათ იარსებონ ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და აქვთ ნივთიერი ანუ გრძნობადი სახე. ცალკეული საგანი ან მოვლენა არ არის მატერია, ის მატერიალურია, მატერიის გამოვლენის კონკრეტული ფორმაა.

მატერიას ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა ყოველივე არსებულის სუბსტანციად ანუ პირველ საწყისად, საფუძვლად. ასეთ ფილოსოფოსებს მატერიალისტები ეწოდებათ. ფილოსოფოსთა მეორე დიდი ნაწილი – იდეალისტები მატერიას განიხილავენ როგორც აბსოლუტური იდეის განვითარების ერთ-ერთ საფეხურს, მისი გამოვლენის ერთ-ერთ ძირითად ფორმას.

თანამედროვე ფილოსოფიაში მატერიის ცნების წინაშე უპირატესობა ეძლევა ყოფიერების ცნებას.

§ 2. ყოფიერების არსებობის წესი

ყოფიერების არსებობის წესს მოძრაობა წარმოადგენს

მოძრაობა, ფართო მნიშვნელობით – ეს არის ყოველგვარი სახის ცვალებადობა, ყოფიერების ატრიბუტი, ანუ მოუცილებადი საყოველთაო თვისება. მოძრაობას აქვს ობიექტური, აბსოლუტური და შეფარდებითი, ასევე წინააღმდეგობრივი ხასიათი.

მოძრაობა ხორციელდება ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ის ყოველთვის არის არსებული რეალობის ცვალებადობა. არ არსებობს „წმინდა“ მოძრაობა, ისევე როგორც არ არსებობს რეალური ყოფიერება მოძრაობის გარეშე. მოძრაობის აბსოლუტურობა ნიშნავს იმას, რომ მოძრაო-

ბა, როგორც ყოფიერება, მოუსპობადია. მოძრაობა იმავე დროს შეფარდებითია. მოძრაობის აბსოლუტურობა ვლინდება ყოფიერების მხოლოდ კონკრეტული ფორმებით. ამ აზრით მოძრაობა არის აბსოლუტურობისა და რელატურობის (შეფარდებითობის) ერთიანობა.

იმავე დროს მოძრაობა არის წინააღმდეგობრივი ბუნების. ყოველი მოძრაობა თავისთავში გულისხმობს უძრაობის მდგომარეობასაც. ამ ერთიანობაში ცვალებადობა აბსოლუტურია, უძრაობა კი – შეფარდებითი. მოძრაობის წინააღმდეგობრივი ხასიათი ვლინდება არა მარტო ცვალებადობისა და უძრაობის ერთიანობაში, არამედ წყვეტადობისა და უწყვეტლობის ერთიანობაშიც. მოძრაობის ძირითად ფორმებად XXს-მდე მიჩნეული იყო მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სოციალური ცვლილებები. მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ ამ კლასიფიკაციაში გარკვეული კორექტივები შეიტანა, კერძოდ მიკროსამყაროს აღმოჩენამ და მაკროსამყაროს ათვისებამ, ასევე აღმოჩენებმა ბიოლოგიური პროცესებში.

ჩვეულებრივ გამოყოფენ მოძრაობის სამ ძირითად ჯგუფს: **მოძრაობას არაორგანულ ბუნებაში, ცოცხალ ბუნებასა და საზოგადოებაში.**

არაორგანულ ბუნებაში მიმდინარე მოძრაობის ფორმას მიეკუთვნება: სივრცული გადაადგილება; ელემენტარული ნაწილებისა და ველების მოძრაობა (ელექტრომაგნიტური, გრავიტაციული), ელემენტარული ნაწილაკების გარდაქმნა თავის საპირისპიროში; ატომების მოლეკულებად გარდაქმნის პროცესები; მაკროსკოპული სხეულების სტრუქტურებში მიმდინარე ცვლილებები (თბური პროცესები, აგრეგატული მდგომარეობის ცვლილება და ა.შ.); გეოლოგიური ცვლილებები, პლანეტებზე და ვარსკვლავებზე მიმდინარე პროცესები. მოძრაობის თითოეულ ამ სახეს აქვს თავისი სპეციფიკა, მაგრამ მთლიანად ეს მოძრაობა წარმოადგენს არაცოცხალი ბუნების არსებობის წესს.

ცოცხალი ბუნების დონეზე მოძრაობის ფორმებს მიეკუთვნება: ნივთიერებათა ცვალებადობა, ასახვის პროცესი, თვითრეგულაცია, თვითმართვა და აღწარმოება. სხვადასხვა მიმართებები ეკოლოგიურ სისტემებში, მთელი ბიოსფეროს ურთიერთზემოქმედება დედამიწის სისტემასთან და საზოგადოებასთან.

საზოგადოების დონეზე მოძრაობის ფორმებს მიეკუთვნება ადამიანთა მოქმედების მთელი მრავალფეროვნება; ასახვის და გარდაქმნის ყველა ფორმა.

მოძრაობის ყოველ ფორმას გააჩნია თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები ანუ პარამეტრები. მოძრაობის პროცესში იცვლება თითოეული მათგანი. რაოდენობრივი ცვლილება შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ინტენსიური, მაგალითად წყლის გათბობა 1 გრადუსიდან 100-მდე, ან მისი გაცივება 0 გრადუსამდე. მოძრაობის (ცვალებადობის) თვისებრიობა გამოხატავს მის გარკვეულობას, მის სახეს. მოძრაობის ყოველი ფორმა, როგორც რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტების ერთიანობა, წარმოადგენს მთლიანობას, რომელსაც ფილოსოფიაში ზომას უწოდებენ.

§ 3. მოძრაობა-განვითარების კანონები

მოძრაობა (განვითარება) მიმდინარეობს თანდათანობითი, რაოდენობრივი ცვლილებების სახით, რომელიც ყოველი ცალკეული პროცესისათვის გარკვეულ მომენტში აუცილებლობით იწვევს არსებით, ძირეულ, თვისებრივ ცვლილებებს, ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში ნახტომისებურად გადასვლას. ასე ხდება ეს როგორც ბუნების, ასევე საზოგადოებისა და აზროვნების მოძრაობა-განვითარების ყველა პროცესში. იგი მოქმედებს როგორც ობიექტური კანონი და მას ფილოსოფიაში **რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი ეწოდება.**

მოძრაობის (განვითარების) ყოველგვარი პროცესი ერთდროულად წყვეტილიც არის და უწყვეტიც. ამასთან წყვეტადობა გვევლინება თვისებრივი ნახტომის ფორმით, ხოლო უწყვეტობა – რაოდენობრივი ცვლილების ფორმით. მოძრაობაში წყვეტადობა – ნახტომი – ეს არის ერთი თვისებრიობის შეცვლა მეორით ანუ მოძრაობის ერთი მომენტის „მოხსნა“, უარყოფა მეორით. მოძრაობა-განვითარების პროცესი წარმოდგება როგორც „მოხსნა-შენახვის“ გარკვეული სისტემა, რომელიც ფილოსოფიაში იწოდება **უარყოფის უარყოფის კანონის** სახელით.

მოძრაობა-განვითარების პროცესი, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, შინაგანი წინააღმდეგობის, დაპირისპირებულობის მქონეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მოძრაობა როგორც თვითმოძრაობა, ე.ი. ისეთ მოვლენა, რომელსაც თავისი არსებობის მიზეზი თავისთავში აქვს. მოძრაობის ფიზიკური ფორმისათვის ასეთი მიზეზი ანუ წყარო არის წინააღმდეგობა მასასა და ენერგიას შორის; ქიმიურისათვის – წინააღმდეგობა სუბსტრაქტულ სინთეზსა და დისოციაციას შორის; ბიოლოგიურისათვის – წინააღმდეგობა ცოცხალ ორგანიზმებსა და გარემოს შორის; სოციალურისათვის – წინააღმდეგობა ინდივიდთა შორის, ინდივიდთა და ადამიანთა ჯგუფებს შორის, სოციალურ ფენებსა და კლასებს შორის. ეს წინააღმდეგობები გამოხატავენ ყოფიერების მოძრაობის შინაგან ტენდენციების ურთიერთდაპირისპირებულობას. ფილოსოფიაში მას უწოდებენ **დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონს.**

კანონი – ეს არის სამყაროს ანუ ყოფიერების აუცილებელი, არსებითი, მყარი და განმეორებადი კავშირი. კანონები, როგორც კავშირების (მიმართებების) განსაკუთრებული ფორმა, იყოფა განვითარების კანონებად და ფუნქციონირების კანონებად. პირველი განაპირობებს როგორც მთლიანი სამყაროს, ასევე მისი შემადგენელი ნაწილების განვითარების წყაროს, მექანიზმსა და მიმართულებას, ხოლო მეორე –

გამოხატავს არსებულ მოვლენებს შორის, მათ თვისებებს შორის, ასევე მოცემული მოვლენის ნაწილებს შორის არსებულ აუცილებელ კავშირებს. სხვა სიტყვებით, ფუნქციონალური კავშირების გამოხატულებას წარმოადგენს მთელსა და ნაწილებს შორის მიმართება.

ყოველ კავშირს აქვს თავისი არსებობის საფუძველი. ამა თუ იმ კავშირის განხორციელებისათვის აუცილებელია გარკვეული პირობები. ეს პირობები განსხვავებულია განსხვავებული სისტემებისთვის. ასე, მაგალითად, გრავიტაციული კავშირი შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა არსებობს გარკვეული მანძილი ობიექტებს შორის. საგნების და მოვლენების კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების ხასიათი განსაზღვრულია ანუ დეტერმინირებულია შესაბამისი პირობებით და გარემოებებით, რაც ქმნის მათ გარკვეულ წესრიგს ანუ კანონზომიერებას. შესაბამისად – არაკანონზომიერება არის უწესრიგობა, ქაოსი, რომელიც არადეტერმინირებულია და ხდება თვითნებურად.

დეტერმინიზმი არის ფილოსოფიური თეორია, რომელიც ამტკიცებს სამყაროში არსებული მოვლენებისა და პროცესების მიმდინარეობის კანონზომიერებას და მათ ობიექტურობას, ყველაფერი განპირობებული და დეტერმინირებულია. **ინდეტერმინიზმი** საპირისპირო თეორიაა, რომელიც კანონზომიერების ობიექტურად არსებობას უარყოფს და ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც სამყაროში ხდება, თვითნებური და შემთხვევითია.

ფილოსოფიის ისტორიაში ცნობილია დეტერმინიზმის ორი სახე: მეცნიერული და არამეცნიერული. მეცნიერული დეტერმინიზმის სახეებია: დინამიკური და სტატისტიკურ. დინამიკური დეტერმინიზმი მკაცრი და ცალსახაა. იგი კანონზომიერებას აიგივებს გარდაუვალობასთან, რომელიც გამორიცხავს შემთხვევითობის, შესაძლებლობის, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას. სტატისტიკურ დეტერმინიზმს კანონზომიერება ესმის როგორც აუცილებლო-

ბისა და შემთხვევითობის ერთიანობა, რომელიც უშვებს შესაძლებლობის, ალბათობის და თავისუფლების ობიექტურობას.

არამეცნიერული დეტერმინიზმის სახეებია: ფატალიზმი და პროვიდენციალიზმი. ფატალიზმი (ლათ. ფატალის – საბედისწერო) ამტკიცებს, რომ სამყაროში მიმდინარე ყველა პროცესი ემორჩილება აუცილებლობის ბატონობას, რომელიც ადგილს არ უტოვებს შემთხვევითობას, თავისუფლებას, შემოქმედებას, ეს პროცესები თავიდანვე გაპირობებულია ბედისწერით – სწორედ იმ ზებუნებრივი ძალით, რომელიც განსაზღვრავს სამყაროში არსებულ მკაცრ კანონზომიერებას ანუ გარდუვალობას. პროვიდენციალიზმის (ლათ. პროვიდენცი – განგება) მტკიცებით ღვთის ნება განსაზღვრავს სამყაროს კანონზომიერებას, ასევე ადამიანთა საზოგადოების განვითარებას როგორც მამოძრავებელი ძალების, ისე მიზნის თვალსაზრისით.

სინამდვილის – ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების – კანონების გვერდით არსებობს ამ სინამდვილის არსებითი კავშირები და მიმართებანი, რომლებიც კატეგორიების ცნებებშია გამოხატულ-გამოთქმული.

§ 4. დრო და სივრცე – ყოფიერების არსებობის ფორმები

სამყაროს უთვალავი და უსასრულოდ მრავალფეროვანი საგნები და მოვლენები არსებობენ როგორც გარკვეული ერთიანობა ერთი მეორის გვერდით და ერთი მეორის შემდეგ, ანუ გარკვეულ სივრცესა და გარკვეულ დროში.

სივრცე არის მატერიალური სხეულების ურთიერთგანლაგების წესი, დრო კი მათი თანმიმდევრობის წესი ანუ მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობათა თანამიმდევრობის წესრიგი. სივრცესა და დროს ფილოსოფიაში უწოდებენ ყოფიერების არსებობის ფორმებს, რაც თავის მხრივ

იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს ყოფიერება სივრცისა და დროის გარეშე და არც სივრცე და დრო ყოფიერების გარეშე. ასეთ დასკვნამდე ფილოსოფოსები, რასაკვირველია, ერთბაშად არ მოსულან. სივრცისა და დროის შესახებ შეხედულებები იცვლებოდა მეცნიერებისა და ფილოსოფიის განვითარების დონის შესაბამისად. მიუხედავად ასეთ შეხედულებათა მრავალფეროვნებისა, მათი დაჯგუფება მაინც ხერხდება გარკვეული საერთო ნიშნების საფუძველზე და შეიძლება ვთქვათ, რომ დროისა და სივრცის შესახებ ფილოსოფიის ისტორიაში ჩამოყალიბდა მეტაფიზიკური და დიალექტიკური, მატერიალისტური და იდეალისტური კონცეფციები.

მეტაფიზიკური შეხედულებები დროისა და სივრცის შესახებ სათავეს იღებს ჯერ კიდევ დემოკრიტეს ნააზრევიდან. მატერიალისტი დემოკრიტე, რომელიც სამყაროს სუბსტანციად (საფუძვლად) ატომებს აღიარებდა, ფიქრობდა, რომ ატომების მოძრაობისათვის, მათი ურთიერთზე მოქმედებისათვის აუცილებელია ცარიელი სივრცის არსებობა, რათა მათ შესძლონ თავისუფლად გადაადგილება. „არსებობენ მხოლოდ ატომები და სიცარიელე“ - ამტკიცებდა იგი. დრო კი, დემოკრიტეს აზრით, უშუალოდ არ არის დაკავშირებული ატომების არსებობასთან, რამდენადაც ისინი მუდმივნი და უძრავნი არიან. დრო შუალობითაა დაკავშირებული ატომების მოძრაობასთან და მათ ურთიერთშეერთებასთან სივრცეში.

დრო და სივრცის შესახებ მეტაფიზიკური შეხედულებები ნათლად ჩამოაყალიბა ისეთმა დიდმა ფიზიკოსმა, როგორიც იყო ისააკ ნიუტონი (1642-1727). მისი მტკიცებით სივრცე და დრო არსებობს ობიექტურად, ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, როგორც დამოუკიდებელი სუბსტანციები, რომლებსაც კავშირი არა აქვთ საგნებთან და პროცესებთან. ამ შეხედულების მიხედვით სამყაროს სივრცე ერთგვარი ცარიელი ყუთია, რომელშიც მოთავსებულია ყველა საგანი და მოვლენა. დრო შედარებულია მდინარის ნა-

კადთან, რომელსაც თან მიაქვს პროცესების მთელი წყება. ამრიგად, ნიუტონთან სივრცე არის „სუფთა“ განფენილობა, დრო კი - „სუფთა“ ხანგრძლიობა, რომლებშიაც თავსდებიან მატერიალური ობიექტები. შეიძლება სივრციდან ამოვიღოთ ყველაფერი, სივრცე დარჩება და მისი თვისებები შენარჩუნდება. იგივეს აქვს ადგილი დროის შემთხვევაში. დრო მიმდინარეობს ერთნაირად და მისი დინება არაფერზე არ არის დამოკიდებული, რადგანაც დრო ეს არის სუფთა ხანგრძლივობა. როგორც აქედან ჩანს, ნიუტონი აღიარებდა სივრცისა და დროის აბსოლუტურობას და გამორიცხავდა მათ შეფარდებით ანუ რელატიურ ხასიათს. ნიუტონის ასეთი შეხედულებები გაპირობებული იყო, ჯერ ერთი, იმდროინდელ მეცნიერებათა: მექანიკის, მათემატიკის, ასტრონომიის განვითარების დონითა და სპეციფიკური ხასიათით. მეორე. შემეცნების პროცესისადმი მექნისტური მიდგომით. აღიარებდა რა დროის ობიექტურობას, ადამიანის ცნობიერებისაგან მის დამოუკიდებლობას, ნიუტონმა მოახდინა დროის აბსტრაგირება ანუ ის მოწყვიტა მატერიალური შინაარსს და მისი ობიექტურობა და საყოველთაობა აბსოლუტურად გამოაცხადა.

ამასთანავე, ნიუტონს, როგორც გენიალურ ფიზიკოსს, არ შეიძლებოდა არ ცოდნოდა რელატიური სივრცისა და დროის არსებობაც. მაგალითად, ნიუტონი რელატიურ დროსა და სივრცეს „ფიზიკურ“, „გრძნობად“, „ყოველდღიურ“ სივრცედ და დროდ თვლიდა, რომელიც აბსოლუტური სივრცისა და დროისაგან განსხვავებით, „მოჩვენებითად“ მიაჩნდა. იგი მოჩვენებითია, მისი აზრით, იმიტომ, რომ დამოკიდებულია ათვლის სისტემებზე, იცვლება ერთი ათვლის სისტემიდან მეორეზე გადასვლის შედეგად. ნამდვილი, ჭეშმარიტი, ნიუტონის კონცეფციის მიხედვით, უცვლელი და მარადიულია, ხოლო ცვალებადი, დროში არსებული არ არის ნამდვილი, არამედ მოჩვენებითია. აქ აშკარად ჩანს ნიუტონის აზროვნების მეტაფიზიკური ხასიათი.

დემოკრიტეს, ნიუტონის და სხვა მათი მსგავს მოაზროვნეთა შეხედულებებს სივრცისა და დროის შესახებ ფილოსოფიაში სუბსტანციონალურ შეხედულებებს უწოდებენ. მეორე-რელატივისტური მიდგომის საწყისი გვაქვს არისტოტელესთან და თავის გაგრძელებას პოულობს გ. ლაიბნიცთან. რელატივისტური კონცეფციის არსება იმაშია, რომ სივრცე და დრო მოიაზრება არა როგორც ყოფიერებისაგან ცალკე არსებული, არამედ როგორც ამ ყოფიერების გამოვლენის ფორმები. აქედან გამომდინარეობს მათი ობიექტურობა და საყოველთაობა.

ნიუტონის კონცეფცია სივრცისა და დროის შესახებ უპირისპირდება სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებს სივრცისა და დროის შესახებ, ამტკიცებს მათ ობიექტურობას. ეს არის ნიუტონის ზემოთაღნიშნულ შეხედულებებში პოზიტიური ანუ დადებითი მხარე. აქვე უნდა ითქვას, რომ მატერიალისტ-მეტაფიზიკოსების მსოფლმხედველობა შეესაბამებოდა სამყაროს იმ მეცნიერულ სურათს, რომელიც შექმნილი იყო ევკლიდეს გეომეტრიისა და კლასიკური მექანიკის კანონების საფუძველზე.

რაც შეეხება იდეალისტ ფილოსოფოსებს, ისინი უარყოფენ სივრცისა და დროის ობიექტურ რეალობას, მათ თვლიან ისეთ მოვლენებად, რომლებიც არსებობენ ცნობიერებაში ან ცნობიერების მეშვეობით, სულის, აზროვნების მიერ შექმნილად. ბერკლი სივრცესა და დროს თვლიდა სუბიექტური განცდის ფორმებად. კანტი მათ განიხილავდა როგორც ჩვენი განსჯის ფორმებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან ჩვენივე აზროვნების ბუნებით. ისინი არსებობენ ცდამდე და არიან აპრიორული. ცდა არ იძლევა მათი საყოველთაობისა და აუცილებლობის დასაბუთების შესაძლებლობას, ამასთანავე უარყოფს მათ ობიექტურობას. მახისთვის სივრცე და დრო ადამიანის ცნობიერების მიერ მოწესრიგებული შეგრძნებათა სისტემაა. ადამიანი თავის შეგრძნებებით კი არ არსებობს სივრცესა და დროში, არამედ

სივრცე და დრო არსებობენ ადამიანში, დამოკიდებულნი არიან ადამიანზე, მათ ქმნიან ადამიანები – ამტკიცებს მახი.

ობიექტური იდეალიზმის სხვადასხვა სისტემაში დრო და სივრცე გამოდის როგორც ზებუნებრივი ძალის მიერ შექმნილი. კერძოდ, ჰეგელის აბსოლუტური იდეალიზმის სისტემაში სივრცე წარმოიშობა აბსოლუტური იდეის განვითარების გარკვეულ სტადიაზე, როცა ის გადადის „თავის სხვად“ ყოფნაში, ზებუნებრივი ძალის მიერ ბუნების შექმნის პროცესში. დრო წარმოიშობა სივრცის შემდეგ, როგორც აბსოლუტური იდეის განვითარების შემდგომი საფეხური. ამრიგად, ისინი ჰეგელთან ერთმანეთს მოწყვეტილნი არიან.

სივრცესა და დროზე სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებს იზიარებენ არსებითად XX საუკუნის პოზიტივისტი ფილოსოფოსები: ბ. რასელი, გ. რაიჰენბახი, ა. ედინტონი და სხვები. ბ. რასელი ერთმანეთისაგან განასხვავებს სუბიექტურ და ობიექტურ დროს, მაგრამ ორივეს წყაროს ხედავს ფსიქიკის სფეროში. მახის მსგავსად რასელიც თვლის, რომ დრო და სივრცე ობიექტურად არსებულნი არიან იმდენად, რამდენადაც ისინი არსებობენ ადამიანთა შეგრძნებებში. რაიჰენბახი დროის მიმართელობას სუბიექტური ცდის თვისებად მიიჩნევს.

რას ამბობს თანამედროვე ფილოსოფია სივრცისა და დროის შესახებ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარების დღევანდელი დონის პოზიციებიდან?

სივრცე. ყოველ სხეულს, ყოველ მატერიალურ საგანს აქვს გარკვეული სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, ანუ გარკვეული განფენილობა. გარდა ამისა, საგნებს ერთი-მეორის მიმართ სხვადასხვა მდებარეობა აქვთ, შეადგენენ ამა თუ იმ სისტემის ნაწილს. სივრცე არის თანაარსებული ობიექტების კოორდინაციის, მატერიის მდგომარეობის ფორმა. ამ ობიექტთა თანაარსებობისა და მდგომარეობის წესრიგი ჰქმნის სივრცის სტრუქტურას.

ხშირად პოპულარულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში სივრცესა და განფენილობას ერთმანეთთან აიგივებენ. გარკვეული აზრით ეს სწორია, რამდენადაც, თუ საგნის ყველა თვისების განყენებას ანუ აბსტრაქციას მოვახდენთ, მაშინ დაგვრჩება წმინდა განფენილობა, რომელიც ამ საგნის სივრცეს წარმოადგენს. მაგრამ სივრცისა და განფენილობის იგივეობაზე ლაპარაკი მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული აზრით შეიძლება. საერთოდ კი სივრცე განფენილობაზე არ დაიყვანება, ვინაიდან სივრცის ქვეშ, გარდა განფენილობისა, სივრცითი მიმართებებიც იგულისხმება. ბუნებაში არსებულ ფიზიკურ სიდიდეებს (სხეულებს) შორის გარკვეული მიმართებები არსებობს: „ახლოს“, „შორს“, „გვერდით“, „წინ“, „უკან“ და სხვ. ეს მიმართებანი ქმნის წესრიგს ფიზიკურ სხეულებს შორის. ფიზიკური სხეულების ურთიერთგანლაგების წესრიგს კი სივრცე ეწოდება. **„სივრცე (ანუ ადგილი) წერს აინშტაინი – სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური ობიექტების მოწესრიგებული განლაგება.“ აქედან** ადვილი გასაგებია აინშტაინის ის აზრიც, რომელიც ამბობს: **„თუ მეტრია და მისი მოძრაობა გაქრება, მაშინ აღარ იარსებებს არც სივრცე და არც დრო“.**

სივრცეში არსებული საგნები და მოვლენები ხორციელდებიან ერთდროულად, ან ერთი-მეორის შემდეგ, ერთი უფრო ადრე, მეორე უფრო გვიან; ეს კი იმას ნიშნავს, რომ საგნები და მოვლენები არსებობენ და მოძრაობენ დროში. დრო ეს არის მონაცვლე ობიექტებისა და მათი მდგომარეობის კოორდინაცია. ობიექტების მონაცვლეობისა და მდგომარეობის წესი და რიგი ჰქმნის დროის სტრუქტურას.

სივრცე და დრო ობიექტების არსებობის, კოორდინაციის საყოველთაო ფორმებია. ყოფიერების ამ ფორმების საყოველთაობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ყველა ობიექტისა და პროცესის არსებობის ფორმებია, რომლებიც არსებობდნენ, არსებობენ და იარსებებენ უსასრულო სამყაროში. არა მარტო გარეშე სამყაროს ობიექტები, არამედ ყველა შეგ-

რძნება, განცდა და აზრები არსებობს გარკვეულ დროსა და სივრცეში.

სივრცესა და დროს გააჩნია როგორც საერთო, ასევე სპეციფიკური ნიშნები: 1. ობიექტურობა – ანუ ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობა; 2. რამდენადაც ყოფიერება მუდმივად არსებულია, მისი არსებობის ფორმები – სივრცე და დროც – ასევე მუდმივია; 3. სივრცე და დრო, ისევე როგორც ყოფიერება, უსასრულოა.

სივრცესა და დროს საერთო ნიშნების გარდა ახასიათებთ თავიანთი სპეციფიკური ნიშნები. სივრცისათვის დამახასიათებელია: **1. სამგანზომილებიანობა, 2. სიმეტრია და ასიმეტრია; 3. ფორმა და ზომა, 4. ადგილმდებარეობა; 5. მანძილი სხეულებს შორის; 6. ნივთიერების ანუ ველის განაწილება. დროისათვის დამახასიათებელია: 1. ერთგანზომილებიანობა, 2. ასიმეტრიულობა, 3. შეუქცევადობა, 4. მდგომარეობის შეცვლის რიტმი და სიჩქარე.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, განსაკუთრებით ფიზიკისა და ბიოლოგიის განვითარებამ XX საუკუნეში გარკვეული კორექტივები შეიტანა სივრცისა და დროის შესახებ არსებულ ფილოსოფიურ შეხედულებებში. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხო სივრცის აბსოლუტურობის საკითხს. თუ ადრე თვლიდნენ, რომ სივრცის ერთ-ერთი ატრიბუტი (მოუცილებელი ნიშანი) აბსოლუტურობაა, დღეს ეს შეხედულება ეჭვს ქვეშაა დაყენებული ან აშკარად უარყოფენ მას სხვადასხვა სწავლულები და ამტკიცებენ, რომ სივრცე რელატურია ანუ ფარდობითია და არა აბსოლუტური. აბსოლუტურ სივრცეზე (ან დროზე) ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ფიზიკური სამყაროს არსებობის ძირითად ფორმას წარმოადგენს, ე.ი. რამდენადაც არსად და არასოდეს არ არსებობს ფიზიკური სხეულები ურთიერთგანლაგების გარეშე, ე.ი. სივრცის გარეშე.

ასევე საკამათოა დღეს სამგანზომილებიანი სივრცის შესახებ შეხედულება. სხეულის სამგანზომილებაში იგულის-

ხმება მისი სიგრძე, სიგანე და სიღრმე, რომელიც ქმნის მის მოცულობას. სივრცის სამგანზომილებიანობას საფუძვლად უდევს არგუმენტი იმის შესახებ, რომ სივრცეში აღებული ნებისმიერი წერტილიდან შესაძლებელია მხოლოდ სამი ურთიერთპერპენდიკულარული სწორი ხაზის გავლება, რომლებიც მხოლოდ სამ მართ კუთხეს ქმნის. ეს არგუმენტი დაირღვა იმის დამტკიცებით, რომ ყოველი წერტილიდან შესაძლებელია მრავალი სწორის გავლება, რომელიც მრავალ მიმართულებას გამოხატავს.

რეალური სივრცის არსებობისათვის აუცილებელი და საკმარისია მხოლოდ სამი მიმართულება, რომელთა საშუალებითაც სრულად შეიძლება დახასიათდეს ფიზიკური სივრცის გეომეტრიული თვისებები. ამ აზრით ამბობენ, რომ რეალურ სივრცეს მხოლოდ სამი განზომილება აქვს და ამაში მდგომარეობს რეალური სივრცის სამი განზომილების აუცილებლობა.

ყოველი ეპოქის ადამიანები ისტორიული გამოცდილებისა და კულტურის განვითარების მიღწეული დონის საფუძველზე ქმნიან სამყაროს გარკვეულ ფიზიკურ სურათს. ამის ბრწყინვალე მაგალითია აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც თავის მხრივ რევოლუციას წარმოადგენდა მეცნიერების წინსვლის პროცესში. ამ თეორიასთან არის დაკავშირებული სივრცისა და დროის ურთიერთმიმართების ახლებური გაგება. კერძოდ, იმის მტკიცება, რომ სიჩქარის ზრდასთან ერთად მცირდება მოძრავი სხეულის სიგრძე, ასევე – მცირდება დროის მონაკვეთიც სხვადასხვა მოძრავ მატერიალურ სისტემებს შორის. აღნიშნული ცვლილებები სივრცითი განფენილობის (სიგრძის) და დროული მონაკვეთების მოძრაობის სიჩქარესთან დამოკიდებულებაში მიმდინარეობს ერთმანეთთან მკაცრ შეფარდებაში. გრავიტაციული ანუ მიზიდულობის ველის შესწავლამ ფარდობითობითობის საერთო თეორიაში, შესაძლებელი გახადა უფრო ღრმად ჩავწვდეთ მოძრავი მატერიისაგან სივრცისა და დროის დამოკი-

დებულებას. აღმოჩნდა რომ დრო ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული სივრცესთან, რომ გარკვეული აზრით, ის შეიძლება ჩაითვალოს სამყაროს მეოთხე განზომილებად, რომელსაც მეცნიერები გამოხატავენ ფორმულით 3+1 ანუ ცნებით სივრცე – დრო, ოთხი განზომილებით (3+1, სამი სივრცითი განზომილება, 1 დროული) რომელიც ახასიათებს მატერიის ყოფიერებას მაკროსამყაროში; თანამედროვე მეცნიერება თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს სამყაროები სხვა სივრცულ-დროული პარამეტრებით. მაგალითად, მეცნიერთა აზრით, ჩვენი გალაქტიკის წარმოშობისას არსებობდა ათგანზომილებიანი სივრცე – დრო, ხოლო ექვსი განზომილება ახასიათებს მიკროსამყაროს სტრუქტურას, რომლის ზომაც ნაკლებია 10-^{33}სმ-ზე. ამ სტრუქტურას ანალოგი არა აქვს მაკროსტრუქტურასთან, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ.

XX საუკუნის დამდეგს დადგინდა, რომ სივრცისა და დროის ურთიერთმიმართება დამოკიდებულია გრავიტაციული ძალებისაგან. თუ არ იქნება მატერიალური მასა, არ იქნება გრავიტაცია. და თუ არ იქნება გრავიტაცია, არ იქნება არც სივრცე და არც დრო. რამდენადაც ყოფიერება განუწყვეტელ მოძრაობაშია, ამდენად კონკრეტული ყოფიერების სივრცე და დრო იცვლიან თავიანთ თვისებებს ამ მოძრაობასთან დაკავშირებით. ამის გარდა, ყოფიერების ყოველ დონეს გააჩნია საკუთარი მოძრაობა, როგორც თავისი არსებობის წესი და თავისი სივრცე და დრო, როგორც თავისი გამოვლენისა და არსებობის ფორმები.

ცხადია, რომ მაკროსამყაროს საზღვრებში არსებული სივრცე და დრო არსებითად განსხვავდება მიკროსამყაროსა და მეგა-სამყაროში არსებული სივრცისა და დროისაგან. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ბიოლოგიურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ დროს. რამდენადაც მეტია საზოგადოების ინტენსიფიკაცია (აქტიურობა), იმდენად დრო აჩქარებს თავის სრბოლას. მეცნიერულმა-ტექნიკურმა რევოლუციამ

მიგვიყვანა სოციალურ და გლობალური პრობლემების დაჩქარებამდე.

დრო. აქ ისმება კითხვა: მაინც როგორია დრო, აბსოლუტური ანუ ყველგან და ყოველთვის ერთნაირი, თუ შეფარდებითი ანუ რელატიური? პრობლემის უაღრესად დიდი სირთულის გამო, ერთმნიშვნელოვანი პასუხი ამ კითხვაზე, სამწუხაროდ, არ არსებობს. ფილოსოფოსთა ერთი ნაწილი ცდილობს დაამტკიცოს, რომ დროის აბსოლუტურობის უარყოფას ლოგიკური აუცილებლობით მივყევართ ყოფიერების ობიექტური არსებობის უარყოფამდე, სხვები კი თვლიან, რომ რეალური დრო რელატიურია, ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტური დრო არ არსებობს. ყოველ მოცემულ სისტემას, თავისი („ლოკალური“) დრო აქვს. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ დრო სხვადასხვა სისტემაში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს. რაც უფრო ჩქარა მოძრაობს სისტემა, მით უფრო ნელდება დროის მსვლელობა, ხოლო თუ მოძრაობამ სინათლის სხივის სიჩქარეს მიაღწია, (დაახლოებით 300 000კმ/წმ), მაშინ დროის მსვლელობა სხვა სისტემის მიმართ საერთოდ შეწყდება.

დროის აბსოლუტურობაზე იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც დროის არსება მოძრაობაა, მოძრაობა კი ყოფიერების არსებობის წესია, უმოძრაო ყოფიერება ვერ იარსებებს, ყოფიერების აბსოლუტურობა დროის აბსოლუტურობის პირობაა.

დროის აბსოლუტურობა არ გამორიცხავს დროის რელატიურობას. რელატიური არის ის, რაც თავის არსებობას სხვასთან მიმართებაში იღებს, ანუ რელატიურია ის, რაც სხვის მიმართ არსებობს, აბსოლუტური არის დამოუკიდებელი, თავისუფალი, უპირობო, რამდენადაც ყველა სისტემას თავისი დრო აქვს.

დროს მეცნიერები თვლიან როგორც სინამდვილის ერთგანზომილებიან ფენომენს და ასეთ განზომილებად კი მიაჩნიათ მისი მიმართულება. ყოველი მოძრაობა, ყოველი ცვა-

ლებადობა ხასიათდება მიმართულებით. ამის შესაბამისად დროსაც აქვს მიმართულება, იგი მიიმართება წარსულიდან, აწმყოზე გავლით, მომავლისაკენ. თუმცა მეცნიერებასა და ფილოსოფიაში დროის ერთგანზომილებიანობის საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა.

როგორც სივრცე, დროც უსაზღვრო და უსასრულოა. რამდენიც ბევრი დრო არ უნდა გავიდეს რომელიმე მოვლენამდე, დრო გაგრძელდება შემდეგშიც, ის ვერასოდეს ვერ მიაღწევს ისეთ საზღვარს, რომლის იქითაც არ იქნება არავითარი ხანგრძლივობა, არ იქნება პროცესების ურიცხვი რაოდენობა, რომლებიც ერთიმეორის შემდეგ მიმდინარეობენ და შეადგენენ უსასრულო ხანგრძლივობას. მსგავსად ამისა, რა გინდ დიდი ხნის წინათ არ უნდა მომხდარიყო რომელიმე მოვლენა, მას ყოველთვის წინ უსწრებდა უსასრულო რაოდენობის სხვა მოვლენა.

თუ დავუშვებთ, რომ დრო არ არის უსასრულო, ხოლო სამყარო მუდმივად არსებული, მაშინ იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ იყო ისეთი დრო, როცა სამყარო საერთოდ არ არსებობდა და თუ ის არ არსებობდა, მაშინ ის ვიღაცას ან რაღაცას შეუქმნია, რომელიც დროის გარეშე არსებულა. ასევე, თუ სივრცე არ არის უსასრულო და ის სასრულია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ამ უსასრულობის მიღმა არსებობს რაღაცა არავრცეული, არამატერიალური, რაც მატერიალიზმის თვალსაზრისით უაზრობაა, რამდენადაც სივრცისა და დროის გარეშე არაფერი არ არსებობს – ამტკიცებს იგივე მატერიალიზმი.

იდეალისტების აზრით, თუ მიკროობიექტს გააჩნია გარკვეული კოორდინატები, მაშინ ის არსებობს დროსა და სივრცეში და თუ ის გადადის ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მას არ გააჩნია კოორდინატები, მაშინ ის არ იმყოფება დროსა და სივრცეში. ასევე სივრცისა და დროის გარეშე იმყოფება ღმერთი.

ოთხგანზომილებიანი სივრცე-დრო ორგანულად არის დაკავშირებული მატერიასთან და მაკროსამყაროს მოძრაობასთან. მატერიის ყოველ სტრუქტურულ დონეს სივრცისა და დროის სპეციფიკური ფორმა შეესაბამება. ასე, მაგალითად, ბიოლოგიური სივრცე-დროის სპეციფიკურობა ვლინდება ცილას მოლეკულას ფორმის ასიმეტრიულობაში – ატომების „მარცხენა“ და „მარჯვენა“ დაჯგუფებებში. ცოცხალი ცენტრები წარმოიქმნება მხოლოდ იმ მოლეკულებში, რომლებშიც ადგილი აქვს „მარცხენა მხარის“ დაჯგუფებას. არაცოცხალ ბუნებაში ადგილი არა აქვს „მარცხენასა“ და „მარჯვენას“. ქვისათვის სულერთია სად დევს იგი, მარცხენა თუ მარჯვენა მხარეს, მცენარეები კი მკაფიოდ ანსხვავებენ სივრცის ამ ნიშნებს, რომელიც აშკარად ჩანს მხვიარა მცენარეების მაგალითზე. ისინი ჭიგოს თუ ხეებს ეხვევიან მხოლოდ მარჯვნიდან მარცხნივ, რაც თავის მხრივ, ჩვენი აზრით, გამოწვეული უნდა იყოს დედამიწის მოძრაობით თავისი ღერძის გარშემო მარჯვნიდან მარცხნივ. მცენარეებში ბიოლოგიური და ქიმიური პროცესების ხანგრძლივობა იცვლება დროის შესაბამისად – დღე და ღამის მიხედვით.

თავისი სპეციფიკა გააჩნია სივრცესა და დროს საზოგადოების ცხოვრებაში. სოციალურ სივრცეში იგულისხმება ადამიანთა მიმართება არა მარტო გარემომცველ საგნებთან და პროცესებთან, არამედ აგრეთვე თავისი დაბადებისა და საცხოვრებელ ადგილთან – სამშობლოსთან, რომლისადმი ყოველ ნორმალურ ადამიანს გარკვეული სიყვარული გააჩნია.

სოციალური დრო – საზოგადოების ყოფიერების ფორმაა, რომელიც გამოხატავს ისტორიული პროცესების ხანგრძლივობას, მათ მონაცვლეობას, რომელიც წარმოიშობა ადამიანთა საქმიანობის მსვლელობაში. სოციალურ პროცესებს სხვადასხვა ხანგრძლივობა გააჩნიათ, ადრინდელი პროცესები უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე თანამედროვე: გვაროვნულ-თემური წყობილება გაცილებით დიდხანს

არსებობდა, ვიდრე მონათმფლობელური, მონათმფლობელური უფრო დიდხანს, ვიდრე ფეოდალური, ასევე ეს უკანასკნელი – კაპიტალისტურთან შედარებით. კაპიტალიზმიდან იწყება „დროის სრბოლა“, რომელიც უფრო სწრაფია, ვიდრე ადამიანში მიმდინარე ბიოლოგიური რიტმი და ფიზიოლოგიური პროცესები. სოციალური ცხოვრების რიტმის სწრაფი ზრდა უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა ჯანმრთელობაზე.

სოციალური დროის ეტაპებად შეიძლება დავასახელოთ: ადამიანთა წარმოშობა, ეროვნებებისა და ერების ჩამოყალიბება, ფორმაციების წარმოშობა და მათი ცვალებადობა, ასევე ადამიანთა ინდივიდუალური ყოფიერების საფეხურები: ბავშვობა, სიყრმე, მოწიფულობა, ხანდაზმულობა, სიბერე. დროის ყოველ ამ მონაკვეთს თავისი რიტმი და თავისი ღირებულება გააჩნია.

თავი 11. ფარდობითი კატეგორიები

§ 1. კატეგორიის ცნება

კატეგორია არის უმაღლესი გვარეობითი ცნება, რომელიც ასახავს ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადეს და არსებით თვისებებსა და კავშირებს. კავშირი კი არის ერთი მოვლენის დამოკიდებულება მეორეზე რაიმე მიმართებაში.

კატეგორიებზე პირველი მსჯელობა ფილოსოფიის ისტორიაში არისტოტელეს ეკუთვნის. მისი აზრით არსებობს სულ ათი კატეგორია, მათ შორი უმთავრესია არსების კატეგორია, დანარჩენი ცხრა მასთან არის დაკავშირებული. მათ შორის შინაგანი, ურთიერთმიმართების პრინციპი არისტოტელეს არ მიუცია.

კანტის მტკიცებით, კატეგორიები აპრიორულია, ანუ არაცდისეულია, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ სინამდვილესთან. ისინი ადამიანის წმინდა განსჯის შედეგია, რომლებშიც ლაგდება შემეცნების მასალა.

პირველი ვინც კატეგორიათა სისტემა ჩამოაყალიბა, იყო ჰეგელი. მისი კატეგორიათა სისტემა არსისა და აზრის იგივეობაზეა დამყარებული, მაგრამ არსისა და აზრის იგივეობა მეცნიერების მიერ არ დასტურდება. ამიტომ კატეგორიების გაგების ამოსავალი პრინციპი იმის აღიარება უნდა იყოს, რომ სინამდვილეს გააჩნია უზოგადესი მხარეები, რომლებიც მუდმივია და მუდმივ თანაარსებობაშია, ხოლო კატეგორიები ამ უზოგადესი მხარეების ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში, ობიექტურის სუბიექტური მხარეა. პირველს შეიძლება ვუწოდოთ რეალური, ხოლო მეორეს – ლოგიკური.

სინამდვილეში არსებობს საგანთა, მოვლენათა გარკვეული კავშირები, რომელიც თავისთავადია, მაგრამ ის ჩვენ შემეცნებაში გვეძლევა როგორც გარკვეულობა ანუ რო-

გორც არსი. სინამდვილე უპირველესად არსია, რომლის უპირველესი ნიშანი არსებობაა. არსებობა ყოველთვის რაიმეს არსებობაა, ეს „რაიმე“ კი სწორედ ისაა, რომელსაც ფილოსოფიაში „არს“-ს უწოდებენ. არსის კატეგორია შემეცნების პირველი საფეხურია და ამასთან ერთად უშუალოდ მოცემული საგნობრივი მდგომარეობა, სინამდვილის გარკვეული მხარე.

კატეგორიები შემეცნების გარკვეული საფეხურებია, რომლებიც ასახავენ სინამდვილის საგნების გარკვეულ კავშირებს. ყოველი კატეგორია სინამდვილის რომელიმე მხარეს გამოხატავს. სინამდვილეს კი ორი მხარე აქვს: ერთია მატერიალური ანუ ონტოლოგიური, მეორე კი – იდეალური, გნოსეოლოგიური. ამიტომაც კატეგორიებიც დაიყოფა ონტოლოგიურად და გნოსეოლოგიურად.

ონტოლოგიური კატეგორიების ქვეშ იგულისხმება: არსება, მოვლენა, ფორმა, შინაარსი, მიზეზი, შედეგი, აუცილებლობა, შემთხვევითობა და სხვ. ხოლო გნოსეოლოგიური კატეგორიებია: ცნება, მსჯელობა, დასკვნა, ჭეშმარიტება, მცდარობა და ა.შ.

§ 2. ცალკეული და ზოგადი (ერთეული, განსაკუთრებული, ზოგადი)

ცალკეული და ზოგადი ისეთი ფილოსოფიური კატეგორიებია, რომლებიც ასახავენ მატერიალური სინამდვილის ერთეულ საგნებსა და მოვლენებს და მათ შორის არსებულ საყოველთაო ნიშნებსა და თვისებებს. ერთეულის ცნებაში მატერიალური სინამდვილის ცალკეული საგანი და მოვლენაა ასახული, ხოლო ზოგადის ცნებაში – ის, რაც ამ საგანთა და მოვლენათათვის ერთიანი და საყოველთაოა. მაშასადამე, **ერთეული – ეს არის ცალკეული საგანი, მოვლენა, ხდომილება, ფაქტი, რომელიც ლოკალიზებულია (არსებულია) დროსა და სივრცეში. ზოგადი ანუ საყოველთაო –ისაა,**

რაც დამახასიათებელია მრავალი ცალკეული საგნისათვის, მოვლენათა მთელი კლასისათვის. სხვანაირად, ერთეული – ეს არის ობიექტი მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, რომლებიც მას განასხვავებს ყველა დანარჩენი ობიექტისაგან და წარმოადგენს მის ინდივიდუალურ, თვისებრივ და რაოდენობრივ განსაზღვრულობას. ზოგადი კი არის საერთ-ო სიმრავლეში. მაგალითად, ივანე, პეტრე და პავლე არიან ცალკეული, ერთეული ადამიანები, რომლებსაც ახასიათებთ თავიანთი, სხვებისაგან გამორჩეული ისეთი თვისებები, როგორიცაა: ასაკი, სიმაღლე, შესახედაობა და ა.შ. და ა.შ. მაგრამ მათ გააჩნიათ საერთო თვისებებიც, კერძოდ, თითოეული მათგანი არის ადამიანი, ასევე – მოკვდავი. „ადამიანობა“, „მოკვდავობა“ მათში არის სწორედ ზოგადი ანუ საყოველთაო.

განასხვავებენ ზოგადობის ორ სახეს: მოცულობით ზოგადს, რომელიც გამოითქმის სიტყვით „ყველა“ და შინაარსეულს. შინაარსეულში გულისხმობენ მრავალსახიანობის ერთიანობის წესს. ნამდვილად ზოგადი შინაარსეული განსაზღვრულობაა, რომლის გამოვლენასაც მოცულობითი ზოგადი წარმოადგენს, ამიტომ არსებობს ერთი ზოგადობა, რომელიც ვლინდება სხვადასხვა ფორმით.

ზოგადობა თავის მხრივ შეიძლება იყოს მეტ-ნაკლები ხარისხის – **ნაკლებად ზოგადი, უფრო ზოგადი, უზოგადესი**. მაგალითად, „სტუდენტი“ ზოგადობაა, რამდენადაც ის ახალგაზრდების სიმრავლეს ახასიათებს. მაგრამ მასზე უფრო ზოგადია „ადამიანი“, ხოლო „ადამიანზე“ უფრო ზოგადია „ცოცხალი არსება“. ამ ცნებათა შორის დამოკიდებულობას ლოგიკაში სახისა და გვარის დამოკიდებულებას უწოდებენ.

ესა თუ ის ზოგადობა შეიძლება დამახასიათებელი იყოს საგანთა გარკვეული ჯგუფისათვის ან საგანთა მთელი კლასისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზოგადობა საგანთა ერთ რომელიმე ჯგუფს მიეკუთვნება, მაშინ საქმე გვაქვს განსაკუთრებულის ცნებასთან. განსაკუთრებული (კერძოო-

ბითი) ერთეულთან, ცალკეულთან მიმართებაში ზოგადია, ხოლო უფრო ფართოდ აღებულ ზოგადთან იგი განსაკუთრებულის ბუნებას ინარჩუნებს. ასე, მაგალითად, დათო – სტუდენტი – ადამიანი. დათო-ერთეული ანუ ცალკეულია, სტუდენტი – განსაკუთრებული ანუ კერძოობითი, ხოლო ადამიანი – ზოგადი ანუ საყოველთაო. ცალკეული, განსაკუთრებული, ზოგადი შეფარდებითი კატეგორიებია.

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ განსხვავება ზოგადსა, განსაკუთრებულსა და ცალკეულს შორის შეფარდებითია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ ვიხილავთ ცნებას სხვა ცნებებთან კავშირში, შესაძლებელია დავადგინოთ არის განსაკუთრებული, ერთეული თუ ზოგადი. ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა წარმოადგენს ერთეულის, განსაკუთრებულსა და ზოგადის ერთობლიობას.

ზოგადი არ არსებობს ერთეულამდე და ერთეულის გარეშე, ზუსტად ასევე ერთეული არ არსებობს ზოგდის გარეშე. მათი ერთიანობა არის სწორედ განსაკუთრებული. ეს კატეგორია ამ ერთიანობის გამო უფრო მდიდარია თავისი შინაარსით ზოგადთან და ერთეულთან შედარებით. ერთეულის მიმართ ის ზოგადია, ზოგადის მიმართ კი – ერთეული.

განსაკუთრებულს არა აქვს დამოუკიდებელ შინაარსი, მაგრამ ის არ არის უფუნქციო კატეგორია. მას უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს.

ერთეულისა და ზოგადის დიალექტიკური კავშირი გამოიხატება არა მარტო მათ ერთიანობაში, არამედ იმაშიც, რომ ერთეული, ცალკეული არის ზოგადის მხარე, მომენტი და მისი გამოვლენა. ადამიანის მოკვდაობა ვლინდება პეტრეს, ივანეს და ა.შ. ცალკეული ადამიანის სიკვდილით. ი. ჭავჭავაძის მოთხრობაში - „კაცია-ადამიანი?!“ - ლუარსაბ თათქარიძე არის გარკვეული ინდივიდი, კახელი თავადი, რომელსაც არა მარტო თავისი კონკრეტული სახელი და გვარი აქვს, არამედ ბევრი საკუთარი თვისებაც. მაგრამ ლუარსაბ თათ-

ქარიძეს ამასთანავე ბევრი ისეთი ნიშანიც გააჩნია, რომლებიც საერთო იყო ქართველი თავადაზნაურობისათვის: სიზარმაცე, ბედოვლათობა, უზრუნველობა, საქვეყნო საქმეებისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ბევრი სხვა მსგავსი თვისებები. სწორედ იმის გამო, რომ ის სხვებს ჰგავდა და სხვები მას, დიდმა ილიამ ლუარსაბი დახატა როგორც ტიპი, როგორც ერთიანობა ერთეულისა და ზოგადისა.

ერთეულისა და ზოგადის ურთიერთმიმართების პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანი იყო ფილოსოფიის ისტორიის მთელ მანძილზე. ჯერ კიდევ პლატონი შეეხო ამ საკითხს. მან ზოგადი (იდეა) მოწყვიტა ერთეულ, ცალკეულ საგნებს და იდეათა სამყაროს დამოუკიდებელი არსებობა აღიარა. არისტოტელემ ზოგადი ერთეულებში, საგნებში იგულისხმა, როგორც ფორმა, რომელიც იგივეა, რაც პლატონთან იდეა, ოღონდ ერთეულ საგნებში ჩასახლებული, განხორციელებული.

შუა საუკუნეებში ერთეულისა და ზოგადის ურთიერთმიმართება ცხოველი კამათის საგანს წარმოადგენდა, რომლის დროსაც ამ პრობლემაზე სამი ურთიერთგანსხვავებული შეხედულება ჩამოყალიბდა: **რეალიზმი, ნომინალიზმი და კონცეპტუალიზმი**.

რეალიზმის მტკიცებით ზოგადი არსებობს, მაგრამ დროულ-ვრცეული განზომილებების მიღმა, ცალკეული საგნებისაგან დამოუკიდებლად. ასეთ შეხედულებას **რადიკალურ რეალიზმს** უწოდებენ. არსებობს **ზომიერი რეალიზმი**, რომლის მიხედვით ზოგადი არსებობს ერთეულში და ერთეულის მეშვეობით, მაგრამ არსებობს ერთეულში როგორც მისი არსება. სახლი ზოგადად არსებობს არა ერთეული სახლებისაგან განცალკევებით, არამედ მათში და მათი მეშვეობით.

ნომინალიზმის მიხედვით ზოგადი არის ცარიელი სახელი (ლათინურად - „ნომენ“), რომელსაც მსგავს საგნებს ვარქმევთ, იგი არ არსებობს არც რეალურად და არც განყენებული ცნების სახით.

კონცეპტუალიზმი რეალიზმისა და ნომინალიზმის შერიგებას ცდილობს და აღიარებს, რომ ზოგადი რეალურად არ არსებობს, იგი აზროვნების მოღვაწეობის პროდუქტია. იგი არსებობს ადამიანის ცნობიერებაში და არა მისგან დამოუკიდებლად, ობიექტურად. ობიექტურად არსებობენ ერთეული საგნები, რომლებსაც გააჩნიათ არა მარტო ინდივიდუალური, არამედ საერთო, მსგავსი ნიშნები. ადამიანი თავისი გონების აბსტრაქციის უნარით საერთო ნიშნებს გამოყოფს ინდივიდუალურისაგან და ქმნის ზოგადის ცნებას, ზოგადი შექმნილია ადამიანის გონების მიერ ცნების სახით და იგი არ არსებობს ობიექტურად.

ზოგიერთი ფილოსოფოსის აზრით, განხილული თვალსაზრისების შეფასება უნდა მოხდეს „არა ჭეშმარიტების, არამედ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. საკითხი უნდა დაისვას არა ისე, თუ რომელი თეორიაა ჭეშმარიტი და რომელი მცდარი, არამედ რომელი უფრო მისაღებია, სრულყოფილია. საქმე ისაა, რომ არც ერთი მათგანი ბოლომდე სრულყოფილი და თანმიმდევრული არაა. მაგრამ ყველაზე უფრო მისაღები მეცნიერული აზროვნებისათვის არის კონცეფტუალიზმი“ (პროფ. ვ. ერქომაიშვილი).

ერთეულის, განსაკუთრებულისა და საყოველთაოს (ზოგადი) ურთიერთმიმართების სწორ გააზრებას დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული ღირებულება აქვს ადამიანებისათვის. სინამდვილის შემეცნება იწყება ერთეული საგნებისა და მოვლენების ნიშან-თვისებათა შესწავლით, გრძელდება მათ შორის მთავარი და არამთავარი, არსებითი და არაარსებითი ნიშნების დადგენით და მთავრდება მათ საფუძველზე ზოგადის შემეცნებით. ესაა გზა ერთეულიდან ზოგადისაკენ სვლისა. მაგრამ სინამდვილის შემეცნების პროცესი ამით არ სრულდება, არსებობს მისი შებრუნებითი გზაც, ზოგადიდან ერთეულისაკენ, განსაკუთრებულზე გავლით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების მიღწევის ინდუქციური და დე-

დუქციური დასკვენების გაკეთების ლოგიკური ხერხები და წესები, რომლებსაც ლოგიკა სწავლობს.

§ 3. არსება და მოვლენა

სინამდვილის ყოველ საგანს, ყოველ ფენომენს ყოველთვის ორი მხარე გააჩნია: არსება და მოვლენა. არსება – ეს არის მთავარი, ძირითადი და განმსაზღვრელი საგანში; ეს არის არსებითი თვისებები, კავშირები, წინააღმდეგობები და ტენდენციები ობიექტის განვითარებაში. მოვლენა – ეს არის არსების გარეგანი გამოხატულება, მისი გამოვლენის ფორმა. არსებისაგან განსხვავებით, რომელიც სიღრმისეულია, შინაგანია, მოვლენა ზედაპირულია, თვალში საცემია.

არსება ყოველთვის ერთიანობაშია მოვლენასთან, რამდენადაც ის მოვლენებში არა მარტო მჟღავნდება, არამედ მისი მეშვეობით არსებობს და მოქმედებს. არსებისა და მოვლენის ერთიანობა წინააღმდეგობრივია, ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან. არსება დამალულია მოვლენათა სიღრმეში მაშინ, როდესაც მოვლენა უშუალოდ თვალხილულია. მაგრამ მოვლენას არ შეუძლია იარსებოს იმის გარეშე, რის გამოვლინებასაც იგი წარმოადგენს, ე.ი. არსების გარეშე. ისინი დიალექტიკურ ერთიანობაში არიან ერთმანეთთან. არ არსებობს არსება, რომელიც რაღაცნაირად არ ვლინდებოდეს. არ არსებობს მოვლენაც, რომელიც არ იყოს დაკავშირებული არსებასთან. არსება გულისხმობს მოვლენას, მოვლენა კი არსებას. არსება ვლინდება, არსება და მოვლენა ერთმანეთს არ ემთხვევა, ერთი განმსაზღვრელია (მადეტერმინებელია), მეორე კი-განსაზღვრული (დეტერმინირებული). მათ აქვთ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები. არსებასა და მოვლენას შორის განსხვავებულობის უგულვებელყოფას მივყავართ არსებულის უარყოფამდე. ასე მოსდიოდა ჯ. ბერკლს, რომელიც ფიქრობდა, რომ მოვლენის შეგრძნება თვით არის არსება. არსებასა და მოვლენას შორის საერთოს

არსებობის უარყოფას მივყავართ იუმისა და კანტის აგნოსტიციზმამდე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ არსება საერთოდ შეუცნობადია.

არსება მდგრადია, მოვლენა კი ადვილად ცვალებადი, თავისი გამოვლინების პირობების ცვალებადობის შესაბამისად. მოვლენაში ყოველთვის რაღაცა იცვლება. მისი რომელიმე თვისება ქრება და სხვა ჩნდება. მაგალითად, ინდივიდუალური ადამიანი სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა თვისებებით ხასიათდება, მაგრამ მისი არსება – ადამიანობა, მაინც უცვლელი რჩება.

არსებასა და მოვლენას შორის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ისიცაა, რომ არსება ზოგადია, ხოლო მოვლენა – ერთეული. არსება, როგორც მრავალ მოვლენათა საფუძველი, წარმოადგენს იმ ზოგადს, რაც დამახასიათებელია ამ მოვლენებისათვის, არსება არის ზოგადი ამ მოვლენებში. ადამიანობა, როგორც არსება, მოცემულია ადამიანთა სიმრავლეში: პეტრეში, პავლეში, ივანეში და ა.შ.

არსებისა და მოვლენის დიალექტიკა იმაშიც მდგომარეობს, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთში გადასვლა, მათ შეუძლიათ ადგილის გაცვლა; ის, რაც ერთ პირობებში არსებითია, სხვა დროს შეიძლება არაარსებითი გახდეს და, პირიქით, ის, რაც ერთ პირობებში არარსებითია, სხვაგან და სხვა მომენტში შეიძლება არსებითი გახდეს. არსება ყოველთვის შინაგანია, მაგრამ პირიქით არ არის სავალდებულო. შინაგანი შეიძლება არ იყოს არსებითი. არსება ზოგადი და აუცილებელია, მაგრამ ყოველი ზოგადი და აუცილებელი არსებითი არ არის. არსებითი მხოლოდ ისეთი შინაგანი, ზოგადი და აუცილებელია რომელიც განსაზღვრავს საგნის თავისებურებას. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ შინაგანი და გარეგანი არ უნდა გავიგოთ სივრცითი აზრით. შინაგანში იგულისხმება ისეთი რამ, რაც მიუწვდომელია გრძნობადი აღქმისათვის, ხოლო გარეგანში რაც გრძნობად-აღქმადია და ადამიანს ეძლევა უშუალოდ.

მოჩვენებითობა. სინამდვილის გრძნობად-აღქმით პროცესში ჩვენ არა იშვიათად მოვლენა გვეჩვენება არა ისეთად, როგორიც ის სინამდვილეშია, არამედ სულ სხვანაირად, სწორედ ეს არის მოჩვენებითობა. მოჩვენებითობა ყოველთვის სუბიექტურია, მაშინ როდესაც არსება და მოვლენა ობიექტურია, ე.ი. არსებობენ ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. მოჩვენებითობა სუბიექტურია იმდენად, რამდენადაც ადამიანის მიერ სინამდვილის შემეცნების პროცესში წარმოიშობა, თუმცა მასაც აქვს გარკვეული ობიექტური საფუძველი. მშიშარა ადამიანს ღამე კუნძი მგლად რომ ეჩვენება, ამის ობიექტური საფუძველი სწორედ ეს კუნძია, რომელიც მან მგლად აღიქვა, ასევე აღქმის არასრულყოფილებაშია იმის თქმის საფუძველი, რომ მზე ამოდის და ჩადის. აქაც მოჩვენებითობასთან გვაქვს ადგილი. მოჩვენება არსებობს ადამიანთა მიმართებაში, როგორც სინამდვილის ყალბი, არასწორი აღქმის შედეგი. იგი არც არსებაა და არც მოვლენა. **მოჩვენებითობის კატეგორია, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს არსებისა და მისი გარეგანი გამოხატულების ერთმანეთთან შეუსაბამისობის ფაქტს**.

არსება და მოვლენა, როგორც ყოფიერების გარკვეული განსაზღვრულობები, აისახება ადამიანთა ცნობიერებაში, მის შესაბამის კატეგორიებში. გრძნობადი შემეცნების საფეხურზე საგნების გარეგანი მხარე, ე.ი. მოვლენა შეიმეცნება, ხოლო რაციონალური შემეცნების საფეხურზე – საგანთა არსება. მისი შემეცნების საშუალებას წარმოადგენს აბსტრაქტული შემეცნება, რომელიც ხორციელდება ცნებების კავშირის სახით. მხოლოდ აბსტრაქტული აზროვნება ახერხებს ყოველგვარი შემთხვევითობის, გარეგანის განყენებას საგნისაგან და მასში კანონზომიერის, მდგრადის, განმეორებადის გამოყოფას, ანუ მისი არსების წვდომას.

არსებისა და მოვლენის კატეგორიები უდიდეს როლს თამაშობენ მეცნიერულ შემეცნებაში. ყოველი კვლევა იწყება მოვლენათა გაცნობიდან და მიდის არსების შემეცნებისაკენ.

მაგრამ შემეცნება არ მთავრდება არსების შემეცნებით. ადამიანები აანალიზებენ, შეიმეცნებენ მოვლენებს, რათა გაიგონ მათი არსება, მაგრამ არსების შემეცნება ხდება იმისათვის, რომ გაგებულ იქნას მოვლენები. ამრიგად, შემეცნება შეიცავს ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მიმართულებას: მოვლენიდან არსებისაკენ და არსებიდან მოვლენისაკენ, ან კიდევ: ერთი რიგის არსებიდან, მეორე რიგის არსებისაკენ.

უმართებულოა მოვლენის მოწყვეტა არსებისაგან, რომელიმე ერთი მხარის იგნორირება მეცნიერულ კვლევებში. ამ კატეგორიების მეშვეობით ხდება სინამდვილის საიდუმლოებების სულ უფრო და უფრო ღრმად წვდომა და სამყაროს რთული და მთლიანი სურათის შექმნა.

§ 4. მიზეზი და შედეგი

ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში მიზეზობრიობის პრობლემასთან დაკავშირებით სამი შეხედულება გამოიკვეთა: 1. ჰილოძოისტური (თალესი, ანქსიმენი); 2) მექანისტური (ლევკიპე, დემოკრიტე) და 3. ტელეოლოგიური (პლატონი, არისტოტელე). პლატონთან იდეები მიზეზებს წარმოადგენს არა ერთმანეთის მიმართ (იდეების სამყაროში მიზეზ-შედეგობრივი მიმართება არ ფუნქციონირებს), არამედ გრძნობად სამყაროს მოვლენათა მიმართ. იდეათა სამყაროში რაიმეს წარმოშობას არა აქვს ადგილი. იდეები გრძნობადი სამყაროს არსებობის მიზეზებიცაა და მიზანიც. იდეათა სამყაროს სათავეში სიკეთის იდეა დგას, იგი არის ღმერთი, უზენაესი შემოქმედი და ყოველგვარი მოქმედების მიზეზიც და მიზანიც. არისტოტელემ ყოველივე არსებულის 4 მიზეზი ჩამოაყალიბა: 1. ფორმა, 2. მატერია, 3. ქმედება, 4. მიზანი.

იუმმა საერთოდ უარყო ბუნების ობიექტური კანონზომიერების, მიზეზობრიობის არსებობისა და შემეცნების შე-

საძლებლობა. მისი არსებობის აღიარება ფსიქიკურ ფენომენს – ჩვევას ემყარება – ამტკიცებდა იუმი.

კანტმა მიზეზობრიობა შემმეცნებელი სუბიექტის განსჯის აპრიორულ ფორმად გამოაცხადა, რომელიც ადამიანის გონებას შეაქვს ბუნებაში, ანუ ეს გონება მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მიაწერს ობიექტებს, რომელთა მოწესრიგებასაც ის ცდილობს სინამდვილის შემეცნების პროცესში. კანტმა თავისი განსჯის კატეგორიებზე მოძღვრებით დაასრულა მიზეზობრიობის გაგების მეტაფიზიკური ეტაპი.

ჰეგელმა, პირველად ფილოსოფიის ისტორიაში, მოგვცა მიზეზობრიობის კატეგორიის ყოველმხრივი განხილვა, მიზეზისა და შედეგის ურთიერთობის თითქმის ყველა ნიშანი, მანვე მიუთითა მათი დაპირისპირების რელატიურ და ურთიერთგადასვლის აბსოლუტურ ხასიათზე. მაგრამ ჰეგელთან მიზეზობრიობა ობიექტურად არსებული ბუნების, სინამდვილის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი კი არაა, არამედ აბსოლუტური სულის განვითარების კანონზომიერებაა.

მეცნიერების მონაცემების საფუძველზე დაყრდნობით, თანამედროვე ფილოსოფია ამტკიცებს, რომ ობიექტურ სინამდვილეში – ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში ადგილი აქვს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანუ მიზეზობრიობის არსებობას. **მატერიალური სინამდვილის** საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირის ისეთ ფორმას, სადაც ერთი მოვლენა ან მოვლენათა ჯგუფი გარკვეულ პირობებში, დროში, ობიექტური აუცილებლობით იწვევს, წარმოშობს მეორე მოვლენას ან მოვლენათა ჯგუფს მიზეზობრივი კავშირი ეწოდება. მიზეზობრიობა არის მოვლენათა შორის გენეზისური კავშირი, რომლის დროს ხდომილებათა ერთი რიგის ზემოქმედებით აუცილებლობით წარმოიშობა ხდომილებათა მეორე რიგი.

მიზეზობრივ კავშირში მყოფ მოვლენათა შორის იმ მოვლენას ან მოვლენათა ჯგუფს, რომელიც იწვევს, წარმოშობს მეორე მოვლენას – მიზეზი ეწოდება, ხოლო იმ მოვლე-

ნას ან მოვლენათა ჯგუფს, რომელიც გამოწვეულია, წარმოშობილია – ეწოდება შედეგი. ამ განსაზღვრებაში ჩამოთვლილია მიზეზობრივი კავშირის ცნების არსებითი ნიშნები, იგი 1) მატერიალური სინამდვილის კავშირ-მიმართების ერთ-ერთი ფორმაა; 2) ობიექტური კანონზომიერებაა; 3) დროში მიმდინარე პროცესია; 4) საგანთა და მოვლენათა აუცილებელი განსაზღვრულობათა გარკვეული ფორმაა; 5) წარმოშობის პროცესის კანონზომიერების ამხსნელია. მიზეზობრივი კავშირისათვის ძირითადია ორი ნიშანი. იგი 1. დროში მიმდინარე პროცესია და 2. წარმოშობის ამხსნელი. თუ კავშირის რაიმე ფორმას ეს ორი ნიშანი აქვს, იგი მიზეზობრივი კავშირია. იქ, სადაც რაიმეს წარმოშობას აქვს ადგილი, ადგილი აქვს მიზეზობრიობასაც. მოვლენათა შორის აუცილებელი გენეტური კავშირის დადგენის გარეშე მიზეზობრიობა არ არსებობს (ვ. მეიფარიანი).

მიზეზობრიობა პროცესს გამოხატავს, პროცესი დროში მიმდინარეობს, მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს, მათი დროული თანმიმდევრობა აუცილებელი მომენტია.

მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართება შეფარდებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ადგილებს იცვლიან, ის, რაც გარკვეულ მომენტში, გარკვეულ მიმართებაში მიზეზია, სხვაგან, სხვა მომენტსა და მიმართებაში შედეგი შეიძლება გახდეს და პირიქით. მიზეზისა და შედეგის ურთიერთდაპირისპირება, რელატური ანუ შეფარდებითია, ხოლო ურთიერთგადასვლა კი – აბსოლუტური ანუ მუდმივი. მიზეზი თავისი შედეგის აუცილებელი გამომწვევია, შედეგი კი მიზეზის მოქმედების აუცილებელი შედეგი. არ არსებობს მოვლენა, რომელიც არ იყოს რაიმეს მიზეზი და რაიმეს შედეგი. მიზეზი მიზეზობრიობის უფრო აქტიური მხარეა, შედეგი კი შედარებით ნაკლებად აქტიური, მაგრამ არც ისაა აქტიურობას მოკლებული, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მათ ერთმანეთში გადასვლას. მიზეზი შედეგში ვლინდება, შედეგით იზომება. შედეგი მიზეზის განსაზღვრულობის გამოვლენაა, ყოველ

კონკრეტულ მიზეზს კონკრეტული შედეგი შეესაბამება და ყოველი კონკრეტული შედეგი კონკრეტული მიზეზით ან მიზეზთა კომპლექსითაა განპირობებული.

რადგან მიზეზობრივი მოქმედება პროცესია, ამიტომ იგი ყოველთვის კონკრეტულ პირობებში მიმდინარეობს, ის აჩქარებს, ან ანელებს ამ პროცესს.

სამყაროში ყველაფერი ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. განპირობებულობას მოწმობს ის ფაქტი, რომ ერთი მოვლენა იწვევს მეორე მოვლენას, იქმნება მოვლენათა გარკვეული ჯაჭვი, რომელშიც ყოველი წინა რგოლი განაპირობებს შემდგომს, წარმოშობს მას. მოვლენათა ეს ჯაჭვი ასახავს ყოფიერების განვითარების კანონზომიერ ხასიათს მისი ორგანიზაციის ყველა დონეზე. სწორედ ამაშია მიზეზობრიობის არსება.

ობიექტურობა და საყოველთაობა – მიზეზობრიობის კანონის ორი მხარეა. ვინც მიზეზობრიობის ობიექტურობას აღიარებს, მანვე უნდა აღიაროს მისი საყოველთაობა. თუ ჩვენ დავუშვებთ უმიზეზო მოვლენების არსებობას, მაშინ იძულებული ვიქნებით დავუშვათ მათი არსებობის ზებუნებრივი მიზეზები. მიზეზობრიობის კანონმა არ იცის გამონაკლისები.

თუ ყოველი ცალკეული მოვლენის წარმოშობის მიზეზი დევს მის გარეთ, მისი არსებობის მიზეზი თვითონ მასშია. შედეგთან მიმართებაში მიზეზი არის რაღაცა თავისთავადი, დამოუკიდებელი, მაშინ როდესაც შედეგი ყოველთვის არის რაღაცა წარმოებული, დამოკიდებული. მიზეზი და ქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან.

მიზეზი შეიძლება გამოვლინდეს სამი: გენეტიკური, სტრუტქტურული და მიზნობრივი სახით, ქმედება კი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგანი და შინაგანი. რაც შეეხება შედეგთან კავშირს, მიზეზი ყოველთვის არის ქმედება, ხოლო ქმედება ყოველთვის არის მიზეზი. სხვანაირად, შედეგთან მიმართებაში მიზეზი გამოდის როგორც მოქმედი მიზეზი.

მიზეზისა და შედეგის ურთიერთმიმართება ყოველთვის განიხილება დროულ თანმიმდევრულობაში, თვით ტერმინი „შედეგი“ ნიშნავს მომდევნოს, „შემდეგს“. მაგრამ დებულება იმის შესახებ, რომ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, არ წარმოადგენს აბსოლუტურს, რამდენადაც, ცალკეულ შემთხვევებში, მიზეზი შეიძლება შედეგის თანადროული იყოს. ზოგიერთი ფილოსოფოსი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია მიზეზისა და შედეგის ერთდროული არსებობა, მაგრამ ყოველი წინმსწრობი მოვლენა არ არის მიზეზი მომდევნო მოვლენის, მაგალითად ღამე არ არის დღის მიზეზი. სანამ არ არის შედეგი, მიზეზი არ არის ნამდვილი მიზეზი, სანამ არ არის დახატული სურათი, არ არის მხატვარიც. არა მარტო მხატვარი ქმნის სურათებს, არამედ სურათებიც ქმნიან მხატვარს. არ შეიძლება მწერალი ვუწოდოთ ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეუქმნია არც ერთი ნაწარმოები.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, ან არსებობს შედეგთან ერთდროულად. შედეგში არის ის, რაც იყო მიზეზში, მაგრამ არის ახალიც, რომელიც წარმოიშვა მიზეზისა და შედეგის ურთიერთკავშირის შედეგად.

სამყაროში არ არსებობს ისეთი მოვლენა, რომელსაც არ ქონდეს თავისი წარმოშობისა და არსებობის მიზეზი. სხვა საკითხია, შემეცნებულია თუ არა მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მოცემული კონკრეტული მოვლენის მიზეზი. ცნობილია, რომ მეცნიერებამ ჯერ კიდევ არ იცის სინამდვილეში არსებული ბევრი მოვლენის გამომწვევი მიზეზი, მაგალითად, ავადმყოფობა კიბოს მიზეზი. მაგრამ ის, რაც დღეს ჯერჯერობით აუხსნელია, ახსნილი იქნება დროთა განმავლობაში თეორიისა და პრაქტიკის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე.

მიზეზობრიობის არსებობის უარმყოფელ შეხედულებებს ფილოსოფიაში ინდეტერმინიზმი ეწოდება. მისი საპირისპირო ცნებაა – დეტერმინიზმი, ინდეტერმინიზმს უარ-

ყოფს მეცნიერების წარმატებები, რომელიც იძლევა შესაძ-ლებლობას აიხსნას ბუნებისა და საზოგადოების მრავალი მოვლენა, რომლებიც ადრე აუხსნად და იდუმალ ხასიათს ატარებდა.

მიზეზობრივი კავშირები თავიანთი ხასიათით შეიძლე-ბა იყოს შინაგანი და გარეგანი, მთავარი და არამთავარი, მე-ორეხარისხოვანი, ობიექტური და სუბიექტური. მაგალითად, საზოგადოების განვითარების მთავარი, შინაგანი ძალა ანუ ობიექტური მიზეზია მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი, გარეგანი, არამთავარი-გეოგრაფიული გარემო, სუბიექტური მიზეზი იქნება – ადამიანთა მიზანდასახული და მიზანშეწონილი მოქმედება.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიზეზ-შედეგობრი-ვი დამოკიდებულება სხვადასხვანაირად ვლინდება ბუნება-სა და საზოგადოებაში. არაცოცხალ ბუნებაში მიზეზობრივი კავშირი იღებს ქმედებისა და უკუქმედების ხასიათს: ქარი ეჯახება კლდეს და დროთა განმავლობაში მეტნაკლებად ფი-ტავს მას, თავის მხრივ, კლდე თავისი სიმტკიცით ანელებს ქარის ძალას და ამცირებს მის ენერგიას. ცოცხალ ბუნებაში მიზეზ-შედეგის კავშირი ვლინდება ორგანიზმების აქტიურ მიმართებაში გარემო პირობებთან, მასთან შეგუებაში. ორ-განიზმები იძენენ ისეთ თვისებებს, რომლებიც მათ ეხმარე-ბათ სიცოცხლის გახანგრძლივებასა და გამრავლებაში.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მრავალფეროვანია. ადამიანთა ბიოლოგიური მოთ-ხოვნილებები, როგორც მიზეზები, წარმოშობენ მათ ინტერე-სებს, მათ მიზნებს, რომლებიც ასევე, თავის მხრივ, იწვევენ მათ აქტიურ ქმედებებს ამ ინტერესებისა და მიზნების განსა-ხორციელებლად. ინტერესებისა და მიზნების რეალიზაცია კი არის ადამიანთა აქტიურობის შედეგები.

მიზეზისა და შედეგის ურთიერთზემოქმედება ვლინ-დება, უპირველეს ყოვლისა, იმაში, რომ არა მარტო მიზეზი მოქმედებს შედეგზე და იწვევს მას, არამედ შედეგიც უკუ-

გავლენას ახდენს მიზეზზე. მაგალითად, საწარმოო ძალების განვითარების დონე, როგორც მიზეზი, იწვევს წარმოებით ურთიერთობების გარკვეული ტიპის წარმოშობას, როგორც შედეგს, მაგრამ ახალი წარმოებითი ურთიერთობები აჩქარებენ საწარმოო ძალების განვითარებას.

მიზეზისა და შედეგის ურთიერთზემოქმედება ვლინდება იმაშიც, რომ ისინი ადგილებს იცვლიან: მიზეზი ხდება შედეგი, შედეგი კი – მიზეზი.

მიზეზობრიობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები 1) დროში თანმიმდევრობა და სივრცეში მეზობლობა. მიზეზი წინ უსწრებს შედეგს. ჯერ მიზეზია, შემდეგ კი შედეგი. შეუძლებელია იყოს პირიქით, შედეგი წინ უსწრებდეს მიზეზს. მაგრამ მათი შეხვედრის მომენტში, თუნდაც მცირე ხნით, ისინი ერთდროულად უნდა არსებობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კავშირს ადგილი არ ექნება. სივრცის თანხვდომის გარეშე მიზეზი ზემოქმედებას ვერ მოახდენს შედეგზე, ე.ი. სივრცეში მეზობლობა აუცილებელი პირობაა მიზეზობრივი კავშირის განხორციელებისათვის.

2) გენეზისური კავშირი, ანუ მიზეზი წარმოქმნის, წარმოშობს, იწვევს შედეგს. მიზეზობრივი კავშირი არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს ერთი მოვლენის მიერ მეორის წარმოქმნას, გამოწვევას. სწორედ ესაა მიზეზობრივი კავშირის თავისებურება (ვ. ერქომაიშვილი).

3) აუცილებლობა. მიზეზი შედეგს იწვევს აუცილებლობით და არა შემთხვევით. ის, რომ შედეგი მოხდა, აუცილებლობით განაპირობა იმან, რომ არსებობდა მიზეზი, რომელმაც გამოიწვია შედეგი. შედეგი ხდება არა შემთხვევით, თვითნებურად, არამედ მიზეზის გამო – აუცილებლობის ძალით.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს შემდეგი განსაზღვრება: მიზეზი არის მოვლენა, რომელიც სივრცეში მეზობლობს და დროში წინ უსწრებს მეორე მოვლენას ან მისი თანადროულია და აუცილებლობით იწვევს მას. ხოლო შედეგი

არის მოვლენა, რომელიც გამოწვეულია მიზეზით. მიზეზობრიობა კი არის მიმართება მიზეზსა და შედეგს შორის.

მიზეზისაგან უნდა განვასხვაოთ პირობა. იგი არის მოვლენა, რომელიც თვითონ არ იწვევს შედეგს, მაგრამ მის გარეშე მიზეზი შედეგს ვერ გამოიწვევს. პირობები ხელს უწყობენ ან აბრკოლებენ მიზეზობრივი ურთიერთქმედების განხორციელებას. გარკვეულ პირობებში დაავადებამ შეიძლება მოკლას ადამიანი, ხოლო სხვა პირობებში ასეთი ვითარება შეიძლება ადვილად ავიცილოთ თავიდან.

კაუზალიზმი (ლათ. „კაუზა“ ნიშნავს მიზეზს) არის თვალსაზრისი, რომელიც აღიარებს მიზეზობრიობის ობიექტურობას და მის საფუძველზე ხსნის სამყაროს კანონზომიერებას. აკაუზალიზმი კი არის მოძღვრება, რომელიც უარყოფს მიზეზობრიობის ობიექტურობას სამყაროში, სხვანაირად მათ, ფართო გაგებით, დეტერმინიზმსა და ინდეტერმინიზმს უწოდებენ.

მიზეზისაგან უნდა განვასხვაოთ საბაბი; საბაბი ისეთი მოვლენაა, რომელიც მეორე მოვლენას დროში წინ უსწრებს, ხელს უწყობს მის წარმოშობას, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზი არ არის. მაგალითად, აფხაზეთის უნივერსიტეტისაგან 1989 წელს ქართული სექტორის გამოყოფა და მისი ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ფილიალად გამოცხადება გახდა საბაბი აფხაზი ექსტრემისტებისათვის ანტიქართული გამოხდომებისათვის, რასაც მოგვიანებით, სხვა მოვლენებთან ერთად, შედეგად მოჰყვა აფხაზეთის ომი. ცხადია, მიზეზის ადგილას საბაბის გამოყენება ამა თუ იმ შედეგის ასახსნელად, არამეცნიერულია. ამიტომ საბაბისა და შედეგის განსხვავების ცოდნას და მის შეგნებულ გამოყენებას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პირობა განსხვავდება საბაბისაგან. პირობა მიზეზის ქმედების გამოვლენის აუცილებელი მომენტია. საბაბი კი გარეგნულია, შემთხვევითია მიზეზის მიმართ. ამიტომ მისი არ-

სებობა – არარსებობა მიზეზის გამოვლინებაზე არსებით გავლენას არ ახდენს.

მიზეზობრიობა სამყაროს საგნებისა და მოვლენების უნივერსალური, საყოველთაო კავშირის ნაწილია. ყოველი მოვლენა შეფარდებითია, ე.ი. იგი დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთეული, კერძო მოვლენა წარმოქმნილია და შეგვიძლია შედეგის სახით განვიხილოთ, ხოლო მოვლენა, რომელმაც იგი წარმოშვა, მიზეზის როლში გამოვა. ერთი და იგივე მიზეზი მსგავს პირობებში იწვევს ერთსა და იმავე შედეგს, მაგრამ რამდენადაც პირობათა ვარიანტი მრავალია, შედეგი ალბათურია.

მიზეზობრიობა არის კავშირი, რომელიც ყოველთვის რაღაცა ახლის წარმოშობასთან არის დაკავშირებული, რომლის დროსაც შესაძლებლობა გადადის სინამდვილეში. მიზეზ-შედეგობრივ კავშირს სამყაროში არა აქვს დასაწყისი და არც დასასრული და უწყვეტია სივრცესა და დროში. დასაწყისი და დასასრული აქვს მხოლოდ ცალკე აღებულ კონკრეტულ მიზეზ-შედეგობრივ მიმართებებს. მაგალითად, ჰაერში ასროლილი ქვის ვარდნა დედამიწაზე გამოწვეულია მათი ურთიერთმიზიდულობით, რომელიც ექვემდებარება მსოფლიო მიზიდულობის კანონს, ხოლო ქვის ვარდნა დედამიწაზე – არის მათი გრავიტაციული ურთიერთზემოქმედების შედეგი.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ უშუალო, ე.ი. ისეთ მიზეზებს, რომლებიც პირდაპირ იწვევენ და განსაზღვრავენ შედეგებს, და გაშუალებულ მიზეზებს, რომლებიც იწვევენ და განსაზღვრავენ შედეგებს რიგი შუალედური რგოლების მეშვეობით. მათი მოქმედება ერთბაშად არ ვლინდება. მაგალითად, ლტოლვილ ადამიანის ფსიქიკაზე ხანგრძლივად მოქმედებს თავს დამტყდარი ტრაგედია, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს რამდენიმე წლის შემდეგ.

აბსოლუტურად პირველი მიზეზები მიზეზობრივ ჯაჭვში არ არსებობს და მათი დაშვება მეცნიერული თვალსაზ-

რისით გაუმართლებელია. ასეთი პირველი მიზეზის დაშვება რელიგიისათვის არის დამახასიათებელი.

კანონზომიერება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მიზეზობრიობა, იგი კანონზომიერების სპეციფიკური ტიპია.

§ 5. აუცილებლობა და შემთხვევითობა

აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთ-ერთი თანაფარდობითი კატეგორიებია.

„აუცილებელია ხდომილება, რომლის მოხდენა სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან გამორიცხავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას. იგი სწორედ ისე ხდება, როგორც უნდა მომხდარიყო. აუცილებლობა გარდაუვალია, რადგან ერთმნიშვნელოვნად დეტერმინირებულია. ამიტომ იგი გარკვეულია და მისი წინასწარმეტყველება პრინციპულად შესაძლებელია.

შემთხვევითია ხდომილება, რომელიც შეიძლება მოხდეს ასეც და სხვაგვარადაც, რადგან იგი თავის თავში შეიცავს სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას. იგი ხდება ასე, მაგრამ იმავე პირობებში შეიძლებოდა სხვაგვარადაც მომხდარიყო. შემთხვევითობა განსხვავებულ შესაძლებელ შედეგს გულისხმობს, რომელთაგან არც ერთი წინასწარ ერთმნიშვნელოვნად დეტერმინირებული არ არის. ამიტომ შემთხვევითი ხდომილების მოხდენა წინასწარ გაურკვეველია და მის წინასწარმეტყველება ობიექტური და არა სუბიექტური მიზეზების გამო პრინციპულად გამორიცხულია (ვ. ერქომაიშვილი).

აუცილებლობა და შემთხვევითობა ობიექტური ხასიათისაა, ე.ი. ისინი არსებობენ ადამიანთა ცნობიერებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ობიექტურობის აღიარება უპირისპირდება როგორც სუბიექტურ, ასევე ობიექტურ იდეალიზმს. სუბიექტური იდეალიზმი (იუმი, კანტი) აუცილებლობას მიიჩნევს წმინ-

და სუბიექტურ კატეგორიად, განსჯის ფორმებად, რომლებსაც ობიექტურ სინამდვილეში რაიმე შესატყვისი არ გააჩნია.

ობიექტური იდეალიზმის (ჰეგელი) მტკიცებით, აუცილებლობა და შემთხვევითობა მხოლოდ „სულის“, „ღვთიური ცნობიერების“ გამოვლენაა მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე. პერსონალიზმი, თანამედროვე იდეალიზმის სახესხვაობა, უარყოფს აუცილებლობის არსებობას და აღიარებს მხოლოდ შემთხვევითობას, რომელსაც ზებუნებრივი ნების გამოხატულებად მიიჩნევს.

აუცილებლობა და შემთხვევითობა ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, მაგრამ მათ შორის შინაგანი კავშირი და ერთიანობაა. არ არსებობს აუცილებლობა შემთხვევითობის გარეშე და შემთხვევითობა აუცილებლობისაგან მოწყვეტილად. ყალბია შეხედულება, რომელიც ამტკიცებს მხოლოდ აუცილებლობის არსებობას და უარყოფს შემთხვევითობის ობიექტურობას. ასეთია მექანისტურ-მატერიალისტური თეორია. ამ თეორიის მიხედვით, ბუნებაში ყველაფერი არსებობს აუცილებლობით, ხოლო შემთხვევითობა არის ის, რისი მიზეზიც, ჩვენი ცოდნის შეზღუდულობის გამო, ჯერ კიდევ არ ვიცით. თანდათანობით, ცოდნის განვითარების შედეგად, ჩვენ შევიმეცნებთ საგნის, მოვლენის მიზეზებს და მოჩვენებითი შემთხვევითობა ქრება, აღმოჩნდება, რომ ყველა საგანს თუ მოვლენას თავისი მიზეზი ჰქონია, ე.ი. ის ისეთივე აუცილებლობით არსებობს, როგორც ყოველი სხვა საგანი ან მოვლენა. სინამდვილეში არ არსებობს უმიზეზო შედეგი, მაშასადამე, არ არსებობს უმიზეზო, ანუ შემთხვევითი მოვლენა, - ამტკიცებს ეს თეორია (დემოკრიტე, სპინოზა, ჰოლბახი).

ამ თეორიის სიყალბე იმაშია, რომ ის შემთხვევითობას აიგივებს უმიზეზობრიობასთან. სინამდვილეში, მართლაც, არ არსებობს უმიზეზო მოვლენა, მაგრამ არსებობს შემთხვევითობა, რომელიც თავისთავში შეიცავს გარკვეულ მიზეზს – სხვაგვარად მოხდენის შესაძლებლობას, ამის გამო მოცე-

მულ პირობებში ვლინდება ერთი სახით, სხვა პირობებში კი – სხვა სახით.

თუ უარვყოფთ შემთხვევითობის ობიექტურ არსებობას და ყველაფერს აუცილებლობად გამოვაცხადებთ, მაშინ აუცილებლობას გავაიგივებთ შემთხვევითობასთან და ამით არა თუ შემთხვევითობა არ აგვყავს აუცილებლობის დონემდე, არამედ, პირიქით, აუცილებლობა დაგვყავს შემთხვევითობამდე. თუ ის ფაქტი, - მიუთითებდა ფ. ენგელსი, - რომ მუხუდოს ჭოტი შეიცავს ექვს მარცვალს და არა ხუთს ან შვიდს, იმავე რიგის მოვლენაა, რაც მზის სისტემის მოძრაობის კანონი, ან ენერგიის გარდაქმნის კანონი, მაშინ ფაქტიურად შემთხვევითობა კი არ ადის აუცილებლობის დონემდე, არამედ აუცილებლობა ქვეითდება შემთხვევითობამდე.

შემთხვევითობის უარყოფას და ყველაფრის აუცილებლობად აღიარებას მივყავართ მეცნიერების უარყოფამდე, რამდენადაც მისთვის ყველა მოვლენა თავისი მნიშვნელობით ერთი რიგის იქნებოდა. არსებითი და შინაგანი კანონების შესწავლას შეცვლიდა გარეგანი და ზედაპირული მოვლენების აღწერა და მაშინ მეცნიერება, როგორც ცოდნის გარკვეული სისტემა, სინამდვილის ამა თუ იმ სფეროს ძირითადი კანონების შესახებ, შეუძლებელი იქნებოდა.

მხოლოდ აუცილებლობის აღიარებასა და შემთხვევითობის უარყოფას მივყავართ ფატალიზმამდე, ე.ი. იმის მტკიცებამდე, რომ ბუნებისა და საზოგადოების მთელი განვითარება მიმდინარეობს რაღაც წინასწარ განსაზღვრული გეგმით, რომელთა შეცვლა ადამიანებს არ ძალუძთ. ადამიანების მოქმედება ამ აუცილებლობის შესაცვლელად უაზრობაა, ისინი განწირულნი არიან პასიურობისათვის. ასეთნაირად გაგებული აუცილებლობა სხვა არაფერია, თუ არა ბედი, ბედისწერა, რომლის აღიარება, თავის მხრივ, ღვთიური ძალების არსებობის აღიარებაა, ანუ იდეალიზმია. მატერიალისტურ-მექანისტური დეტერმინიზმი საბოლოო ანგარიშით იდეალიზმამდე მიდის.

აუცილებლობა და შემთხვევითობა არა მარტო ობიექ-ტურად არსებობს, არამედ ისინი ერთიანობაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ აუცილებლობა და შემთხვევითობა დაპირისპი-რებულთა ერთიანობის სხვადასხვა მხარეებს წარმოადგენენ და ურთიერთს განაპირობებენ. შეცდომაა არა მარტო აუცი-ლებლობის ობიექტურობის აღიარება და შემთხვევითობის სუბიექტურობის მტკიცება, არამედ აუცილებლობისა და შემთხვევითობის ცალ-ცალკე არსებულ მოვლენად წარმოდ-გენაც, მათი ერთმანეთისაგან გათიშვა, როგორც ამას მეტა-ფიზიკური თეორია ჩადიოდა. ამ თეორიის მიხედვით რომე-ლიმე მიმართება, რაიმე პროცესი ან შემთხვევითია ან აუცი-ლებელი, მაგრამ არ შეიძლება ერთდროულად ერთიც იყოს და მეორეც. ბუნებაში ისინი ერთმანეთის გვერდით არსებო-ბენ. ბუნება ყოველგვარ საგნებსა და პროცესებს შეიცავს, რომელთაგან ერთნი მხოლოდ შემთხვევითნი არიან, ხოლო მეორენი – მხოლოდ აუცილებელნი. ეს თეორია მცდარია, რამდენადაც აუცილებლობა ნამდვილად შემთხვევითობას მოწყვეტილი კი არ არის, არამედ შემთხვევითობებში ვლინ-დება, არ არსებობს აუცილებლობა შემთხვევითობის გარეშე, შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა. მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა მხოლოდ აზროვნებაში, აბ-სტრაქციაშია შესაძლებელი.

აუცილებლობისა და შემთხვევითობის დაპირისპირე-ბას შეფარდებითი ხასიათი აქვს და არა აბსოლუტური. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც აუცილებლობად გვევლინება ერთ მომენტში, ერთ მიმართებაში, შეიძლება სხვა დროსა და სხვა მიმართებაში შემთხვევითობად მოგვევლინოს. რაიმე მოვ-ლენა შეიძლება ერთსადაიმავე დროს აუცილებელიც იყოს და შემთხვევითიც; რამდენადაც სინამდვილის ყოველ მოცე-მულ მოვლენას ურიცხვი კავშირი აქვს სხვა მოვლენებთან, მეცნიერული მიდგომა მოითხოვს მის განხილვას გარკვეულ პირობებთან კავშირში, რომლის დროსაც გამოჩნდება მოვ-ლენის აუცილებელი ან შემთხვევითი ხასიათი. მაგრამ მი-

მართებათა სხვა ჯგუფში აუცილებლობისა და შემთხვევითობის დამოკიდებულება შეიძლება სხვანაირი იყოს. მოძრაობისა და ცვალებადობის პროცესში ისინი ერთმანეთში გადადიან – აუცილებელი ხდება შემთხვევითი და შემთხვევითი აუცილებელი. ამას ადგილი აქვს როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში. ასეთ თეორიას დიალექტიკური ეწოდება.

აუცილებლობის კატეგორია სინამდვილის ისეთ პროცესებს ასახავს, რომლებსაც არა ყოველთვის, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში თავისი არსებობის საფუძველი და მიზეზი აქვს საგანთა და მოვლენათა შინაგან კავშირებში და კანონზომიერებად მომზადებულია მათი განვითარების მთელი წინა მსვლელობით. აუცილებლობა გამოირჩევა თავისი გარდაუვალი არსებობით. აუცილებელი მოვლენა, საგანი გარკვეული პირობების არსებობისას ვითარდება ყოველთვის გარკვეული სახით, ხდება სწორედ ამ სახით და არა სხვანაირად. შემთხვევითობის კატეგორია კი ასახავს სინამდვილის ისეთ პროცესს, რომელსაც ყოველთვის როდი აქვს თავისი საფუძველი და მიზეზი მოცემული მოვლენის, საგნის არსებით კავშირებში და ხშირად მომზადებული არ არის მისი წარმოშობა და არსებობა განვითარების წინა პროცესის მსვლელობით. შემთხვევითი მოვლენა შეიძლება წარმოიშვას ამ სახით ან კიდევ სხვა სახით, მაგრამ აუცილებლად უნდა განხორციელდეს. სხვანაირად ის დაყვანილ იქნება აბსტრაქტულ შესაძლებლობამდე. შემთხვევითობა ძირითადად წარმოიშობა მოვლენის შინაგანი მიზეზების გაშუალებით სხვადასხვა გვერდითი, შედარებით დამოუკიდებელი ძალების შედეგად. ასეთი ძალები შეიძლება იყოს დამოუკიდებელი მიზეზობრივი პროცესები, ხდომილებები, რომელთა ურთიერთგადაჯაჭვულობას მივყევართ შემთხვევითობის წარმოშობამდე.

წარმომშობ მიზეზებთან დაკავშირებით შემთხვევითობას ყოფენ შინაგან და გარეგან შემთხვევითობად. შემთხვევითობა, რომელიც ორგანულად არის დაკავშირებული მო-

ცემულ აუცილებლობასთან, მეტ-ნაკლებ ადექვატურად ასახავს მას და გამოწვეულია ძირითადი პროცესის შინაგანი ფაქტორებით ან მიზეზებით იწოდება შინაგან შემთხვევითობად. შემთხვევითობას, რომელსაც არა აქვს შინაგანი კავშირი მოცემულ აუცილებლობასთან და გამოდის მასთან მიმართებაში როგორც გარეშე მყოფი და გამოწვეულია უპირატესად გარეშე ფაქტორებით ან მიზეზებით, ეწოდება გარეშე შემთხვევითობა.

ობიექტური ყოფიერების კავშირებიდან უფრო მყარი, მდგრადი კავშირები იწოდებიან აუცილებლობად. ხოლო ის კავშირები, რომლებიც არის არამტკიცე, მუდმივად „ქაოტურად“ ცვალებადნი – შემთხვევითობად. შემთხვევითობასთან შინაგანად დაკავშირებულია აუცილებლობა.

როგორც ცნობილია, მცენარეთა და ცხოველთა სახეებს არსებობისათვის ბრძოლის პროცესში შემთხვევითი ნიშნები უჩნდებათ, რომლებიც, თუ ისინი მათთვის ხელსაყრელნი აღმოჩნდებიან, თაობათა მანძილზე მაგრდებიან, მტკიცდებიან და ბოლოს აუცილებელ ნიშნად იქცევიან, რაც მოცემულ სახესხვაობას გარკვეულ სახედ გახდის. აქ შემთხვევითობა გადადის აუცილებლობაში, შეიძლება მოხდეს პირიქითაც. ორგანიზმმა შეცვლილ პირობებში შეიძლება დაკარგოს წინანდელი აუცილებელი თვისებები და ისინი რუდიმენტებად იქცნენ; სხვა სიტყვებით – აუცილებლობა შემთხვევითობად გარდაიქმნას.

მსგავს მოვლენას ადგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მაგალითად, პირველყოფილი თემურ წყობილებაში ნატურალური მეურნეობა წარმოადგენს აუცილებლობას, ხოლო პროდუქტთა გაცვლის აქტი თავდაპირველად შემთხვევით ხასიათს ატარებდა. სასაქონლო წარმოების ზრდასთან დაკავშირებით საქონელთა გაცვლა შემთხვევითობიდან აუცილებლობად იქცა.

ამრიგად, აუცილებლობა და შემთხვევითობა არსებობს უწყვეტ ერთიანობაში. შემთხვევითობა გამოდის როგორც

აუცილებლობის გამოვლენის ფორმა. მოვლენა შეიძლება აუცილებელი იყოს ერთ კავშირში და შემთხვევითი მეორე მიმართებაში. პირობების შეცვლის შედეგად შემთხვევითობა იქცევა აუცილებლობად, აუცილებლობა კი – შემთხვევითობად.

§6. შესაძლებლობა და სინამდვილე

შესაძლებლობა და სინამდვილე ფილოსოფიური კატეგორიებია, რომლებიც ასახავენ ყოფიერებაში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის არსებულ ერთ-ერთ ძირითად და არსებით კავშირებს. ამ კატეგორიებს არა მარტო დიდი თეორიული დატვირთვა აქვთ, არამედ მეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობასთან; ყველას აინტერესებს რა არის შესაძლებლობა, როგორ დამოკიდებულებაშია ის სინამდვილესთან, როგორ შეიძლება ცხოვრებაში გამოინახოს ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც გააუმჯობესებდა მის ცხოვრებას, გაზრდიდა მის ავტორიტეტსა და როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

ამ და სხვა მსგავს კითხვებს სათანადო პასუხი რომ გაეცეს, საჭიროა ადამიანი მეტ-ნაკლებად ერკვეოდეს შესაძლებლობისა და სინამდვილის ფილოსოფიურ კატეგორიებში. უპირველეს ყოვლისა, მას სწორი, ჭეშმარიტი ცოდნა ჰქონდეს იმაზე, თუ რა შინაარსისაა ეს უზოგადესი ცნებები.

ფილოსოფიის ისტორიაში შესაძლებლობისა და სინამდვილის ცნებების არაერთი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე მარტივი და ყველასთვის მისაღები, შემდეგია: შესაძლებლობა არის ის, რაც ჯერ კიდევ განუხორციელებელია, მაგრამ რომლის განხორციელებაც შესაძლებელია ანუ გახდეს სინამდვილე. შესაძლებლობა მიუთითებს არსებულ საგანთა და მოვლენათა მომავალზე, ცვალებადობაზე, მოძრაობაზე საერთოდ, მაშინ, როდესაც სინამდვილე გამოხატავს საგნებისა და მოვლენების შედარებით

დამოუკიდებლობას ცვალებადობისა და განვითარების მოცემულ ეტაპზე.

სინამდვილის ცნების ორნაირი გაგება არსებობს: 1. სინამდვილეს ფართო გაგებით უწოდებენ საერთოდ არსებულსა და მნიშვნელადს. ყველაფერი რაც არის, სინამდვილეა. სინამდვილეს უწოდებენ არა მარტო ობიექტურ რეალობას, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად, არამედ აგრეთვე იდეალურ სამყაროს, ცნობიერების რაობას და მის შინაარსს, რომელიც თავის მხრივ ობიექტური რეალობის ასახვას წარმოადგენს. 2. სინამდვილეს ვიწრო გაგებით უწოდებენ არა მთელ არსებულ რეალობას, არამედ სინამდვილის გარკვეულ მხარეს, მომენტს. იგი მოიცავს სამყაროში განვითარებულ, ჩამოყალიბებულ, გაშლილ და გამოვლენილ სახით არსებულ საგნებისა და მოვლენების ერთობლიობას. ასეთნაირად გაგებული სინამდვილე განიხილება შესაძლებლობასთან მიმართებაში.

ამრიგად, ფართო აზრით, სინამდვილედ მიიჩნევენ მთელ ობიექტურ სინამდვილეს, ხოლო ვიწრო აზრით სინამდვილე არის შესაძლებლობის საპირისპირო ქმნადობის შედეგი – განხორციელებული შესაძლებლობა.

შესაძლებლობა და სინამდვილე, როგორც ობიექტური ყოფიერების გარკვეული მომენტები, თვითონაც ობიექტურად არსებობენ, მაგრამ მათი არსებობის ხასიათი ურთიეთგანსხვავებულია. შესაძლებლობა და სინამდვილე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არსებობის წესით. სინამდვილის ყოველი საგანი არსებობს უშუალოდ, წარმოადგენს ამა თუ იმ კონკრეტულ საგანს მის მთლიანობაში მაშინ, როდესაც შესაძლებლობა საგანთა და მოვლენათა შინაგანი მდგომარეობაა და ამიტომ გაშუალებული სახითაა მოცემული. სხვა სიტყვებით, სინამდვილე საგნის ისეთი შინაგანი მხარეა, რომელმაც ჰპოვა თავისი გამოვლენა, ის შინაგანი და გარეგანი მხარეების ერთიანობაა. შესაძლებლობა კი საგნის ისეთი შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც მოცემულ ვითარებაში ვერ

ჰპოულობს თავის გამოვლენას. სწორედ ამის გამო, სინამ-დვილის ყოველ საგანს თავისი არსებობის ფორმა გააჩნია, ხოლო შესაძლებლობა მოკლებულია საკუთარი არსებობის ფორმას, ის სინამდვილის შინაგანი მომენტია. შესაძლებლობა სინამდვილეში არსებულია, გამოხატავს მისი განვითარების ტენდენციას, წარმოადგენს არსებულ სინამდვილეში მომავალი სინამდვილის ჩანასახს. სინამდვილისაგან განსხვავებით, შესაძლებლობა არ არის უშუალო კავშირში საგნებთან და მოვლენებთან. მას უშუალო კავშირი აქვს მხოლოდ იმ სინამდვილესთან, რომლის შინაგან მომენტსაც წარმოადგენს. იგი წინ უსწრებს სინამდვილეს, მაგრამ არა საერთოდ სინამ-დვილეს, არამედ საკუთარ სინამდვილეს.

შესაძლებლობა არის ჯერარსის კატეგორია, რომელიც იმას გამოხატავს, რაც არ არსებობს, მაგრამ უნდა იქნეს გარემოებათა გარკვეული დამთხვევის შედეგად. შესაძლებლობა არსებობს სინამდვილეში, როგორც მისი გარდაქმნის ტენ-დენცია. მაგრამ ამიტომ იგი არც არსებობს, რადგან შესაძ-ლებლობა სწორედ ის არის, რაც უნდა იყოს და არა ის, რაც არის. შესაძლებლობა არსებობს, როგორც არსისა და არარ-სის ერთიანობა, როგორც ქმნადობა. შესაძლებლობა არის სინამდვილე, რომელიც არ არის ნამდვილი, სინამდვილე არის განხორციელებული შესაძლებლობა, მაგრამ ისეთი, რომელიც არსებობს გარემოებათა აუცილებელი დამთხვე-ვის შედეგად, ამიტომ სინამდვილე არის ის, რაც არის და არა ის, რაც უნდა იყოს.

ზოგიერთი მკვლევარი ერთმანეთისაგან განასხვავებს „სინამდვილისა“ და „ნამდვილის“ ცნებებს. მათი მტკიცებით ნამდვილი სინამდვილის კატეგორიის ალტერნატიული კატე-გორია კი არ არის, არამედ გამოხატავს განვითარების გარ-კვეულად მაღალ საფეხურს, სადაც არსებობა და არსება უფ-რო მეტად ფარავენ ერთმანეთს. ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით, შეიძლება ვთქვათ, რომ ნამდვილის ფილოსოფიური კატეგორია წარმოადგენს სინამდვილის ფილოსოფიური კა-

ტეგორიის გარკვეულ სახეს, რომელიც თავის მომენტებად გულისხმობს არსებობის, აუცილებლობისა და არსების კატეგორიებს და შემეცნების გაღრმავების გარკვეულ საფეხურს გამოხატავს.

შესაძლებლობა თავისი განხორციელების მიმართულების მიხედვით შეიძლება, იყოს როგორც პროგრესული, ასევე რეგრესული. ისინი განვითარების ორ სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო ტენდენციაზე მიუთითებენ. პროგრესული შესაძლებლობანი გამოხატავენ სინამდვილის აღმავალი განვითარების, დაბალი ფორმებიდან მაღალი ფორმებისაკენ სვლის ტენდენციას; რაც შეეხება რეგრესულ შესაძლებლობებს, ისინი განვითარების დროებით შეჩერების, დროებითი შეფერხების ტენდენციებს გამოხატავენ.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ შესაძლებლობის ისეთი სახეები, როგორიცაა: რეალური, აბსტრაქტული და აბსტრაქტულ-ფორმალური.

რეალური ეწოდება ისეთ შესაძლებლობებს, რომლებიც წარმოიშობიან განვითარების პროცესში კანონზომიერად, გაპირობებულნი არიან აუცილებელი მხარეებით, კავშირებითა და მიზეზებით. მათი რეალიზაციისათვის უკვე არსებობს ყველა აუცილებელი წანამძღვარი მოცემულ კონკრეტულ გარემოებაში. რეალური შესაძლებლობა შინაგანად ახასიათებს თვით სინამდვილეს, განისაზღვრება მისი განვითარების ობიექტური კანონებით. ის იბადება კონკრეტული ფაქტორების შედეგად, აქვს თავისი სასიცოცხლო ფესვები გარემომცველ პირობებში და შეუძლია გარდაიქმნას სინამდვილედ. განვითარების ყოველი წინა საფეხური ქმნის რეალურ შესაძლებლობას, რათა წარმოიშვას შემდგომი საფეხური, რომელიც მას კანონზომიერად შეცვლის. მაგალითად, ცოცხალი ბუნების ყოველი გარკვეული დონე ქმნის შესაძლებლობას წარმოიშვას მასზე უფრო მაღალი დონე განვითარების პროცესში. ასევე საზოგადოებაშიც, ყოველ საზოგა-

დოებრივ ფორმაციაში მწიფდება გარკვეული პირობები უფრო მაღალი ფორმაციის წარმოშობისათვის.

აბსტრაქტული ეწოდება ისეთ შესაძლებლობებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არა აქვთ თავიანთი ფესვები გადგმული სინამდვილეში, არ გააჩნია აუცილებელი წანამძღვრები მოცმულ კონკრეტულ სიტუაციაში განსახორციელებლად. ის მთელი თავის განვითარებით ჯერ კიდევ არ არის მომზადებული იქცეს სინამდვილედ და გამოხატავს მხოლოდ ყველაზე ზოგად ტენდენციებს, მაგრამ მწიფდება და პრინციპში შესაძლებელია განხორციელდეს. აბსტრაქტულ შესაძლებლობებს შეუძლიათ გამოხატონ რომელიღაც, თანამედროვეობისაგან შორს მყოფი, ცხოვრებაში არსებობის ნიშნების არმქონე მოვლენები, რომლებიც სხვა ხელშემწყობ პირობებში სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს. ამა თუ იმ ხდომილების განხორციელება ხდება სინამდვილეში არსებული ამა თუ იმ არსებითი კავშირების საფუძველზე. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს გარკვეული შესაძლებლობის წარმოშობას. აბსტრაქტული შესაძლებლობა არსებობს ობიექტურად და წარმოადგენს შორეულ, გაშუალებულ მატერიალურ წანამძღვარს ახალი სინამდვილის წარმოსაშობად. მაგალითად, კოსმოსის ათვისება ბოლო დრომდე წარმოადგენდა აბტსრაქტულ შესაძლებლობას, დღეს კი სინამდვილეა.

აბსტრაქტულ-ფორმალურ შესაძლებლობას არ გააჩნია ობიექტური საფუძვლები და კანონზომიერი კავშირები რეალურ სინამდვილეში. ის წარმოადგენს არარსებულ, შემთხვევითი კავშირების, ფორმალურ-ლოგიკური მსჯელობის შედეგს, მატერიალური საგნების მცდარ შეფასებას ან კიდევ განზრახ გაყალბებულ, ცალკეული საგნებისა და ფაქტების სუბიექტური განმარტების ნაყოფს.

შესაძლებლობის საპირისპირო ცნებაა შეუძლებლობა. შეუძლებლობა ფილოსოფიური თვალსაზრისით ეწოდება იმას, რაც ეწინააღმდეგება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებსა და ობიექტურ ტენდენციებს. შეუძლე-

ბელია, მაგალითად, ჰაერში ასროლილი ქვა არ დაეცეს მიწაზე. ასევე შეუძლებელია ვაიძულოთ დრო წავიდეს უკან, რადგანაც პირველ შემთხვევაში ეს ეწინააღმდეგება მსოფლიო მიზიდულობის კანონს, ხოლო მეორე შემთხვევაში დროის შეუქცევადობის კანონს.

შესაძლებლობა და სინამდვილე ცვალებადობისა და განვითარების პროცესში გადადიან ერთმანეთში, ე.ი. შესაძლებლობა იქცევა სინამდვილედ, ხოლო თავის მხრივ სინამდვილე შეიძლება გარდაიქმნას შესაძლებლობად. შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნა დაკავშირებულია გარკვეულ პირობებთან, რომელთა არსებობაც განსაზღვრავს ამ გარდაქმნის პროცესს. ეს უკანასკნელი კი ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარეობს სხვადასხვანაირად, ბუნებაში უმრავლეს შემთხვევაში ის ხდება სტიქიურად, საზოგადოებაში კი ადამიანთა მიზანდასახულ მოქმედებების შედეგად, რომელიც მიმდინარეობს გარკვეულ სოციალურ პირობებში.

შესაძლებლობის განხორციელებას შეესაბამება არა ერთი, არამედ მრავალი ვარიანტი. თუ რომელი ვარიანტი განხორციელდება კერძოდ, ეს დამოკიდებულია გარკვეულ პირობათა განსხვავებულობაზე. ადამიანები, რომლებმაც შეიმეცნეს, გაიგეს მათთვის სასურველი შესაძლებლობის გამომწვევი პირობები, ცდილობენ ხელი შეუწყონ მათ შექმნას და მით სასურველი შესაძლებლობის განხორციელებას. სწორედ აქედან გამომდინარე არსებობს შესაძლებლობის სინამდვილედ გარდაქმნის არამარტო ობიექტური (კანონზომიერი), არამედ სუბიექტური (ადამიანთა, კლასთა, სხვადასხვა ორგანიზაციათა მოქმედების) ფაქტორიც, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ან სტიქიური, გაუცნობიერებელი ან კიდევ შეგნებული, წინასწარდასახული მიზნის განხორციელება.

§ 7. შინაარსი და ფორმა

შინაარსისა და ფორმის კატეგორიები მრავალგანზომილებიანია და ამიტომაც ხშირად ისინი სხვადასხვა გაგებით იხმარება, მათი ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრება არც თუ ისე ადვილია. ჩვეულებრივ, შინაარსს განსაზღვრავენ როგორც საგნის ან მოვლენის ძირითადი შემადგენელი ნაწილების, ელემენტების, მხარეების ორგანიზაციას, ერთიანობას, ხოლო ფორმას – საგნის, მოვლენის შემადგენელი ნაწილების, ელემენტების მხარეების კავშირის წესს. ფორმა შინაარსის გამოხატვისა და არსებობის წესია. მაგალითად, ყოველ საგანს, ყოველ მოვლენას საკუთარი შინაარსი და ასევე საკუთარი ფორმა გააჩნია, რაც სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ საგანთა და მოვლენათა გარკვეულ ჯგუფს ერთნაირი შინაარსი და ერთნაირი ფორმები გააჩნდეთ. სწორედ ეს იქნება მათი მსგავსების საფუძველი. წყლის შინაარსი მისი შემადგენელი ელემენტების: ჟანგბადისა და წყალბადის გარკვეული ერთიანობაა, ხოლო მისი ფორმა – ორი ატომი წყალბადისა და ერთი ატომი ჟანგბადის კავშირია.

შინაარსში იგულისხმება არა მარტო ამა თუ იმ ობიექტების ელემენტები, არამედ მათი კავშირის წესი, ე.ი. სტრუქტურა. ამასთანავე ერთი და იმავე ელემენტებისაგან შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა საგნები. მოცემულ საგანში ელემენტთა კავშირის წესის მიხედვით ჩვენ ვიგებთ მის სტრუქტურას, რომელიც ობიექტს აძლევს შედარებით სიმყარესა და თვისებრივ გარკვეულობას. სტრუქტურა-ობიექტის ელემენტების სივრცეში განლაგების წესი კი არ არის მხოლოდ, არამედ, აგრეთვე, გარკვეული პროცესის აგებულობა დროში, ეს არის პროცესის თანმიმდევრულობა და რიტმი. ის არის შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. არამხოლოდ თითოეულ საგანს, მოვლენას აქვს საკუთარი ფორმა, არამედ ერთი და იგივე საგანს, მოვლენას, განსხვავებული პირობების მიხედ-

ვით, შეიძლება განსხვავებული ფორმები ჰქონდეს. ფორმა საგნის, მოვლენის გარკვეულობაა.

ფილოსოფიურ ლიტერატურაში გავრცელებულია მტკიცება იმის შესახებ, რომ შინაარსი არის საგნის შინაგანი მხარე, ხოლო ფორმა მის გამოვლენას წარმოადგენს. ფორმა და შინაარსი ამ შემთხვევაში შინაგანისა და გარეგანის დამოკიდებულებას გამოხატავს. შინაარსი არის შინაგანი როგორც არსება, ხოლო ფორმა არის გარეგანი როგორც მისი გამოვლინება. რადგან შინაგანი გარეგანის, არსება მოვლენის გარეშე არ არსებობს, ამიტომ თითქოს მიღწეულია შინაარსისა და ფორმის განუყრელი ერთიანობა, მაგრამ ეს ზოგიერთ მკვლევარს ჭეშმარიტ მტკიცებად არ მიაჩნია, რამდენადაც, მათი აზრით, საგნის შინაარსი არ არის მხოლოდ შინაგანის ან გარეგანის გამოხატულება. იგი შინაგანსაც და გარეგანსაც მოიცავს, ხოლო ფორმა არის სწორედ შინაარსის ელემენტების კავშირის წესი და იგი თანაბრად ეხება საგნის როგორც შინაგან, ისე გარეგან მხარესაც. ამასთან, თუ დავუშვებთ, რომ შინაარსი მხოლოდ შინაგანია, ხოლო ფორმა მხოლოდ გარეგანი, მაშინ ვღებულობთ ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან გათიშვას, მოწყვეტას, რაც მეტაფიზიკური შეცდომაა.

შინაარსი და ფორმა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. არ არსებობს უშინაარსო ფორმა და არც უფორმო შინაარსი, ისინი ერთიანობაში იმყოფებიან, მაგრამ, თავის მხრივ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ერთნაირ როლს ასრულებენ განვითარების პროცესში, შინაარსი განსაზღვრავს ფორმას. შინაარსის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია განუწყვეტელი ცვლილება და განვითარება. შინაარსის მოძრაობა და ცვალებადობა გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე ფორმისა. შინაარსი უფრო აქტიურია, ფორმა კი შედარებით პასიური. როცა იცვლება შინაარსი, მის შესაბამისად გარდაიქმნება მისი ფორმაც. მაგალითად, საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად უნდა შეიცვალოს წარმოებითი ურთიერთობე-

ბიც. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ შინაარსისა და ფორმის ცვალებადობა არ ხდება ზუსტად ერთბაშად. როგორც წესი, ფორმა, როგორც შედარებით პასიური, უფრო გვიან იცვლება, ვიდრე შინაარსი. ამიტომაც მათ შორის წინააღმდეგობა – დაპირისპირება თანდათანობით იზრდება და დგება ისეთი მომენტი, როდესაც ამ წინააღმდეგობის გადაჭრის გზით, მათი მეტნაკლებად სრული შესაბამისობა მყარდება, რაც კვლავ შეუსაბამისობით იცვლება და ასე დაუსრულებლად. სწორედ ამაში გამოიხატება შინაარსისა და ფორმის დიალექტიკის ერთი, არსებითი ასპექტი.

შინაარსი წარმოშობს ფორმას, შინაარსი ქმნის ფორმას. ფორმა შინაარსზეა დამოკიდებული. ფორმას არ შეუძლია შინაარსისაგან დამოუკიდებლად არსებობა, მას არა აქვს თავისი საკუთარი, შინაარსისაგან დამოუკიდებელი სუბსტრატი. ფორმის არსებობის საფუძველია შინაარსი. სწორედ ამიტომ შინაარსი ფორმასთან მიმართებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა მარტო შინაარსი მოქმედებს ფორმაზე, არამედ ფორმაც უკუმოქმედებს შინაარსზე: აჩქარებს ან ანელებს მის განვითარებას. აჩქარებს მაშინ, როდესაც ფორმა შედარებით სრულად შეესაბამება შინაარსს და პირიქით, ანელებს, ამუხრუჭებს მაშინ, როდესაც ფორმა სრულყოფილად ვერ ავლენს შინაარსს.

ფორმა ასრულებს ძალიან დიდ როლს შინაარსის ორგანიზაციასა და განვითარებაში. ამიტომაც მათ არა მარტო თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ დიდი პრაქტიკული მხარეც, შრომის ორგანიზაციის გარკვეული ფორმების გამოყენება წარმოების პროცესში, ადამიანთა ძალების გეგმაზომიერი განლაგება ხშირად საქმის წარმატების საწინდარია, მოქმედების მოქნილი ფორმების გამოყენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პოლიტიკასა და დიპლომატიაში.

დიდი მნიშვნელობა აქვს შინაარსისა და ფორმის შესაბამისობას ხელოვნებაში. რამდენადაც მეტად შეესაბამება ხელოვნების ნაწარმოების შინაარსს – იდეას – მისი ფორმა, მით უფრო მომხიბვლელი და მშვენიერია ის. მაგალითად, შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას – მის ეპიკურ ჟანრს, მხოლოდ თექვსმეტ და ოცმარცვლოვანი შაირი მიესადაგება ყველაზე მეტად. რვამარცვლოვანი სტრიქონებით, ალბათ, გაჭირდებოდა მისი მაღალმხატვრულ დონეზე გადმოცემა.

შინაარსისა და ფორმის ურთიერთმიმართებაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ამ მიმართების ისეთ სახესაც, როცა ის, რაც გარკვეულ მიმართებაში შინაარსია, სხვა მიმართებაში შეიძლება იყოს ფორმა, და, პირიქით, ის, რაც ამ მიმართებაში ფორმას წარმოადგენს, სხვა მიმართებაში შეიძლება იყოს შინაარსი. მაგალითად, საწარმოო ძალები წარმოებით ურთიერთობათა მიმართ წარმოადგენს შინაარსს, ხოლო წარმოებითი ურთიერთობანი საწარმოო ძალების მიმართ არის ფორმა, მაგრამ წარმოებით ურთიერთობანი, თავის მხრივ, არის შინაარსი, ეკონომიკური ბაზისი საზოგადოების სამართლებრივი და პოლიტიკური ზედნაშენის მიმართ, ხოლო ეს ზედნაშენი არის ფორმა ბაზისის მიმართ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ შინაარსსა და ნივთობრივ მატერიალურ სუბსტრატს ანუ მატერიას. მატერიისა და შინაარსის განსხვავების აუცილებლობა თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს საკუთრივ ბუნებრივი მოვლენების მიმართაც. შინაარსი აქ შეადგენს მხოლოდ გარკვეულ მატერიალურ სუბსტრატს, ე.ი. აღებულს მის სტრუქტურასთან ერთიანობაში, რომელიც სპეციფიკურია მოცემული მოვლენების რიგისათვის. სტრუქტურა, შინაგანი მოწესრიგებულობა შინაარსის აუცილებელი კომპონენტია. სტრუქტურის, ორგანიზაციის ცვლილებასთან ერთად არსებითად იცვლება ობიექტის შინაარსი, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებები. ფორმას, რომელიც გამოხატავს შინაარსის მოდიფიკაციის მრავალფეროვნებას, მისი არსებობისა და გამოვლენის წე-

სებს, ასევე აქვს გარკვეული სტრუქტურა. განვითარების პროცესში შინაარსისა და ფორმის ურთიერთმოქმედება გარდაუვალად მოიცავს როგორც შინაარსის სხვადასხვა კომპონენტის ზემოქმედებას ფორმაზე, ასევე ფორმის სხვადასხვა კომპონენტისას – შინაარსზე.

ფორმა შეიძლება იყოს შინაგანი და გარეგანიც. შინაგანი ფორმა არის მოცემულ საგანთა და მოვლენათა ელემენტების შინაგანი კავშირი, შინაგანი ორგანიზაცია. სხვაგვარად, შინაგანი ფორმა არის შინაარსის არსებითი გარკვეულობა, გარეგანი ფორმა კი – მოცემულ საგანთა და მოვლენათა გარეგანი კავშირი, ორგანიზაცია, გარკვეულობა. ფორმათა შინაგანად და გარეგანად დაყოფა აბსოლუტური კი არაა, არამედ შეფარდებითია, ე.ი. ის რაც ერთ შემთხვევაში გარკვეული შინაარსისადმი შინაგანი ფორმაა, სხვა შემთხვევაში შეიძლება იმავე შინაარსისადმი გარეგანი ფორმა იყოს.

განყოფილება III

გნოსეოლოგია

თავი I. ადამიანი და მისი გნოსეოლოგიური მიმართება საქმიერისთან

§ 1. ადამიანის რაობა

ადამიანს მრავალი მეცნიერება სწავლობს: ბიოლოგია, მედიცინა, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ანთროპოლოგია და სხვ. ადამიანს სწავლობს ფილოსოფიაც, მაგრამ არა მის ცალკეულ მხარეს, ცალკეულ ასპექტს, არამედ მთლიანობაში აღებულს და ამის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს მისი არსი და ადგილი სამყაროში, მისი შესაძლებლობანი, თუ როგორია მასში ბიოლოგიურისა და სოციალურის ურთიერთმიმართება, რას წარმოადგენს ადამიანი როგორც პიროვნება, როგორია პიროვნების სტრუქტურა და ა.შ.

ადამიანის პრობლემა ფილოსოფიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვანაირად იყო გაგებული. ანტიკრ ფილოსოფიაში პირველად პროტაგორამ გამოაცხადა ადამიანი, როგორც ყველაფრის – არსებულთა, ასევე არარსებულთა – საზომი. სოკრატემ კი ადამიანის საკითხი ფილოსოფიის ძირითად პრობლემად გაიაზრა და მით მანამდე არსებული კოსმოლოგიური ფილოსოფია ანთროპოლოგიურ რელსებზე გადაიყვანა. სოკრატისეული პრინციპი „შეიცან თავი შენი“ საფუძვლად დაედო ადამიანის ფილოსოფიური გაგების პრობლემას.

ანტიკურ ფილოსოფიაში ადამიანი განიხილება როგორც კოსმოსის ნაწილი, როგორც მიკროკოსმოსი, რომელიც თავის ადამიანურ ქმედებებში ექვემდებარებოდა ბედისწერას.

შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ცენტრალურ ადგილს იჭერს ადამიანში სულისა და სხეულის დაპირისპირების პრობლემა, სადაც სულს ენიჭება უპირატესობა, როგორც უკვდავსა და მარადიულს. აღორძინების ეპოქაში ადამიანი როგორც პიროვნება, ინდივიდი ექცევა მთელი კულტურული მოღვაწეობის ცენტრში. ძლიერდება ინტერესი ადამიანის როგორც ცოცხალი, საკუთარი სამყაროს მქონე არსების მიმართ, მის კეთილშობილურ გრძნობათა გამოვლინებების და უსაზღვრო გონებრივი შესაძლებლობის მიმართ.

დიდმა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა (1724-1804) ადამიანის პრობლემა გააუიგივა შემდეგ სამ კითხვას: რა შემიძლია ვიცოდე? რა უნდა ვაკეთო? რისი იმედი უნდა მქონდეს? ამ კითხვებს, კანტის აზრით, პასუხი უნდა გასცეს: პირველს – ფილოსოფიამ, მეორეს – ეთიკამ, ხოლო მესამეს – რელიგიამ.

რა შეუძლია ადამიანმა იცოდეს? – სწორედ, რომ ფილოსოფიის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, გნოსეოლოგიის ანუ შემეცნების თეორიის უმთავრესი პრობლემაა („გნოსის“ ნიშნავს ცოდნას, შემეცნებას, „ლოგოს“ მოძღვრებას).

ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ბიოლოგიური ანუ ცოცხალი არსებაა, მაგრამ მას ახასიათებს ისეთი განზომილებები, როგორიცაა: ფსიქიკური და სოციალური. ბიოლოგიურობა გამოიხატება ადამიანის ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ, გენეტიკურ თვისებებში, ასევე ნერვულ, ელექტროქიმიურ და ზოგიერთ სხვა პროცესებში. ფსიქიკურში – იგულისხმება ადამიანის შინაგანი სულიერი სამყარო – მისი გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი პროცესები, ნება, განცდა, მეხსიერება, ხასიათი, ტემპერამენტი და ა.შ. მაგრამ

არც ერთი ასპექტი ცალკე აღებული არ გვიხსნის ადამიანის ფენომენს. ადამიანი არის, ვამბობთ ჩვენ, გონიერი არსება. ასეთ შემთხვევაში რას წარმოადგენს მისი აზროვნება: ექვემდებარება ის მხოლოდ ბიოლოგიურ კანონზომიერებას, თუ მხოლოდ სოციალურს? ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ შემდეგნაირად: ადამიანური აზროვნება წარმოადგენს რთულადორგანიზებულ ბიოსოციალურ ფენომენს, რომლის მატერიალური სუბსტრატი (საფუძველი) შეიძლება გაიზომოს ბიოლოგიურად (უფრო ზუსტად - ფიზიოლოგიურად), მაგრამ მისი შინაარსი – რასაკვირველია, არის ფსიქიკურისა და სოციალურის ურთიერთკავშირი, კერძოდ, ისეთი ურთიერთკავშირი, რომელშიც სოციალური, ემოციურ-ინტელექტუალურ-ნებელობით გაშუალებული, გამოდის როგორც ფსიქიკური. ადამიანი არის ბიოლოგიურისა და სოციალურის ისეთი ერთიანობა, რომელშიც განმსაზღვრელ, მადომინირებელ როლს სოციალურობა თამაშობს. ამის საფუძველზე ადამიანი შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური არსება.

ადამიანი სოციუმის ანუ საზოგადოების შემადგენელი ელემენტია, ადამიანი არ არსებობს საზოგადოების გარეშე და, პირიქით, საზოგადოება ადამიანის გარეშე. მისი ბიოლოგიური თვისებებიც კი გაპირობებულია, შეცვლილია ანუ განსაზღვრულია სოციალურით. ამრიგად, ადამიანი არის ბიოლოგიურის, ფსიქიკურისა და სოციალურის მთლიანობა, მათი უწყვეტი ერთიანობა.

როგორც ბიოლოგიურ არსებას – ადამიანს გააჩნია მრავალფეროვანი სასიცოცხლო ანუ ვიტალური მოთხოვნილებები საკვებზე, სასმელზე, ბინაზე, ტანსაცმელ-ფეხსაცმელზე და ა.შ. ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება ანუ როგორც მას მეცნიერებაში უწოდებენ „ჰომოს საპიენსი” – იმით განსხვავდება თვით უმაღლესად განვითარებული ცხოველებისაგან, რომ ისინი არა მარტო ითვისებენ მათ საცხოვრებელ და საარსებო გარემოში არსებულ ბუნების მრავალ-

ფეროვან საგნებსა და მოვლენებს (გარეულ ხილს, სხვადასხვა ძირხვენებს, ზოგიერთ ბალახეულს, თევზს თუ გარეულ ცხოველებსა და ფრინველებს), არამედ თავდაპირველად ძალიან ნელა და ძნელად, მაგრამ მაინც, თითქმის, საუკუნეების განმავლობაში, მიზანდასახულად ზემოქმედებენ ფლორასა და ფაუნაზე. გარდაქმნიან მათ თავიანთი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. და სწორედ ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მათ სჭირდებათ გარემომცველ საგანთა და მოვლენათა თვისებების გაგება – შემეცნება. კერძოდ რომელი ხის ნაყოფი იჭმევა ან არ იჭმევა, რომელი ბალახია შხამიანი ან არაშხამიანი, რომელი ცხოველი იკბინება, რომელი ქვეწარმავალი იგესლება და რომელი არა. ყველაფერი ეს მას შეეძლო გაეგო, რასაკვირველია, არა ერთბაშად, არამედ ათეული და ასობით წლების განმავლობაში. იგულისხმება არა კონკრეტული, არამედ საერთოდ ადამიანი. გარემო პირობებში ორიენტირებისას მას შველოდა, რა თქმა უნდა, თანდაყოლილი ინსტინქტები, რომელიც ასევე ახასიათებს ცხოველებსა და ფრინველებს. მაგრამ თანდაყოლილი ინსტინქტის დონეზე რომ დარჩენილიყო პირველყოფილი ადამიანი, ის ვერასოდეს ვერ გახდებოდა მოაზროვნე არსება, ნამდვილი ადამიანი. ბუნებამ თუ ღვთაებამ მას უდიდესი განძი უბოძა – გონება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება სინამდვილის გაგება-შემეცნება.

§ 2. ადამიანთა მოთხოვნილებები – მათი აქტიურობის წყარო

ადამიანებისათვის სინამდვილე იწყება მოთხოვნილებებით. მოთხოვნილებები არის ადამიანთა ყოველგვარ მოქმედების პირველი მიზეზი, ე.ი. მოთხოვნილებებს აქვთ აქტიური, ქმედითი ხასიათი. ამის გამო მოთხოვნილებები წარმოადგენს არსებით ფაქტორებს ადამიანთა ქცევისათვის. ეს ხდება მაშინ, როდესაც ისინი გაცნობიერდებიან.

სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ადამიანებს აიძულებთ მუდმივ კონტაქტში იყვნენ როგორც ბუნებასთან, ასევე სხვა ადამიანებთან, იწვევს მათ აქტიურობას და მათ მოქმედებას მიმართავს გარკვეული მიმართულებით. თუმცა ადამიანებს ახასიათებთ ბიოლოგიური მოთხოვნილებები, მაგრამ მათი შინაარსი, განვითარება და დაკმაყოფილების საშუალებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი პარამეტრები ყოველთვის ატარებენ სოციალურ ხასიათს და მით არსებითად განსხვავდებიან ცხოველთა საჭიროებებისაგან. ისინი სოციალურად გაპირობებულია და საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვანაირია.

აქედან გამომდინარე ადამიანთა მოთხოვნილებების დაყოფა ბიოლოგიურად და სოციალურად – გაუმართლებელია, რამდენადაც ერთიც და მეორეც მათი კონკრეტული შინაარსითა და გამოვლენის ფორმებით საზოგადოების განვითარების პროცესითაა გაპირობებული. ამიტომაც პიროვნების მოთხოვნილებათა დაყოფა უფრო სწორი იქნებოდა ორ ძირითად ჯგუფად. 1. მოთხოვნილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ორგანიზმის ცხოველუნარიანობას (საკვების, ტანსაცმლის, ბინის, გათბობის და სხვა მსგავსი მოთხოვნილებები); 2. მოთხოვნილებები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის სოციალიზაციასთან. მათ შესაბამისად შეიძლება ვუწოდოთ პირველადი სოციალური მოთხოვნილებები და მეორადი სოციალური მოთხოვნილებები. საერთოდ, მოთხოვნილებები გააჩნიათ, მხოლოდ ადამიანებს, სხვა ცოცხალ არსებებს – საჭიროება.

სოციალური მოთხოვნილება – ეს არის საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების რეალური მომენტი, რომელიც წარმოადგენს ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას და გამოდის როგორც საზოგადოებრივი (ჯგუფური) და ინდივიდუალური ცნობიერების სპეციფიკური ფორმა. მოთხოვნილებას აქვს სოციალურად გაპირობებული ბუნება, რო-

მელიც წარმოადგენს მისი, როგორც სოციოლოგიური მოვლენის საფუძველს.

ადამიანის უპირველეს სოციალურ მოთხოვნილებას წარმოადგენს შრომა. ის არ არის ადამიანის თანდაყოლილი მოთხოვნილება, არამედ წარმოიშობა ცხოვრების პროცესში სხვადასხვა სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. ბევრი ადამიანი შრომობს აუცილებლობის გამო, ანუ იძულებით, მათთვის შრომა არის მხოლოდ ცხოვრების საშუალება, სხვა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალება. სასურველი შრომა არის თავისუფალი შრომა. შრომის მოთხოვნილებაში ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი ბუნება და მისი სოციალიზაციის ხარისხი.

§ 3. პრაქტიკა – შემეცნების წყარო და საფუძველი

შრომა, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანის მიზანდასახული საქმიანობა, რომელიც მიმართულია სინამდვილის საგნებისა და მოვლენების გარდაქმნისაკენ, ის გრძნობადსაგნობრივი მოქმედებაა, რომელსაც ფილოსოფიაში პრაქტიკას უწოდებენ. პრაქტიკის არაერთი განსაზღვრება არსებობს. ერთ-ერთი მათგანია: პრაქტიკა – ეს არის ადამიანთა გრძნობად – საგნობრივი საქმიანობა, მათი ზემოქმედება ამა თუ იმ ობიექტზე ისტორიულად განსაზღვრული მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით.

პრაქტიკის უმთავრესი ფორმებია: ა) მატერიალური წარმოება (შრომა), ბუნების გარდაქმნა შრომის იარაღების მეშვეობით; ბ) სოციალური ქმედება – საზოგადოებრივი ყოფიერების გარდაქმნა, არსებული სოციალური ურთიერთობების გარდაქმნა გარკვეული მასობრივი ძალებით (რევოლუცია, რეფორმები, ომები, ამა თუ იმ სოციალური სტრუქტურის გარდაქმნა); გ) მეცნიერული ექსპერიმენტი – აქტიური (დაკვირვებისაგან განსხვავებული) მოქმედება, რომლის პროცესშიც სუბიექტი ხელოვნურად ქმნის პირობებს, რომელიც

შესაძლებლობას აძლევს მას შეისწავლოს საკვლევი ობიექტის თვისებები.

პრაქტიკას სინამდვილის შემეცნების პროცესში რიგი ფუნქციები გააჩნია: 1. პრაქტიკა არის შემეცნების წყარო იმდენად, რამდენადაც ყველა ცოდნა უპირველეს ყოვლისა და საბოლოო ანგარიშით გამოწვეულია ცხოვრების საჭიროებებით. მაგალითად, მათემატიკური ცოდნა წარმოიშვა მიწის ნაკვეთების გაზომვის, საგნების მოცულობის დადგენის, დროის გაზომვის აუცილებლობის საფუძველზე. თუმცა, არა ყველა აღმოჩენა მეცნიერებაში ხდება უშუალოდ პრაქტიკის დაკვეთით, მაგალითად, მენდელეევის პერიოდულობის კანონი.

2. პრაქტიკა გამოდის როგორც შემეცნების საფუძველი, მისი მამოძრავებელი ძალა. ის მსჭვალავს შემეცნების პროცესის ყველა მხარეს, მომენტს, ფორმებს, საფეხურებს, მისი დასაწყისიდან დასასრულამდე; მთელი შემეცნებითი პროცესი, დაწყებული ელემენტარული შეგრძნებებიდან და დამთავრებული ყველაზე აბსტრაქტულ თეორიებით, საბოლოო ანგარიშით, გაპირობებულია პრაქტიკული ამოცანებითა და მოთხოვნებით. პრაქტიკა არის შემეცნების საფუძველი იმ აზრითაც, რომ ის უზრუნველყოფს მას ტექნიკური საშუალებებით, ხელსაწყოებით, მოწყობილობებით და ა.შ. რომელთა გარეშეც თანამედროვე მეცნიერება არ შეიძლება იყოს წარმატებული.

3. პრაქტიკა თვით არის შემეცნების მიზანი, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხორციელდება არა უბრალოდ ცნობისმოყვარეობისათვის, არამედ იმისათვის, რომ მივუბრუნდეთ პრაქტიკას და აქტიური ზემოქმედება მოვახდინოთ მის განვითარებაზე. ადამიანთა მიზანია არა მარტო შეიმეცნონ და ახსნან სამყარო, არამედ ამის საფუძველზე გარდაქმნან იგი თავიანთ სასარგებლოდ, რათა ყოველმხრივ დაიკმაყოფილონ თავიანთი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

4. პრაქტიკა წარმოადგენს ჭეშმარიტების საზომს, მის კრიტერიუმს, ე.ი. ის იძლევა საშუალებას ერთმანეთისაგან გავარჩიო ჭეშმარიტი ცოდნა ყალბისაგან.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ ერთი, პრაქტიკის ყველა ფორმა, როგორც მისი ფუნქციები, მჭიდრო არიან ურთიერთდაკავშირებული. მეორე, პრაქტიკა იცვლება, ვითარდება, სრულყოფილი ხდება მისი ფორმები. პრაქტიკა გარდაქმნის რა სინამდვილეს, ის გარდაქმნის ასევე თავის „მატარებელს“ - ადამიანს, კერძოდ შემეცნების სუბიექტს.

§ 4. შემეცნების სუბიექტი და ობიექტი

სინამდვილის შემეცნების პროცესი შედგება ორი მხარისაგან: სუბიექტისა და ობიექტისაგან. ის მოვლენები ან პროცესები, რომლებისკენაც მიმართულია ადამიანთა შემეცნებითი აქტიურობა, იწოდება შემეცნების ობიექტებად, ხოლო ის, ვინც ახორციელებს შემეცნებით მოქმედებას, მას შემმეცნებელი სუბიექტი ჰქვია; შემეცნების სუბიექტი შეიძლება იყოს ინდივიდი, ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ან ჯგუფები, ან კიდევ მთელი საზოგადოება.

ამრიგად, შემეცნება – ეს არის შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთზემოქმედების ისეთი სპეციფიკური ფორმა, რომლის საბოლოო მიზანსაც შეადგენს ჭეშმარიტების მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის ათვისებას სუბიექტის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

გნოსეოლოგიური პროცესი შეიცავს სამ შემადგენელ ნაწილს: სუბიექტს, ობიექტს და ცოდნას, როგორც შემეცნების შედეგს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია დადგენილ იქნას კავშირი სუბიექტსა და ცოდნას შორის, ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ცოდნასა და ობიექტს შორის.

პირველ შემთხვევაში წარმოიშობა იმის აუცილებლობა, რომ გარკვეულ იქნას, თუ რა სახითაა შესაძლებელი შესა-

მეცნებელის ობიექტური შინაარსის გადატანა ადამიანის თავში და იქ მისი გარდაქმნა ცოდნად.

ისტორიის ფილოსოფიაში სუბიექტისა და ობიექტის გნოსეოლოგიური ურთიერთმიმართების შესახებ ჩამოყალიბდა არაერთი მოდელი. ერთ-ერთი ასეთი მოდელი ეკუთვნის ძველ ბერძენ მატერიალისტ ფილოსოფოსს დემოკრიტეს. მისი მტკიცებით სუბიექტი იმეცნებს არა შემეცნების ობიექტს, არამედ მის სახეს, ხატს. სახე-ხატი საგნის ძალზე თხელი გარსია, ობიექტის მატერიალური ასლი. საგნისაგან მოწყვეტილი, ის არსებობს თავისთავად. საგნის ხატი, ანაბეჭდი ადამიანის გრძნობის ორგანოებზე მოქმედებს და იწვევს შესაბამის შეგრძნებებს.

ობიექტური იდეალისტი პლატონის მტკიცებით იდეალური სამყარო, როგორც შემეცნების ობიექტი, არის მუდმივი, უცვლელი და დიდი ღირებულების მქონე. გრძნობადი სამყარო როგორც არამყარი, მუდმივად ცვალებადი მხოლოდ შეხედულებათა წყაროა, იდეათა სამყარო კი ჭეშმარიტების. პლატონის ანამნეზისის (მოგონების) თეორიის მიხედვით სუბიექტის სული მაღლდება იდეამდე, არა ცალკეულისა და განსაკუთრებულის განზოგადების გზით, არამედ სულში არსებული დავიწყებული ცოდნის გახსენების გზით.

ჰეგელთან აბსოლუტური იდეა და მისი სხვადყოფნის ფორმები წარმოადგენენ ერთიანობას, სადაც სუბიექტსა და ობიექტს შორის ზღვარი ქრება, სადაც გაბატონებულია იგივეობა. ჰეგელი აღიარებს ცნობიერებისა და ყოფიერების იგივეობას. ასეთ ვითარებაში სუბიექტის კავშირი გარემომცველ სამყაროსთან დაყვანილია სუბიექტის წმინდა სულიერ აქტიურობამდე, რაც შეეხება ობიექტს, ის წარმოადგენს ამ აქტიურობის გამოვლინებას, მის ფორმას. შემეცნება წარმოდგენილია როგორც ობიექტის კონსტრუირების (ქმნადობის) პროცესი ადამიანის (სუბიექტის) გონების მიერ, სუბიექტის გრძნობადი საქმიანობის ჩარჩოს გარეშე.

ახალი დროის მატერიალისტური ფილოსოფია სუბიექტისა და ობიექტის გნოსეოლოგიურ ურთიერთმიმართებას განიხილავდა როგორც წმინდა ფიზიკურ ურთიერთზემოქმედებას მათ შორის. მაგალითად დ. დიდრო წერდა: „ჩვენ, ადამიანები გრძნობიერებისა და მეხსიერების მქონე ინსტრუმენტები ვართ. ჩვენი გრძნობები კლავიშებია, რომლებზედაც უკრავს ბუნება."

რასაკვირველია, შემეცნების სუბიექტის გაიგივება მუსიკალურ ინსტრუმენტებთან გამორიცხავს სუბიექტის გნოსეოლოგიურ აქტიურობას, უქვემდებარებს მას ობიექტს. სუბიექტის აქტიური როლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გამოვავლინოთ ურთიერთზემოქმედების ნამდვილი ხასიათი სისტემაში „სუბიექტი-ობიექტი". შემმეცნებელი სუბიექტის აქტიური როლის უგულვებელყოფა მექანისტური და მეტაფიზიკური მატერიალიზმის მხრივ გამოწვეული იყო მისი მჭვრეტელობითი ხასიათით.

სუბიექტი და ობიექტი თავიანთ ურთიერთმიმართებაში გულისხმობს გარკვეულ გამაშუალებელ რგოლს. შემეცნების სუბიექტის გამაშუალებელ რგოლებად გამოდის შრომის იარაღები (ინსტრუმენტები, გარემო). ობიექტის სუბიექტზე ზემოქმედების მექანიზმი ასევე გულისხმობს თავის გამაშუალებელ სისტემას. ეს არის გრძნობადად მიღებული ინფორმაცია, სხვადასხვა ნიშნადი სისტემები და უპირველეს ყოვლისა ცოდნის ენა.

სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობა მის მთლიანობაში ატარებს წინააღმდეგობრივ ხასიათს, ყოველი ასეთი კონკრეტული წინააღმდეგობის გადაჭრას თან სდევს ახალი წინაამღდეგობის წარმოშობა და მისი შემდგომი გადაჭრა.

სუბიექტისა და ობიექტის შემაკავშირებელ ურთიერთობის ფორმას წარმოადგენს სახე ანუ ხატი. ხატი სუბიექტურია აღქმის თვალსაზრისით, მაგრამ ობიექტურია თავისი შინაარსით. ხატის სუბიექტურ ასპექტში აისახება ობიექტური, სუბიექტისაგან დამოუკიდებელი შინაარსი.

§ 5. შემეცნების შესაძლებლობის პრობლემა

სივრცესა და დროში უსასრულო სამყარო ასევე უსასრულოდ მრავალი საგნებისა და მოვლენებისაგან შედგება. ამ მრავალფეროვან სამყაროში ადამიანს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ერთი პატარა კუნჭული უჭირავს, შეზღუდულია არა მარტო მისი სამოქმედო ასპარეზი, არამედ მისი ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობები. ისმება კითხვა, როგორ არის შესაძლებელი უსასრულო სამყაროს შემეცნება სასრულო, მოკვდავი არსების – ადამიანის მიერ? შეუძლია თუ არა ადამიანს გაიგოს, ჩაწვდეს მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად ანუ ობიექტურად არსებული სამყაროს საიდუმლოებებს?

ეს კითხვები იმთავითვე თანდაყვა ფილოსოფიას, როგორც ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომლის ამოხსნას არაერთი ცნობილი მოაზროვნე დიდი გულმოდგინებით ცდილობდა. მათი თვალსაზრისი ფილოსოფიის ისტორიაში ოთხ ძირითადი სახელწოდებითაა ცნობილი. ესაა: დოგმატიზმი, სკეპტიციზმი, აგნოსტიციზმი და კრიტიციზმი.

დოგმატიზმი (ბერძ. „დოგმა“ - აზრი, მოძღვრება, გადაწყვეტილება) არის აზროვნების ისეთი წესი, რომელიც სარგებლობს უცვლელი ცნებებით, ფორმულებით, პრაქტიკისა და მეცნიერების ახალი მონაცემების, ადგილისა და დროის კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად, ე.ი. ეს არის აზროვნების ისეთი წესი, რომელიც შემოქმედებითი განვითარებისა და ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპის იგნორირებას ახდენს. დოგმატიზმის მტკიცებით უტყუარი და უეჭველი ცოდნა ემყარება ავტორიტეტს ან ბრმა რწმენას. მას ახლო კავშირი აქვს რელიგიურ დოგმატიზმთან.

სკეპტიციზმი (ბერძ. „სკეპტიკოს“ - განმხილველი, მკვლევარი, მაკრიტიკებელი) ფილოსოფიური კონცეფციაა, რომელსაც ეჭვი შეაქვს ობიექტური სინამდვილის შემეცნე-

ბის შესაძლებლობაში. დაეჭვება როგორც შემეცნების საფუძველი და შედეგი – ასეთია სკეპტიციზმის ამოსავალი პრინციპი. მისი ფუძემდებელია ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პირონი (IVს. ძვ. წ.). პირველი სკეპტიკოსები ბაძავდნენ სოფისტების ტრადიციებს და მიუთითებდნენ ადამიანური შემეცნების შეფარდებით ხასიათზე, ამტკიცებდნენ, რომ იგი ფორმალურად დაუსაბუთებელია და განსაზღვრულია სხვადასხვა პირობით (ცხოვრების გარემოებანი, გრძნობის ორგანოების მდგომარეობა, ტრადიციებისა და ჩვევების გავლენა და ა.შ.). მათ ეჭვი შექონდათ საყოველთაოდ აღიარებული დასაბუთებადი ცოდნის შესაძლებლობაში და აკრიტიკებდნენ სპეკულატურ ფილოსოფიურ დოგმებს. საერთოდ, სკეპტიციზმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუა საუკუნეების იდეოლოგიის დოგმატიზმის დაძლევაში. მეორეს მხრივ, პასკალის, ჰიუმის, კანტის სკეპტიციზმი ზღუდავდა გონების შესაძლებლობას საერთოდ და ნიადაგს ამზადებდა აგნოსტიციზმისათვის.

ჩვეულებრივი სკეპტიციზმისაგან განასხვავებენ მეთოდოლოგიურ სკეპტიციზმს. მართალია, მას ყველაფერში ეჭვი შეაქვს, შემეცნებას დაეჭვებით იწყებს, მაგრამ არ უარყოფს უტყუარი შემეცნების შესაძლებლობას. პირიქით, ჭეშმარიტების მიღწევისაკენ ისწრაფვის, ჭეშმარიტების დადგენას ისახავს მიზნად, უპირისპირდება დოგმატიზმსა და აგნოსტიციზმს.

აგნოსტიციზმი (ბერძ. „ა“ - უარყოფა, „გნოსის“ ცოდნა) – მოძღვრებაა, რომელიც მთლიანად და ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას. აგნოსტიკოსი ერთმანეთისაგან თიშავს არსებასა და მოვლენას, არ მიდის შეგრძნებების იქით; აგნოსტიციზმის კომპრომისულ პოზიციას მისი წარმომადგენლები მიყავს იდეალიზმამდე. აგნოსტიციზმი აღმოცენდა სკეპტიციზმის ფორმით ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში (პირონი) და კლასიკური გაფორმება მიიღო ჰიუმისა და კანტის ფილოსოფიაში. კანტი საერთოდ

არ უარყოფს ცოდნის შესაძლებლობას, მას აღიარებს უტყუარად. იგი ცოდნას, შემეცნებას თვლის, როგორც ფაქტს. ეძებს მის პირობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი აგნოსტიკოსია. ამის მიზეზი მის მიერ არსებისაგან მოვლენის მოწყვეტაშია. კანტი კატეგორიულად უარყოფს არსების ანუ „ნივთი თავისთავადის“ შემეცნების შესაძლებლობას. ადამიანის გონებას არ ძალუძს ნოუმენების შემეცნება, ის მხოლოდ ფენომენებს წვდება. ფენომენები და ნოუმენები პრინციპულად მოწყვეტილია ერთმანეთს და ურთიერთგანსხვავებულია. როგორია საგნები ნამდვილად, ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ. არ შეიძლება ერთმანეთს შევადაროთ ის, რაც შემეცნებაშია და ის, რაც მის გარეთაა, ტრანსცენდენტურია. „ნივთი თავისთავად“ არ არის მოცემული და არც არასდროს მოგვეცემა შეგრძნებებში, ხოლო ის, რაც არ გვეძლევა შეგრძნებებში არ შეიძლება იყოს ჩვენი ცოდნის საგანი. კანტი არა მარტო ემპირისტი აგნოსტიკოსი, არამედ ემპირისტი ფილოსოფოსიცაა.

კანტი სრულებითაც არ თვლიდა თავისთავს აგნოსტიკოსად, რამდენადაც მან ბუნება (ბუნება როგორც ფენომენი) მოათავსა შემეცნების სფეროს შიგნით, მას სწამდა უსაზღვრო პროგრესი მისი შემეცნების პროცესში. ჩვენი ცდის საზღვრები უწყვეტად ფართოვდება და რამდენადაც არ უნდა გაფართოვდეს ცოდნა, მას მაინც არ ექნება საზღვარი, როგორიც არა აქვს ჰორიზონტს. მაგრამ ყველაფრის შემეცნება ადამიანის გონებას მაინც არ შეუძლია, რამდენადაც სინამდვილე ყოველთვის სცილდება ყოველგვარი შემეცნების ფარგლებს და გზა ეხსნება აგნოსტიციზმსა და რელიგიურ რწმენას.

მეცნიერებისათვის ყველაზე მიზანშეწონილია კრიტიციზმის ძირითადი პოზიციის გაზიარება, რომელიც მოითხოვს ცოდნის ობიექტურობის შესაძლებლობისა და საზღვრების წინასწარ კრიტიკულ გამოკვლევას. „მეცნიერებასაც თავისი საზღვრები აქვს, მას რაღაცის შემეცნება შეუძ-

ლია, მაგრამ რაღაცის – პრინციპულად არ შეუძლია.” ამ დებულებას არ შეიძლება დავეთანხმოთ, რამდენადაც სინამდვილის შემეცნების პროცესი უსასრულოა, ის, რაც მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე შეუმეცნებელია, დროთა განმავლობაში შესაძლებელია შემეცნებულ იქნას. საკაცობრიო აზროვნების განვითარების ისტორია სწორედ ამას ადასტურებს.

თავი II. სინამდვილის შემეცნების ძირითადი პრინციპები და მისი საფეხურები

§1. ძირითადი გნოსეოლოგიური პრინციპები

სინამდვილის შემეცნების უპირველესი მიზანი გარკვეული ცოდნის მიღებაა, ცოდნა კი არის ობიექტური რეალობა, რომელიც მოცემულია ადამიანის ცნობიერებაში და ასახავს, იდეალურად გამოხატავს რეალური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის არსებულ კავშირებს. ტერმინი „ცოდნა“ გამოიყენება სამ ძირითად ასპექტში, მასში იგულისხმება: ა) უნარი, ჩვეულება, რომელიც დაფუძნებულია იმის გაგებაზე, თუ როგორ და რა უნდა გაკეთდეს; ბ) ყოველი შემეცნებითი ღირებულების ინფორმაცია; გ) განსაკუთრებული შემეცნებითი ერთეული, პრაქტიკასთან ურთიერთკავშირში მყოფი. მეორე და მესამე ასპექტი არის სწორედ ფილოსოფიური დისციპლინის – შემეცნების თეორიის ანუ გნოსეოლოგიის საკვლევი საგანი.

შემეცნება – პრაქტიკით განსაზღვრული ცოდნის შეძენისა და განვითარების, მისი მუდმივად გაღრმავების, გაფართოებისა და სრულყოფის პროცესია. ეს არის ობიექტისა და სუბიექტის ისეთი ურთიერთზემოქმედება, რომლის შედეგსაც ახალი ცოდნა წარმოადგენს.

ცოდნისა და შემეცნების ურთიერთობის ფორმები სხვადასხვანაირია, ისტორიის ადრეულ ეტაპზე არსებობდა ყოველდღიური – პრაქტიკული შემეცნება, რომელიც იძლეოდა ელემენტარულ ცნობებს ბუნებაზე, თვით ადამიანებზე, მათი აზროვნების პირობებზე, მათ ურთიერთობებზე, სოციალურ კავშირებზე და მისთ. მოცემული შემეცნების ფორმის საფუძველი იყო ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილება, ადამიანთა პრაქტიკა.

სინამდვილის წვდომის ერთ-ერთი ისტორიული ფორმა არის თამაშისეული შემეცნება, არა მარტო ბავშვთა, არამედ თვით დიდების საქმიანობის მნიშვნელოვანი ელემენტები. თამაშის დროს ინდივიდი ახორციელებს აქტიურ შემეცნებით ქმედებას, იძენს ახალი ცოდნის დიდ რაოდენობას, ეუფლება კულტურულ სიმდიდრეს.

მნიშვნელოვან როლს, განსაკუთრებით ისტორიის პირველ ეტაპზე, თამაშობდა მითოლოგიური შემეცნება. მისი სპეციფიკა იმაშია, რომ წარმოადგენს სინამდვილის ფანტასტიკურ ასახვას. მითოლოგიის ჩარჩოში გამომუშავდა გარკვეული ცოდნა ბუნებაზე, კოსმოსზე, თვით ადამიანებზე, მათი არსებობის პირობებზე და ა.შ. მითოლოგიის წიაღში წარმოიშვა შემეცნების მხატვრული – გამოსახულებითი ფორმა, რომელმაც შემდეგში განვითარება ჰპოვა ხელოვნებაში. თუმცა ის სპეციალურად არ წყვეტს შემეცნებით ამოცანებს, მაგრამ შეიცავს საკმაოდ ძლიერ გნოსეოლოგიურ პოტენციალს.

შემეცნების უძველეს ფორმებს წარმოადგენს ფილოსოფიური და რელიგიური შემეცნება, უმნიშვნელოვანესს კი – მეცნიერული შემეცნება.

შემეცნების წარმოშობისა და ჩამოყალიბების, მისი განვითარების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესში ჩამოყალიბდა გნოსეოლოგიის ძირითადი საფუძვლები:

- ადამიანური შემეცნება არის მათ მიერ ობიექტურად არსებული სამყაროსა და საკუთარი თავის, როგორც ამ სამყაროს ნაწილის, ასახვა;
- შემეცნების პროცესი არის გაურკვევლობის მოხსნის პროცესი, გონების მოძრაობა ნაცნობიდან უცნობისაკენ;
- შემეცნება მრავალფაზიანი პროცესია, რომელიც შეიცავს სამყაროს გრძნობადი და რაციონალური ათვისების შესაძლებლობას;

- შემეცნების საფუძვლად, მიზნად და საშუალებად გამოდის პრაქტიკა, მას აქვს პრეტენზია იყოს მიღებული ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმი ანუ საზომი;

- შემეცნების პროცესი – ეს არის ადამიანთა მიერ სამყაროს და საკუთარი თავის შესახებ ცოდნის გაღრმავებისა და გაფართოების პროცესი.

- გნოსეოლოგიური პრინციპებია: ობიექტურობა, შეცნობადობა, ასახვა, პრაქტიკის განმსაზღვრელი როლი, სუბიექტის შემოქმედებითი აქტიურობა, აბსტრაგირება და განზოგადება, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, ჭეშმარიტების კონკრეტულობა.

- ობიექტურობის პრინციპი ამტკიცებს, რომ შემეცნების ობიექტი არსებობს სუბიექტისა და შემეცნების პროცესისაგან დამოუკიდებლად. ამ პრინციპიდან გამომდინარეობს მეთოდოლოგიური მოთხოვნა – კვლევის ობიექტი მივიღოთ ისეთად, როგორიც ის არის. კვლევით მიღებულმა შედეგმა უნდა გამორიცხოს სუბიექტურობის ყოველგვარი გამოვლინება, რომ სასურველი არ იქნას წარმოჩენილი როგორც სინამდვილე.

- შეცნობადობის პრინციპი ამტკიცებს, რომ შემმეცნებელი სუბიექტისათვის არ არსებობს რაიმე საზღვარი და ბარიერი შემეცნების გზაზე, ხოლო თუ არსებობს ასეთი საზღვარი, ეს არის საზღვარი იმათ შორის, რაც უკვე შეცნობილია და რაც ჯერ კიდევ არ არის შემეცნებული.

- ასახვის პრინციპი ახდენს მკვლევარის ორიენტაციას იმ ფაქტზე, რომ ობიექტის შემეცნება არის მისი ასახვის პროცესი სუბიექტის შესაძლებლობის ფარგლებში. ასახვა შეიძლება განვიხილოთ როგორც ორიგინალის გამოხატულება სახის ანუ ხატის სახით. ხატის შესაბამისობა ორიგინალთან შესაძლებელია, თუ ხატის ყოველ ელემენტს ერთმნიშვნელოვნად შეესაბამება ორიგინალის ელემენტი და ხატის ელემენტთა შორის ყოველ მიმართებას შეესაბამება ორიგინალის ელემენტთა შორის მიმართება.

პრაქტიკის განმსაზღვრელი როლი შემეცნების პროცესში არის ის პრინციპი, რომელიც ამტკიცებს, რომ პრაქტიკა არის შემეცნების საფუძველი, მისი საბოლოო მიზანი და ჭეშმარიტების კრიტერიუმი.

შემეცნების სუბიექტის შემოქმედებითი აქტიურობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სუბიექტს არ აკმაყოფილებს არსებული რეალობა და უნდა გარდაქმნას ის, რათა დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები. ეს განსაზღვრავს მის აქტიურობას, რომელიც, თავის მხრივ, დიდად არის დამოკიდებული იმ სოციალურ-კულტურულ გარემოზე, რომელშიც არსებობს და მოღვაწეობს სუბიექტი.

განზოგადებისა და აბსტრაგირების პრინციპი გულისხმობს შემეცნების პროცესში საკვლევი ობიექტის არსებითი ნიშნების გამოყოფას არარსებითისაგან და ამის საფუძველზე ობიექტთა განზოგადებასა და მათ კლასიფიკაციას.

ასეთია მოკლედ შემეცნების თეორიის ანუ გნოსეოლოგიის ძირითადი საფუძვლები და პრინციპები. ახლა ვნახოთ, თუ როგორ ხორციელდება თვით სინამდვილის შემეცნების პროცესი. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ის შედგება სამი საფეხურის ანუ სამი ფაზისაგან. ესაა: გრძნობადი დონე (სამყაროს უშუალოდ აღქმა), რაციონალური დონე (სამყაროს გაშუალებული ასახვა ცნების, მსჯელობისა და დასკვნის ფორმებში) და მიღებული შედეგების – ცოდნის აპრობაცია (შემოწმება) პრაქტიკაში.

§ 2. შემეცნების გრძნობადი საფეხური და მისი ფორმები

სინამდვილის შემეცნება რთული პროცესია, რამდენადაც თვით სინამდვილე ანუ სამყარო, თავად არის ძალზე რთული, უსასრულო და ამოუწურავი სისტემა. მისი შემეცნება მრავალი პარამეტრით (მახასიათებელი ნიშნით) არის განსაზღვრული, მათ შორის მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიით. ის, როგორც განვითარების ყოველი პროცე-

სი, მიიმართება მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან უმაღ-ლესისაკენ.

შემეცნების პირველი, დაბალი საფეხური არის გრძნობა-დი ანუ ემპირიული საფეხური, რომლის ფორმებიცაა: შეგ-რძნება, აღქმა და წარმოდგენა.

რა არის შეგრძნება? შეგრძნება, უწინარეს ყოვლისა, ჩვე-ნი გრძნობის ორგანოებზე სინამდვილის, საგანთა და მოვ-ლენათა ზემოქმედების შედეგია. შეგრძნებებით ადამიანი იწ-ყებს სინამდვილის შემეცნებას. შეგრძნება არის ადამიანის გრძნობის ორგანოებზე უშუალოდ მოქმედი ობიექტის თვი-სების ან თვისებების ასახვა. მაგალითად ფერის, გემოს, ტემ-პერატურის შეგრძნება. შეგრძნებები გაპირობებულია არა მარტო სუბიექტის გრძნობის ორგანოების ნორმალური მოქ-მედებით, არამედ აგრეთვე ისტორიული გამოცდილებით. შეგრძნებები აუცილებელი პირობაა შემეცნებისათვის, იგი წყარო და საფუძველია შემეცნებისათვის. შეგრძნებების გა-რეშე ადამიანს არ შეუძლია მიიღოს რაიმე ცოდნა სინამდვი-ლის შესახებ. მაგრამ შეგრძნებებით მიღებული ცოდნა შეზ-ღუდულია, ცალმხრივია, რამდენადაც ის ასახავს საგნის ცალკეულ მხარეს და ზედაპირულ ნიშნებს. ასეთი ცოდნა შე-იძლება ჭეშმარიტი ცოდნა იყოს, მაგრამ შეიძლება იყოს ყალბიც. მაგალითად, შეგრძნებების დონეზე ჩვენ ვხედავთ რომ ჭიქაში ჩაშვებული ფანქარი წყლის შეხების ადგილას გა-დატეხილია, ამოვიღებთ – მთელია.

შემეცნება შეგრძნებით იწყება, მაგრამ მასზე რომ შეჩე-რებულიყო, ადამიანი ცხოველის დონეს ვერ გაცდებოდა, რამდენადაც შეგრძნებები ცხოველებსაც გააჩნიათ.

ადამიანის ცოდნისმაძიებელი ბუნება შეგრძნებებზე ვერ გაჩერდებოდა. მას აქვს უნარი შეგრძნებებიდან ამაღლდეს აღქმამდე.

აღქმა არის შემეცნების გრძნობადი საფეხურის უფრო რთული და მაღალი ფორმა, რომელიც ეფუძნება შეგრძნე-ბებს, წარმოადგენს მათ მთლიანობაში ასახვის ფორმას. აღ-

ქმაში ადამიანს ეძლევა არა ცალკეული თვისებები, არამედ მთლიანად საგანი. მაგალითად, არა წიგნის ფერი, არა მისი სიდიდე, მისი ფორმა, არამედ წიგნი, როგორც შემეცნების საგანი მის მთლიანობაში. ამ გაგებით აღქმაში მოცემული ზოგადი არ სცილდება გრძნობით შემეცნების საზღვარს, ვინაიდან იგი უშუალო ასახვაა. აღქმა იმას ასახავს, რაც გარკვეულ დროსა და გარკვეულ ადგილას უშუალოდ მოქმედებს ადამიანთა გრძნობის ორგანოებზე, შეწყდება თუ არა ეს მოქმედება, აღქმაც წყდება.

აღქმა შეიძლება იყოს არა მარტო ჭეშმარიტების წყარო, არამედ შეცდომების წყაროც. მაგალითად ჩვენ ვხედავთ, აღვიქვამთ მზის ამოსვლასა და ჩასვლას, მაგრამ ახლა თითქმის ყველამ იცის, რომ ეს მოვლენა მოჩვენებითია, რაც გამოწვეულია დედამიწის ბრუნვით თავისი ღერძის გარშემო.

გრძნობის ყველა ორგანოს მოქმედებას აქვს თავისი საზღვარი. ეს იმდენად ნაკლი კი არ არის, რამდენადაც მათი ღირსება. თვალი რომ ყველა სხივს აღიქვამდეს, ხოლო ყური ყოველგვარ ხმაურს, მაშინ ადამიანის ცხოვრება აუტანელი გახდებოდა, ხოლო მის მიერ სამყაროს შემეცნება – საეჭვო.

აღქმის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შემმეცნებელი სუბიექტის გამოცდილება, მისი ფსიქიკური მდგომარეობა, ფსიქოლოგიური განწყობა. მაგალითად, გამოცდილი გამომძიებელი უფრო მეტს ხედავს დანაშაულის ჩადენის ადგილის დათვალიერებისას, ვიდრე მისი ახალგაზრდა კოლეგა.

გრძნობადი შემეცნების მესამე ფორმა წარმოდგენაა. წარმოდგენა უკვე აღქმულის აღდგენა ანუ რეპროდუქციაა ჩვენს ცნობიერებაში. ის აღქმისაგან იმით განსხვავდება, რომ წარმოდგენის შემთხვევაში ადამიანზე უშუალოდ არ ზემოქმედებს მისი შესაბამისი ობიექტი. ის ამ ობიექტს წარმოსახავს, ეს წარმოსახვა ნაკლებად კონკრეტულია, ვიდრე აღქმა, მაგრამ აღქმაზე უფრო ზოგადის ასახვაა, იმავე დროს წარმოდგენით ასახული, ყოველთვის ინდივიდუალურია.

სხვადასხვა ადამიანს ერთსა და იმავე საგანზე ან პიროვნებაზე შეიძლება ჰქონდეს უამრავი განსხვავებული წარმოდგენა. მაგალითად, ისტორიულ პიროვნებებზე ყოველთვის არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენები. მაგალითად, ნაპოლეონზე, სტალინზე, ბერიაზე და ა.შ. წარმოდგენა უფრო აქტიური და შემოქმედია, ვიდრე მისი საფუძველი – აღქმა. სწორედ ამ ნიშნის გამო წარმოდგენა შეიძლება მივიჩნიოთ შემეცნების პირველი, საწყისი ეტაპიდან შემეცნების მეორე – უფრო მაღალ ეტაპზე, აბსტრაქტულ აზროვნებაზე გარდამავალ საფეხურად.

რამდენადაც გრძნობადი შემეცნება საგნებისა და მოვლენების უმთავრესად ზედაპირული თვისებების ცოდნას გვაძლევს, ის სინამდვილის შემეცნების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. შემეცნების გრძნობად საფეხურს ხშირად აიგივებენ ემპირიულ შემეცნებასთან, მაგრამ ეს უზუსტობაა. გრძნობადი ცოდნა – ეს არის ადამიანის გრძნობის ორგანოებზე ობიექტის უშუალო ზემოქმედებით მიღებული ცოდნა შეგრძნებებისა და აღქმის სახით. მაგალითად, მე ვხედავ წიგნს ან სტუდენტს და ვიცი რა ან ვინ არის ის. ემპირიული ცოდნა კი შეიძლება იყოს იმისი ასახვა, რაც უშუალოდ არ მოქმედებს გრძნობის ორგანოებზე, არამედ გაშუალებულად. მაგალითად, მე ვხედავ, რომ თერმომეტრი აჩვენებს 39 გრადუსს და მით ვიგებ, რომ ბავშვი ავადაა. შემეცნების ემპირიული დონე გულისხმობს დაკვირვებებს, დაკვირვებების აღწერილობას, დოკუმენტების გამოყენებას. მაგალითად, ისტორიკოსი მუშაობს საარქივო მასალებზე ან სხვა წყაროებზე. ემპირიული შემეცნება უფრო მაღალი დონეა, ვინემ გრძნობადი შემეცნება.

§ 3. შემეცნების რაციონალური ანუ ლოგიკური საფეხური და მისი ფორმები

შემეცნების გრძნობად საფეხურზე ადამიანი იმეცნებს მხოლოდ საგნების გარეგან თვისებებს, იმას, რაც ზედაპირზეა, მაგრამ ვერ წვდება მათ შინაგან, არსებით ნიშნებს. ეს არის აზროვნების პრეროგატივა.

აზროვნება ტვინის ფუნქციაა, რომელიც განყენებულად და განზოგადოებულად ასახავს საგანთა, მოვლენათა შინაგან კავშირებსა და ურთიერთობებს. აზროვნება არის განყენებული შემეცნება, რამდენადაც ის ორიენტირებულია ობიექტის არსებითი ნიშნების შემეცნებაზე, რომლებსაც გამოყოფს არაარსებითისაგან. აზროვნება არის განზოგადოებული შემეცნება, რამდენადაც ზოგადი ნიშნების (თვისებების, კავშირების) ცოდნა შესაძლებლობას იძლევა განვაზოგადოთ მსგავსი მოვლენები ერთიან ლოგიკურ კლასში. მაგალითად, წიგნები, მაგიდები და ა.შ.

აზროვნება არის გაშუალებული შემეცნება, რამდენადაც აზრსა და ობიექტს შორის შუამავლისა და შემეცნების როლში გამოდის გრძნობადი ხატი. აზროვნება არის აქტიური შემეცნება, რომელიც მიმართულია ისეთ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტა გადის გრძნობადი ცდის საზღვრებს იქით.

ამრიგად, აზროვნება – ეს არის ადამიანის მიერ საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშნებისა და კავშირების მიზანმიმართული, გაშუალებული და განზოგადებული ასახვა ადამიანის გონების მიერ.

აზროვნებას გააჩნია ორი დონე – განსჯა და გონება. განსჯა არის აზროვნების შედარებითი დაბალი დონე, რომელზედაც აბსტრაქციით ოპერირება მიმდინარეობს უცვლელი სქემით, გარკვეული შაბლონით, მკაცრი სტანდარტით, გარკვეული სქემებით. ამ შემთხვევაში შეგნებულად თავს არიდებენ საგნებისა და მოვლენების განვითარებას, ურთიერ-

თკავშირს და მათ გამომხატველ ცნებებს, განიხილავენ რა მათ რაღაცა უძრავსა და მდგრადს.

გონება – დიალექტიკურად მოაზროვნეა, რომლისთვისაც დამახასიათებელია აბსტრაქციებით შემოქმედებითად ოპერირება. მხოლოდ თავის ამ უმაღლეს დონეზე აზროვნებას შეუძლია საგანთა და მოვლენათა არსების, კანონების, მიზეზთა და წინააღმდეგობათა წვდომა, ადექვატურად (სისწორით) გამოხატოს ცნებათა ლოგიკაში ნივთთა ლოგიკა, ცნებათა ლოგიკა, ისე როგორც საგანთა და მოვლენათა ლოგიკა განიხილება ურთიერთკავშირში, განვითარებაში, ყოველმხრიობასა და კონკრეტულობაში.

აზროვნების, როგორც შემეცნების პროცესის განხილვისას, ერთმანეთისაგან უნდა განვახსვავოთ აზრის ობიექტი, აზრის შინაარსი და აზრის ფორმა. აზრის ობიექტი ეს რეალობაა, რომელიც არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად, აზრის შინაარსი – ეს ობიექტის აზრობრივი ასახვა. აზრის ფორმა – ეს არის ამ ასახვის ფორმა.

რაციონალური ანუ აბსტრაქტული აზროვნების ფორმებია: ცნება, მსჯელობა და დასკვნა.

ცნება – აბსტრაქტული აზროვნების ისეთი ფორმაა, რომელიც თავისთავში ასახავს სინამდვილის საგანთა და მოვლენათა არსებით ნიშანს ან მათ ერთობლიობას. საგნებსა და მოვლენებს მრავალი თვისება ანუ ნიშანი გააჩნია, მათ შორის ზოგი მეტად მნიშვნელოვანია, ზოგიც ნაკლებად მნიშვნელოვანი. მაგალითად, ადამიანები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან კანის ფერით, სიმაღლით, სქესით, ასაკით და ა.შ. ეს ნიშნები ინდივიდუალურია და საერთოდ ადამიანის რაობას ვერ გამოთქვამს. ადამიანი შავია თუ თეთრი, მაღალია თუ დაბალი, მაინც ადამიანად რჩება. ასევე პეტრე, პავლე, ივანე ერთმანეთისაგან თავიანთი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდებიან, მაგრამ თითოეული მათგანი მაინც ადამიანია. რატომ ვუწოდებთ ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ ინდივიდებს ერთ სახელს – ადამიანს? იმიტომ, რომ

მათ რაღაცა საერთო, ზოგადი ნიშნები გააჩნიათ, რომლითაც ისინი ერთ ერთიანობაში ანუ კლასში შედიან. მათ ასეთ ერთიანობას ქმნის ისეთი ნიშნები, როგორიცაა: შრომის, აზროვნებისა და მეტყველების უნარი. თუ ჩვენ ადამიანზე საუბრისას მხედველობაში გვაქვს ეს სამი ძირითადი, არსებითი ნიშანი, მაშინ ჩვენ გვაქვს ადამიანის ცნება. ასევე ითქმის სხვა საგნებსა და მოვლენებზე. ცნება არის სიტყვა, რომელიც სიმრავლეში არსებულ ზოგადს აღნიშნავს, ზოგადობა ცნების მოუცილებელი ნიშანი ანუ ატრიბუტია.

ზოგადობა ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი ხარისხით. ამიტომაც გვაქვს ნაკლებად ზოგადი, უფრო ზოგადი და უზოგადესი ცნებები, შესაბამისად ერთეული, ზოგადი და უზოგადესი ცნებები ანუ კატეგორიები. „წყალი“ ცნებაა, რომელიც ასახავს მის თხევად მდგომარეობას და მის შედგენილობას: H_2O-ს როგორც მის არსებით და ზოგად ნიშნებს. ასევე ცნებაა „გეოგრაფიული გარემო“, რომელშიც წყალიც იგულისხმება, მდინარეებიც, ოკეანეებიც და კიდევ ბევრი სხვა მოვლენა, ე.ი. მისი, როგორც ცნების მოცულობა ანუ ზოგადობა უფრო ფართოა, ვინემ ცნება - „წყლისა“. ხოლო, თავის მხრივ, სამყაროს ცნება „წყალსაც“ მოიცავს და „გეოგრაფიულ გარემოსაც“, ის უზოგადესი ცნება ანუ კატეგორიაა.

ცნება სიტყვით გამოიხატება, ცნების გამომხატველ სიტყვას ლოგიკაში ტერმინი ეწოდება. ერთი სიტყვით გამოხატულ ტერმინს მარტივი ეწოდება, ორი და მეტი სიტყვით გამოხატულს – რთული ტერმინი. მარტივი ტერმინია: თბილისი, სოხუმი და ა.შ. რთული ტერმინია – თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ.

ცნება, როგორც სინამდვილის საგნებისა და მოვლენების არსებითი და ზოგადი ნიშნების ასახვა უფრო ღრმად იმეცნებს სამყაროს, ვიდრე შეგრძნებები, აღქმები და წარმოდგენები.

აბსტრაქტული აზროვნების მეორე ფორმა არის მსჯელობა. ლოგიკის ფუძემდებელი არისტოტელე მსჯელობას განსაზღვრავდა როგორც აზრს, რომელიც რაიმეს ადასტურებს ან უარყოფს, ან კიდევ, როგორც ცნებათა კავშირს, რომელიც ასევე რაიმეს ამტკიცებს ან უარყოფს. ცნობილია, რომ ცალკეული ცნება ასახავს საგნებსა და მოვლენებს, მაგრამ არაფერს არ გვეუბნება მათ შორის არსებულ კავშირებსა და მიმართებებზე. სინამდვილის ღრმა შემეცნება სწორედ ამ კავშირებსა და მიმართებებში წვდომაა. ამის საშუალებას სწორედ მსჯელობა იძლევა. ამიტომაც მას განსაზღვრავენ როგორც აზროვნების ერთ-ერთ ძირითად ფორმას, რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს, რომ მოცემულ საგანს ახასიათებს (ან არ ახასიათებს) ესა თუ ის ნიშანი, რის გამოც ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ჭეშმარიტია მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს ასახავს ისე, როგორც ის არის და, პირიქით, მცდარია მსჯელობა, რომელიც სინამდვილეს ასახავს დამახინჯებულად. მსჯელობა ცნებებისაგან შედგება, მაგრამ, ცნებები თავისთავად აღებული მტკიცება-უარყოფას არ შეიცავს. მაგალითად, ცნება „პეტრე“, „ადამიანი“, „მოკვდავი“ გარკვეულ ცოდნას შეიცავს, მაგრამ არაფერს არ ამბობს ამის შესახებ, თუ რა მიმართებაა ცნებით გამოხატულ ამ საგნებს შორის. ამას მხოლოდ მსჯელობა გვიმჟღავნებს: „პეტრე ადამიანია“, „ადამიანი მოკვდავია“ და მისთ.

ლოგიკაში ბევრს კამათობდნენ იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს აზროვნების ძირითად ერთეულს – ცნება თუ მსჯელობა და რომელი რომელს უსწრებს წინ – ცნება მსჯელობას, თუ მსჯელობა – ცნებას. სხვათაშორის ცნება და მსჯელობა ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ კამათი მათ პირველადობა-მეორადობაზე შეიძლება ჩაითვალოს უნაყოფოდ. ტრადიციული ლოგიკა ცნებებიდან გამომდინარე, მსჯელობას მეორადად მიიჩნევს, თუმცა ნამდვილად, ცოცხალ აზროვნებაში არ არსებობენ ცნებები მსჯელობების გარეშე. აქედან ზოგიერთი ლოგიკოსი ას-

კვნის, რომ აზროვნების ძირითადი ერთეული არის მსჯელობა, ხოლო ცნებები უფრო გვიან გამოეყვნენ მსჯელობებს. მსჯელობა არის აზრის თავისებური ფორმა, ცნებისაგან თვისობრივად განსხვავებული, აზროვნების უფრო მაღალი, უფრო რთული სტრუქტურული ერთეული.

მსჯელობა გამოითქმის თხრობითი წინადადებით, რომელშიც ქვემდებარეს (ლოგიკაში სუბიექტს) მიეწერება ან არ მიეწერება შემასმენელი (პრედიკატი).

მსჯელობის სქემაა: S არის P, ან S არ არის P.

დასკვნა – აბსტრაქტული აზროვნების მესამე ფორმაა, რომელიც ხორციელდება მსჯელობათა ნიადაგზე. ცალკეული მსჯელობები თუმცა ასახავენ სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირებსა და მიმართებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერ ამოწურავენ სრულად მათ მრავალფეროვნებას. აზროვნებას აქვს უნარი ცალკეული მსჯელობები დაუკავშიროს ერთი-მეორეს და ამ კავშირიდან მიიღოს ახალი სახის მსჯელობა. ერთი ან რამდენიმე მსჯელობიდან ახალი მსჯელობის მიღების ლოგიკურ ხერხს დასკვნა ეწოდება. იმ მსჯელობებს, საიდანაც ახალი მსჯელობა მიიღება, დასკვნის წანამძღვრებს უწოდებენ, ხოლო წანამძღვრებიდან გამომდინარე ახალ მსჯელობას – დანასკვს. თუ დანასკვი წანამძღვრებთან შედარებით, ნაკლებად ზოგადია, ე. ი. ზოგადიდან დავასკვნით ნაკლებად ზოგადზე, ან ზოგადიდან კერძოობითზე – დასკვნა იქნება დედუქციური. მაგალითად

ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია
რკინა ლითონია
———————————
რკინა ელექტრობის გამტარია

ინდუქციური ეწოდება ისეთ დასკვნას, რომელშიც დანასკვი შედარებით უფრო ზოგადია. ინდუქციურ დასკვნაში კერძოობითიდან ვასკვნით ზოგადზე:

პეტრე მოკვდავია
პავლე მოკვდავია
ივანე მოკვდავია და ა.შ.
ყველა ადამიანი მოკვდავია

ინდუქციით მიღებული ცოდნა არასდროს არ არის ამომწურავი, იგი საალბათოა. ინდუქცია და დედუქცია ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთს ცვლიან.

სინამდვილის შემეცნების პროცესში გრძნობადი და რაციონალურ საფეხურების მნიშვნელობის საკითხთანაა დაკავშირებული ორი გნოსეოლოგიური მიმართულება: ემპირიზმი და რაციონალიზმი. ემპირიზმი (ბერძ. „ემპირია“ - ცდა) მოძღვრებაა შემეცნების თეორიაში, რომელიც გრძნობადს, ცდას ცოდნის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ ყოველგვარი ცოდნა საბუთდება ცდაში და ცდის საშუალებით. ემპირიზმის ცოდნის საყოველთაო და აუცილებელი ხასიათი თვით გონებიდან კი არ გამოყავს, არამედ ცდიდან. რაციონალიზმი (ლათ. „რაციონალის“ - გონიერი) ამტკიცებს, რომ საყოველთაობა და აუცილებლობა – სარწმუნო ცოდნის ეს ლოგიკური ნიშნები – ვერ გამოიყვანება ცდიდან და მისი განზოგადებებიდან, ისინი შეიძლება ავიღოთ მხოლოდ თვით გონებიდან.

§4. ჭეშმარიტება, მისი სახეები და კრიტერიუმი

სინამდვილის შემეცნების პროცესის საბოლოო მიზანი და შედეგი ჭეშმარიტების მიღწევაა, რათა ადამიანმა შესძლოს მისი გარემომცველი ბუნების თუ საზოგადოების გარდაქმნა საკუთარი მოთხოვნილებების, ინტერესებისა და მიზნების გასახორციელებლად. მაგრამ რა არის ჭეშმარიტება, რა არის მისი ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები და სახეები? – აი კითხვები, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. მეცნიერულ ფილოსოფიაში სუბიექტის ცნობიერება მიჩნეულია

როგორც ობიექტური სამყაროს სულიერი, იდეალური ასახვა. ასევე ითქმის საზოგადოებრივ ცნობიერებაზეც, ისიც საზოგადოებრივი ყოფიერების ცნობიერებისეული სურათია, მისი ასახვაა.

ასახვა, როგორც ცნობილია, ორ კომპონენტს გულისხმობს ასასახს და ამსახველს ანუ ობიექტსა და სუბიექტს. აქედან გამომდინარე რაიმე აზრი ყოველთვის მიმართულია გარკვეულ საგანზე ან მოვლენაზე, რომელიც შესამეცნებელი ობიექტის მიმართ რაიმეს ამტკიცებს ან უარყოფს, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი აზრი. მაშასადამე, გამოდის, რომ ჭეშმარიტება არის აზრი, რომელიც ისე ასახავს თავის ობიექტს, როგორიც ის არის ნამდვილად. თუ აზრი დამახინჯებულად წარმოგვიდგენს საქმის ვითარებას, მაშინ ის იქნება არაჭეშმარიტი ანუ ყალბი აზრი.

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ცდომილება და სიცრუე. ცდომილება შემეცნების პროცესში გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. ერთ-ერთი ასეთი გარემოება შეიძლება იყოს შესამეცნებელი ობიექტის სირთულე ან კიდევ შემმეცნებელი სუბიექტის გონებრივი შესაძლებლობა და სხვ., რაც შეეხება სიცრუეს, ის სუბიექტის მიერ ვითარების წინასწარ მიზანსწრაფულად გაყალბებული აზრია, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს პირადი ამბიციები, სარგებლიანობა, სხვისთვის ან საქმისთვის ზიანის მიყენება. განსაკუთრებით საზიანოა სიცრუე პოლიტიკაში, პოლიტიკოსების მხრივ ისეთი რამის დაპირება ამომრჩევლებისადმი, რომელთაც კარგად იციან, რომ ვერასდროს ვერ შეძლებენ. ეს კი იწვევს ხალხის უნდობლობას მთავრობის მიმართ, უკმაყოფილებას და შესაძლებელია მმართველი წრეებისა და ხალხის ერთმანეთისაგან გაუცხოებას. ამიტომ სიცრუე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში, არაზნეობრივი და იმავე დროს პოლიტიკურად სახიფათოა.

ჭეშმარიტებას ყოველთვის გააჩნია თავისი შინაარსი და ფორმა: შინაარსია ის ობიექტი, ის საგანი, რომელზედაც ის გამოითქმის. ჭეშმარიტების შინაარსის ობიექტურობა, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ ეს ობიექტი ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს. მაგალითად, „მტკვარი თბილისში გადის“. ამ ჭეშმარიტ დებულებაში მტკვარი ადამიანის ცნობიერებისაგან მართლაც დამოუკიდებლად ანუ ობიექტურად არსებობს და ჩვენი მტკიცება, რომ ის თბილისში მიედინება – ჭეშმარიტია. მაგრამ ასევე ჭეშმარიტია ის აზრიც, რომ „დევი ზღაპარში არსებობს”. ამრიგად, შესამეცნებელი საგნის ობიექტურობა ყოველთვის არ ნიშნავს ჯერ კიდევ მის ობიექტურად არსებობას, ობიექტურ რეალობას.

ამასთანავე იმის მტკიცება, რომ ჭეშმარიტება არის აზრი, რომლის შინაარსი არ არის დამოკიდებული არც ადამიანზე და არც კაცობრიობაზე, არ ნიშნავს იმას, რომ ჭეშმარიტება საერთოდ არ იყოს დამოკიდებული შემმეცნებელ სუბიექტზე, იქნება ის ინდივიდი თუ მთელი საზოგადოება. ჭეშმარიტება სუბიექტურია იმ თვალსაზრისით, რომ ის ყოველთვის ადამიანის ცნობიერებასთან არის დაკავშირებული. ჭეშმარიტება სუბიექტისა და ობიექტის ერთიანობაა, რომელშიც სუბიექტი გაობიექტივირებულია და ობიექტი გასუბიექტივირებული. ჭეშმარიტება არსებობს ადამიანის ცნობიერებაში. საგანი თავისთავად არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, მხოლოდ ჩვენი აზრი მასზე, შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

ამრიგად, ჭეშმარიტების უპირველესი ნიშანი, მისი ობიექტურობაა. ჭეშმარიტების, როგორც სინამდვილის ამსახველ სუბიექტში არსებობა, ადამიანის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული. იგი განსაზღვრულია სინამდვილით, ამდენად იგი ობიექტურია. ეს ობიექტურობა სუბიექტის ცნობიერების გარეთ არსებობას არ ნიშნავს. არ არსებობს არაობიექტური, სუბიექტური ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ყოველთვის ობიექტურია.

ობიექტური ჭეშმარიტება იმავე დროს შეფარდებითაც არის და აბსოლუტურიც. ჭეშმარიტების შეფარდებითობა ნიშნავს იმას, რომ შემეცნების პროცესი ისევე ცვალებადი და უსასრულოა, როგორც თვით სინამდვილე, როგორც სიღრმეში, ასევე სიგანეში. ადამიანის გონებას არ ძალუძს ერთბაშად წვდეს და თავის თავში მოიცვას სამყაროს მთელი მრავალფეროვნება, ის იმეცნებს მხოლოდ მის ნაწილს. ჯერ ზედაპირულ ნიშნებს, მოვლენებს, მერე ამ მოვლენათა სიღრმეში არსებულ არსებას, შემთხვევითობების რიგში – აუცილებლობას, მათ მიზეზობრივ კავშირებს. ამდენად, მეცნიერული ცოდნა ვერასდროს ვერ დასრულდება და ვერასდროს ვერ ამოწურავს მუდმივად ცვალებადსა და უსასრულო სამყაროს. ამდენად, ჭეშმარიტება შეფარდებითია. ეს ჭეშმარიტების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

ასევე ჭეშმარიტების ერთ-ერთი ნიშანი მისი აბსოლუტურობაა. აბსოლუტური ჭეშმარიტება (უფრო ზუსტად – აბსოლუტურობა ჭეშმარიტებაში) უნდა გავიგოთ, ჯერ ერთი, როგორც სინამდვილის შესახებ სავსებით ამომწურავი ცოდნა, გნოსეოლოგიური იდეალი, რომელიც ვერასდროს ვერ მიიღწევა, თუმცა შემეცნების პროცესი სულ უფრო და უფრო უახლოვდება მას. მეორე, ჭეშმარიტების აბსოლუტურობაში ვგულისხმობთ ცოდნის იმ ელემენტს, რომელიც არასოდეს არ იქნება უკუგდებული მომავალში (მაგალითად, ყველა ადამიანი მოკვდავია, ნაპოლეონი იყო საფრანგეთის იმპერატორი, ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წელს და მისთ.) ასეთ ჭეშმარიტებას უწოდებენ „მუდმივ“ ჭეშმარიტებას.

ობიექტური ჭეშმარიტება ერთიდაიმავე დროს შეფარდებითიცაა და აბსოლუტურიც. შეფარდებითი ჭეშმარიტება აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს, ხოლო აბსოლუტური ჭეშმარიტება – შეფარდებით ჭეშმარიტებათა ჯამისაგან შედგება, მაგრამ ეს ჯამი არ არის მექანიკური ჯამი. აბსოლუტური ჭეშმარიტება ობიექტური ჭეშმარიტების სრულყოფილი, დასრულებული გამოსახულებაა. ობიექტუ-

რი ჭეშმარიტების დასრულებული გამოსახვა იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით ცოდნა უკვე განვითარებას აღარ განიცდის, ე.ი. საგანთა და მოვლენათა გარკვეული მხარეები ამომწურავადაა შეცნობილი.

აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფა გარდუვალად მიგვიყვანს რელატივიზმთან. თუ ფარდობითი ცოდნა გამორიცხავს აბსოლუტური ჭეშმარიტების ელემენტებს, მაშინ ობიექტური სინამდვილის ასახვაც უარყოფილი იქნება, რადგან ჭეშმარიტება თავის ობიექტურობას რეალობის ზუსტი ასახვით იძენს. ამიტომ რელატივიზმი შემეცნების წყაროს (ობიექტური რეალობის) უარყოფაა.

რელატივიზმის საპირისპირო უკიდურესობას დოგმატიზმი წარმოადგენს. დოგმატიზმი ჭეშმარიტების შეფარდებით ხასიათს უარყოფს ან მხოლოდ უცვლელ, ყველა პირობისათვის მისაღებ ჭეშმარიტებას აღიარებს. იგი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება არ შეიძლება პირობითი იყოს.

ობიექტური ჭეშმარიტების ერთ-ერთი ნიშანი მისი კონკრეტულობაა. ჭეშმარიტების კონკრეტულობა იმას ნიშნავს, რომ ის ასახავს საგნებსა და მოვლენებს ადგილისა და დროის კონკრეტულ პირობებში. მაგალითად იმ ადამიანის წონა, რომელიც დედამიწაზე 60კგ-ია, მთვარეზე იქნება მისი მეექვსედი, ე.ი. 10კგ-ი. სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი სიბრტყეზე არის 180^0, სფეროს შიგნით 180^0-ზე ნაკლები, ხოლო სფეროს ზედაპირზე არსებული სამკუთხედისა – 180^0-ზე მეტი.

რამდენად ჭეშმარიტია ანუ რამდენად სრულყოფილად ასახავს ჩვენი აზრი შესაცნობ ობიექტს, ეს საბოლოო ანგარიშით მოწმდება პრაქტიკით – ადამიანთა გრძნობად-საგნობრივი საქმიანობით და აგრეთვე ლოგიკის კანონებითა და წესებით.

§ 5. მეცნიერული შემეცნების მეთოდები

„მეთოდი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხერხს, საშუალებას, გარკვეული სახით მოწესრიგებულ მოქმედებას. მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების შეგნებული გამოყენება არის ახალი ცოდნის მიღების უარსებითესი პირობა. მეთოდოლოგია კი არის მოძღვრება სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის მეთოდების სისტემის შესახებ.

ისტორიულად ჩამოყალიბდა მეცნიერული შემეცნების ისეთი მეთოდები, როგორიცაა: დაკვირვება, ცდა, ექსპერიმენტი ანალიზი და სინთეზი, აბსტრაჰირება, განზოგადება, ანალოგია და მოდელირება, იდეალიზირება, ფორმალიზაცია.

დაკვირვება ეს არის ობიექტის წინასწარგანზრახული და წარმართული აღქმა, რათა მიღებულ იქნას გარკვეული ინფორმაცია მის ფორმაზე, თვისებებზე და მიმართებებზე. მაგალითად, ვაკვირდებით დილით ცას , თუ როგორი ამინდია მოსალოდნელ საღამომდე.

დაკვირვებისას შერჩეული უნდა იყოს მისი მიზანი, მეთოდიკა, გეგმა, მიღებული ინფორმაციის დამუშავების წესი. დაკვირვება შეიძლება იყოს გზა ჭეშმარიტებისკენ, ან, პირიქით, გახდეს შეცდომის წყარო.

ექსპერიმენტი – ეს არის შემეცნების განსაკუთრებული ხერხი, მეთოდი, როდესაც მკვლევარი თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად ხელოვნურად ქმნის ისეთ პრობლემურ სიტუაციას, რომ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მისთვის საინტერესო კითხვებზე. ექსპერიმენტის ჩატარებისა და მისი გამეორების შესაძლებლობა მას ხდის ჰიპოთეზისა და თეორიული დასკვნების სისწორის შემოწმების ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ საშუალებად. სუბიექტის განსაკუთრებული აქტიურობა ექსპერიმენტის დროს, სრულებითაც არ აქცევს ამ ექსპერიმენტით მიღებულ ცოდნას საეჭვოდ,

რამდენადაც ექსპერიმენტი არ ჰქმნის შემეცნების საგანს, არამედ მჭიდრო კავშირშია მასთან.

ექსპერიმენტს იყენებენ არა მარტო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც და სოციალური სინამდვილის პრაქტიკაში. სოციალური ექსპერიმენტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ შემეცნების სუბიექტს წარმოადგენენ ადამიანები. ეს გარემოება ექსპერიმენტატორს აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. სოციალური ექსპერიმენტის შინაარსი და პროცედურები გულისხმობს მათ განპირობებულობას როგორც მორალური, ასევე სამართლებრივი ნორმებით. არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს არა მარტო პოლიტიკური და იურიდიული, არამედ აგრეთვე ზნეობრივ მორალური უფლება, თუნდაც კეთილგანზრახვით განახორციელოს ისეთი საზოგადოებრივი რეფორმები, რომელიც თავისი წინასწარგაუთვალისწინებელი შედეგებით, ზიანს მოუტანს საზოგადოებას. მაგალითად, როგორც ეს მოხდა ჩვენში ჩატარებულ რეფორმების დროს სახალხო განათლების დარგში.

შემეცნების პროცესში ადამიანს (სუბიექტს) სინამდვილის საგნები ეძლევა მის მთლიანობაში, რომელშიც შემადგენელი ნაწილები და მათ შორის კავშირები არ ჩანს. მათი შემეცნება-გაგება ხდება ამ საგნების ფიზიკური თუ აზრობრივი დანაწილების შედეგად. შესამეცნებელი საგნის (ობიექტის) შემადგენელ ნაწილებად დანაწევრებას აზრში – ლოგიკური ანალიზი ეწოდება. ის აზროვნების პროცესის ერთ-ერთი კომპონენტია.

როდესაც ანალიზის შედეგად შემეცნების ობიექტი საკმაოდ შესწავლილი ხდება, დგება შემეცნების შემდეგი სტადია – სინთეზი – აზრობრივი შეერთება, ანალიზის მიერ გამოყოფილი ელემენტებისა ერთ მთლიანობაში.

ადამიანი აზრობრივად შლის საგანს მის შემადგენელ ნაწილებად იმისთვის, რომ თავდაპირველად აღმოაჩინოს ეს ნაწილები და ცალ-ცალკე შეისწავლოს ისინი, ხოლო შემდეგ-

ში განიხილოს როგორც მთლიანობის ელემენტები. ანალიზისა და სინთეზის პროცესი ერთი მთლიანი პროცესია, რომლის მიზანიც ობიექტის არსების წვდომაა. ანალიზისა და სინთეზის ლოგიკურ პროცესს, რასაკვირველია, წინ უძღვის პრაქტიკულ საქმიანობაში ადამიანთა მიერ გარკვეული საგნების ფიზიკური დანაწილება, რომელიც შემდეგში საფუძვლად ედება მათ აზრობრივ ანუ ლოგიკურ დანაწილებას.

ანალიზი და სინთეზი აზროვნების ძირითადი წესებია.

სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ნამდვილი შემეცნება, მათ არსებაში წვდომაა, მაგრამ არსება სწორედ ისაა, რომელიც არსებულის სიღრმეშია და არა მის ზედაპირზე და ამიტომ გრძნობებში არ გვეძლევა, მას ვერც დავინახავთ, ვერც შევეხებით, ვერც გემოს გავუსინჯავთ და ა.შ. მას მხოლოდ გონებით უნდა ჩავწვდეთ, არარსებითი ნიშნებიდან არსებითი ნიშნების გამოყოფით. არსებითი ნიშნები კი ის ნიშნებია, რომლებიც საგნის რაობას განსაზღრავენ. ადამიანს უამრავი ნიშანი აქვს. მათ შორის უმთავრესია: შრომის, აზროვნებისა და მეტყველების უნარი. ამ უნარების, როგორც არსებითი ნიშნების, შემეცნება ხდება აბსტრაჰირების გზით.

აბსტრაქცია (ლათ. განყენება) – შემეცნების ერთ-ერთი ფორმაა, მეთოდია, რომელიც მდგომარეობს საგანთა მთელი რიგი თვისებებისა და მათ შორის მიმართებებისაგან აზრობრივ განყენებაში და რაიმე თვისების ან მიმართების გამოყოფაში, გამოცალკევებაში. აბსტრაქცია აღნიშნავს აგრეთვე ამგვარი განყენების პროცესს და მის შედეგსაც. აბსტრაქციის პროცესის შედეგია სხვადასხვა ცნება და კატეგორია. მაგ „მატერია“, „მოძრაობა“, „განათლება“ და ა.შ.

აბსტრაჰირება წარმოადგენს აუცილებელ პირობას ყოველი სახის მეცნიერების წარმოშობისა და არსებობისათვის.

აბსტრაქციის სპეციფიკურ სახეს წარმოადგენს იდეალიზაცია. იდეალიზაცია ეს არის ცნებათა წარმოშობის პროცესი, რომელთა რეალური პროტოტიპი შეიძლება მითითებულ იქნას მხოლოდ მიახლოებით. იდეალიზაციის გზით მიღებუ-

ლი ცნების მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნას „წერტილი“ (ობიექტი, რომელსაც არა აქვს არც სიგრძე, არც სიმაღლე, არც სიგანე); „სწორი ხაზი“, „წრე“, „აბსოლუტურად შავი სხეული“ და სხვ. აბსტრაქტული ობიექტები არ არსებობენ და განუხორციელებელი არიან სინამდვილეში. შემეცნების პროცესში იდეალიზებული ობიექტების ჩართვა შესაძლებლობას იძლევა განხორციელებულ იქნას რეალური პროცესების აბსტრაქტული სქემები, რომლებიც საჭიროა ამ პროცესების კანონზომიერებაში უფრო ღრმა წვდომისათვის.

ყოველგვარი შემეცნების მიზანს წარმოადგენს განზოგადება – აზრობრივი გადასვლა ერთეულიდან ზოგადისკენ, ნაკლებად ზოგადიდან – მეტად ზოგადზე და ასე დაუსრულებლად. საწინააღმდეგო პროცესს შემოსაზღვრა ეწოდება.

სინამდვილის შემეცნების ერთ-ერთი ხერხია ანალოგია, რომლის დროსაც ობიექტის თვისებების ერთი ნაწილის მსგავსების საფუძველზე კეთდება დასკვნა სხვა თვისებების მსგავსებაზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ანალოგია ამცირებს მხოლოდ ალბათური ცოდნის ხასიათს და, როგორც წესი, წარმოადგენს საფუძველს ვერსიების, ჰიპოთეზების შესადგენად, რომლებიც საჭიროებენ დამატებით შემოწმებასა და დასაბუთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება შეცდომების ალბათობაც.

თანამედროვე შემეცნების თეორიის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მოდელირების როლის ზრდა. მოდელირება შესასწავლი ობიექტის ისეთი პრაქტიკული ან თეორიული ოპერირებაა, რომლის დროსაც შესწავლილი ობიექტის შეცვლა ხდება რომელიმე ბუნებრივი ან ხელოვნური ანალოგით, რომლის გამოკვლევითაც ჩვენ ვახერხებთ შემეცნების საგნის შესწავლას.

მოდელი შესაძლებლობას იძლევა მსგავსების საფუძველზე, დავადგინოთ ორიგინალის სხვადასხვა მახასიათებელი და განზომილებები. მოდელი ეს არის ობიექტის ერთი ან

რამდენიმე თვისების იმიტაცია სხვა საგნების ან მოვლენების გამოყენებით. მაგალითად, ატომის სქემატური მოდელი, ახალი ტიპის მანქანის ან თვითმფრინავის მოდელი და ა.შ. მათ იყენებენ სხვადასხვა სახის ექსპერიმენტის დროს. მოდელებს იყენებენ შესამეცნებელ ობიექტებზე უშუალო დაკვირვების პირობების არ არსებობის შემთხვევებში, ან უშუალოდ დაკვირვების სიძვირის გამო და მისთ. მოდელს ახასიათებს თვალსაჩინოება, უშუალო შეგრძნებებისათვის მოუწვდომელი ხატის შექმნა, რომელიც გვეძლევა აღქმაში.

შემეცნების ობიექტის მოდელირებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ფორმალიზაცია. ფორმალიზაცია – შინაარსით განსხვავებული პროცესების ფორმათა განზოგადებაა, ამ ფორმების აბსტრაჰირება მათი შინაარსისაგან, რომელიც გამოიყენება არა მარტო საბუნებისმეტყველო, არამედ სოციალურ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში.

აქსიომატური მეთოდი – არის ახალი ცოდნის მიღების ხერხი, როცა მის საფუძველში ჩადებულია აქსიომები, რომლებიდანაც ყველა დანარჩენი მტკიცებანი გამოიყვანება წმინდა ლოგიკური გზით. ამ მეთოდის ძირითადი მოთხოვნებია: არაწინააღმდეგობრიობა, სისრულე, აქსიომების დამოუკიდებლობა. აქსიომატური მეთოდის წარმატებით გამოყენების მაგალითია ევკლიდეს გეომეტრია და ნიუტონის კლასიკური მექანიკა.

ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდი არის ახალი, მაგრამ სავარაუდო ცოდნის მიღების განსაკუთრებული ხერხი, რომელიც გამოიყვანება ჰიპოთეზიდან და რომლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა ატარებს გაურკვეველ ხასიათს. ამ მეთოდს შეუძლია აღწეროს თეორიის ფორმალური სტრუქტურა, მაგრამ მას აქვს თავისი „აქილევსის ტერფი“. ის ანგარიშს არ უწევს ჰიპოთეზის გენეზისს და იმ კანონებს, რომლებიც განიხილება როგორც აქსიომატური წანამძღვრები.

აზრობრივი ექსპერიმენტის მეთოდი არის აზრობრივი პროცედურების სისტემა, რომელიც ტარდება იდეალიზირე-

ბული ობიექტის მიმართ. აზრობრივი ექსპერიმენტი თანამედროვე ბუნებისმეტყველებაში გახდა ახალი თეორიული ცოდნის ინტერპრეტაციის ერთ-რთი ძირითადი საშუალება.

სინამდვილის მეცნიერული შემეცნების გარდა, არსებობს აგრეთვე არამეცნიერული შემეცნებაც. ის მიჩნეულია განუვითარებელ, ზედაპირულ, ზოგჯერ მცდარ შემეცნებად. კაცობრიობის განვითარება ადასტურებს, რომ მეცნიერებას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ არა ყველაფერი, რომ ცივილიზაციის წინსვლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს არამეცნიერული შემეცნებაც. ისინი ერთმანეთს ავსებენ.

მეცნიერული შემეცნება ორიენტირებულია ობიექტური რეალობის გრძნობად და რაციონალურ ათვისებაზე, რაც შეეხება არმეცნიერულ შემეცნებას, მისი ორიენტაცია სცილდება ობიექტური რეალობის საზღვრებს. ის თავისთავში შეიცავს არა მხოლოდ ობიექტურ, არამედ სუბიექტურ და ტრანსცენდენტურ რეალობას, რომელსაც არა აქვს არც განფენილობა, არც სიგრძე, ამდენად არ ფიქსირდება არც გრძნობებით და არც განსჯის ლოგიკით.

მეცნიერულ და არამეცნიერულ ცოდნათა მიმართებაში არ უნდა იყოს ალტერნატივა, ან ერთი, ან მეორე, არამედ უნდა მივიღოთ მათი ურთიერდამატებითობის პრინციპი.

არამეცნიერული შემეცნების ფორმას წარმოადგენს ყოველდღიური შემეცნება, მის მატარებლად გამოდის ადამიანი. ყოველდღიური შემეცნების მიზანი იმაშია, რომ გამოიმუშაოს ცოდნა სამყაროზე და თავისთავზე, შეიქმნას ფსიქოლოგიური განწყობა სამყაროსადმი თავის დამოკიდებულებაზე, გამონახოს თავისი ინტერესების (მოთხოვნილებების) განხორციელების ოპტიმალური ფორმა.

ყოველდღიურ შემეცნების ერთ-ერთ პირვანდელ ფორმად თვლიან ფეტიშიზმს (რწმენა საგნის ზებუნებრივი თვისებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანთა დაცვა სხვადასხვა უბედურებისაგან), ტოტემიზმს (რწმენა გვარის მფარველ არსებაზე – მცენარე, ცხოველი, ფრინველი), ანი-

მიზმს (რწმენა სულის არსებობის შესახებ). საგნის ან მოვლენის ზოგიერთი ნიშანი აფიქსირებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, წარმოაჩენს მათ აუცილებელ ხასიათს. ზოგიერთი ნიშანი ატარებს შემთხვევით ხასიათს, მაგრამ შეცდომით მიიჩნევა აუცილებლად. ყოველდღიური შემეცნების ყველა ზემოთაღნიშნული ფორმა დამყარებულია რწმენაზე. ასევე რწმენას ემყარება ოკულტური (ფარული), პარანორმალური, მედიტაციური (აზრობრივი განჭვრეტით) შემეცნება, რომელიც ითვლება გრძობად-აბსტრაქტული შემეცნების ფორმებად.

ოკულტიზმი წარმოადგენს კოსმოსის, სამყაროს, ადამიანის ზებუნებრივი ფარული ძალების შესახებ მოძღვრებას. ასეთი სახის არამეცნიერულ ცოდნას მიაკუთვნებენ ასტროლოგიას, ალქიმიას, გრაფოლოგიას, სპირიტიზმს და სხვ. მათში აუხსნელის ახსნა ხდება ან მეცნიერული ცოდნის საფუძველზე (მაგალითად, ასტროლოგია იყენებს ასტრონომიულ, მათემატიკურ, ფილოსოფიურ ცოდნას), ან გაურკვეველის გარკვევას ცდილობენ ასევე გაურკვეველით (ალქიმია, სპირიტიზმი). ორივე შემთხვევაში ადგილი შეიძლება ჰქონდეს რაიმე აღმოჩენას, მიღწევას, რომელიც ხელს უწყობს ახალ წარმოსახვის, ფანტაზიის წარმოშობას და მით კულტურის განვითარებას.

სამყაროს პარანორმალური შემეცნება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას მეცნიერული თვალსაზრისით აუხსნელ ფიზიკურ მოვლენებზე და ზოგიერთი ინდივიდის განსაკუთრებულ უნარს, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ სხვა ადამიანებზე, ბუნების ობიექტებზე. ასეთი მოვლენებია: ბიოლოკაცია, ტელეპატია, ექსტრასენსორული ზემოქმედება და მისთ.

ასეთი პარანორმალური ფენომენების ახსნა მეცნიერების მიერ ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ასევე აუხსნელია აზრის, გრძნობების გადაცემა შორ მანძილზე. ეს ყველაფერი მია-

ნიშნებს იმაზე, რომ ადამიანის ფიზიკური და სულიერი პოტენციალი უსაზღვროა.

საკუთარი თავის მედიტაციური შემეცნება არის ძალზე ღრმა სულიერი მდგომარეობა, რომელიც მიიღწევა ან ნებისყოფის საფუძველზე გარეშე სამყაროსაგან მოწყვეტით, გარკვეული ვარჯიშების შედეგად ან ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების ან კიდევ კლინიკური სიკვდილის შედეგად.

ცოდნისა და რწმენის პრობლემა არაერთხელ წინწამოწეულა კაცობრიობის ისტორიაში. შუასაუკუნეებმა მოგვცეს მათი ურთიერთობის სამი ვარიანტი.

1. ცოდნა და რწმენა ანტიპოდებია, ისინი შეუთავსებლები არიან. რწმენას არ სჭირდება არავითარი ცოდნა, რამდენადაც არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტება – გამოცხადება.

2. ცოდნასა და რწმენას აქვს სხვადასხვა წყარო, ამიტომაც ისინი ფლობენ სხვადასხვა ჭეშმარიტებას. გონების ჭეშმარიტება და ღმერთის ჭეშმარიტება არ არის ერთმანეთზე დამოკიდებული, ამდენად აქვთ ერთნაირი უფლება არსებობაზე.

3. ცოდნა და რწმენა შეიძლება იყოს ერთიანობაში, მაგრამ ამ კავშირის არსი სხვადასხვანაირად იქნას გაგებული: „ვიგებ, რათა ვირწმუნო” (პ. აბელიარი) და „მწამს, რათა გავიგო“ (ანსელმ კენტერბერიელი).

ცოდნისა და რწმენის ურთიერთობის პრობლემა ერთმნიშვნელოვნად დღესაც არ არის გადაწყვეტილი და მოელის თავის სპეციალურ მკვლევარებს.

მეცნიერული შემეცნების მეთოდები ზოგადობის ხარისხისა და მოქმედების სფეროს მიხედვით შეიძლება დავყოთ შემდეგ ძირითად ჯგუფებად: ფილოსოფიური, ზოგადმეცნიერული მიდგომა და კვლევის მეთოდი, კერძომეცნიერული, დისციპლინარული და დისციპლინათშორისო კვლევის მეთოდი.

თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო და უფრო მეტად დამახასიათებელი ხდება მეთოდოლოგიური პლურალიზმი – მისწრაფება გამოყენებულ იქნას კვლევის სულ სხვადასხვაგვარი პრინციპები და ხერხები ამათ ერთიანობასა და ურთიერთზემოქმედებაში.

მეცნიერებისა და მეცნიერული შემეცნების როლის ზრდამ თანამედროვე სამყაროში, ამ პროცესის სირთულემ და წინააღმდეგობრივმა ხასიათმა წარმოშვა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია მის შეფასებაში: სციენტიზმი და ანტისციენტიზმი.

ისინი წარმოიშვნენ XX საუკუნის შუახანებში. სციენტიზმის წარმომადგენლები ამტკიცებენ „მეცნიერება ყველაფერზე მაღლა დგას" და ის უნდა დაინერგოს, როგორც აბსოლუტური სოციალური ღირებულება ადამიანური საქმიანობის ყველა სფეროში. ისინი მეცნიერებას აიგივებენ საბუნებისმეტყველო, მათემატიკურ და ტექნიკურ ცოდნასთან. სციენტისტები თვლიან, რომ მხოლოდ ასეთნაირად გაგებულ მეცნიერებას შეუძლია გადაწყვიტოს ყველა საზოგადოებრივი პრობლემა. რაც შეეხება სოციალურ (ჰუმანიტარულ) მეცნიერებებს, მათ თითქოსდა, არა აქვთ შემეცნებითი ღირებულება და ჰუმანისტური არსი.

ანტისციენტიზმი არის ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რომლის მომხრეებიც მკაცრად აკრიტიკებენ მეცნიერებასა და ტექნიკას, რომლებსაც თითქოსდა, არ შეუძლიათ უზრუნველჰყონ სოციალური პროგრესი, ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება. ზოგიერთი ანტისციენტისტი საერთოდ უარყოფს მეცნიერებასა და ტექნიკას, რადგან მათ შეუძლიათ გაანადგურონ კაცობრიობა და მისი კულტურა. ისინი ააბსოლუტებენ მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენების უარყოფით მხარეებს (ეკოლოგიურ სიტუაციის გამწვავება, დამანგრეველი ომები და მისთ.).

შეცდომაა როგორც მეცნიერებისა და ტექნიკის დადებითი მხარეების, ასევე მისი უარყოფითი მხარეების აბსოლუტიზაცია.

§ 6. შემეცნება და მეცნიერება

სინამდვილის შემეცნების უმაღლეს ფორმას მეცნიერება წარმოადგენს.

მეცნიერება ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც კვლევითი მოღვაწეობის სფერო, რომელიც გამიზნულია ბუნების, საზოგადოების და აზროვნების შესახებ ახალი ცოდნის გამოსამუშავებლად და თავის თავში შეიცავს ასეთი ცოდნის შექმნის ყველა პირობასა და მომენტს: მეცნიერებას, მათ ცოდნასა და უნარს, მათ კვალიფიკაციასა და გამოცდილებას, მეცნიერული შრომის დანაწილებასა და კოოპერაციას, სამეცნიერო დაწესებულებებს, საექსპერიმენტო და ლაბორატორიული მოწყობილობას; სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მეთოდებს, ცნებებისა და კატეგორიების აპარატს, სამეცნიერო ინფორმაციის სისტემას, ასევე არსებული ცოდნის მთელ ჯამს, რომელიც ან წანამძღვრის, ან საშუალების, ან მეცნიერული წარმოების შედეგის სახით გვევლინება. ეს შედეგები შეიძლება აგრეთვე წარმოადგენდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას.

არსებობს მეცნიერების სხვანაირი განსაზღვრებაც: მეცნიერება ეს არის ადამიანთა მოღვაწეობის იტსორიულად ჩამოყალიბებული ფორმა, რომელიც მიმართულია ობიექტური სინამდვილის შემეცნებისა და მისი გარდაქმნისაკენ, ისეთი სულიერი ფენომენი, რომლის შედეგსაც წარმოადგენს მიზანდასახულად შერჩეული და სისტემატიზებული ფაქტები, ლოგიკურად შემოწმებული ჰიპოთეზები, განზოგადებული თეორიები, ფუნდამენტალური და კერძო კანონები, ასევე კვლევის მეთოდები. მეცნიერება ეს არის ერთდროულად

ცოდნის სისტემაც, მათი სულიერი ნაწარმიც და პრაქტიკული საქმიანობაც მათ საფუძველზე.

მეცნიერების ძირითადი ამოცანაა სინამდვილის: ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ობიექტური კანონების აღმოჩენა და მათი შესწავლა, ხოლო მისი მიზანი და უმაღლესი ღირებულებაა ობიექტური ჭეშმარიტება. ამიტომაც მეცნიერული შემეცნებისათვის დამახასიათებელია ობიექტურობა, შინაგანი სისტემურობა, პრაქტიკაზე დაყრდნობა, ორიენტაცია წინასწარგანჭვრეტაზე, მკაცრი დასაბუთებულობა, მიღებულ შედეგთა საფუძვლიანობა, მიღებული დასკვნების სისწორე და მისთ.

საზოგადოებაში მეცნიერების, როგორც სოციალური ინსტიტუტის, ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში: ჯერ ერთი, ობიექტური სინამდვილის აღწერა, მეორე, სინამდვილის ძირითადი ნიშნების, საკვლევი ობიექტების რაოდენობრივი და თვისებრივი პარამეტრების, პროცესებისა და მოვლენების გაგება; მესამე, სინამდვილის კანონებისა და კანონზომიერებების ფუნქციონირების დადგენა; მეოთხე, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების მიმართულებისა და ტენდენციების განსაზღვრა; მეხუთე, მეცნიერების მიერ წინა ეტაპებზე დაგროვილი ცოდნის შენახვა და ახლებურად გააზრება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ მეცნიერება არის სინამდვილის თეორიული ასახვა.

თეორიული ცოდნა, რომელშიც პირველ პლანზე წინ იყო წამოწეული მისი ობიექტურობა და ლოგიკური დასაბუთება, პირველად წარმოიშვა ძველ საბერძნეთში. თალესი, პითაგორა, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და სხვები იყვნენ ის სწავლულები, რომლებმაც აზროვნების ისტორიაში ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს აბსტრაქტულ ცნებათა გარკვეული სისტემა. ელინისტურ პერიოდში ნატურფილოსოფიას გამოეყო დამოუკიდებელი თეორიული სისტემები

მათემატიკის (ევკლიდე), მექანიკის (არქიმედე), ასტრონომიის (პტოლომე), მედიცინის (ჰიპოკრატე) და სხვა სფეროებში.

შუა საუკუნეებში მეცნიერების ბაზის შექმნის საკითხში დიდი როლი შეასრულა ალქიმიამ და ასტროლოგიამ, რომლის შედეგად წარმოიშვა ქიმია და ასტრონომია.

მეცნიერების, როგორც სოციალური ინსტიტუტის (მოვლენის) საბოლოო ფორმირება ხდება XVII-XVIIIსაუკუნეების მიჯნაზე, როცა ევროპაში ჩამოყალიბდნენ პირველი სამეცნიერო საზოგადოებები და აკადემიები და დაიწყო სამეცნიერო ჟურნალების სისტემატური გამოცემები.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა მეცნიერების ორგანიზაციის ახალი ფორმები: შეიქმნა მსხვილი სამეცნიერო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, ძლიერი ტექნიკური ბაზით, სამეცნიერო მოღვაწეობა გატაცებიდან გარდაიქმნა პროფესიად. საზოგადოებამ მეცნიერება ჩართო შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში როგორც მისი აუცილებელი შემადგენელი ელემენტი, ხოლო სახელმწიფო ხელისუფლებამ დაიწყო მეცნიერების ფუნქციების გასაზრისება და მეცნიერთა საქმიანობის მოწესრიგება სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ.

ამრიგად, მეცნიერების განვითარებაში განასხვავებენ სამ ძირითად ეტაპს: კლასიკურს, არაკლასიკურს და პოსტარაკლასიკურს ანუ თანამედროვეს. ამ პერიოდიზაციის კრიტერიუმს (საფუძველს) წარმოადგენს შემეცნების ობიექტისა და სუბიექტის თანაფარდობა (წინააღმდეგობა). კლასიკური მეცნიერების ეტაპზე (XVII-XIXსს) ბატონობდა აზროვნების საგნობრივი წესი, მისწრაფება შემეცნებულიყო საგანი თავისთვის, ე.ი. მისი შესწავლის პირობებისაგან დამოუკიდებლად. არაკლასიკური მეცნიერება (XXს I ნახევარი) – ანგარიშს უწევს ობიექტის შესახებ ცოდნის კავშირს სუბიექტის მოქმედების საშუალებათა ხასიათსა და ოპერაციებს შორის. ამ კავშირების ახსნა განიხილება როგორც აუცილებელი პი-

რობა სამყაროს ობიექტურ-ჭეშმარიტ აღწერისა და ახსნისათვის.

პოსტარაკლასიკური ანუ თანამედროვე (XXს-ს II ნახევარი და XXI ს. დამდეგი) მეცნიერება ისაზრისებს ობიექტის შესახებ მიღებულ ცოდნის შეფარდებით ხასიათს არა მხოლოდ სუბიექტის საქმიანობის საშუალებათა და ოპერაციის თავისებურებასთან მიმართებაში, არამედ მის ღირებულებით – მიზნობრივ სტრუქტურასთან მიმართებაშიც.

მეცნიერული განვითარების ისტორია – ეს არის დიფერენციაციისა და ინტეგრაციის დიალექტიკური ერთიანობა. დიფერენციაციის ტენდენცია გაპირობებულია იმით, რომ მეცნიერება ობიექტური სინამდვილის სულ უფრო და უფრო მეტ სფეროებს ითვისებს, რასაც ბუნებრივად თან სდევს მეცნიერულ დისციპლინათა დანაწევრება. ინტეგრაციის პროცესი გაპირობებულია მიღებული ცოდნის სინთეზის აუცილებლობით. მისი რეალიზაცია ხდება საგნობრივი კვლევებიდან დისციპლინათაშორისო პრობლემების ორიენტაციაზე გადასვლის პროცესში.

მეცნიერება, რომელიც ასახავს მრავალფეროვან სამყაროს მის ცვალებადობასა და განვითარებაში, ქმნის ცოდნის ერთიან, ურთიერთდაკავშირებულ, განვითარებად სისტემას მის კანონებზე. ეს სისტემა იყოფა ცოდნის მრავალ დარგად (კერძო მეცნიერებებად), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ სინამდვილის რომელ მხარეს, მატერიის მოძრაობის რომელ ფორმას სწავლობენ. შესასწავლი საგნებისა და შემეცნების მეთოდის გათვალისწინებით შეიძლება გამოვყოთ მეცნიერებანი ბუნებაზე – ბუნებისმცოდნეობა, საზოგადოებაზე – საზოგადოებათმცოდნეობა (ჰუმანიტარული, სოციალური მეცნიერებანი), შემეცნებაზე, აზროვნებაზე (ლოგიკა, გნოსეოლოგია და სხვ.) ცალკეულ ჯგუფს წარმოადგენენ ტექნიკური მეცნიერებანი.

თავის მხრივ მეცნიერების ყოველი ჯგუფი შეიძლება დაიყოს უფრო მცირე ჯგუფად ან ცალკეულ მეცნიერებად.

ბუნებათმეცნიერებაში შედის მექანიკა, ფიზიკა, ქიმია, გეოლოგია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ასტრონომია, მათემატიკა და სხვა. თითოეული მათგანი ასევე შეიძლება დაიყოს უფრო კონკრეტულ მეცნიერულ დარგად.

მეცნიერების კლასიფიკაციის კრიტერიუმი შეიძლება იყოს სხვა მომენტიც. პრაქტიკასთან დამოკიდებულების მიხედვით მას ყოფენ ორ დიდ ტიპად: ფუნდამენტალურ და გამოყენებით მეცნიერებებად. ფუნდამენტალურს უწოდებენ ისეთ მეცნიერებას, რომელიც იკვლევს რეალური სამყაროს ძირითად კანონებსა და პრინციპებს და პირდაპირ ორიენტირებული არ არის პრაქტიკაზე. გამოყენებითია მეცნიერება, რომელიც უშუალოდ გამოიყენება პრაქტიკაში, კონკრეტული საწარმოო და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად. მეცნიერების სხვადასხვა დარგებს შორის საზღვარი ძალზე პირობითი და მოძრავია, რის ცხად მაგალითს წარმოადგენს ფიზიკური ქიმია, ბიოფიზიკა, ასტროფიზიკა, გეოქიმია, ბიოეთიკა და მისთ.

ყოველი სახის მეცნიერება და მეცნიერული დისციპლინა თავისთავში შეიცავს 4 აუცილებელ კომპონენტს მათ ერთიანობაში.

ა) მეცნიერების სუბიექტს, მეცნიერს- მთავარ ელემენტს, ეს შეიძლება იყოს ცალკეული მკვლევარი, სამეცნიერო საზოგადოება, მეცნიერთა კოლექტივი და საბოლოო ანგარიშით – მთელი საზოგადოება.

ბ) ობიექტი (საგანი, საგნობრივი სფერო), ე.ი. ის, რასაც სწავლობს მოცემული მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა;

გ) მეთოდებისა და ხერხების სისტემა, რასაც იყენებს ეს მეცნიერება.

დ) საკუთარი თავისებური ენა – ბუნებრივი თუ ხელოვნური (ნიშანი, სიმბოლო, მათემატიკური ტოლობანი, ქიმიური ფორმულები და ა.შ.).

თანამედროვე მეცნიერებისათვის დამახასიათებელია მათემატიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროცესის სწრაფი ზრდა, თეორეტიზაცია და დიალექტიზაცია-განვითარების იდეის ფართო დანერგვა არა მარტო ისტორიულ, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებშიც, საბუნებისმეტყველო, სოციალურ და ტექნიკური მეცნიერებების მჭიდრო ურთიერთზემოქმედება, კრიტიკის თავისუფლება-მეცნიერების საკამათო და ნაკლებად ცხად საკითხებზე ღიად მსჯელობა, განსხვავებულ აზრთა ურთიერთდაპირისპირება, მონოპოლიზმის დაძლევა მეცნიერებაში.

განყოფილება IV

სოციალური ფილოსოფიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი

§1. ბუნება და საზოგადოება

ცნება „ბუნება“ ფილოსოფიაში იხმარება ორი, ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით, ბუნება – ეს არის მთელი სამყარო, რომელსაც სწავლობს ბუნებისმეცნიერება. ვიწრო გაგებით „ბუნება“ ეს არის სამყაროს ის ნაწილი, რომელშიც იბადება და ცხოვრობს ადამიანი, რომელიც გარს არტყია მას, წარმოადგენს მისი შემეცნების საგანს. ფილოსოფიური თვალსაზრისით ბუნება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ცნებასთან მიმართებაში განიხილება, რამდენადაც ის წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების აუცილებელ პირობას. საზოგადოება კი განიხილება როგორც ბუნებისაგან გამოცალკევებული ნაწილი, ადამიანთა საქმიანობის პირობა და პროდუქტი.

ადამიანთა საზოგადოება - ეს არის ცოცხალი სისტემის განვითარების უმაღლესი საფეხური, რომლის მთავარი ელემენტებია ადამიანები, მათი ერთობლივი საქმიანობის ფორმები, უპირველეს ყოვლისა, შრომა, შრომის პროდუქტები, საკუთრების სხვადასხვა ფორმები, პოლიტიკა და სახელმწიფო, სხვადასხვა ინსტიტუტების ერთობლიობა, სულიერების დახვეწილი სფერო. ადამიანთა საზოგადოებაში იგულისხმება ადამიანთა მთელი ერთობლიობა. არა მარტო ისინი, ვინც ამჟამად ცხოვრობენ, არამედ ისინიც, ვინც ადრე ცხოვრობდნენ ან მომავალში იცხოვრებენ, მთელი თავიანთი ისტორიითა და პერსპექტივით.

ადამიანთა გაერთიანება მთლიან სისტემად, მისი წევრი ადამიანების ნებისა და სურვილებისაგან დამოუკიდებლად ხდება. დაბადების ფაქტი ადამიანს აუცილებლად აქცევს საზოგადოების წევრად. საზოგადოების ცხოვრება არ ამოიწურება მისი წევრი ადამიანების ცხოვრებით. საზოგადოება ქმნის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, რომლებიც არ შეიძლება შეიქმნას ცალკეული ადამიანების მიერ, როგორიცაა: ტექნიკა, დაწესებულებები, ენა, მეცნიერება, ხელოვნება, პოლიტიკა, სამართალი და ა.შ.

საზოგადოება – ეს ერთიანი სოციალური ორგანიზმია, რომლის შინაგანი ორგანიზაცია წარმოადგენს მოცემული წყობისათვის გარკვეულ, დამახასიათებელ, მრავალფეროვან კავშირთა ერთობლიობას, რომელთა საფუძველში, საბოლოო ანგარიშით, ადამიანის შრომაა ჩადებული. ადამიანთა საზოგადოების სტრუქტურას ქმნიან: წარმოება და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული წარმოებითი, ეკონომიკური, სოციალური ურთიერთობები, რომელიც თავის თავში შეიცავს კლასობრივ, ეროვნულ, ოჯახურ, პოლიტიკურ ურთიერთობებს, და ბოლოს, საზოგადოების სულიერ ცხოვრებას.

საზოგადოება – ადამიანთა მოღვაწეობის ერთიანი სისტემაა.

ა) ბუნებისა და საზოგადოების კანონების ერთიანობა და განსხვავება. ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება მუდმივი და ყოველთვის აქტუალური პრობლემაა ფილოსოფიისა და სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის. როგორ დამოკიდებულებაშია ბუნებისა და საზოგადოების კანონები ერთმანეთთან, როგორ მიმართებაშია კაცობრიობა პლანეტის ცოცხალ და არაცოცხალ სფეროებთან, შეუძლიათ თუ არა მათ შემდგომშიაც თანაარსებობა და განვითარება – ეს ამჟამად ყველაზე მწვავე პრობლემებია, რომელიც უშუალოდ ეხება ეკონომიკას, პოლიტიკას, ზნეობას, ხელოვნებას, რელიგიას და ა.შ. ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების პრობლემამ დღეს მიიღო გლობალური, ანუ

საერთოპლანეტარული ხასიათი, რომელიც დიდი ხანია, რაც გამოვიდა სახელმწიფოსა და მატერიკების საზღვრებიდან და წარმოადგენს საერთო-საკაცობრიო პრობლემას, რომლის გადაწყვეტა არ ძალუძს არამც თუ ერთ ქვეყანას, არამედ რამოდენიმე ქვეყენასაც კი ერთად აღებულს, ამისთვის საჭიროა საერთაშორისო ძალისხმევა.

საზოგადოება წარმოიშობა ბუნებისა და ბუნებრივი კანონზომიერების ბაზაზე, მაგრამ ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში სულ უფრო და უფრო განსხვავებული ხდება მისგან. რამდენადაც ბუნება და საზოგადოება ორივე ერთი სინამდვილის ნაწილებია, მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ იმავე დროს დიდია მათ შორის განსხვავებაც. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება მათი არსებობისა და ფუნქციონირების კანონებს.

კანონი არის მოვლენათა შორის არსებული ობიექტური, შედარებით მყარი, გამეორებადი, აუცილებელი, ზოგადი და არსებითი კავშირი. ბუნებისა და საზოგადოების კავშირებს შორის საერთოა ის, რომ ორივე ობიექტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე არსებობს ადამიანთა ცნობიერებისაგან, მათი ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად. ეს კანონები იმითაც ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ ისინი გამოხატავენ აუცილებელ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს საგნებსა და მოვლენებს შორის როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში. ასევე მათთვის საერთოა ზოგადობა, არსებითობა, განმეორებადობა.

მიუხედავად ამ მსგავსებისა, საზოგადოების არსებობისა და განვითარების კანონები არსებითად განსხვავდება ბუნების კანონებისაგან. ეს განსხვავება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება იმაში, რომ ბუნების კანონები ხორციელდება სტიქიურად, თავის თავად, ადამიანთა ჩარევის გარეშეც. ადამიანებს ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლიათ დააჩქარონ ან შეანელონ ამ კანონთა განხორციელების პროცესი, მაგრამ მათი არც მოსპობა და არც გარდაქმნა მათ არ შეუძლიათ. იარსე-

ბებენ ადამიანები საერთოდ, თუ არ იარსებებენ, ეს კანონები მაინც იარსებებენ და მაინც განხორციელდებიან.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე საზოგადოებაში. საზოგადოება მიზნის მქონე ადამიანთა ერთიანი სისტემაა, ადამიანები იბრძვიან ამ მიზნების განხორციელებისათვის, ამ ბრძოლაში ისინი მიზნების ერთობის ან მათი განსხვავების მიხედვით ერთიანდებიან გარკვეულ დიდ, თუ მცირე ჯგუფებად და ცდილობენ საკუთარი მიზნების რეალიზაციას. სწორედ ამ პროცესში ყალიბდება საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალების ის ტოლქმედი, ის არსებითი, აუცილებელი და განმეორებადი კავშირები სოციალურ მოვლენათა შორის, რომელსაც საზოგადოების არსებობისა და განვითარების კანონები ეწოდება. საზოგადოების კანონები ობიექტურია არა იმ თვალსაზრისით, რომ მათ ადამიანის არსებობის გარეშეც შეუძლიათ არსებობა, არამედ იმ აზრით, რომ ეს კანონები ემყარებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ შესაძლებლობებს, მოქმედებენ მათ შესაბამისად, მათ საფუძვლად უდევთ უკვე არსებული ფაქტობრივი – ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი პირობები.

ბუნებისა და საზოგადოების კანონები იმითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ბუნების კანონების განხორციელება ხდება შედარებით წმინდა, შეუფერხებელი სახით, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების კანონების რეალიზაცია მიმდინარეობს სოციალური ძალების ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის პროცესში, რამდენადაც ეს კანონები შეიძლება შეესაბამებოდეს ან ეწინაღმდეგებოდეს სოციალური ძალების ინტერესებსა და მიზნებს.

ბუნებისაგან განსხვავებით, საზოგადოებაში არსებობს თვით ადამიანების მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული გარკვეული წესები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთობებს საზოგადოებრივ ცხოვრების პროცესში. მათ ნორმატიულ კანონებს უწოდებენ და სანქციას აძლევს

სახელმწიფო, მათ მინიჭებული აქვთ ობიექტური მნიშვნელობა და მათი დარღვევა კანონით ისჯება.

საზოგადოების მართვა არ ხდება ისეთივე სრულყოფილად და სიზუსტით, როგორც ეს ხდება ბუნებაში. ადამიანებს აქვთ ნების თავისფლება, ამის გამო მათ შეუძლიათ შეცდნენ და დაარღვიონ საზოგადოების კანონები. მაგალითად, ეკონომიკური კანონების დარღვევით ადამიანებს შეუძლიათ საზოგადოებაში გამოიწვიონ ნგრევა და გაპარტახება. ასევე ისტორიამ იცის არა ერთი პოლიტიკური ავანტიურიზმი, რომელიც აშკარა დაპირისპირებაშია ისტორიის ობიექტურ კანონზომიერებასთან.

ისტორია არასოდეს არ მეორდება, ის მოძრაობს სპირალისებურად და არა წრეში და ამიტომ სპირალის ყოველი ახალი რგოლი თავისთავში შეიცავს რაღაც ახალს, მაგრამ ამ სიახლეთა სიმრავლეში ყოველთვის არის რაღაცა საერთო. სწორედ ეს საერთო არის ის, რასაც კანონზომიერება ეწოდება. კანონზომიერება ისტორიაში გამოხატავს განვითარების ტენდენციას, რომელიც უშვებს გარკვეულ გადახრას მსოფლიო ისტორიის მაგისტრალური გზიდან.

შემთხვევითობა ისტორიაში თამაშობს დიდ როლს, რამდენადაც ადამიანთა საქმიანობას განსაზღვრავს არა მარტო მათი იდეები და ნებისყოფა, არამედ მისწრაფებები და მიკერძოებითი დამოკიდებულება. შემთხვევითობა ისტორიაში ატარებს ორგვარ ხასიათს: ერთ შემთხვევაში ის არის ისტორიული აუცილებლობის მეტნაკლებად ადექვატური ფორმა და გამოავლენს გარკვეულ კანონზომიერებას. მეორე მიმართებაში შემთხვევითობა შეიძლება სავსებით უცხო იყოს ისტორიული პროცესისათვის, რომელიც იჭრება მასში გარედან და შეაქვს სერიოზული და ზოგჯერ საბედისწერო კორექტივები.

საზოგადოება თავის განვითარებაში გადის თვისებრივად გარკვეულ ეტაპებს. თითოეულ მათგანში მოქმედებს როგორც საერთო კანონები, რომლებიც გამოხატავენ განმე-

ორებადსა და მყარს ისტორიაში, ასევე მოქმედებენ სპეციფიკური კანონები, რომლებიც ვლინდებიან განსაზღვრულ ისტორიულ დროსა და სივრცეში. საერთო და განსაკუთრებული კანონები ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ისინი შესწავლილი უნდა იქნენ ერთიანობაში.

§ 2. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები სოციალურ-ისტორიულ პროცესში

საზოგადოება მისი წევრ ადამიანთა სხვადასხვა თაობების გარკვეული ერთიანობაა. ეს თაობები სამოღვაწეო ასპარეზზე სხვადასხვა დროს გამოდიან. მაგრამ თითოეული თაობა ისტორიას თავიდან როდი იწყებს, მათი მოღვაწეობა ისტორიული პროცესების ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, რომელიც მკვრივად არის დაკავშირებული წინა თაობების საქმიანობის რგოლებთან, რაც განაპირობებს კაცობრიობის ისტორიის უწყვეტ პროცესს. ყოველ თაობას, რომელიც ისტორიის ასპარეზზე გამოდის, თავისი მოღვაწეობის დაწყება უხდება გარკვეულ ისტორიულ გარემოსა და პირობებში. ესაა შრომის იარაღები და საშუალებები, საზოგადოებრივი წარმოების გამოცდილება, გარკვეული ტრადიციები, წესები და ჩვეულებები, რწმენა, საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებული სისტემა, ესა თუ ის სოციალური ინსტიტუტები, ხელისუფლების ფორმები და ა.შ., ე.ი. წარმოებისა და წარმოებით ურთიერთობათა გარკვეული დონე.

ყოველივე ზემოთაღნიშნული არის ისტორიის ობიექტური ფაქტორი – ეს არის უპირველეს ყოვლისა შრომა, წარმოება და საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმები, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ წინათაობების ადამიანთა საქმიანობის კრისტალიზაციას.

ყოველი ახალი თაობა უბრალოდ კი არ იმეორებს წინა თაობათა საქმიანობას, არამედ ახდენს თავისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების რეალიზაციას, ახორციელებს თა-

ვის საკუთარ ინტერესებს. ადამიანთა მრავალფეროვანი საქმიანობა, მათი ცოცხალი შრომა არის ის, რაც წარმოადგენს ისტორიის სუბიექტური ფაქტორის არსს. სუბიექტური ფაქტორი ავლენს ისტორიის სუბიექტის – პიროვნების, სოციალური ჯგუფებისა და ხალხთა მასების საქმიანობას. ადამიანთა შრომა, ცოდნა, უნარი, ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალები არის ყოველგვარი სიმდიდრისა და ისტორიის მოძრაობის ერთადერთი წყარო.

ისტორიის სუბიექტური ფაქტორი ძლიერ უკუგავლენას ახდენს ისტორიის ობიექტურ ფაქტორზე. მას შეუძლია დააჩქაროს ან შეანელოს ისტორიის განვითარების პროცესი. სუბიექტური ფაქტორი ძალზე დინამიურია, მოძრავია, ზოგჯერ მერყევი, რაც უშუალოდ აისახება ისტორიულ მოვლენათა მსვლელობაში. კაცობრიობის ისტორიის განვითარებაში სულ უფრო მეტად იზრდება სუბიექტური ფაქტორის როლი. ეს არის საყოველთაო ისტორიული კანონზომიერება. მის განხორციელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის სუბიექტების მიერ საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებას.

ისტორიის კანონზომიერი ხასიათი სრულებითაც არ ნიშნავს მის ფატალისტურ ხასიათს, რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა აქტიური – პრაქტიკული გარდამქმნელი საქმიანობა, რომელიც წესრიგდება მათი მოთხოვნილებებით, შეგნებით, ნებისყოფით და ა.შ. ის თავისთავში შეიცავს და წარმოშობს მრავალ, განსხვავებულ შესაძლებლობებს. სოციალური დეტერმინიზმი კი არ უარყოფს ადამიანის ნების თავისუფლებას, არამედ პირიქით, ის გულისხმობს საქმიანობის მოტივებისა და მიზნების თავისუფლად არჩევას. სოციალური დეტერმინიზმი შეუთავსებელია სუბიექტივიზმთან და ვოლუნტარიზმთან.

ვოლუნტარიზმი სოციალურ ფილოსოფიაში ნიშნავს ისტორიის ობიექტურ შემეცნებაზე დამყარებულ, მეცნიერულად დასაბუთებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის უარ-

ყოფას და მის დაყვანას პოლიტიკური ბელადების სუბიექ-ტურ თვითნებობაზე. სხვადასხვა პირობებში პოლიტიკური ვოლუნტარიზმი განსხვავებულ ფორმებს ღებულობს, ერთის მხრივ, ანარქისტული ავანტიურიზმის, ხოლო მეორე მხრივ, ფაშისტური აგრესიის ფორმას.

ბ) სტიქიურობა და შეგნებულობა ისტორიაში. თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები მოქმედებენ, რო-გორც წესი, შეგნებულად, ისახავენ რა გარკვეულ მიზნებს და აცნობიერებენ ასე თუ ისე საკუთარი მოქმედების შედე-გებს. მაგრამ საზოგადოების წევრ ადამიანთა მოქმედების შედეგი მათ ერთობლიობაში შეიძლება იყოს ისეთი, რომელ-ზედაც საერთოდ არავინ ფიქრობდა. საქმე შეიძლება კეთდე-ბოდეს შეგნებულად, მაგრამ მისი ყველა შედეგი, განსაკუთ-რებით შორეული, შეიძლება არ ემთხვეოდეს წინასწარდასა-ხულს. ამას კარგად ხედავდნენ დიდი ინგლისელი ეკონომის-ტი ადამ სმიტი და ასევე დიდი გერმანელი ფილოსოფოსი გე-ორგ ჰეგელი. ადამიანები, რომლებიც ცდილობენ დაიკმაყო-ფილონ თავიანთი მოთხოვნილებები და ინტერესები, იმავე დროს შეუგნებლად ქმნიან ისეთ რამეს, რომელიც მათ მი-ზანდასახულობაში საერთოდ არ შედიოდა. ჰეგელის თქმით ეს არის „ისტორიის გონის ეშმაკობა“, რაც მისივე აზრით იმაში მდგომარეობს, რომ აბსოლუტური მსოფლიო სული ადამიანების მეშვეობით ახორციელებს თავის მიზნებს. ადა-მიანები მის ხელში თოჯინებია, მაგრამ მათ ამის შესახებ არაფერი არ იციან და ჰგონიათ, რომ ისინი მოქმედებენ მხო-ლოდ თავიანთი ნებასურვილით.

ცალკეულ ადამიანთა ქმედებაში ხორციელდება ისტორი-ის კანონზომიერება. ისტორიაში სტიქიურობა ვლინდება ყველაზე მეტად პროტესტის, სიძულვილის, რწმენის დაკარ-გვის, უიმედობის ფორმებში.

ისტორიაში შეგნებულ ქმედებად ითვლება ისეთი ქმედე-ბა, რომელიც ეფუძნება ინდივიდუალური მიზნებისა და მეო-რე მხრივ, სოციალური ჯგუფების ან მთელი საზოგადოების

ინტერესების შესაბამისობას. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივი კანონების შემეცნების, საქმიანობის მიზნებისა და საშუალებების ამ კანონებთან ურთიერთშეთანადების საფუძველზე.

რა გინდ მაღალი შეგნებულობა არ უნდა არსებობდეს საზოგადოებაში, სტიქიურობის მომენტი ისტორიაში ყოველთვის იქნება, და ეს ხდება იმდენად, რამდენადაც ცხოვრება ძალზე რთულია და მოვლენათა განვითარების უამრავი ვარიანტი ანუ შესაძლებლობა არსებობს. სტიქიურობისა და შეგნებულობის კატეგორიების დიალექტიკის ცოდნას არამარტო დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ ასევე დიდი პრაქტიკული ღირებულებაც.

§ 3. საზოგადოების თვითგანვითარების წყაროები

ეს წყაროები შეიძლება განვიხილოთ როგორც რეალობის სამი სფეროს ურთიერთზემოქმედება. პირველი სფეროა ბუნება, ნივთიერი სამყარო, რომელიც არსებობს ადამიანის ნებისა და ცნობიერების გარეშე, ობიექტურია და ექვემდებარება ფიზიკურ კანონებს. მეორე სფეროა საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანთა მოქმედების, უპირველეს ყოვლისა, შრომის პროდუქტს. მესამე სფერო – ესაა ადამიანთა სულიერი სამყარო, მათი იდეები, რომლებიც შედარებით დამოუკიდებელნი არიან გარე სამყაროსაგან და ხასიათდებიან თავისუფლებით.

მაშასადამე, საზოგადოების თვითგანვითარების პირველი წყარო იმყოფება საზოგადოების არსებობის ბუნებრივ პირობებში, საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედებაში. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შ. მონტესკიე საზოგადოების პოლიტიკურ წყობას პირდაპირ აკავშირებდა ქვეყნის კლიმატთან და ნიადაგის ნაყოფიერებასთან, ხოლო ტ. მალთუსი XIX საუკუნეში თვლიდა, რომ მოსახლეობის დიდი

მისწრაფება გამრავლებისადმი წარმოადგენდა მათი სოციალური უბედურების ძირითად მიზეზს.

ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთზემოქმედების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება ეკოლოგიური კრიზისის ცნებით, რომლის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ადამიანთა მისწრაფება დაემორჩილებინათ ბუნება, გაბატონებულიყვნენ მის პროცესებზე, რამაც გამოიწვია პლენტის ბიოსფეროს და ადამიანის საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებები. აუცილებელია მილიარდობით ადამიანთა შეგნებული და მიზანშეწონილი ურთიერთობის დამყარება ბუნებასთან, რომ საზოგადოების თვითგანვითარების ამ წყარომ შემდეგშიაც იფუნქციონიროს.

საზოგადოების თვითგანვითარების მეორე წყარო დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების ტექნოლოგიურ დეტერმინანტებთან, ტექნიკის როლთან და შრომის დანაწილებასთან საზოგადოებრივ წყობილებაში. ადამიანთა შრომის ხასიათი და ტიპი დიდად განსაზღვრავენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას. ეს ცხადი გახდა განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში, როდესაც გამოიკვეთა პოსტინდუსტრიალური, ინფორმაციულ-ტექნიკური საზოგადოების კონტურები. ძირითადი დაპირისპირება ამ შემთხვევაში წარმოიშობა ადამიანთა არსებობის ჰუმანურ მიზნებსა და „უსულგულო“ ინფორმაციულ ტექნიკის სამყაროს შორის, რომელიც კაცობრიობისათვის პოტენციური საფრთხის შემცველია.

საზოგადოების თვითგანვითარების მესამე წყაროს წარმოადგენს სულიერი სფერო, ამა თუ იმ რელიგიური თუ საერთო იდეალის რეალიზაციის პროცესი. თეოკრატიის იდეა ანუ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვა უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტების მიერ ძალზე პოპულარული იყო ისტორიაში და დღემდე ასეთად რჩება რელიგიურ ფუნდამენტალიზმში. საზოგადოების ისტორია ამ შემთხვევაში განიხი-

ლება როგორც ღვთის ნების რეალიზაცია, ხოლო ადამიანის ამოცანად – მისი განხორციელება.

ა. ტოინბისა და პ. სოროკინის ისტორიულ კონცეფციებში საზოგადოების განვითარების დეტერმინაციაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მორალურ-რელიგიურ, სულიერ სრულყოფას.

მარქსისტული ფილოსოფიის მტკიცებით საზოგადოების თვითგანვითარების უმთავრესი წყარო არის საზოგადოების მატერიალური დოვლათის წარმოების წესი; წარმოება შეადგენს საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობას, რომელშიც საწარმოო ძალთა განვთიარება წინ უსწრებს და განსაზღვრავს წარმოებით ურთიერთობათა ძველი ფორმების შეცვლას ახლით, რაც განსაზღვრავს საზოგადოების აღმავალ განვითარებას. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მოცემული საზოგადოების განვითარების პროცესის განხილვისას გათვალისწინებული უნდა იქნას არა ერთი ან რამდენიმე, არამედ ყველა წყარო, ხოლო მათი პრიორიტეტი დგინდება ამ საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ეტაპთან მიმართებაში. ამ წყაროების ურთიერთზემოქმედება შინაგანად წინააღმდეგობრივია და ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის პროცესი გარკვეული რითმული ხასიათისაა. აღმოსავლეთის ქვეყნებში წარმოიშვა იდეა იმის შესახებ, რომ „მთვარის ქვეშ ახალი არაფერია“, რომ ყველაფერი მეორდება წლების გარკვეულ მონაკვეთში. 4,12,36,100 და 144 წლიან ციკლებში.

XX საუკუნის ბოლოს წამოყენებულ იქნა იდეა „ისტორიის დასასრულის“ შესახებ, რომელშიც იგულისხმება ისტორიის არენიდან ძლიერ იდეოლოგიისა და მასზე დაფუძნებული სახელმწიფოთა გასვლა. (იაპონელი ფილოსოფოსი ფ. ფუკუიამა). სხვა მკვლევარების აზრით მსოფლიო ისტორია ამჟამად იმყოფება ისეთ წერტილში, სადაც წესრიგისა და ქაოსის მიმართება იცვლება და იქმნება ისეთი სიტუაცია, რომლის განჭვრეტა წინასწარ შეუძლებელია. სხვა თეორიის წარმო-

მადგენელთა მტკიცებით (ი. პრიგოჟინი) საზოგადოების თვითორგანიზაციაში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება შემთხვევითობის ფაქტორს.

§ 4. საზოგადოებრივი ცვლილებების მიმართულება-პროგრესი და რეგრესი

ფილოსოფიის ისტორიაში მუდმივი კამათის საგანს წარმოადგენდა საკითხი იმის შესახებ, თუ საით მიიმართება საზოგადოების ისტორია, აღმავალი პროცესია იგი, თუ დაღმავალი, ან კიდევ – ერთი და იმავე წრეში ტრიალი. პროგრესი და რეგრესი განიხილებოდა როგორც პოლარულად დაპირისპირებული ცნებები. რიგი მოაზროვნეები (ჟ. კონდორსე, კ. ა. სენ-სიმონი, ჰ. სპენსერი და სხვ.) დარმწუნებულები იყვნენ საზოგადოებრივი პროგრესის არსებობაში და მის კრიტერიუმად (საზომად) მიიჩნევდნენ გონებისა და მეცნიერების განვითარებას, ზნეობის დახვეწასა და გაუმჯობესებას. სხვები (ნ.კ. მიხაილოვსკი, პ.ლ. ლავროვი) აქცენტს აკეთებდნენ პროგრესის სულიერ მხარეზე, რომელსაც უკავშირებდნენ ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის იდეალების დამკვიდრებას ცხოვრებაში. იყვნენ ისეთი მოაზროვნეებიც, რომლებიც საზოგადოებრივი პროგრესის იდეას საერთოდ უარყოფდნენ (ფ. ნიცშე, ფ. ფრანკი). ბევრი ფილოსოფოსი პროგრესს უკავშირებდა ძირითადად საზოგადოებრივი განვითარების სულიერ ფაქტორებს, რწმენის სიმტკიცეს ადამიანებში, მათი ურთიერთობების ჰუმანიზაციას, ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების პოზიციების განმტკიცებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შესაბამისად, რეგრესი გაგებული იყო როგორც მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით, როგორც ბოროტებისა და უსამართლობის ზეიმი, ადამიანთა ურთიერთდაშორიშორება და მათი დაქვემდებარება რომელიღაც გარეშე ძალებისადმი.

ძველი ეპოქის მოაზროვნეების მიერ საზოგადოების განვითარება – გაგებული იყო როგორც საზოგადოებრივი მოვლენების უბრალო თანმიმდევრულობა დროში ან კიდევ როგორც დეგრადაცია წარსულ „ოქროს საუკუნესთან“ შედარებით. ჰეგელთან პროგრესის ცნება გაგებულია როგორც მსოფლიო სულის მიერ თვითშემეცნების პროცესის აღმასვლა. მარქსისტულ ფილოსოფიას საზოგადოებრივი პროგრესი ესმოდა როგორც საწარმოო ძალების განუხრელი ზრდა, შრომის ნაყოფიერების მატება, ადამიანთა განთავისუფლება საზოგადოებრივი განვითარების სტიქიური ძალების მონობისგან და ადამიანის მიერ ადამიანთა ექსპლოატაციისგან.

XX საუკუნის ბოლოს, თანამედროვე კულტურისა და ცივილიზაციის კრიზისის, საკაცობრიო მნიშვნელობის გლობალური პრობლემების წარმოშობამ და მთელ სამყაროში არასტაბილურობის ზრდამ შეცვალა სწავლულთა წარმოდგენები საზოგადოებრივი პროგრესის კრიტერიუმზე. კ. იასპერსის აზრით მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების პროგრესს არ მივყევართ თვით ადამიანთა პროგრესამდე და „ყველაფერი ღირებული იღუპება, უმნიშვნელო, არაღირებული კი განაგრძობს არსებობას“. კაცობრიობამ ვერ შესძლო ისეთი „ადამიანის შექმნა“ ან ადამიანთა ისეთი ჯიშის გამოყვანა, რომელსაც შეეძლება წარმატებით პროგრესირება „ახალ“ საზოგადოებაში (ჟ. პ. სარტრი).

პროგრესის ცნება საზოგადოებასა და ისტორიაში სულ უფრო და უფრო მეტად უკავშირდება ადამიანთა სხეულებრივ და სულიერ განვითარების პროცესს. საზოგადოებისა და ადამიანთა პროგრესული განვითარების კრიტერიუმად ბევრი მეცნიერი მიიჩნევს ადამიანთა სიცოცხლის საშუალო მაჩვენებლის გახანგრძლივებას, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, ცხოვრების პირობებით კმაყოფილებას და ა.შ.

არც ერთი სახის პროგრესი (საზოგადოების ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სფეროში) არ შეიძლება განვიხილოთ როგორ პრიორიტეტული, თუ ის არ ეხება თითოეული ადამიანის ცხოვრებას ამ ქვეყნად. მეორეს მხრივ, მკვეთრად იზრდება თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობის წილი იმაში, რაც საერთოდ ხდება საზოგადოებაში, ისტორიის მოძრაობის სასურველი მიმართულებით წარმართვაში. ცხადია, რომ ეს დაკავშირებულია სიცოცხლის საზრისისა და ისტორიის საზრისის გაგებასთან. ისტორიის პრობლემისადმი მიდგომა შეიძლება იყოს ორნაირი. პირველის მიხედვით ადამიანის ცნების განსაზღვრება ხდება საზოგადოების ზოგადი მახასიათებლების საფუძველზე, ადამიანის არსება გაგებულია, როგორც „მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა“ (კ. მარქსი). ამ შემთხვევაში ისტორიის მსვლელობა და მისი საზრისი გაგებულია როგორც მოძრაობა კანონზომიერი მომავლისაკენ, სადაც „თითოეულის თავისუფალი განვითარება საფუძველი იქნება ყველას თავისუფალი განვითარებისათვის.“ ადამიანის სიცოცხლის საზრისი დაყვანილია შრომამდე ამ ნათელი მომავლის შესაქმნელად და მის მოწინააღმდეგეებთან ბრძოლამდე. მეორე მიდგომა, პირიქით, ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების საზრისი გამოიყვანოს ცალკეული ადამიანის სიცოცხლის საზრისიდან, მისი თვისებებიდან და ნიშნებიდან.

ადამიანი და მისი დღევანდელი ისტორია საზოგადოების ნამდვილი და ერთადერთი მიზანია, რომელიც საზრისს აძლევს ჩვენს არსებობას და, საბოლოო აზრით, განსაზღვრავს პროგრესის ცნებას.

§ 5. სოციალური დეტერმინიზმი და თავისუფლება

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, როგორც ბუნებაში, ასევე საზოგადოებაში არსებობს და მოქმედებს ობიექტური

კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ბუნებისა და საზოგადოების საგანთა და მოვლენათა არსებობას, მათ ცვალებადობასა და განვითარებას.

საზოგადოებრივი ანუ სოციალური დეტერმინიზმი ხასიათდება არაერთი სპეციფიკური ნიშნით. ერთ-ერთი ასეთი ნიშანი ისაა, რომ სოციალური დეტერმინიზმი ადამიანს განიხილავს არა როგორც პასიურ არსებას, რომელიც ბრმად ემონება ისტორიულ წინასწარგანსაზღვრულობას, არამედ როგორც აქტიურ სუბიექტს თავის ისტორიულ ქმედებებში.

სოციალური დეტერმინიზმის მთავარი ნიშან-თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მის ობიექტს წარმოადგენს ადამიანთა მოქმედება, ადამიანებისა, რომლებიც იმავე დროს გამოდიან ისტორიის სუბიექტებად. სოციალური კანონები – ეს ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის კანონებია, რომლებიც ხორციელდებიან არა ადამიანთა გარეშე, რომლებიც საზოგადოებას ქმნიან, არამედ მათი საკუთარი მოქმედების პროცესში.

ეს საქმიანობა, რასაკვირველია, გაპირობებულია მდგომარეობით, რომელშიაც ადამიანები იმყოფებიან, მაგრამ იმავე დროს ადამიანები ცვლიან ამ გარემოებებს. მდგომარეობა იმ ზომითაა ადამიანთა საქმიანობის პროდუქტი, რა ზომითაც ადამიანი არის მდგომარეობის პროდუქტი.

მოქმედებათა ობიექტური გაპირობებულობა გამომდინარეობს უწინარესად იმ ფაქტიდან, რომ ადამიანებს ყოველთვის უხდებათ ცხოვრების დაწყება მათი წინა თაობის მიერ შექმნილ პირობებში, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მათ ნებასურვილზე. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ ეს ადამიანები თავიანთ შემოქმედებაში ქმნიან და გარდაქმნიან ამ პირობებს.

დეტერმინიზმი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოსდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა აუცილებელი კანონზომიერი ცვალებადობა მიმდინარეობს ადამიანთა ნება-სურვილის მიღმა. მსგავსი გაუგებრობა წარმოიშვება მა-

შინ, როდესაც მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვიდან გამორიცხავენ ადამიანს, როგორც სოციალური ქმედებების სუბიექტს. ასეთ შემთხვევაში ადამიანი წარმოდგენილია როგორც კანონზომიერი მოვლენების მიღმა მდგომი მაშინ, როდესაც სინამდვილეში მისი მოქმედება ქმნის კანონზომიერების აუცილებელ რგოლს. ცდება ფილოსოფოსი კ. პოპერი, რომელიც ამტკიცებს, რომ „მომავალი დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენზე. მაგრამ ჩვენ არა ვართ დამოკიდებული არავითარ ისტორიული აუცილებლობაზე.“

თეზისი იმის შესახებ, რომ მომავალი დამოკიდებულია ჩვენზე, სრულებითაც არ ცვლის იმ ვითარებას, რომ ჩვენ თვითონ ვართ დამოკიდებულნი ობიექტურ პირობებზე, რომლებშიც გავიზარდენით და ჩამოვყალიბდით, რომლებმაც ჩვენზე გარკვეული კვალი დატოვეს. არჩევანს თუ როგორ მოიქცნენ, ადამიანები თვითონ აკეთებენ იმის გავლენით, თუ როგორ ესმით არსებული პირობები, გარემოებანი და რისკენ მიისწრაფვიან. ამასთანავე გარემოებანი არა მარტო განსაზღვრავენ შესაძლებლობებს, რომლებშიაც მათ უნდა განახორციელონ თავიანთი მიზნები, არამედ განსაზღვრავენ მათ მისწრაფებებსაც.

ადამიანთა მოღვაწეობის უპირველეს საფუძველს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს საზოგადოების საწარმო ძალები, რომელთა განვითარების დონე განსაზღვრავს იმას, თუ რა ზომით შეუძლიათ ადამიანებს იმოქმედონ ბუნებასა და საზოგადოებაზე. ადამიანები ისტორიას ქმნიან არსებული პირობების საფუძველზე, ისინი გარდაქმნიან ამ პირობებს, მაგრამ მათი მოღვაწეობა, აქტიურობა გაპირობებულია არსებული რეალობით. საზოგადოებიდან „ამოხტომა“, მის ზემოთ დადგომა და საკუთარი სურვილით ამ საზოგადოების მართვა ადამიანებს არ ძალუძთ. საზოგადოების განვითარებისა და გარდაქმნის პროცესი არის სწორედ ადრე არსებული მდგომარეობით განსაზღვრული საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების გამოხატულება.

მაგრამ ადამიანებს იმავე დროს გააჩნიათ საკუთარი ნება, ემოციები, იდეები, პირადი და საზოგადოებრივი მისწრაფებები და ინტერესები და მათ არ შეიძლება არ სურდეთ მათი რეალიზაცია. მაგრამ რამდენადაც ეს განზრახვები სხვადასხვა ინდივიდებს და ჯგუფებს, წოდებებს, კლასებს, პარტიებს და სახელმწიფოებს, ხალხებს სხვადასხვანაირი აქვთ, ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან, ამდენად მათი ძალისხმევა ამ განზრახვათა განსახორციელებლად ვერ იქნება ერთ მხარეს მიმართული და მათი გაერთიანება იშვიათად თუ ხერხდება. კლასობრივ საზოგადოებაში მიიღწევა არა ის შედეგი, რომელსაც ისინი ესწრაფვოდნენ, არამედ რაღაცა მათი საშუალო ან საპირისპიროც კი. ასეთნაირად გამოხატული ისტორიული კანონზომიერება ნამდვილად იმყოფება ადამიანთა „მიღმა“ და მათზე „მაღლა“, იმ აზრით, რომ ის არის არა რომელიმე ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის, ან მთავრობის შეგნებული მოქმედების შედეგი, არამედ იმ მიზნებისაგან დიდად განსხვავებული რამ, რომელსაც ისინი ესწრაფვოდნენ და მათ უწევთ ამ შედეგს ანგარიში გაუწიონ და გაითვალისწინონ ის. მაგრამ ისტორიული პროცესის ეს კანონზომიერება არ არის ბუნების კანონების ერთმნიშვნელოვანი. ისტორიის კანონებიც და ბუნების კანონებიც ობიექტურია, მაგრამ ბუნების კანონები ადამიანის ცნობიერებისა და ნებისგან დამოუკიდებლად არსებულია, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერება ყალიბდება თვით ადამიანების მიერ, ყალიბდება მათი მოღვაწეობის შედეგად.

სოციალურ დეტერმინიზმთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ადამიანთა აქტიურობის თავისუფლების პრობლემა. არ არსებობს აუცილებლობა „საერთოდ“ ისე, როგორც არ არსებობს თავისუფლება „საერთოდ“. თავისუფლებისა და აუცილებლობის ურთიერთობის შესახებ საკითხის უნივერსალური გადაწყვეტა უსაგნოა ისტორიკოსებისათვის. ადამიანთა საქმიანობა – მოღვაწეობის დეტერმინაცია და

თავისუფლება – კონკრეტული მოვლენებია, რომელთა ნამდვილი შინაარსი ისტორიულად ცვალებადია. ადამიანთა თავისუფლების განხორციელების ხარისხი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოცემული სოციალური სისტემისა და სტრუქტურის პირობებში, მაგრამ არა როგორც მუდმივი აბსტრაქტული კატეგორია. თეზისი „თავისუფლება არის შეცნობილი აუცილებლობა“ არ შეიძლება გაგებულ იქნას ფატალისტურად, ვულგარულად, ადამიანის თავისუფლების დაკნინების თვალსაზრისით, რამდენადაც მსგავსი გაგება ნიშნავს უპასუხისმგებლობის გამართლებას. ყველა ისტორიული სიტუაცია, რომელიც უწყვეტად წარმოიშვება და მოითხოვს ინდივიდუმისა და ჯგუფებისაგან გარკვეულ გადაწყვეტას, ხორციელდება ადამიანთა თავისუფლების მეშვეობით და მასში რეალიზდება. ადამიანები, რომლებმაც გაიგეს, შეიმეცნეს ისტორიისა და ბუნების კანონები, შეგნებულად იყენებენ მათ, ხელს უწყობენ მათ განხორციელებას. ისინი მიჰყვებიან თავიანთ მიზნებს და ამით ისინი არა მარტო ემსახურებიან კანონებს, არამედ აიძულებენ კანონებს ემსახურონ მათ. სწორედ ამაში მდგომარეობს თავისუფლების არსება.

§ 6. პიროვნებათა ინტერესები და მათი სოციალური აქტიურობა

ადამიანისათვის სინამდვილე, როგორც ცნობილია, მოთხოვნილებებით იწყება. მოთხოვნილებები მრავალფეროვანია. მათ ორ სახედ ყოფენ: ბიოფიზიოლოგიურ ანუ მატერიალურ და სოციალურ მოთხოვნილებებად. მოთხოვნილებათა უამრავი განსაზღვრებაა ცნობილი როგორც ფსიქოლოგიაში, ასევე ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში. კერძოდ, სოციალურ ფილოსოფიაში მოთხოვნილება განმარტებულია შემდეგნაირად: „მოთხოვნილება გულისხმობს ინდივიდის საჭიროებას იმაზე, რაც აუცილებელია ორგანიზმის ცხოველუნარიანობის შესანარჩუნებლად და მისი პიროვნების განვითა-

რებისათვის“. სოციალური მოთხოვნილება – ეს არის საზოგადოებისა და პიროვნების ცხოვრების რეალური მომენტი, რომელიც წარმოადგენს ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობას და გამოდის როგორც ინდივიდუალური და საზოგადოებრივი (ჯგუფური) ცნობიერების სპეციფიკური ფორმა. ადამიანთა მოთხოვნილებებს აქვთ სოციალურად გაპირობებული ბუნება, რომელიც წარმოადგენს მისი, როგორც სოციოლოგიური მოვლენის საფუძველს.

მოთხოვნილება როგორც სუბიექტის გარკვეული მიმართება მოთხოვნილების საგნისადმი, აისახება მის ცნობიერებაში ინტერესის სახით. ინტერესი – ეს არის ობიექტურად არსებული მოთხოვნილებების სუბიექტური გამოხატულება, მისი სახე. ინტერესის შინაარსი მოთხოვნილების შინაარსის ადექვატურია.

სოციალური ფილოსოფიის თვალსაზრისით, ინტერესი შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად: ინტერესი არის სუბიექტის გაცნობიერებული მიმართება სოციალურად განსაზღვრული საკუთარი არსებობის პირობებისადმი, მიმართება, რომლის მიზანია ამ პირობების შენარჩუნება ან დაუფლება, სინამდვილის გარდაქმნა საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად. ინტერესის არსებითი ნიშანია მისი მიმართულობა ამა თუ იმ ობიექტისადმი.

ადამიანები, როგორც წესი, მოქმედებენ გაცნობიერებული ინტერესების მიხედვით. საკუთარი ინტერესების გაგება მათ შესაძლებლობას აძლევს თავიანთი მოქმედება წარმართონ ამ ინტერესების განსახორციელებლად. სოციალური ინტერესი ახდენს პიროვნების მობილიზაციას მიზანდასახული მოქმედებისათვის, ე.ი. გარკვეული მიზნის მისაღწევად. ამის გამო ინტერესსა და მიზანს შორის კავშირი ძალიან მჭიდროა, რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს აძლევს, რომ ისინი ერთმანეთთან გააიგივოს. მაგრამ ეს შეცდომაა. მისი თავიდან აცილების მიზნით საჭიროა აღინიშნოს ინტერესისა და მიზნის დიალექტიკის ძირითადი მომენტები.

ინტერესები იმიტომ თამაშობენ აქტიურ როლს ისტორიულ განვითარებაში, რომ მათი ფესვები ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობებშია, წარმოადგენენ საზოგადოების განვითარების ობიექტური ტენდენციების სუბიექტურ გამოხატულებას. ინტერესების ბუნების ასეთნაირ გაგებაში ჩადებულია მათი ფუნქციების მეცნიერული ახსნის შესაძლებლობა. რამდენადაც სუბიექტს ობიექტურად აქვს გარკვეული თავისი ადგილი წარმოებით ურთიერთობებში, ამდენად, როგორც შედეგი, აქვს ის ინტერესებიც, რომლებიც გამოხატავენ მის მიმართებას საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებისა და ტენდენციებისადმი. და ყოველი სოციალური სუბიექტი, იქნება ის ინდივიდი, კლასი თუ მთელი საზოგადოება, თავისი ინტერესების შესაბამისად აქტიურად მონაწილეობს ისტორიული პროცესების დეტერმინაციაში. როცა მწიფდება ობიექტური პირობები ამა თუ იმ შესაძლებლობათა რეალიზაციისათვის, გადამწყვეტი როლი ამ მისიის განხორციელებაში ეკუთვნის ინტერესს და მის შესაბამის მოქმედებას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესაძლებლობის სინამდვილედ გადაქცევა ხორციელდება მხოლოდ როგორც გარკვეული სოციალური სუბიექტის ინტერესების რეალიზაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიული შესაძლებლობა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის იღებს ამა თუ იმ სოციალური სუბიექტის ინტერესის ფორმას. ეს ნიშნავს, რომ ადამიანთა ინტერესები წარმოადგენენ ობიექტური ისტორიული პროცესის ჯაჭვის შემადგენელ ერთ-ერთ რგოლს, რომელსაც თუ ამოვაგდებთ ამ ჯაჭვიდან, იგი გაწყდება.

საზოგადოებრივი ადამიანის მოქმედების ობიექტური კანონზომიერებით დეტერმინირებულობა, ყოველთვის გაშუალებულია მისი ინტერესებით. საზოგადოებაში არსებული ობიექტური შესაძლებლობებიდან თუ რომელი იქნება რეალიზებული, ამას განაპირობებს ინტერესი, ე.ი. სუბიექტის ინტერესები მოქმედებენ ისტორიულ განვითარების მიმართულებასა და პროცესზე.

ინტერესისადმი მოქმედების დაქვემდებარება არ ნიშნავს ადამიანთა აქტიურობის დაპირისპირებას ობიექტური კანონებისადმი. ადამიანი ერევა რა თავისი ინტერესების შესაბამისად ობიექტურ მიზეზ-შედეგობრივ კავშირში, მოქმედებს როგორც განვითარების პროცესის მიმართულების მიმცემი, ძალა და ფაქტორი. ამრიგად, რომელი ისტორიული შესაძლებლობა იქცევა სინამდვილედ, ხოლო რომელი გავა სცენიდან, ეს დამოკიდებულია ადამიანთა ინტერესებზე და მათ ბრძოლაზე ამ ინტერესთა განხორციელებისათვის. ინტერესთა როლი იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი სწორად და სრულად გამოხატავენ ობიექტურ შესაძლებლობებს.

ადამიანთა ინტერესები საზოგადოებრივ ცხოვრებაში თამაშობენ დიდ როლს, მაგრამ არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებისაგან მოწყვეტილ ფაქტორებს. ინტერესები თვით შედიან აუცილებელ რგოლად საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაში. ცხოვრების მატერიალური პირობები წარმოადგენენ ისტორიული განვითარების ობიექტურ საფუძველს, ხოლო მით განპირობებული ადამიანთა ინტერესები გამოდის მის მამოძრავებელ ძალად.

რამდენადაც საზოგადოებაში სხვადასხვა ადამიანებს ან ადამიანთა ჯგუფებს სხვადასხვა სტატუსი ანუ ადგილი და მდგომარეობა გააჩნიათ, მათი ინტერესებიც ურთიერთგანსხვავებულია. ამიტომაც საზოგადოებაში არსებობს როგორც გარკვეულ ინტერესთა ერთიანობა ანუ საერთო მიზნები, ასევე მათ გვერდით არსებობს ინტერესთა ურთიერთდაპირისპირება, ზოგჯერ მათი ანტაგონიზმი.

საზოგადოებრივი მოქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანი ან მათი ერთობა. მაგრამ სოციალური პრაქტიკის არა ყოველი მონაწილე, არა ყოველი ადამიანი არის სუბიექტი, არა ყოველდღიური, ჩვეულებრივი, არამედ წმინდა ფილოსოფიური გაგებით. ადამიანს შეუძლია ითამა-

შოს ამა თუ იმ საქმიანობაში მნიშვნელოვანი როლი, მაგრამ არ იყოს სუბიექტი. ინდივიდის ისტორიული პროცესის სუბიექტის როლამდე ამაღლება მიმდინარეობს მისი აქტიური საქმიანობის შედეგად და იმის მიხედვით, არის თუ არა ის საზოგადოებრივად ღირებული ინტერესების მატარებელი. სწორედ ამ თვისებების გამო არის სუბიექტი ისტორიული პროცესების მამოძრავებელი ძალა. ადამიანური ფაქტორი მოქმედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში როგორც სუბიექტი იმ ზომით, რა ზომითაც ის ცდილობს გარდაქმნას ეს ცხოვრება მისთვის შინაგანი, იმანენტური ინტერესების შესაბამისად.

ყოველი პიროვნება ყოველთვის იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმათ ინტერესებს, ვისთანაც ის ეწევა საერთო საქმიანობას, ვისთანაც ურთიერთობაშია იგი. პიროვნების მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს ან მხოლოდ საკუთარი ინტერესების განხორციელებისაკენ, ან მახლობელი ადამიანის, ან კიდევ უცხო პიროვნების ინტერესების რეალიზაციისაკენ, რომელიც თავის მხრივ შეიძლება საშუალება იყოს საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესების ობიექტურობა გადამწყვეტი სახით მოქმედებს არა მარტო ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, არამედ არსებითად განსაზღვრავს სუბიექტის სრულყოფას. ნებისმიერი სოციალური ინტერესი არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ პიროვნების ნება-სურვილზე, მაგრამ მათი რეალიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ნებასა და შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებებთან.

პიროვნების ინტერესების წარმოშობა და რეალიზაცია ხდება სხვა პიროვნებებთან ან სუბიექტებთან კავშირში, რაც თავის მხრივ, მოითხოვს არა მარტო ამ მიზნების სათანადო გაცნობიერებას, არამედ მათი განხორციელების ხერხებისა და საშუალებების გაცნობიერებასაც.

პიროვნება ცხოვრობს და მოქმედებს რეალურ საზოგადოებაში და ექვემდებარება მას, ისე როგორც ნებისმიერი საზოგადოებრივი გაერთიანება. ამით ბევრად არის განსაზღვრული ინტერესების რეალიზაციის ხერხები და გზები კონკრეტულ საზოგადოებრივ სისტემაში. იმავე დროს არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ადამიანები ყოველთვის ერთნაირად როდი მოქმედებენ თვით ანალოგიურ შემთხვევებშიაც. ინტერესთა ნამდვილი რეალიზაცია განპირობებულია ცნობიერების დონითა და პოზიციით, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებას უკავია სხვისი ინტერესების მიმართ ანუ შეიძლება ითქვას, მისი საზოგადოებრივი მოწიფულობით.

სხვისი ინტერესები (პიროვნების, ჯგუფების და ა.შ.) შეიძლება პიროვნების მიერ აღქმულ იქნას ან როგორც მისი საკუთარი ინტერესების რეალიზაციის ხელშემწყობი, ან პირიქით, ხელისშემშლელი. ინტერესთა იერარქიის სწორად განსაზღვრა დამოკიდებულია პიროვნებაზე, ისევე როგორც მათი რეალიზაციის საშუალებათა განსაზღვრა.

ინტერესების რეალიზაციის საშუალებებთან და მათ იერარქიასთან დაკავშირებით ამა თუ იმ ზომით ხდება ინტერესების დაქვემდებარება, იგნორირება ან მათი ერთობლივი რეალიზაცია. ამასთანავე ყველა ინტერესი, რომელიც განზრახულია განსახორციელებლად, მოქმედი სუბიექტისათვის იქცევა პირობითად, დროებით საკუთარ ინტერესებად. ამიტომ ინდივიდისათვის პირადი, კერძო ინტერესები მთლიანად არ ემთხვევა განვითარებულ პიროვნების ყველა ინტერესს, თუმცა არაიშვიათად პიროვნების ინტერესები შეიძლება შემოიზღუდოს მხოლოდ პირადი ინტერესებით. ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ თვით პიროვნებაზე, უფრო ზუსტად, მის დონეზე, თვითცნობიერებაზე, მის საზოგადოებრივ მომწიფებულობაზე.,

პიროვნების ინტერესების როგორც მოცულობა, ასევე სტრუქტურა განსაზღვრულია არა იმდენად საზოგადოებრივი ცნობიერებით, რამდენადაც მისი პრაქტიკული საქმიანო-

ბით. პიროვნების ინტერესები განპირობებულია მისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, საკუთარი სტატუსით.

პიროვნების ინტერესები ყოველთვის შეიცავს საკუთარ თავში არა მხოლოდ თვით ინდივიდის მოთხოვნილებებს, არამედ არა საკუთარ (სხვის) მოთხოვნილებებსაც. პიროვნებას შეუძლია იმოქმედოს არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ სხვისი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაც და სწორედ ამაში ვლინდება მისი საზოგადოებრივი მომწიფებულობის დონე.

პიროვნების ინტერესი გარკვეული სარკეა, სადაც ცხადადა ჩანს მისი სოციალური მიკუთვნებულობა ამა თუ იმ სოციალური ფენისადმი, მისი განვითარების დონე და მიმართება საზოგადოებრივი მოვლენებისადმი. ინტერესები და მიზნები სოციალური მოვლენებია, ხოლო მოთხოვნილება როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური.

მეცნიერულ ლიტერატურაში ზოგჯერ ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირად ინტერესებსა და პიროვნების ინტერესებს. „პირადი ინტერესის“ ცნებაში იაზრებენ მის დაპირისპირებას საზოგადოებრივთან, პირადი ინტერესები განიხილება როგორც ინდივიდის მოთხოვნილებებით განსაზღვრული, რომელიც დაკავშირებულია მის მატერიალურ საჭიროებასთან და სულიერ მოთხოვნილებებთან, მის თავისუფლებასთან და ა.შ. პიროვნების ინტერესი უფრო ფართოა, ვიდრე პირადი ინტერესი, მასში შედის ყველა ინტერესი, თვით საზოგადოებრივიც. პიროვნებათა ინტერესები შეიძლება გარკვეულ თანხმობაში, ჰარმონიაში იყოს ერთმანეთთან, მაგრამ ასევე შესაძლებელია ურთიერთდაპირისპირებაც, ეს დაპირისპირება, თავის მხრივ, შეიძლება იყოს სხვადასხვა ხარისხის.

ინტერესების ანტაგონიზმი ნიშნავს, რომ ერთის დაკმაყოფილება გამორიცხავს იმავდროულად მეორის დაკმაყოფილებას და მათი სხვანაირი ურთიერთმიმართება შეუძლებელია. არაანტაგონისტური წინააღმდეგობა აღნიშნავს იმას,

რომ დაპირისპირებული ინტერესები გარკვეულ კონკრეტულ ვითარებაში შეიძლება იქცნენ არადაპირისპირებულ ინტერესებად. ამას განაპირობებს არსებული რეალობის სხვა რეალობით შეცვლა. ინტერესთა დამთხვევა ნიშნავს, რომ ერთის რეალიზაცია იწვევს ერთდროულად მეორის რეალიზაციას, რომ სხვადასხვა სუბიექტების ინტერესებს ერთნაირი სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ ყველა მათგანისათვის.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებას გააჩნია ინტერესთა მთელი რიგი, და ერთი, თუ რამოდენიმე მათგანი ცხოვრების ამა თუ იმ მონაკვეთზე შეიძლება აღმოჩნდეს მადომინირებელი.

§ 7. სიცოცხლის საზრისის პრობლემა

სიცოცხლის საზრისის პრობლემა მაშინ დგება ადამიანის წინაშე, როდესაც ის, ჯერ ერთი, დროებით მოწყდება ხოლმე ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასა და ყოველწუთიერ ინტერესებს და აცნობიერებს, რომ ის მოკვდავია. მაშინ მის წინაშე დგება საკითხი: რისთვის და რატომ ვცოცხლობ მე, თუკი არსებობს სიკვდილი? მეორე. სიცოცხლის საზრისის საკითხი დგება მაშინაც, როდესაც სხვადასხვა მიზეზების გამო ამოიწურება ის საზრისები, რომელიც შინაარსს აძლევდა მის ცხოვრებას აქამდე. ასეთ შემთხვევაში ის განიცდის ემოციონალურ სიცარიელეს და ყველაფრისადმი ინტერესის დაკარგვას.

პირველ შემთხვევაში საკითხი ეხება სიცოცხლის საზრისს საერთოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში – სიცოცხლის საზრისს მოცემულ ეტაპზე, აქ და ამჟამად. ზოგადი პრობლემაა: ღირს კი საერთოდ სიცოცხლე და რისთვის?

აუცილებელია ყურადღებით განვიხილოთ სამი შესაძლებელი პასუხი ამ ფუნდმენტალურ ფილოსოფიურ პრობლემა-

ზე, შევადაროთ ისინი ერთმანეთს და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა.

პირველი პასუხი. სიცოცხლის საზრისის რელიგიური ვერსია:

ამ ვერსიის მიხედვით ადამიანთა ემპირიული ცხოვრება თავისთავად უსაზრისოა. ადამიანები იბრძვიან, იტანჯებიან, ავადმყოფობენ და კვდებიან, ირგვლივ ბოროტებისა და უსამართლობის ზღვაა. ყველაფერი წარმავალია. მაგრამ ჩვენს სულებში არსებობს მარადიულობის, სიკეთის, სამართლიანობის და ღმერთის იდეა, როგორც მარადიული მშვენიერების საწყისის წყარო. ჩვენ რომ ვიყოთ წმინდა ემპირიული არსებანი, ვეკუთვნოდეთ მხოლოდ წარმავალ სამყაროს, მაშინ ჩვენ ვერსაიდან ვერ მივიღებდით მარადიულობისა და სიკეთის ორიენტირებს. მაგრამ, რამდენადაც ჩვენ საკუთარ თავში ვპოულობთ ამ შესანიშნავ იდეებს, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თვით ვეკუთვნით გარკვეული სახით ღვთაებრივ სფეროს. სიცოცხლის საზრისი იმაშია, რომ არსებობს ღმერთი და უკვდავი სული, ისინი გვთავაზობენ ჩვენ მშვენიერი მარადიულობის პერსპექტივას და მით აზრს აძლევენ ჩვენს უფერულ და უღიმღამო მიწიერ ცხოვრებას. სიცოცხლის ნამდვილ საზრისს იძენს ის, ვინც ამ წუთისოფელში მთელი გულითა და სულით მიმართულია იმქვეყნიური ღვთაებრივი სინათლით გაშუქებული ცხოვრებისაკენ.

მეორე პასუხი. სიცოცხლის საზრისის ათეისტურ-ნიჰილისტური ვერსია: ემპირიული ცხოვრება თავისთავად უსაზრისოა. ადამიანს სურს მისი ცხოვრება ორიენტირებული იყოს აბსოლუტურზე და მიღმურზე, მაგრამ ამის განხორციელება მას არ ძალუძს, რამდენადაც მეცნიერება უარყოფს ღმერთის არსებობას. თანმიმდევრულმა რაციონალისტმა შეგნებულად უნდა აღიაროს სიცოცხლის უსაზრისობა და იცხოვროს, ფრანგი ექსისტენციალისტ ალბერ კამიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, „აბსურდისაგან თვალმოუშორებლად“. კამიუ თვლის, რომ ადამიანმა თავი კი არ უნდა მოიკლას სი-

ცოცხლის უსაზრისობის გამო, არამედ, პირიქით, ის უნდა აუჯანყდეს ამ აბსურდს და შეეცადოს იცხოვროს ემოციური და თამაშის მაგვარი ცხოვრებით, რამდენადაც ის შეიძლება შეწყდეს ყოველ წუთს. არავითარი სოციალური ღირებულებები და ზნეობრივი ნორმები არ ზღუდავენ „აბსურდულ ადამიანს“, რომელიც ტკბება ემპირიული სამყაროთი, ხედავს რა თავის მომავალ სიკვდილს.

მესამე პასუხი. ურელიგიო ჰუმანისტური ვერსია.

ეს ვერსია შესანიშნავად აქვს გამოთქმული თავის ნაშრომებში ფსიქოანალიტიკოს ერიხ ფრომს (1900-1980). მისი აზრით ადამიანის ბოლოვადი სიცოცხლის საზრისი – თვითრეალიზაციაშია, ადამიანში მოცემული უნარების აქტუალიზაციაშია. ადამიანს არ შეუძლია სიკვდილის გაუქმება, მაგრამ მას თვითონ შეუძლია თავის სიცოცხლეს მისცეს საზრისი. მაშინ ეს სიცოცხლე სპონტანური, მდორე დინებიდან გადაიქცევა ნამდვილ ხელოვნებად, სადაც თითოეული ადამიანი გაშლის თავის საუკეთესო ძალებს. გამოვლინდება როგორც განუმეორებელი ინდივიდუალურობა. საკუთარი თავის რეალიზაციას ჩვენ გვკარნახობს ჩვენი „ჰუმანიტარული სინდისი“, რომელიც აქეზებს ადამიანებს იზრუნონ თავისთავზე, განახორციელონ თავიანთი ნიჭიერება, ამასთანავე არ დაივიწყონ სხვებიც, მოეპყრას მათ კეთილმოსურნეობით და სიყვარულით.

და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ სიცოცხლის საზრისი იმაში კი არ არის, რომ უსიტყვოდ დავემორჩილოთ რელიგიურ ან სოციალურ ავტორიტეტებს, არამედ იმაში, რომ თავისუფლად გამოვავლინოთ საკუთარი თავი, ადამიანს მრავალი შესაძლებლობა გააჩნია და მას შეუძლია მთელი სისავსით მოახდინოს მისი რეალიზაცია.

§ 8. ადამიანი და სამყარო თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში

ადამიანთა მთელი ისტორია პირდაპირ მოწმობს იმას, რომ ადამიანი ბუნების შვილია. მისი ჩამოყალიბება – ქმნადობა საზოგადოების ნაყოფია. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შეუძლია გავიდეს თვის საზღვრებს გარეთ და იქიდან შემოხედოს თავისთავს, განახორციელოს თვითანალიზი და მოახდინოს თავისი მოქმედების კორექტირება. მას შეუძლია მოწყდეს არსებულ სინამდვილეს, შექმნას თავისი „მე“-ს იდეალური მოდელი და განახორციელოს ის პრაქტიკაში და ითამაშოს როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის, რეჟისორისა და ასევე მსახიობის როლი.

ადამიანის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მისი სოციალურობა და მიზანდასახული მოქმედების უნარი, მაგრამ ადამიანის უმთავრესი ნიშანი მაინც ადამიანურობაა: სირცხვილი და სინდისი, თანაგრძნობა-სოლიდარობა, მოწიწება-მოკრძალება ბუნებისა და საზოგადოების წინაშე.

ადამიანს, როგორც გარკვეულ მთლიანობას, ახასიათებს ისეთი კომპონენტები, როგორიცაა: ბიოლოგიური, სულიერი, სოციალური, საერთოსაკაცობრიო და კოსმიური დონეები.

ბიოლოგიური საწყისი წარმოდგენილია ორგანიზმის კონკრეტული მდგმარეობით. სულიერი საწყისი – რეფლექსით, შემეცნების უნარით. სოციალური საწყისი განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობების იმ სისტემით, რომელშიაც ჩართულია ადამიანი. გვაროვნული საწყისი განსაზღვრულია საერთოსაკაცობრიო გენოფონდით და წინა თაობების ინფორმაციული მეხსიერებით. კოსმიური საწყისი წარმოდგენილია იმ ციკლებითა და რიტმებით, რომლებიც ახასიათებს დედამიწას, გალაკტიკას, სამყაროსა და ადამიანს.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობამ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში მიიღო განსაკუთრებული ხასიათი. ამერიკელმა სოციოლოგმა და ფუტუროლოგმა დენიელ ბელმა თავის შრომებში: „2000 წელთან შეხვედრა“ და „მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ გამოთქვა მოსაზრება, რომ მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება საზოგადოების ცხოვრებიდან გამოთიშავს სოციალური რევოლუციის შესაძლებლობას. ახალი „პოსტინდუსტრიული“ საზოგადოება ჩამოყალიბდება მეცნიერების განვითარებისა და მეცნიერული ცოდნის აქტიურად გამოყენების საფუძველზე, ის შექმნის ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

თანამედროვეობა მეტისმეტად წინააღმდეგბრივია. ამ გარემოებამ ფუტუროლოგია გაყო ორ მიმდინარეობად - „სოციალურ პესიმიზმად“ და „ტექნოლოგიურ ოპტიმიზმად“.

ოპტიმისტები ფიქრობენ, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება უზრუნველყოფს გადასვლას ახალ ცივილიზაციაში, რომელიც აშენებული იქნება ჰუმანიზმისა და კაპიტალიზმის ოპტიმიზაციაზე.

პესიმისტები კი ამტკიცებენ დასავლეთის ცივილიზაციის დაღუპვის გარდუვალობას, მასთან ერთად მთელი სამყაროს მოსპობას უმართავი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად. მათი თვალსაზრისით, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ანვითარებს რა მეცნიერებასა და ტექნიკას, სრულყოფს რა ინდუსტრიას, ანგრევს ბუნებას, ეჭვქვეშ აყენებს კულტურის მიღწევებს, წარმოშობს ძალადობასა და კაცობრიობის საყოველთაო კრიზისს.

ფუტუროლოგიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რომის კლუბს, რომელიც შეიქმნა 1968 წელს იტალიელი ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის აურელიო პეჩის მიერ. კლუბის წევრმა მეცნიერებმა მიზნად დაისახეს სისტემურად შეესწავლათ გლობალური პრობლემები, რომლებსაც შეეჯახა საკაცობრიო ცივილიზაცია თანამედროვე ეტაპზე, რათა

დადგენილ იქნეს კაცობრიობის განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნეში.

ამერიკაში, მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა დ. მედოუზის ხელმძღვანელობით გამოიკვლია სამყაროს გლობალური მოდელი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებული ტენდენციის შენარჩუნებისას მომავალში გარდუვალია კაცობრიობის გლობალური კრიზისი, რამდენადაც სამრეწველო წარმოებისა და ხალხთმოსახლეობის ზრდა გამოიწვევს აქტუალურ წინააღმდეგობას ბუნებრივი რესურსების შეზღუდვის ფონზე. ამ წინააღმდეგობას ემატება გარემოს მუდმივად მზარდი გაჭუჭყიანება.

წარმოებული გამოკვლევები საფუძვლად დაედო 1992 წლის რიო-დე ჟანეიროში შემდგარ კონგრესს, სახელწოდებით: „თანამედროვეობის გლობალური პრობლემები და კაცობრიობის განვითარების პერსპექტივები" კონგრესის წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო იქნება ნაკლებად სტაბილური და მეტად შებოჭილი როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობების თვალსაზრისით. ჭარბი მოსახლეობა, სურსათისა და ნედლეულის დეფიციტი, ენერგორესურსების უკმარისობა, უფსკრულის გაღრმავება მდიდარ და ღარიბ სახელმწიფოებს შორის, ოზონის ფენის რღვევა, გაუდაბნოება, ფლორისა და ფაუნის მთელი რიგი წარმომადგენლების გაქრობა, - ყოველივე ამას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს XXI საუკუნის საზოგადოებაზე, თუ არ იქნება გატარებული მისი განვითარების სტრატეგიაში სათანადო ცვლილებები. ამ პროგნოზმა თავისი დასაბუთება ჰპოვა 5 წლის შემდეგ გაეროს სპეციალურ სესიაზე 1997 წ-ს.

როგორი პრინციპები უნდა დაედოს მსოფლიოს განვითარების ახალ სტრატეგიას?

პირველი, მსოფლიოს განვითარება ორიენტირებულ უნდა იქნეს არა მოთხოვნილებებზე და მათ დაკმაყოფილებაზე, არამედ ადამიანის შინაგანი თვისებების სრულყოფაზე.

მეორე, მოვიდა დრო გონების ცივილიზაციისა. გონება სიკეთისა და სიბრძნის გარეშე, რომელიც არ იქნება შეთანადებული ადამიანური ყოფის ზნეობრივ საფუძვლებთან, შეიძლება გახდეს მხოლოდ დამანგრეველი და არა შემოქმედებითი ძალა.

მესამე, დადგა იმისი დრო, რომ ადამიანმა შეიგნოს თავისი ნათესაობა ბუნებასთან, იქნებ იმის შეგნების დროც, რომ ადამიანი პასუხისმგებელია საერთოდ სიცოცხლისათვის დედამიწაზე, მან უნდა გაიცნობიეროს არა მარტო თავისი დამოკიდებულება ბუნებაზე, არამედ ბუნების დამოკიდებულებაც საზოგადოებაზე და თვით ცალკეულ ადამიანზე. ეს ადამიანისა და ბუნების გადარჩენის ერთადერთი პირობაა. ადამიანთა შეგნებაში უნდა ჩამოყალიბდეს იდეა, რომელსაც შეუძლია ყველა ადამიანის გაერთიანება ერთ მთლიანობად. ასეთი იდეა უნდა იყოს „ჰარმონიის“ იდეა. სოციალური ევოლუცია ჰარმონიაში უნდა იყოს ბიოლოგიურ ჰარმონიასთან.

გლობალური პრობლემების გადაჭრის აუცილებლობა მოითხოვს უარი ვთქვათ ჯგუფურ, ნაციონალურ და რეგიონალურ ინტერესებზე და დავდგეთ საერთო-საკაცობრიო ინტერესების პოზიციებზე. აზროვნების ტექნოლოგიურმა პრინციპმა ადგილი უნდა დაუთმოს ბიოსფერულს, ხოლო პერსპექტივაში – ნოოსფერულს, რომელიც ორიენტირებული იქნება ბიოსფეროს ნივთიერებათა და ენერგიის გაწყვეტილი ციკლის აღდგენაზე, ბიოლოგიური სტაბილურობისა და ნოოსფერული წონასწორობის უზრუნველყოფაზე. ადამიანის დამოკიდებულება ბუნებისადმი უკუმოქმედებს ბუნების დამოკიდებულებაზე ადამიანის მიმართ, ბუნების განადგურებით ადამიანი ანადგურებს თავისთავს.

XXI ს-ის დამდეგს კაცობრიობამ უნდა გადაწყვიტოს დილემა: მოსპოს თავისთავი, თუ იცოცხლოს და იცხოვროს ისე, რომ არ დაივიწყოს – ბუნებას და კაცობრიობას აქვს ერთნაირი საფუძველი, ხოლო საზოგადოება მთლიანობაში

წარმოადგენს საპირისპირო, მაგრამ ერთიან და ურთიერ-თდაკავშირებულ სამყაროს.

სოციალურ-კულტურული მიდგომის თვალსაზრისით თა-ნამედროვე მსოფლიო წარმოადგენს მრავალფეროვან ქვეყ-ნების, ხალხებისა და სახელმწიფოების ერთობლიობას, ისინი არსებობენ ერთიან ფიზიკურ სივრცესა და დროში. სოცია-ლურ-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებში მათი ინტერესები ხანდისხან გადაკვეთავენ ერთმანეთს, მაგ-რამ მთლიანად ისინი ინარჩუნებენ თავიანთ სულიერ „ექ-სტრატერიტორიალურ“ ერთიანობას.

კულტურული ურთიერთკავშირის დონეზე შეინიშნება ორი ტენდენცია: ა) კულტურათა დიალოგი, რომლის დრო-საც მიმდინარეობს არა მარტო დაახლოება, არამედ ადგილი აქვს კულტურული ექსპანსიის ფაქტსაც; ბ) კულტურულ ჰერმეტიულობას, დახურულობას, როგორც წესი, რელიგი-ურ ან ნაციონალურ ფუნდამენტალიზმის საფუძველზე.

მეორე ტენდენცია თავისთავში შეიცავს არა მარტო კონ-კრეტული კულტურული ყოფიერების დაცვას, არამედ აგ-რეთვე კულტურული დაშორიშორების ტენდენციასაც: მემ-კვიდრეობითობის ჰორიზონტალური ასპექტების რღვევას მივყევართ ჯერ კულტურულ და შემდეგ კი პოლიტიკურ ურ-თიერთდაპირისპირებამდე. ამის მაგალითს წარმოადგენდა ახლო წარსულში ევროპოცენტრიზმის კონცეფცია, ხოლო ამჟამად – ნეგროიდებისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის თეორიები. ეს უკანასკნელი იწყება პანისლამიზმის იდეიდან (ყველა მუსულმანთა ერთიანობა) და ისლამური რენესანსის იდეით (მუსლიმური კულტურის ტრადიციებისადმი დაბრუ-ნება და უარის თქმა ევროპულ კულტურასთან დიალოგზე და მემკვიდრეობითობაზე) და მთავრდება საერთაშორისო სამართლის ნორმების საჭიროებაზე ეჭვის შეტანით, რაც პრაქტიკაში ნიშნავს მათ არ ცნობას, ხოლო ხშირ შემთხვევა-ში მათ დარღვევას.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის პრობლემა, მათი კულტურის დიალოგის პრობლემა, XXI საუკუნის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა, რომელიც მოითხოვს ბრძნულ და აწონილ-დაწონილ გადაწყვეტას, რათა თავიდან იქნას აცილებული ახალი მსოფლიო გამანადგურებელი ომი.

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით თანამედროვე მსოფლიო ასევე ხასიათდება დიდი სიჭრელით, რომელიც მოკლებულია ერთიანობასა და ჰარმონიულობას, ეკონომიკური განვითარების უთანაბრობა, სახელმწიფოების დაყოფა მდიდრებად და ღარიბებად, წარმოშობს ნაციონალურ და რელიგიურ ეგოიზმს, ყოფს მსოფლიოს სამხედრო ბლოკებად და პოლიტიკურ კავშირებად. ეს რეალური პრობლემა XXI ს-ის დამდეგს მოითხოვს თავის ბრძნულ გადაწყვეტას „ყოფნა არ ყოფნის“ დილემის შეცნობის საფუძველზე „ყოფნის“ სასარგებლოდ.

თანამედროვე კაცობრიობა ხასიათდება: ა) სოციალური რეალობის გართულებით, რომელიც გამოიხატება კაცობრიობის, სოციალური ორგანიზაციის დაბალი ფორმიდან უმაღლესისაკენ განუხრელ აღმავლობაში; ბ) განვითარების ტემპის ზრდით, სხვა სიტყვებით, ისტორიის რიტმის დაჩქარებით, რაც გამოწვეულია ინფორმაციული ბუმით; გ) ადამიანის თვითშემეცნებითა და თვითსრულყოფით, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს მიღწევები ტვინის ფენომენის თეორიასა და პრაქტიკაში, ბიოტექნოლოგიასა და გენურ ინჟინერიაში; დ) ინფორმაციული და ბიოლოგიური რევოლუციაში.

XXI საუკუნეში კარდინალურად არის შეცვლილი ადამიანის მდგომარეობა დედამიწაზე. სიცოცხლის ყოველი ფორმის ბედი პირდაპირ დაკავშირებულია იმაზე, თუ რას შვრება ან რას არ შვრება ადამიანი. XXI ს-ის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი ეს არის სიცოცხლის გადარჩენის საკითხი, ე.ი. მოხერხდება თუ არა ახალი მილიარდობით ადამიანის განთავსება დედამიწაზე და მათი მოთხოვნილებებისა და სურვილე-

ბის დაკმაყოფილება, რას უქადის კაცობრიობას მისი აღმავალი განვითარების პროცესი?

ადამიანში ჩადებულია ორი პროგრამა: ინსტინქტური და სოციალკულტურული, რაც განსაზღვრავს მის არსებას. თავისი სხეულებრივი და ფიზიოლოგიური ფუნქციებით ის მიეკუთვნება ბუნებას, მაგრამ სოციალურობა მას კარნახობს მოქმედების სხვა წესებს. ადამიანი ესწრაფვის სიკეთეს, მაგრამ მისი მოქმედებები იწვევს ბოროტებას. ის ესწრაფვის მდგომარეობაზე გაბატონებას, მაგრამ ვერ ამჩნევს, რომ ხდება საკუთარი მისწრაფებების მონა. შიში იმისა, რომ დაკარგოს ის, რაც უკვე აქვს ადამიანს, მოქმედებს მასზე და სხვა ადამიანებთან მის დამოკიდებულებაზე არა ნაკლებ უარყოფითად, ვიდრე წყურვილი დაეუფლოს იმას, რაც მას არა აქვს.

ადამიანთა ურთიერთშეჯახება იმის გამო, რომ უკეთ მოეწყონ ამ ქვეყანაზე, ძალიან ჰგავს ცხოველთა ბუნებრივ ბრძოლას არსებობის გადარჩენისთვის. მაგრამ ბუნების კანონების საფუძველზე კონფლიქტების გადაჭრა ტრაგედიად უბრუნდება უკან ადამიანს – ის იწვევს ადამიანურობის დაკარგვას ადამიანში.

თანამედროვე ეპოქაში ტექნიკა გახდა ბუნებაში მიმდინარე ცვლილებების მთავარი ფაქტორი, ის მკვიდრად შევიდა სისტემაში „ბუნება-ადამიანი-საზოგადოება“, ზოგიერთ შემთხვევაში იქცა უმართავ ძალად. საკმარისია დავასახელოთ ჩერნობილის მაგალითი. სიბრძნის გარეშე ტექნიკური ძალა და ძლიერება ადამიანს ხდის ყველაზე სასტიკ არსებად, რომელსაც საკუთარ თავთან ერთად შეუძლია მთელი კაცობრიობა გაანადგუროს. ამიტომაც ერთ-ერთი უმთავრესი მსოფლიო პრობლემა ადამიანის გაკეთილშობილების პრობლემაა.

სარეკომენდაციო ლიტერატურა

სარეკომენდაციო ლიტერატურა I განყოფილებისთვის

1. არისტოტელე. მეტაფიზიკა, 1964
2. არისტოტელე. პოლიტიკა, 1995
3. ბაქრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია. თბ. 1969.
4. გაგოიძე ვ. ნარკვევები XIX საუკუნის ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან. 1971.
5. გოგიბერიძე გ. ფილოსოფიის ისტორია. ტ. I. 1941.
6. გოგობერიშვილი ვ. პრაგმატიზმის ფილოსოფია. 1966.
7. გორდეზიანი რ. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. 1993.
8. დანელია ს. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები, 1983.
9. დანელია დ. ფრანგული მატერიალიზმი.
10. დემპოკრიტე, ეპიკურე. ფრაგმენტები. წერილები. 1959.
11. დეკარტი რ. მეტაფიზიკური განაზრებანი. 1955.
12. ერქომაიშვილი. ფილოსოფია. 2000.
13. ერქომაიშვილი ვ. ლოგიკური პოზიტივიზმი. 1974.
14. თევზაძე გ. გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია. 1963.
15. თევზაძე გ. იმანუელ კანტი. 1974.
16. თევზაძე გ. შუა საუკუნეების ფილოსოფია. 1996.
17. თევზაძე გ. XX საუკუნის ფილოსოფია. 2002.
18. კანტი ი. რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში. 1989.
19. კანტი ი. წმინდა გონების კრიტიკა. 1979.
20. კანტი ი. პროლეგომენები. 1936.
21. კვარაცხელია ვ. ფილოსოფიის საგანი, თბ.,
22. კოდუა ე. კოტე ბაქრაძე, 1998.
23. კოდუა ე. სერგი დანელია, 1989.
24. კოდუა ე. ფილოსოფიის შესავალი, 1992.
25. კოდუა ე. XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ანთოლოგია 3 ტომად, 1998-200.
26. კუკავა თ. ბერძნული ფილოსოფიური აზრის ისტორია. თბ. 1988.

27. მახარაძე მ. წერილები ქართულ ფილოსოფიაზე. 1988
28. ნადიბაიძე ფ. ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი XX საუკუნის საქართველოში (1900-1921 წ.წ.).
29. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში. 1994.
30. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. I. 1956.
31. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. ტ. 2. 1958.
32. პლატონი. ნადიმი, 1964.
33. პლატონი. ფედონი, 1966.
34. რეხვიაშვილი ტ. და ჯაოშვილი ვ. ფილოსოფია. 2000.
35. როგავა გ. ფილოსოფია. 2004.
36. ურიდია ბ. მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიიდან. 1986.
37. ურიდია ბ. კოტე ბაქრაძე შემეცნების თეორიისა და ლოგიკის პრობლემების შესახებ. 1978.
38. ურიდია ბ. სერგი დანელია – ფილოსოფიური მემკვიდრეობა. 1983.
39. ურიდია ბ. შალვა ნუცუბიძე. 1988.
40. ფილოსოფიის ისტორია. 1962.
41. შუა საუკუნეების ფილოსოფია, ნაწ. I, II, 1981, 1984.
42. ციმინტია ა. ფილოსოფიის შესავალი. 1997.
43. წერეთელი ს. ანტიკური ფილოსოფია. თბ. 1963.
44. ჭელიძე მ. გორდეზიანი რ. ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია. (ინდოეთი, ჩინეთი) 2001.
45. ჭელიძე მ. ელინიზმის ფილოსოფია ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქაში. თბ., 1998.
46. ჭელიძე მ. ჰეგელი და ნეოჰეგელიანიზმი. 1970.
47. ხიდაშელი შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია. თბ. 1988.
48. ხასაია ზ. ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები. 2003.
49. ჰეგელი გ. ლოგიკის მეცნიერება. 1962.

სარეკომენდაციო ლიტერატურა II განყოფილებისთვის
ონტოლოგია

1. ავალიანი ს. ბუნების მეცნიერების ფილოსოფია, 1966.
2. ავალიანი ს. მეცნიერული ონტოლოგია, 1991.

3. ავალიანი ს. ტელეოლოგია, 2003.
4. ავალიანი ს. XX საუკუნის ნატურფილოსოფია. 2004
5. ავალიანი ს. სიცოცხლის არსება, 2000.
6. ავალიანი ს. ყოფიერება, დრო და სივრცე, 1991.
7. ადეიშვილი შ. კიბერნეტიკა და ფილოსოფია. 1966.
8. ამბროლაძე ლ. საწყისისა და მიზეზობრიობის პრობლემა ახალ ფილოსოფიაში, 1971.
9. ბუაჩიძე თ. ფილოსოფიური ნარკვევები, ტ. 1. 2003.
10. გელაშვილი ა. სამყარო, ღმერთი, ადამიანი. 1975.
11. გუჯაბიძე პ. მატერია და ცნობიერება. 1958.
12. დიალექტიკური მატერიალიზმი, 1961.
13. დიალექტიკის შეფარდებითი კატეგორიები, 1978.
14. ურიდია ბ. კატეგორიის თეორიის პრობლემები, 1983.
15. ქვაჩახია ვ. ფილოსოფიის შესავალი, 1983.
16. ციმინტია ა. ონტოლოგიის ძირითადი პრობლემები, 2003.
17. ციმინტია ა. ფილოსოფიის შესავალი. 1997.
18. ცინცაძე გ. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერ-თობის შესახებ, 1965.
19. ცინცაძე გ. შესაძლებლობა და სინამდვილე, 1959.
20. Базалук О.А. Время. 2003.
21. Введение в философии Т1, 1989.
22. Возможность и действительность. К. 1989,
23. Омелянчук В. И. Возможностъ, структура, деиствие. К. 1991.
24. Уитроу Дж. Естественная Философия Времени. 2003,
25. Пригожин И. Конец определенности. Время, хаос и новые законы природы. 2000.
26. Теирман Дж. Эванс К. Философия, М., 1995.
27. Введение в философии, т. 1, М., 1989.
28. Всемирная энциклопедия философии. 2003.

სარეკომენდაციო ლიტერატურა III განყოფილებისთვის
გნოსეოლოგია

1. ერქომაიშვილი ვ. ფილოსოფია, 2000.
2. ბარამიძე გ. ფანტაზია და წარმოსახვა. 1993.

3. გეგეშიძე დ. რელიგიური რწმენა და მეცნიერული ცოდნა. 1969.
4. კვარაცხელია ნ. ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა, 1986.
5. კვიჟინაძე რ. ჭეშმარიტების ცნება და ალტერნატივები შემეცნების თეორიაში, 1976.
6. კირვალიძე ნ. ჭეშმარიტების საზომის პრობლემა ფილოსოფიაში, 1978.
7. კუკავა თ. შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში, 1965.
8. მამარდაშვილი მ. საუბრები ფილოსოფიაზე, 1992.
9. მეგრელიძე კ. აზროვნების სოციალური ფენომენოლოგია, 1990.
10. მშვიდობაძე თ. ცნობიერება, 1997.
11. რასელი ბ. ფილოსოფიის პრობლემები, 2001.
12. რეხვიაშვილი ტ. განწყობის, ინტერესების და აზროვნების როლი სუბიექტის აქტივობაში, 1991.
13. როგავა გ. ფილოსოფია, 2004.
14. შუშანიშვილი გ. შემეცნების თეორია (სამ ნაწილად, 1977, 1979, 1981).
15. Бегиашвили А. О природе философского познания. Тб., 1989.
16. Ведение в философии, т. 1, М., 1989.
17. Потемкин А. В. О специфике философского знания. 1973.
18. Стукин А. Философия. М., 2000.
19. Структура философского знания. 1973.
20. Всемирная энциклопедия философии. 2003.

სარეკომენდაციო ლიტერატურა IV განყოფილებისთვის

1. ბაკურაძე ო. თავისუფლება და აუცილებლობა, 1964.
2. ბალანჩივაძე რ. ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, 1997.
3. ბრეგაძე ა. რა არის ადამიანი, 1997.
4. ბრეგაძე ა. ადამიანის არსი და ხასიათი, 1991.
5. ბოჭორიშვილი თ. პიროვნება, ღორებულება, შემოქმედება. 1997.

6. ბუაჩიძე თ. სიცოცხლის ფილოსოფია. 1991.
7. გოქსაძე კ. ადამიანის ფაქტორი, 1987.
8. ერქომაიშვილი ვ. ადამიანის თავისუფლება და პასუხისმგებლობის პრობლემა, 1988.
9. ერქომაიშვილი ვ. ადამიანი, თავისუფლების იდეოლოგია. 2002.
10. კაჭკაჭიშვილი ი. სოციალური მოქმედების თეორიები, 2001.
11. კვარაცხელია ნ. ადამიანის, როგორც შემმეცნებელი სუბიექტის პრობლემა, 1986.
12. კვარაცხელია ნ. ფილოსოფია და ცხოვრება, 1991.
13. კოდუა ე. ისტორიის ფილოსოფია, 1966.
14. კორძაია გ. სიკვდილის გენეზისი, 2002.
15. ლუტიძე ბ. სოციოლოგია, 2002.
16. რამიშვილი ვ. ადამიანის ხვედრი, 2000.
17. რუსია გ. თავისუფლება და პიროვნება, 1979.
18. ტაბიძე ო. ადამიანი, თავისუფლება, შემოქმედება, 1991.
19. შენგელია ხ. პიროვნების ფილოსოფიური პრობლემები, 1986.
20. ჭანტურია მ. ინტერესი როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, 2004.
21. ჭანტურია მ. სოციალური დეტერმინიზმისა და ადამიანთა ინტერესების დიალექტიკა, 2007.
22. ხასაია ზ. დეტერმინიზმი და თავისუფლება.
23. Ведение в философию, т. 2, М., 1990.
24. Келле В. Ж. Ковальзон М. Я. Теория и история. Проблемы теории историчекого процесса. М., 1981.
25. Панцхава И. Человек, его жизнь и бессмертие. 1978.
26. Социальное познание и управление, М., 1983.
27. Всемирная энциклопедия философии. М., 2003.

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ 3

განყოფილება I
ფილოსოფიის წარმოშობა და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები.....5

თავი I. ფილოსოფიის საგანი 11
§1. ფილოსოფიის რაობა. მისი საგანი და სპეციფიკური ნიშნები 11
§2. ფილოსოფია და მსოფლმხედველობა 13
თავი II. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ფილოსოფია (ინდოეთი და ჩინეთი) 15
თავი III. ანტიკური ფილოსოფია.....24
§1. ზოგადი დახასიათება.....24
§2. მილეთის სკოლა. უფროსი ფიზიკოსები 27
§3. ჰერაკლიტე ეფესელის დიალექტიკა 31
§4. პითაგორეიზმი 36
§5. ელეატთა მეტაფიზიკა 39
§6. უმცროსი ფიზიკოსები 44
§7. ატომიზმი 49
§8. სოფისტები 52
§9. სოკრატე 55
§10. პლატონი 57
§11. არისტოტელე 60
§12. ელინისტური და რომაული ხანის ფილოსოფია 64
1. ეპიკურეიზმი.....64
2. სტოიციზმი.....66
3. სკეპტიციზმი.....67
4. მისტიციზმი 69
5. ნეოპლატონიზმი 70

თავი IV შუა საუკუნეების ფილოსოფია (VI-XV ს. I ნახევარი) 72
§1. პატრისტიკა 73
§2. აეროპაგიტიკა 74
§3. იოანე დამასკელი 75
§4. სქოლასტიკა 76
§5. ნომინალიზმი, რეალიზმი, კონცეპტუალიზმი.....78
§6. არაბული და ებრაული ფილოსოფია 80
§7. თომა აკვინელი 82
§8. როჯერ ბეკონი 85
§9. უილიამ ოკამი 86
თავი V. აღორძინების ეპოქის ფილოსოფია 88
§1. ეპოქის ზოგადი დახასიათება - 88
§2. ნიკოლოზ კუზანელი 90
§3. ბერნადინო ტელეზიო და მიშელ მონტენი.....91
§4. ჯორდანო ბრუნო და გალილეო გალილეი 92
თავი VI. ახალი დროის ფილოსოფია 96
§1. ეპოქის ზოგადი დახასიათება 96
§2. ფრენსის ბეკონი 97
§3. რენე დეკარტი 100
§4. თომას ჰობსი 103
§5. ჯონ ლოკი 104
§6. ბენედიქტე სპინოზა 106
§7. გოტფრიდ ლაიბნიცი 108
§8. ჯორჯ ბერკლი 111
§9. დევიდ ჰიუმი 113
§10. ფრანგი მატერიალისტები 116
§11. იმანუელ კანტი.....124
§12. გეორგ ჰეგელი 130
§13. ლუდვიგ ფოიერბახი 137
§14. კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი 140
თავი VII. XX საუკუნის ფილოსოფიური მიმართულებები 149

§1. ნეოკანტიანელობა 149
§2. ირაციონალიზმი. შოპენჰაუერი 154
§3. სირეონ კირკერგორი 156
§4. ნიცშე 159
§5. ექსისტენციალიზმი. მ. ჰაიდეგერი 163
§6. პრაგმატიზმი 165
§7. ნეოპოზიტივიზმი 169
§8. ნეოთომიზმი 172
§9. XX საუკუნის ქართული ფილოსოფია.....174

განყოფილება II
ონტოლოგია 183

თავი I. ყოფიერების არსებობის წესი და ფორმები.....183
§1. ყოფიერება და მატერია 183
§2. ყოფიერების არსებობის წესი.....185
§3. მოძრაობა-განვითარების კანონები.....187
§4. დრო და სივრცე – ყოფიერების არსებობის ფორმები.....190
თავი II. ფარდობითი კატეგორიები 203
§1. კატეგორიის ცნება 203
§2. ცალკეული და ზოგადი 204
§3. არსება და მოვლენა 209
§4. მიზეზი და შედეგი.....212
§5. აუცილებლობა და შემთხვევითობა.....221
§6. შესაძლებლობა და სინამდვილე.....227
§7. შინაარსი და ფორმა.....233

განყოფილება III
გნოსეოლოგია.....238

თავი I. ადამიანი და მისი გნოსეოლოგიური მიმართება სამყაროსთან.....238

§1. ადამიანის რაობა.....238
§2. ადამიანთა მოთხოვნილებები, ინტერესები და მიზნები 241
§3. პრაქტიკა – შემეცნების წყარო 243
§4. შემეცნების სუბიექტი და ობიექტი 245
§5. შემეცნების შესაძლებლობის პრობლემა.....248

თავი II. სინამდვილის შემეცნების ძირითადი პრინციპები და მისი საფეხურები.....252
§1. ძირითადი გნოსეოლოგიური პრინციპები 252
§2. შემეცნების გრძნობადი საფეხური და მისი ფორმები 255
§3. შემეცნების რაციონალური ანუ ლოგიკური საფეხური და მისი ფორმები 259
§4. ჭეშმარიტება, მისი სახეები და კრიტერიუმი 264
§5. მეცნიერული შემეცნების მეთოდები 269
§6. შემეცნება და მეცნიერება 278

განყოფილება IV
სოციალური ფილოსოფიის ზოგიერთი ძირითადი საკითხი (მ. ჭანტურია) 284
§1. ბუნება და საზოგადოება 284
§2. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები სოციალურ-ისტორიულ პროცესში.....289
§3. საზოგადოების თვითგანვითარების წყაროები 292
§4. საზოგადოებრივი ცვლილებების მიმართულება – პროგრესი და რეგრესი 295
§5. სოციალური დეტერმინიზმი და თავისუფლება 297
§6. პიროვნებათა ინტერესები და მათი სოციალური აქტიურობა 301
§7. სიცოცხლის საზრისის პრობლემა 308

§ 8. ადამიანი და სამყარო თანამედროვე
მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის
პირობებში 311

სარეკომენდაციო ლიტერატურა 318

სარჩევი.....323

Гиви Рогава, Мери Чантурия

Основы философии

2009

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ლელა ჯიქიძე, ნანა ყანდაშვილი

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge